

დამსახურებული ჯილდო A2



პამუქის მოგონებების ქალაქი A7



უკიფიანოდ... A8


www.24saati.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი | შაბათი, 17 ივნისი, 2006 წელი. №133 (1285) | ფასი 50 თეთრი



24 საათი

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე

**www.24saati.ge**


"ოლიმპიური ვარსკვლავის" სტარტი

C2

## პოლიტიკა

### არაღიარებულთა არაღიარებული თანამეგობრობა

თვითაღიარებული რესპუბლიკების სამიტის დასრულების შემდეგ, სამხრეთ ოსეთის, აფხაზეთისა და დნესტრისპირეთის ლიდერები შემაჯამებელ განცახადებებს აკეთებენ.

A3


"საქართველოს ტერიტორიაზე მომხმარებლებთან ნაღდი ფულით ანგარიშსწორებისას გამოსაყენებელი საკონტროლო სალარო აპარატების სახელმწიფო რეესტრში" დამატებით შეტანილია ფისკალური პრინტერის საკონტროლო სალარო აპარატების შემდეგი მოდელები:

**"SLP-01F", "კასბი-02ფ" და "მერკური-180ფ"**

(საგადასახადო დეპარტამენტის თავმჯდომარის 2006 წლის 2 მაისის №610-ს და 7 ივნისის №887-ს ბრძანებები).

**საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტი**



საერთაშორისო იურიდიული ოფისი "გაპი" სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში კლიენტთა ინტერესების დაცვას ახორციელებს თავისი წარმომადგენლით საფრანგეთში.


## ამინდი

| | 17/06 | 18/06 |
|---|---|---|
| თბილისი | 35 | 33 |
| ტყიბული | 25 | 25 |
| სოხუმი | 24 | 25 |
| დმანისი | 25 | 25 |
| გორი | 27 | 27 |
| ონი | 21 | 21 |
| ზუგდიდი | 26 | 27 |
| ახმეტა | 34 | 32 |
| გაგრა | 23 | 22 |
| სამტრედია | 27 | 28 |

## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.7785 |
| ევრო | 2.2425 |
| გირვანქა სტერლ. | 3.2824 |
| რუბლი | 0.0658 |


| | |
|---|---|
| ამბები | A 2 |
| პოლიტიკა | A 3 |
| სამართალი | A 4 |
| სპორტი | A 5 |
| რევიუ | A 6 |
| რევიუ | A 7 |
| სხვადასხვა | A 8 |


# რისთვის იბრძვიან კომპანიები

### „დიდი" პრივატიზაცია ენერგოსექტორში

*როგორც მოსალოდნელი იყო, ქართული ენერგორესურსებით დაინტერესებულმა კომპანიებმა კონკურსში მონაწილეობის შესახებ განცხადებები ვადის ამოწურვამდე რამდენიმე საათით ადრე შეიტანეს. TBC+Energia, Laxtron, Energo pro, Unitrade Service LLP, Inter Rao, Geo Steel, Falcon Capital, SB Energy - ეს იმ 8 კომპანიის ჩამონათვალია, რომლებიც გუშინ საპრივატიზაციო ჭიდილში ჩაერთვნენ. გამარჯვებულები ხუთი დღის ვადაში გამოვლინდებიან. თუმცა, ეკონომიკური განვითარების მინისტრის ირაკლი ჩოგოვაძის განცხადებით, ერთი რამ დანამდვილებით ცნობილია: ენერგოობიექტების პრივატიზებიდან სახელმწიფო ბიუჯეტში 280 მილიონ დოლარზე მეტი, ანუ ნავარაუდევზე 161 მილიონი დოლარით მეტი შევა.*

დიანა ჩაჩუა

ენერგოობიექტებით დაინტერესებული კომპანიების წინადადებები გუშინ ირაკლი ჩოგოვაძემ სახელმწიფო კანცელარიაში გახსნა. წარმოდგენილი წინადადებებიდან ყველაზე მაღალი თანხები ჩეხურმა კომპანიამ „Energo pro"-მ დაასახელა, რომელიც მზად არის, „ძევრულჰესში" 14 მილიონ სამასი ათასი დოლარი, „ლაჯანურჰესში" - 60 მილიონი დოლარი, „გუმათჰესში" - 38 მილიონი დოლარი, „შაორჰესში" - 13 მილიონი დოლარი, „რიონჰესში" - 39 მილიონ 800 ათასი დოლარი, „აწჰესში" - 5 მილიონი დოლარი გადაიხადოს.

გაგრძელება A2 გვერდზე

# საფეხბურთო მასტერკლასი




# დღეს "24 საათში"




# კონფლიქტის ზონაში დაძაბულობაა

ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში ქართული მხარის მოთხოვნით 15 ივნისს ერთობლივი მონიტორინგი ჩატარდა. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ცნობით, მონიტორინგის შედეგად ოთხ სხვადასხვა ადგილზე რამდენიმე უკანონო შეიარაღებული ფორმირება აღმოაჩინეს.

პირველი ასეთი ჯგუფი მონიტორინგის ჯგუფის წევრებმა ოსური სოფლის, ზემო ფრისის ჩრდილოეთით, 2 კილომეტრში აღმოაჩინეს. 8 კაციანი ოსური შეიარაღებული ფორმირების წევრებმა კატეგორიული უარი განაცხადეს მონიტორინგის ჯგუფის წევრების მოთხოვნაზე, წარედგინათ პირადობის დამადასტურებელი მოწმობები და მათი სამხედრო ან პოლიციის შენაერთი დაესახელებინათ.

უკანონო შეიარაღებულ დაჯგუფებას, რომელშიც 15-მდე ოსი ეროვნების პირი შედიოდა, სოფელ ქართული ფრისის ჩრდილო-აღმოსავლეთით, სასაფლაოებთანაც მიაგნეს. ამ დროისთვის მათთან ერთად ოსური სამშვიდობო ბატალიონის მეთაურის მოადგილე ვიცე-პოლკოვნიკი ივანენკო იმყოფებოდა.

მათგან ნახევარ კილომეტრში იმყოფებოდა კიდევ ერთი შეიარაღებული დაჯგუფება. 30-მდე პირი ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღებით, ტყვიამფრქვევებით, სნაიპერის შაშხანებით და ტანკსაწინააღმდეგო ჭურვებით იყო შეიარაღებული.

ამ ფაქტებთან დაკავშირებით ქართულმა მხარემ დაჟინებით მოითხოვა ახსნა-განმარტება, რის შემდეგაც ჯგუფს გამოეყო პიროვნება, რომელმაც განაცხადა, რომ არის მეთაური და დანაყოფი ე.წ სამხრეთ ოსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს ეკუთვნის. თუმცა, მათ არანაირი პირადობის მოწმობები არ წარმოუდგენიათ.

მონიტორინგის მონაწილეები უშედეგოდ ცდილობდნენ რუსეთის სამშვიდობო ძალების სარდალთან დაკავშირებას. მარატ კულახმეტოვის ნაცვლად, კავშირზე პოლკოვნიკი აკიმოვი გამოვიდა, რომელსაც არაერთხელ განემარტა კონფლიქტის ზონაში შექმნილი სიტუაცია, რის შემდეგაც ქართულმა მხარემ სამშვიდობო მანდატით განსაზღვრული პირობების შესრულება მოითხოვა.

გაგრძელება A3 გვერდზე

# მესამე ვადა თუ მემკვიდრე?

*ივანოვი თუ მედვედევი? - ვიდრე მთელი რუსეთი ამ ორ ვიცე-პრემიერს შორის საკუთარი ქვეყნის მომავალი პრეზიდენტის ამოცნობას ცდილობდა, ვლადიმირ პუტინმა მორიგი განცხადება გააკეთა და საკუთარ ხალხს გააგებინა, რომ მომავალი მემკვიდრის არჩევანში ის გაცილებით შეუზღუდავია.*

სოფო ბუკია

ოპერაცია „მემკვიდრე-2008" შესაძლოა, მოულოდნელი სცენარით წარიმართოს. როგორც პუტინმა შანხაიში ჟურნალისტებთან საუბრისას აღნიშნა, მისი მემკვიდრე შესაძლოა არც თავდაცვის მინისტრი სერგეი ივანოვი აღმოჩნდეს და არც ვიცე-პრემიერი დმიტრი მედვედევი, როგორც ეს ბევრს მიაჩნია. „ეს შეიძლება სრულიად უცნობი ადამიანი იყოს," - უთხრა ჟურნალისტებს პუტინმა და ამ სიტყვებით რუსეთიცა და მთელი მსოფლიოც საგონებელში ჩააგდო.

უკანასკნელი ერთი თვის განმავლობაში 2008 წლის არჩევნების პერსპექტივებზე საუბარი პუტინს უკვე მეორედ უწევს. მაისში რუსეთის პრეზიდენტი საკუთარ ხალხს შეჰპირდა, რომ მემკვიდრეს არჩევნების მოახლოებასთან ერთად დაასახელებს. შანხაიში ეს თემა კვლავ აქტუალური გახდა.

გასული წლის ნოემბერში რუსეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციაში განხორციელებული გადაადგილებების შემდეგ, რუსული პრესა პუტინის მემკვიდრედ ვის აღარ ასახელებდა. შესაძლო მემკვიდრეთა ნუსხაში ყოფილი გენპროკურორი ვლადიმირ უსტინოვიც კი მოხვდა. სულ ცოტა ხნის წინ აღმოჩნდა, რომ პუტინს უსტინოვი არა თუ მემკვიდრედ, გენპროკურორადაც მობეზრდა.

საპრეზიდენტო ფავორიტების პროგნოზებში კვლავინდებურად ლიდერობენ თავდაცვის მინისტრი სერგეი ივანოვი, რომელიც ამავდროულად ვიცე-პრემიერის პოსტსაც ითავსებს და, ასევე, კიდევ ერთი ვიცე-პრემიერი დმიტრი მედვედევი.

მედვედევი გარკვეული პროცენტებით წინ უსწრებს ივანოვის მაჩვენებელს.

გაგრძელება A3 გვერდზე

# ქილერის აღიარება

*რუსეთის პროკურატურამ იმ ქილერის ჩვენების დეტალები გამოაქვეყნა, რომელმაც, რუსული მაფიის ქართველი „ნათლიმამა" ოთარ კვანტრიშვილი მოკლა.*

როგორც გაირკვა, ქილერ ალექსეი კუზმინს ოთარ კვანტრიშვილის მკვლელობისთვის თანხა არ მიუღია. სამაგიეროდ მიიღო მყარი გარანტია - დაჯგუფების ლიდერთა გადაწყვეტილებით, კუზმინს ყოველთვიურად ხუთი ათას დოლარს უხდიდნენ.

გამოძიების მონაცემებით, კვანტრიშვილის მკვლელობის შემკვეთმა, „ორეხოვსკის" დაჯგუფების ლიდერმა სერგეი ტიმოფეევმა ოთარ კვანტრიშვილის მკვლელობით მრავალმილიონიანი ამოცანა გადაწყვიტა - მისი კონტროლის ქვეშ გადავიდა იმ სფეროების ნაწილი, რომელსაც კვანტრიშვილი აკონტროლებდა.

ცნობილი ქილერის მიერ პროკურატურისთვის მიცემული ჩვენებით, ოთარ კვანტრიშვილის მკვლელობა „კუზმინ ჯარისკაცის" პირველი დავალება იყო. მას მისცეს მცირეკალიბრიანი გერმანული წარმოების სნაიპერის შაშხანა „ანშუტცი" და 1994 წლის 5 აპრილს მიიყვანეს დანიშნულების ადგილას. დავალება ასეთი იყო: „მოვა რამდენიმე კავკასიელი, მათგან ერთს, ყველაზე მსხვილს ესროლე". კუზმინის განცხადებით, მან ობიექტს სამჯერ ესროლა, არ იცოდა ვინაობა ადამიანისა, რომლის მკვლელობაც შეუკვეთეს - მოკლულის ვინაობა ტელევიზიით შეიტყო.

მომხდარი ფაქტის შემდეგ კუზმინს შეეშინდა, კვალის დამალვის მიზნით, შემკვეთებს იგი სიცოცხლისთვის არ გამოესალმებინათ და რამდენიმე თვით დაიმალა. თუმცა, კრიმინალური დაჯგუფების ლიდერებს სხვა, დიდი გეგმები ჰქონდათ და „კუზმინ ჯარისკაცმა" ახალი შეკვეთები მიიღო, რომლებიც კვლავ წარმატებულად შეასრულა.

მოგვიანებით, დაჯგუფების უფროსებმა კუზმინის შესრულებული მკვლელობები საუკეთესო „ნამუშევრად" მიიჩნიეს და იგი შტატიან ქილერად აიყვანეს, თანაც, მკვლელთა ჯგუფი შეაქმნევინეს.

გაგრძელება A4 გვერდზე

# ქართული საზოგადოების ერთი ნაწილის განცხადება

უკიდურეს შეშფოთებას იწვევს ის გარემოება, რომ ბოლო ხანს საქართველოს მიმართ მტრული და აგრესიული განცხადებების ავტორებად გვევლინებიან არა მხოლოდ ცალკეული ოდიოზური პოლიტიკური ლიდერები, არამედ რუსეთის ხელისუფლების ოფიციალური წარმომადგენლები.

რუსული სახელმწიფოს მხრიდან ამგვარი დამოკიდებულების ფონზე აფხაზი და ოსი სეპარატისტების ლიდერების საგანგებო გააქტიურება, მათი ლამის ტელევარსკვლავებად გადაქცევა მოსკოვურ ტელეარხებზე და ამ რეგიონების არნახული მილიტარიზაცია თვალნათელს ხდის მოწინააღმდეგის სურვილს, სხვადასხვა მიმართულებით განახორციელოს შეტევა ქართულ სახელმწიფოზე.

მესამე ფრონტი კი თავად საქართველოშია გახსნილი იგორ გიორგაძის მხარდამჭერი მეხუთე კოლონის სახით. საგულისხმოა, რომ თავზარდამცემი რეპუტაციის მქონე ადამიანთა ზემოხსენებული კრებულის ერთობას განაპირობებს რუსული შავი ფული, რომელიც უშურველად მიეწოდებათ ხალხის მოსასყიდად და სხვადასხვა პოლიტიკურ-თეატრალიზებული გამოსვლების მოსაწყობად.

სამწუხაროდ, არც მთავრობა და არც ოპოზიცია ეჭვქვეშ არ აყენებს ამ გაერთიანების მოღალატურ ბუნებას და მისგან მომდინარე საფრთხეს საქართველოს დამოუკიდებლობისათვის.

ვფიქრობთ, საქართველოს ყოველი მოქალაქის ინტერესია, პოლიტიკური სპექტრის გაწმენდა უცხო ქვეყნის ჯაშუშებისგან, როგორსაც წარმოადგენენ გიორგაძის პარტიის ლიდერები. ამიტომ, გამოვდივართ ინიციატივით, საგანგებოდ იქნეს გამოკვლეული მათი უკანონო ფინანსური კავშირები გარე ძალებთან, ისევე, როგორც გამოკვლეული და შეფასებული იქნებოდა ტერორისტული ორგანიზაციის საქმიანობა მსოფლიოს ნებისმიერ დემოკრატიულ ქვეყანაში.

ჩვენი სამშობლოს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის ამ უმნიშვნელოვანეს ეტაპზე გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ქართული საზოგადოების ერთიანობას და ერთგულებას თავისუფლების იდეალებისადმი. რუსული ტერორისტული დესანტის ნეიტრალიზაცია ამ მიმართულებით გადადგმულ სასწრაფო და გადაუდებელ ნაბიჯად გვესახება.

*დ. ტურაშვილი, ლ. ჩოლოყაშვილი, ი. ჩოლოყაშვილი, თ. ჩხეიძე, ზ. მაღალაშვილი, რ. ებრალიძე, ნ. წიკლაური, ნ. ქანთარია, გ. ჭანტურია, გ. ბუღაძე, დ. ამირეჯიბი, გ. ასათიანი, ზ. სამადაშვილი, ქ. იგნატოვა, ლ. ნიორაძე, რ. მაისურაძე, ი. გურგენიძე, ა. ავალიშვილი, გ. გრიგოლაშვილი, მ. ლუტიძე, ა. ლუტიძე, ხ. ოჩიაური, ი. ზაუტაშვილი, ს. მასხარაშვილი, გ. ნიკოლაძე, მ. ჩიჩუა, დ. ცხადაძე, ლ. ბუღაძე, ლექსენი, მ. ჭოხონელიძე, გ. ჩიჩუა*

# თავისუფალი სიტყვა

FM უცნობი 92.0

*ახალი მედია პროექტი რადიო „უცნობის“ ეთერში გადის ყოველი სამუშაო დღის 13 საათზე. გადაცემა მიჰყავს ჟურნალისტ ირაკლი იმნაიშვილს, ხოლო გადაცემის სტუმარია დეპუტატი კობა დავითაშვილი.*

**ირაკლი იმნაიშვილი:** თემები, რომელიც დიდი ფეხბურთით გადაფარეს. წინასაარჩევნო კალენდარი სპორტულით შეცვალეს. ოპოზიციის ნაკრების საპარლამენტო პრემიერლიგიდან დივიზიონ „ა“-ში , ადგილობრივში გადმოდის. ვინ რჩება სათადარიგო სკამზე და ვინ გამოჰყავთ ფრონტის მინდორზე ნაციონალების წინაღმდეგ. კიდევ ერთი თემა, რომელიც ფეხბურთით დამალეს. საქართველო რუსეთის მატჩი. პეტერბურგის საპრეზიდენტო რეზიდენციაში გამართული შედეგები უცნობია. მოიგერია თუ არა სააკაშვილმა პუტინის მიერ დარტყმული პენლები: აფხაზეთში არჩევნებზე და აბაშიძის გადმოცემაზე. ენერგიული საფეხბურთო შემართებით დამალული ენერგოთემა. საქართველოს გაზისა და ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის გასაიდუმლოებული ტრანსფერი. მაშინ, როდესაც ყველა უყურებს, თუ რა ხდება მწვანე მინდორზე, ძალიან ბევრი თემა, პოლიტიკურ სინამდვილეში, ან იჩქმალება ან ჩქმალავენ. ბატონო კობა, რომელი ტერმინის ხმარებაა ამ შემთხვევაში უპრიანი?

**კობა დავითაშვილი:** ჩქმალავენ!

**ი.ი.** და რას?

**კ.დ.** ძალიან ბევრ საკითხს. თუნდაც, ენერგეტიკული ობიექტების გაყიდვა, რომელიც დღეს გახდა ცნობილი და რომელიც ყველაზე მწვავე პრობლემაა, რადგან პირდაპირ უკავშირდება რიგითი ადამიანებისთვის ტარიფის გაზრდის საკითხს. ტარიფი იმიტომ გაიზარდა, რომ ეს ობიექტები სარფიანად გაყიდულიყო. ამ ობიექტების მიმართ კონკრეტული დაინტერესება აქვთ, ხელისუფლების უმაღლესი თანამდებობის პირებს. მაგალითად, კახა ბენდუქიძეს, რომელიც ცუდად მალავს პირად დაინტერესებებს, როდესაც ენერგო ობიექტების დროს, თავის დის ფიგურას ეფარება. მის დაზეა გაფორმებული ერთი ენერგო-ობიექტი, მეორე კი ეხლა ფორმდება.

**ი.ი.** რომელია?

**კ.დ.** ჩითახევ ჰესი ეკუთნის ბენდუქიძის დას. სწორედ, ერთ-ერთი მსხვილი მონაწილე მთელი საპრივატიზაციო გარიგებებისა ბენდუქიძე იქნება. ამიტომ, მან მოიმზადა საუკეთესო პირობები, რომ შეიძინოს მაქსიმალურად მომგებიანი ობიექტები, თუნდაც საზოგადოების ხარჯზე. ასეთია , ჩვენი სახელისუფლებო ბურჟუაზიის მოკრძალებული ხიბლი, რომელიც ძალიან ბევრს ლაპარაკობს ლიბერალიზმზე და თავისუფალ ეკონომიკაზე.

**ი.ი.** ანუ, ბენდუქიძე აკეთებს ზუსტი პასის გადაცემას ოჯახის წევრის მიმართულებით, რომელიც ძალიან მომგებიანია…

**კ.დ.** რა თქმა უნდა.

**ი.ი.** კიდევ ერთი თემა, რომელიც ფეხბურთის წყალობით, მიიჩქმალა. ეს არის ბადრი ნანეტაშვილის უმრავლესობის ნაკრებიდან გასვლა. ბადრი ნანეტაშვილი ცნობილი გახდა მაშინ, როდესაც მან უკვე აღარ მოისურვა სათადარიგო სკამზე ჯდომა. თქვენ იყავით ნაციონალების წევრი და საინტერესოა, როგორ მოხდა ის ნაციონალების სიაში?

**კ.დ.** მართალი რომ გითხრათ, სიის შედგენაში მონაწილეობა არ მიმიღია. ამ საკითხში აქტიურად ვანო მერაბიშვილი იყო ჩართული. მე კი ვიყავი პირველი ნომერი, მაგრამ დანარჩენი ნომრების საკითხს არ მეკითხებოდნენ. რაც შეეხება, ბადრი ნანეტაშვილს, იგი ცნობილი ფიგურაა ქართლში. ის არის ერთ- ერთი დამოუკიდებელი ტელეკომპანია „თრიალეთის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი. თავის დროზე, ის ძალიან აქტიურად ეხმარებოდა ნაციონალურ მოძრაობას.

**ი.ი.** და მას ეს დაუფასდა. მოდით, ვკითხოთ ეს ბადრი ნანეტაშვილს, რომელიც პირდაპირ სატელეფონო ხაზზეა. გვინდოდა, რომ თქვენი კომეტნარის შემდეგ, ხათუნა გოგორიშვილის კომენტარი მოგვესმინა, თუ რატომ არის უმრავლესობა არჩევითი სამართლიანობაში და როდესაც იხილება ნანეტაშვილის საქმე, რატომ არ იხილება სხვა ბიზნესმენებისა და დეპუტატების ურთიერთობის საკითხი. თუმცა, ხათუნა გოგორიშვილს არ სურს და არც ცალია, მთავრობის სხდომის გამო. ბატონო ბადრი, რა ღვაწლი დაგიფასდათ, რომ ნაციონალების სიაში მოხვდით?

**ბადრი ნანეტაშვილი:** ჩემი დამსახურება დიდი იყო, რადგან რევოლუციის წინ, რევოლუციის დროსაც და შემდეგაც, ჩემს რეგიონში ცხოვრება გავრისკე, ანუ ყველაფერს ვკარგავდი, თუ არაფერი არ შეიცვლებოდა.

**ი.ი.** მათ გვერდით ტელეკომპანიით დადექით?

**ბ.ნ.** კი, დავდექი ტელეკომპანიით, რომელსაც ეხლა ვკარგავ.

**ი.ი.** ე.ი. ბადრი ნანეტაშვილის მთავარ ფასეულობას ნაციონალური მოძრაობისთვის წარმოადგენდა გავლენიანი ტელეკომპანია „თრიალეთი“, რომელსაც ეხლა ართმევს. როგორც თქვენი კომენტარებიდან შევისწავლეთ, ირაკლი ოქრუაშვილი გართმევთ…

**ბ.ნ.** ირაკლი ოქრუაშვილი არ მართმევს. მან წელიწადნახევრის წინ შემომთავაზა, რომ სახელმწიფოსთვის ჩამებარებინა ტელევიზია. ამასთანავე მთავაზობდა დიდ თანხებს.

**ი.ი.** რამდენია ის დიდი თანხა.

**ბ.ნ.** რამდენიმე მილიონი დოლარი.

**ი.ი.** მაინც ?

**ბ.ნ.** 4 მილიონო დოლარი. აქ, ლაპარაკი არა მარტო ტელევიზიაზე იყო, არამედ რადიოსა და გაზეთზეც.

# დამსახურებული წოდება

თამარ ქადაგიძე

**„სასანიას ვაჯილდოვებთ, უკეთესად რომ იმუშაოს,“** - ხუმრობდნენ სასტუმრო „ქორთიარდში“ შეკრებილი ექიმები, რომელთა გუშინდელი თავშეყრის მიზეზი იაშვილის სახელობის პედიატრიული საავადმყოფოს გენერალური დირექტორის, ექიმის ირაკლი სასანიასთვის ამერიკის შეერთებული შტატების საპატიო მოქალაქის წოდების მინიჭება გახლდათ.



ამერიკული სერიალი „Emergency“ თუ გინახავთ? იაშვილის კლინიკა „ამერიკული სასწრაფოს“ იდენტურია. იქ ყველანაირი პირობაა შექმნილი, რომ პაციენტს პირველადი, გადაუდებელი სამედიცინო დახმარება აღმოუჩინონ. როგორც იქაური ექიმები ამბობენ, ამ პროექტის ამოქმედების შემდეგ საგრძნობლად შემცირდა ბავშვთა სიკვდილიანობა.

**„პაციენტის ჯანმრთელობისთვის ის პირველი 15-20 წუთია მნიშვნელოვანი, რომელსაც ხშირ შემთხვევაში სამედიცინო პერსონალის მოძებნას ახმარენ. ჩვენთან, პაციენტის შემოსვლის პირველი წამიდან ექიმები თავის მოვალეობას ასრულებენ. აქ მუშაობა ჯგუფური პრინციპით მიმდინარეობს, რასაც ძალიან დიდი ეფექტი აქვს. უმაღლეს დონეზე მოწყობილი თანამედროვე „Emergency“ მსოფლიო სტანდარტებს შეეფერება,“** - ამბობენ კლინიკის თანამშრომლები.

პედიატრიული გადაუდებელი დახმარების მოსაცდელ ოთახში სამი წლის გოგონა თამაშობს. მისი სახელი მწვანე ასოებით წერია პაციენტთა მდგომარეობის მიხედვით გადანაწილების, ე.წ. ტრიაჟის დაფაზე, რაც იმას ნიშნავს, რომ ბავშვის მდგომარეობა სტაბილურია და მას შეუძლია მოცდა, სანამ დაფაზე წითელი და ლურჯი ფერებით აღნიშნულ პაციენტებს არ დაეხმარებიან. „ტრიაჟი“ სასწრაფო დახმარების განყოფილების განუყოფელი ნაწილია, თუმცა მას არასდროს იყენებდნენ საბჭოთა კავშირში და დღესაც უნიკალურ მოვლენად ითვლება ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების საავადმყოფოებში.

**„ამ ღირსშესანიშნავმა მოვლენამ მნიშვნელოვნად გააუმჯობესა ჯანდაცვის მექანიზმები იმ ქართველი ბავშვებისთვის, ვისაც სპეციალიზებული გადაუდებელი დახმარება ესაჭიროებათ,“** - აღნიშნა USAID -ის აღმასრულებელმა ადმინისტრატორმა ევროპასა და ევრაზიაში დრიუ ლუთენმა. სწორედ ამიტომ, განვითარებად ქვეყანაში გატარებული ამერიკული პოლიტიკისთვის ირაკლი სასანია საპატიო წოდებით დააჯილდოვეს. USAID -ის წარმომადგენელმა ვაშინგტონიდან ბროფ ბირმანმა აღნიშნა, რომ ქართველმა ექიმმა მეტად ღირსეული ჯილდო მიიღო. მისი თქმით, **„ეს წოდება ენიჭება იმ მოქალაქეებს, ვინც უანგარო წვლილი შეიტანა საერთაშორისო განვითარებაში და ხელი შეუწყო USAID -ის მისიას ეკონომიკური და ჰუმანიტარული დახმარების განხორციელებაში“**.

ცნობისთვის, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო საპატიო მოქალაქის წოდებას წელიწადში ერთ პიროვნებას გადასცემს.

**„ეს წოდება ძალიან დიდი პატივია, როგორც პირადად ჩემთვის, ისე მთელი საავადმყოფოსთვის. ჩვენს ქვეყანაში არის სურვილი იმისა, რომ მსგავსი გადაუდებელი დახმარების სამსახური უფროსებისთვისაც შეიქმნას,“** - აღნიშნა ირაკლი სასანიამ, რომელსაც დასავლეთის მხარდაჭერის იმედი მომავალშიც აქვს.

# განახლებული საარჩევნო კოდექსი

*გუშინ პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა მესამე მოსმენით განიხილა საარჩევნო კოდექსში დამატებებისა და ცვლილებების პროექტი, რომელიც დეპუტატებს პავლე კუბლაშვილმა წარუდგინა.*

ნათია მსხილაძე

საარჩევნო კოდექსში შესული ცვლილებების მიხედვით, მთავრობის წევრებს საარჩევნო კამპანიაში მონაწილეობის უფლება ეძლევათ. ასევე, პრეზიდენტს უფლება აქვს, არჩევნები 40 დღით ადრე დანიშნოს.

უნდა აღინიშნოს, რომ იურიდიულმა კომიტეტმა, მესამე მოსმენით, მხარი დაუჭირა კანონპროექტს, რომელსაც პარლამენტი მომავალ სასესიო კვირას დაამტკიცებს.

საპარლამენტო ოპოზიცია, ახალ საარჩევნო კოდექსში შეტანილი ცვლილებით უკმაყოფილოა. მათი განცხადებით, ერთპარტიულია საოლქო საარჩევნო კომისიები, ხოლო საუბნო კომისიები, რომლებიც შერეული წესით არის დაკომპლექტებული, არაფერს წყვეტენ.

პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სხდომას „მემარჯვენე ოპოზიციის“ წარმომადგენელმა მამუკა კაციტაძემ საგანგებო ბრიფინგი მიუძღვნა. მისი განცხადებით, 40 დღით ადრე არჩევნების დანიშვნა აბსოლუტურად არასაკმარისია საარჩევნო კამპანიის წარმოებისთვის, რადგან საარჩევნო კამპანია შრომატევადია და გარკვეულ თანხებთან არის დაკავშირებული.

**„40 დღეზე გაწერილი საარჩევნო პროცედურები სწორედ ხელისუფლების ნებაზეა მორგებული და აწყობილი. ფაქტობრივად, პრეზიდენტს მიეცა ნება, როცა უნდა მაშინ განაცხადოს არჩევნების თარიღი და მიიღოს სრული გარანტია იმისა, რომ პოლიტიკური სუბიექტი დაექვემდებარება მის ამ ნებას და აეწყობა მის პრინციპებზე. ვერც ერთი პოლიტიკური პარტია ვერ მოახერხებს არჩევნებისთვის სათანადოდ მომზადებას**,“ - აღნიშნა კაციტაძემ.

# რისთვის იბრძვიან კომპანიები

პირველი გვერდიდან

„Energo pro“ ასევე მზადაა „საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია“ 85 მილიონ დოლარად შეიძინოს.

„Energo pro“-ს ენერგოსექტორში აქტივები გააჩნია როგორც ჩეხეთში, ასევე ბულგარეთში და მის მეზობელ ქვეყნებში.

რაც შეეხება სხვა „კონკურსანტებს“: ქართული „TBC+Energia“ (TBC ჯგუფის წევრი) მზად არის კახეთის სადისტრიბუციო ენერგოკომპანიაში 5 მილიონ 100 ათასი დოლარი გაიღოს, რიონჰესში კი 20 მილიონ 100 ათას დოლარს იხდის. ამ უკანასკნელ ობიექტში გაცილებით ნაკლებს - 14 მილიონ 320 ათას დოლარს იხდის კომპანია Laxtron-ი, თუმცა დამატებით მზად არის შეიძინოს აჭარის სადისტრიბუციო ენერგოკომპანია - 8 მილიონ 530 ათას დოლარად, ლაჯანურჰესი - 26 მილიონ 250 ათას დოლარად, გუმათჰესი - 12 მილიონ 300 ათას დოლარად და აწჰესი 4 მილიონ 150 ათას დოლარად.

UNITRADE SERVICES LLP აწჰესის სანაცვლოდ 4,5 მილიონ დოლარს, შაორჰესის სანაცვლოდ კი - 16 მილიონ დოლარს ჩამოდის. ამავე კომპანიას განაცხადი აჭარის სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის პრივატიზაციაზე აქვს შეტანილი, რომელშიც 9 მილიონ დოლარს იხდის.

საინტერესოა რუსული INTER-RAO-ს ინტერესის ობიექტები: აწჰესი, რომელშიც მზად არის 4,5 მილიონი დოლარი გაიღოს და ძევრულჰესი, რომელშიც 20 მილიონ დოლარს იხდის.

GEO STEAL-ი რიონჰესში 21 მილიონ 521 ათას დოლარს იხდის, აწჰესში კი - 5 მილიონ 115 ათას 100 დოლარს.

აჭარის სადისტრიბუციო კომპანიითაა დაინტერესებული FALKON CAPITAL - ობიექტში 12 მილიონ დოლარს იხდის.

SB Energy კახეთის სადისტრიბუციო ენერგოკომპანიაში 2 მილიონ 100 ათას დოლარს, აჭარის სადისტრიბუციო ენერგოკომპანიაში კი - 8 მილიონ 400 ათასს დოლარს იხდის.

როგორც მინისტრმა ირაკლი ჩოგოვაძემ საკონკურსო პაკეტების გახსნის შემდეგ განაცხადა, წინადადებების დეტალურად განხილვა აუცილებელია, ამიტომაც გამარჯვებული ხუთი დღის განმავლობაში გამოცხადდება. გუშინ ჩოგოვაძემ კომენტარი ოპოზიციის მხრიდან ენერგოპრივატიზაციაზე გაკეთებულ განცხადებებზეც გააკეთა და აღნიშნა, რომ ის კატეგორიულად უარყოფს გავრცელებულ ინფორმაციას, თითქოსდა ამ ობიექტების შესყიდვით ქართველი ჩინოვნიკები არიან დაინტერესებულნი.

დეტალურად, თუ რას წარმოადგენენ კონკურსში მონაწილე კომპანიები, ამაზე გუშინ სამინისტროში არავინ საუბრობდა. ამის გარკვევას „24 საათი“ აუცილებლად შეეცდება.

## რისთვის იბრძვიან კომპანიები?

კონკურსი სამ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიასა და ექვს ჰესზე გამოცხადდა. „საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანის“ საწყისი ფასი 30 მილიონი დოლარით განისაზღვრა, „აჭარის ენერგოკომპანიის“ - 5 მილიონი დოლარით, „კახეთის ენერგოდისტრიბუციის“ - 2 მილიონი დოლარით. კონკურსი გამოცხადდა ასევე ს/ს „ძევრულაჰესზე“, რომლის საწყისი გასაყიდი ფასი 14 მილიონი დოლარია, სს „აწჰესის“ - 4 მილიონი დოლარი, ს/ს „შაორჰესის“ -12 მილიონი დოლარი, ს/ს „გუმათჰესის კასკადის“ - 12 მილიონი დოლარი, ს/ს „ლაჯანურჰესი“ - 26 მილიონი დოლარი, ს/ს „რიონჰესის“ - 14 მილიონი დოლარი.

„აჭარის ენერგოკომპანია“ - საწესდებო კაპიტალი 27 809 464 ლარი. სახელმწიფო დღემდე ამ კომპანიის 100-პროცენტიან აქციათა პაკეტს ფლობს. საკონკურსო პირობები: შპს „აჭარის ენერგოკომპანიის“ სამოქმედო ტერიტორიაზე არ უნდა მოხდეს მომსახურების არეალის შემცირება; მომსახურების არეალში აბონენტთა შეუფერხებელი მომსახურება და ქონების შესაძენი თანხის ხელშეკრულების გაფორმებიდან 1 თვის ვადაში გადახდა. კონკურსში საუკეთესო წინადადების გამოვლენის კრიტერიუმი მაქსიმალური გასაყიდი ფასის დასახელებაა.

„საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია“ - საქართველოს რეგიონების მთავარი ელექტროოპერატორი, რომლის საწესდებო კაპიტალი 59 მილიონ 032 782 ლარს შეადგენს. სახელმწიფო აქაც კომპანიის 100-პროცენტიანი მეწილეა. ამასთან, კომპანიას დღეს 600 მილიონ ლარამდე დავალიანება აქვს და გაკოტრების რეჟიმში იმყოფება. საკონკურსო პირობები: სს „საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის“ სამოქმედო ტერიტორიაზე არ უნდა მოხდეს მომსახურების არეალის შემცირება; მომსახურების არეალში აბონენტთა შეუფერხებელი მომსახურება; ასევე ქონების შესაძენი თანხის 50 პროცენტის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებაზე ხელმოწერიდან 1 თვის ვადაში, ხოლო დანარჩენი თანხის 2006 წლის 1 დეკემბრამდე - გადახდა. კონკურსში საუკეთესო წინადადების გამოვლენის კრიტერიუმი აქაც მაქსიმალური გასაყიდი ფასის დასახელებაა.

„კახეთის ენერგოდისტრიბუცია“ - იყიდება სს „კახეთის ენერგოდისტრიბუციის“ საწესდებო კაპიტალიდან ამოღებული სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონება. საკონკურსო პირობები: სს „კახეთის ენერგოდისტრიბუციის“ სამოქმედო ტერიტორიაზე არ მოხდეს მომსახურების არეალის შემცირება; მომსახურების არეალში აბონენტთა შეუფერხებელი მომსახურება; ქონების სარეალიზაციო თანხის სრული გადახდა ქონების ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებაზე ხელმოწერიდან 1 თვის ვადაში. კონკურსში საუკეთესო წინადადების გამოვლენის კრიტერიუმი მაქსიმალური გასაყიდი ფასის დასახელებაა, რომელიც გამოცხადებულ საწყის ფასს უნდა აღემატებოდეს. „კახეთის ენერგოდისტრიბუციას“ ამ დროისთვის 20 მილიონი ლარის ვალდებულება გააჩნია და მას გაკოტრების მმართველი ყიდის.

ყველა საპრივატიზაციო ჰესის საკონკურსო პირობები ასე გამოიყურება: 1) მუშა სიმძლავრის შენარჩუნება - დადგმული სიმძლავრის არანაკლებ 85 პროცენტისა, თუ ეს ენერგეტიკული ბალანსითაა გათვალისწინებული, რომელსაც საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო ადგენს. 2) საპრივატიზაციო ქონების საბოლოო შესასყიდი თანხის 50 პროცენტის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებაზე ხელმოწერიდან ერთი თვის ვადაში, ხოლო დანარჩენი თანხის - 2006 წლის პირველ დეკემბრამდე გადახდა. საყურადღებო შენიშვნა: სს „საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო კომპანიის“ მიერ აქტივების რეალიზაციაზე გამოცხადებული კონკურსის წარუმატებლად ჩატარების შემთხვევაში ეკონომიკური განვითარების სამინისტრო უფლებას იტოვებს წინამდებარე ბრძანებით გამოცემული კონკურსი გააუქმოს. თუმცა ერთი პირობით: კონკურსში მონაწილეებს, დამატებითი ვალდებულებების გარეშე, „ბე“-ს სახით შემოტანილი თანხა უკან დაუბრუნდებათ. და კიდევ ერთი: ჰიდროელექტროსადგურების ქონების პრივატიზებისას უპირატესობა სადისტრიბუციო კომპანიების აქტივების რეალიზაციის თაობაზე გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულს მიენიჭება.

რიონჰესი - საწესდებო კაპიტალი 7 391 073 ლარი; დადგმული სიმძლავრე 48 მგვტ; სახელმწიფო წილი - 100 პროცენტი;

გუმათჰესების კასკადი - საწესდებო კაპიტალი 1 966 732 ლარი; დადგმული სიმძლავრე 44 მგვტ; სახელმწიფო წილი - 100 პროცენტი.

ლაჯანურჰესი - საწესდებო კაპიტალი 2 391 791 ლარი; დადგმული სიმძლავრე 112 მგვტ; სახელმწიფო წილი - 100 პროცენტი. იყიდება სს „ლაჯანურჰესის“ საწესდებო კაპიტალიდან ამოღებული სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ძირითადი საშუალებები.

ძევრულჰესი - საწესდებო კაპიტალი 919 786 ლარი. დადგმული სიმძლავრე 80 მგვტ. სახელმწიფო წილი - 98,45 პროცენტი.

შაორჰესი - საწესდებო კაპიტალი 1 735 390 ლარი. დადგმული სიმძლავრე 38 მგვტ. სახელმწიფო წილი - 100 პროცენტი.

აწჰესი - საწესდებო კაპიტალი 841 284 ლარი. დადგმული სიმძლავრე 16 მგვტ. სახელმწიფო წილი - 100 პროცენტი.

## მოკლედ

### მოსკოვში მომხდარი აფეთქების შედეგად ორი ადამიანი დაიღუპა

მოსკოვში საცხოვრებელ სახლი აფეთქდა. აფეთქების მიზეზად გაზის გაჟონვა სახელდება. ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე „სამშენებლო სამუშაოებისას უსაფრთხოების წესების“ დარღვევის მუხლით აღიძრა. ბოლო მონაცემებით, აფეთქების შედეგად დაიღუპა ორი ადამიანი. ნანგრევებიდან ევაკუირებულია 30 ადამიანი. სამი ადამიანი ჰოსპიტალიზირებულია, მათგან ორი მძიმე მდგომარეობაშია. აფეთქება პარასკევს დილით დიდი ვნუკოვოს ქუჩაზე მდებარე ხუთსართულიან საცხოვრებელ სახლში მოხდა. შემთხვევის ადგილას ფსიქოლოგთა ორი ჯგუფი მუშაობს. **ინტერპრესნიუსი**

### სამი აფეთქება ტაჯიკეთის დედაქალაქში

დუშანბეში პირველი აფეთქება ხუთშაბათს საღამოს ირანის საელჩოსთან მოხდა. იქვე ახლოს მდებარეობს ტაჯიკეთის პარლამენტის შენობაც. 20 წუთის შემდეგ, მეორე აფეთქება საიდანაც აბდულო ნურის საქველმოქმედო ფონდის შენობასთან განხორციელდა. ნური ტაჯიკეთის ისლამისტური აღორძინების პარტიის ლიდერია. მესამე აფეთქება კი უკვე, დილით საკონსტიტუციო სასამართლოს შენობასთან, სამთავრობო რეზიდენციის მახლობლად მოხდა. აფეთქებებს მსხვერპლი არ მოჰყოლია. ღამე აფეთქება მოხდა ასევე კიზილ-ტუმშუკ-დუშანბეს გაზსადენზე, რის გამოც დედაქალაქი და ქვეყნის ცენტრალური რაიონები გაზის გარეშე დარჩა. აღძრულია სისხლის სამართლის საქმე, რომელსაც ქვეყნის უშიშროების სამინისტრო იძიებს. **ინტერპრესნიუსი**

### ევროკავშირმა და საქართველომ პოზიციები დააახლოვეს

ევროკავშირმა და საქართველომ განაცხადეს, რომ მათ ორმხრივი თანამშრომლობის გაღრმავების შესახებ შეთანხმების ხელმოწერის თვალსაზრისით პოზიციების შეთანხმება მოახერხეს და საბოლოო ფაზას მიუახლოვდნენ.

„ჩვენ ფინალურ ფაზას მივუახლოვდით“, - განაცხადა ხუთშაბათს ევროკავშირის საგარეო კავშირების კომისარმა ბენიტა ფერერო-ვალდნერმა ბრიუსელში ზურაბ ნოღაიდელთან გამართული შეხვედრის შემდეგ. მიუხედავად ამისა, მას შეთანხმების ხელმოწერის საბოლოო ვადა არ დაუკონკრეტებია.

მიუხედავად პოზიციების დაახლოებისა, სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირების საკითხში ევროკავშირი საქართველოს გააქტიურებას მოითხოვს. **ინტერპრესნიუსი**

### კოკოითიმ აფხაზეთის უმაღლესი ჯილდო მიიღო

სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ლიდერმა ედუარდ კოკოითიმ აფხაზეთის უმაღლესი ჯილდო „ახძი აფშა“ (ღირსება და დიდება) მიიღო. სააგენტო „აფსნიპრესის“ ცნობით, კავკასიაში მშვიდობის დამყარებასა და აფხაზეთისთვის სახელმწიფოებრიობის გამყარებაში გაწეული დახმარებისთვის ოს სეპარატისტთა ლიდერის ამ ორდენით დაჯილდოების შესახებ ბრძანებულებას აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტმა სერგეი ბაგაფშმა ხუთშაბათს მოაწერა ხელი.

ამასთან, ამავე ორდენით დაჯილდოვდა დნესტრისპირეთის დე ფაქტო რესპუბლიკის პრეზიდენტი იგორ სმირნოვი, ხოლო „ახძი აფშას“ მესამე ხარისხის ორდენები გადაეცათ: აფხაზ და ოს ხალხს შორის მეგობრობის გამყარებისთვის, ცხინვალის ხელისუფლების საგარეო საქმეთა მინისტრს მურატ ჯიოევს, რუსეთის ფედერაციაში ამავე ხელისუფლების წარმომადგენელს დიმიტრი მედოევს, ასევე დნესტრისპირეთისა და სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო რესპუბლიკების მთავრობების სხვა მაღალჩინოსნებს. დაჯილდოების ცერემონიას სოხუმში ესწრებოდნენ აფხაზეთის დე ფაქტო რესპუბლიკის მთავრობის წევრები, ასევე სტუმრები დნესტრისპირეთიდან და სამხრეთ ოსეთიდან. **პრაიმ-ნიუსი**

### ლავროვს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების გაუმჯობესების იმედი აქვს

რუსეთის ხელისუფლება იმედს გამოთქვამს, რომ სანკტ-პეტერბურგში პრეზიდენტების შეხვედრის შემდეგ, საქართველოსთან ურთიერთობა უფრო გაწონასწორებული გახდება.

„მიგვაჩნია, რომ საჭიროა მუშაობა და არა მიკროფონების საშუალებით ყველაფრის შეცვლის და პრობლემის ერთ საათში გადაწყვეტის მოთხოვნა. იმედს გამოვთქვამთ, რომ სანკტ-პეტერბურგის კონსტრუქციული, ღია საუბარი მიგვიყვანს ურთიერთგაგებამდე, მათ შორის საგარეო საქმეთა სამინისტროების და სხვა უწყებების დონეზე მოსალოდნელი კონტაქტების დროს ჩვენ შეგვეძლება გავიდეთ გაწონასწორებულ, ორივე მხარის ინტერესების შესაბამის და კონფლიქტების დარეგულირებისაკენ მიმართულ მიდგომებამდე,“ - ამბობს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი. ალმა-ატაში ვიზიტით მყოფმა ლავროვმა ჟურნალისტებთან საუბრისას „უსაფუძვლო“ უწოდა საქართველოს ბრალდებებს რუსეთის მიმართ, რომ მოსკოვი კონფლიქტების მოგვარებას შეგნებულად აფერხებს. **მედიანიუსი**

24 საათი: მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (Weekend), ნიკა თარაშვილი (პოლიტიკა), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ბიძინა მაყაშვილი (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი).
რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა . კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი

# მესამე ვადა თუ მემკვიდრე?

პირველი გვერდიდან

ანალიტიკოსები მედვედევის პოპულარობას იმით ხსნიან, რომ იგი დიდ ინტერესს იჩენს სოციალური საკითხების მიმართ; ივანოვი კი სამხედრო სფეროსთანაა კავშირში, არმია და იქ შექმნილი ვითარება კი დღეს რუსეთში პოპულარობითა და მოწონებით არ სარგებლობს. სამაგიეროდ, ივანოვს სხვა კოზირი აქვს - მას კარგი დამოკიდებულება აქვს პუტინის „ძალოვან" გარემოცვასთან, რომელიც დღევანდელ რუსეთში დიდ როლს ასრულებს, რასაც ვერ ვიტყვით მედვედევზე.

კიდევ ერთი კანდიდატი, რომელიც რუსული პრესის მიერ შესაძლო მემკვიდრედ სახელდება, „რუსეთის რკინიგზის" შეფი ვლადიმირ იაკუნინია, რომლის რეიტინგიც არც თუ ისე დიდია. რუსი ანალიტიკოსები მიიჩნევენ, რომ გაპრეზიდენტების შემთხვევაში იაკუნინს შესწევს ძალა, თავად მართოს ქვეყანა, რაც სულაც არ შედის ვლადიმირ პუტინის გეგმებში, რომელიც საპრეზიდენტო პოსტიდან წასვლის შემდეგაც გეგმავს რუსულ პოლიტიკაში სერიოზული გავლენის შენარჩუნებას.

შანხაიში გამართულ პრესკონფერენციაზე პუტინმა აღნიშნა, რომ მისი მომავალი მემკვიდრე, შესაძლოა, „უცნობი ადამიანი გახდეს". „ცხადია, სულ უცნობი არ იქნება, ასეთი ხალხი უცნობი არასოდეს რჩება, მაგრამ მისი სახელი ხშირად არ ჟღერს," - დასძინა პუტინმა და კიდევ ერთი მინიშნებაც გააკეთა: „მისი სახელი არ ჟღერს პრესაში".

მომავალ მემკვიდრეზე პუტინი ამაღლებულად საუბრობდა. მან აღნიშნა, რომ ადამიანი, რომელიც 2008 წელს რუსეთის პრეზიდენტი გახდება უნდა გამოირჩეოდეს კეთილსინდისიერებითა და პატიოსნებით; ასევე უნდა იყოს პროფესიონალი და უნდა შეეძლოს რთული გადაწყვეტილებების მიღება და საკუთარ თავზე პასუხისმგებლობის აღება. როგორც რუსეთის ამჟამინდელმა პრეზიდენტმა აღნიშნა, რუსეთის მომავალ პრეზიდენტში საკუთარ თავს არ გულისხმობს. პუტინმა კიდევ ერთხელ განაცხადა, რომ მესამე ვადით გაპრეზიდენტებას არ აპირებს.

ამასთან, პუტინი მადლობელია იმ ხალხის, ვისაც მისი პრეზიდენტობა მესამედაც გაუხარდებოდა.

სხვათაშორის, გასულ კვირას რუსეთის სახელმწიფო სათათბიროში რეფერენდუმის ჩატარებაზე მსჯელობა დაიწყო. ამ რეფერენდუმმა, რუსეთის კონსტიტუციის 81-ე მუხლის მესამე პუნქტი უნდა შეცვალოს და რუსეთის პრეზიდენტს მესამე ვადით არჩევის უფლება უნდა მისცეს. აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ რუს დეპუტატთა ინიციატივა პლაგიატია და, რომ პირველად პუტინის მესამედ გაპრეზიდენტების დაუოკებელი სურვილი ჩრდილოეთ ოსეთიდან წამოვიდა, სადაც ჩრდილო ოსეთის პრეზიდენტის პოსტის გაუქმებით გათამამებულებმა, კიდევ უფრო მეტი ბედნიერებისთვის პუტინის მესამედ გაპრეზიდენტების ინიციატივაც წამოაყენეს.

ამ საკონსტიტუციო ცვლილებების ინიციატორებს, ჯერჯერობით შესაბამისი დოკუმენტაცია რუსეთის ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში არ გადაუგზავნიათ. რუს პოლიტიკოსთა ნაწილი მიიჩნევს, რომ ამგვარი რეფერენდუმის ჩატარება არ ღირს. რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს პირველი ვიცე-სპიკერის, „ედინაია როსიას" წევრის ოლეგ მოროზოვის თქმით, ის დარწმუნებულია, რომ **„ხალხი პუტინის მესამედ გაპრეზიდენტებას მხარს დაუჭერს და ამიტომ რეფერენდუმის ჩატარება და ფულის ხარჯვა იმის გასაგებად, რაც ყველამ კარგად ვიცით, არ ღირს".**

რუსეთში ჩატარებული სოციოლოგიური გამოკითხვები მოწმობს, რომ რუსეთის მოსახლეობის 59 პროცენტი პუტინის „მესამე ვადას" მიესალმება.

ხოლო თუ ბატონი პუტინი მაინც გარისკავს და პრეზიდენტის სავარძლიდან წამოდგება, მის მემკვიდრეს საპრეზიდენტო არჩევნების ფავორიტობა არ უნდა გაუჭირდეს. ყოველ შემთხვევაში, ამას ღაღადებენ იგივე სოციოლოგიური გამოკითხვები, რომელთა მიხედვითაც, რუსეთის მოსახლეობის 43 პროცენტი მზადაა, მხარი დაუჭიროს პრეზიდენტობის იმ კანდიდატს, რომელსაც თავად პუტინი წარადგენს.

შანხაიში გამოჩენილი საპრეზიდენტო გულახდილობის შემდეგ, რუსული პრესა მომავალი „პრინცების" ნუსხის გაფართოებას შეეეცდება. ძიება გართულდება, რადგან როგორც გვითხრეს, „ობიექტი" ჩრდილშია. ინტერნეტ-გამოცემა „პოლიტკომ.რუ"-მ ერთი შესაძლო მემკვიდრე სამხრეთის ფედერალურ ოლქში უკვე იპოვა. გამოცემა მიიჩნევს, რომ აღნიშნული ოლქის რწმუნებული დმიტრი კოზაკი, ნაკლებად ანგაჟირებული ფიგურაა და თან ერთი უდავო უპირატესობაც აქვს - პუტინის უახლოესი გარემოცვის წარმომადგენელია, უფრო უახლოესის, ვიდრე მედვედევი ან ივანოვი.

რუსული მედია აღნიშნავს, რომ 2007 წლის საპარლამენტო არჩევნებზე საარჩევნო კამპანიის წარმატებულად განხორციელების შემთხვევაში, პუტინსა და მის საპარლამენტო გარემოცვას შეიძლება სულ სხვა გეგმები დაესახოს. არ არის გამორიცხული საკუთარ მემკვიდრედ პუტინმა ერთგული, მაგრამ ძალიან სუსტი ნებისმიერი კანდიდატურა დაასახელოს. ეს შეიძლება იყოს ისეთი „ეგზოტიკური" ფიგურები, როგორიცაა, მიხაილ ფრადკოვი, ან რუსეთის დუმის სპიკერი ბორის გრიზლოვი, ან ნებისმიერი სხვა. ამგვარი „ეგზოტიკა" კი პუტინს იმისთვის დასჭირდება, რომ 2012 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვება არ გაუჭირდეს. მოსკოვში სჯერათ, რომ 2012 წელს პუტინი კვლავ ეცდება, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის სავარძელში მოკალათდეს.

# კონფლიქტის ზონაში დაძაბულობაა

პირველი გვერდიდან

მონიტორინგის ჯგუფმა დარღვევები აღმოაჩინა ავნევშიც, სადაც სოფლის შესასვლელში უკანონოდ მოხდა ოსური მილიციის საგუშაგოს გადმოტანა. პარალელურად, მონიტორინგის წევრებს ჰქონდათ ინფორმაცია, რომ სოფელ ხეითის სამხრეთით, სამების ეკლესიასთან ახლოს, ოსურმა მხარემ შეიარაღებული პირები განალაგა და მოაწყო საველე ბანაკი. ამ ინფორმაციის გადამოწმება, წინასწარი შეთანხმების მიუხედავად, ვერ მოხერხდა, რადგან სამშვიდობო ძალების სარდალმა მარატ კულახმეტოვმა უარი განაცხადა და აღნიშნა, რომ არ თვლის მიზანშეწონილად ამ ეტაპზე ხეითში მონიტორინგის ჩატარებას, ვინაიდან ამან შეიძლება ოსური მხარის გაღიზიანება გამოიწვიოს.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შეფასებით, მარატ კულახმეტოვის დამოკიდებულება კიდევ ერთი გამოხატულებაა იმისა, რომ რუსი სამშვიდობოები კონფლიქტის ზონაში მათზე დაკისრებულ მისიას კეთილსინდისიერად არ ასრულებენ.

ამავდროულად, კონფლიქტის ზონაში ოსი ძალოვანები კონტროლს აძლიერებენ. ფრონეს ხეობაში ოსურმა მხარემ გუშინ დამატებითი მოძრავი საგუშაგოები შექმნა და არსებული პოსტი ცხინვალიდან ქართული მხარის კონტროლირებადი ტერიტორიის მიმართულებით ავნევისკენ 500 მეტრით გადასწია. ოსი შეიარაღებული ფორმიანების საგუშაგო სოფელ ავნევის შესასვლელთანაა დისლოცირებული.

გუშინ დილიდან ისინი საგუშაგოს აძლიერებენ მავთულხლართებითა და ქვიშით სავსე ტომრებით. ყველა გამვლელ მანქანას ამოწმებენ, ქართველ ჟურნალისტებს კი ამ პოსტთან ახლოს მისვლის საშუალებას არ აძლევენ. მოძრავი საგუშაგოებია შექმნილი ფრონეს ხეობიდან ნიქოზის მიმართულებით, მინდვრებზე გამავალ გზებზე.

ადგილობრივი მოსახლეობა შეშფოთებას გამოთქვამს და ამ მიმართულებით გადაადგილებისგან თავს იკავებს. ფრონეს ხეობის გამგებლის განცხადებით, მოსახლეობას ამის გამო მიწის დამუშავებაში ხელი ეშლება.

*24 საათი*

# არაღიარებულთა არაღიარებული თანამეგობრობა

*თვითაღიარებული რესპუბლიკების სამიტის დასრულების შემდეგ, სამხრეთ ოსეთის, აფხაზეთისა და დნესტრისპირეთის ლიდერები შემაჯამებელ განცხადებებს აკეთებენ.*

აფხაზეთის დე-ფაქტო ლიდერი სერგეი ბაგაფში მიიჩნევს, რომ „დემოკრატიისა და ხალხთა უფლებებისთვის თანამეგობრობის" ფარგლებში აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთისა და დნესტრისპირეთის ურთიერთთანამშრომლობა ამ ქვეყნების უსაფრთხოების ეფექტური გარანტი გახდება.

ბაგაფში აცხადებს, რომ „თანამეგობრობა დემოკრატიისა და ხალხთა უფლებებისთვის" რომელიმე მესამე ძალის წინააღმდეგ არ შექმნილა.

14 ივნისს აფხაზეთის, დნესტრისპირეთისა და სამხრეთ ოსეთის ლიდერებმა სოხუმში გამართული სამიტის ფარგლებში ხელი მოაწერეს დეკლარაციას, რომელიც ამ ქვეყნების თანამეგობრობის შექმნას ითვალისწინებს.

თვითაღიარებული რესპუბლიკების პრეზიდენტებმა ასევე ხელი მოაწერეს განცხადებას ერთობლივი სამშვიდობო ძალების შექმნის თაობაზე. მხარეები შეთანხმდნენ, რომ რომელიმე მესამე ქვეყნის მხრიდან სამხედრო აგრესიის შემთხვევაში, დე-ფაქტო რესპუბლიკები ერთმანეთს დაეხმარებიან.

რუსულ გაზეთ „მოსკოვსკიე ნოვოსტი"-სთვის მიცემულ ინტერვიუში სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო ლიდერი ედუარდ კოკოითი აცხადებს, რომ სოხუმის სამიტის შედეგებით კმაყოფილია.

ინტერვიუში კოკოითი აღნიშნავს, რომ დნესტრისპირეთის, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ერთობლივი სამშვიდობო ძალები შეიქმნება მაშინ, როცა ამის აუცილებლობა დადგება. როგორ დაეხმარება კოკოითის ხელისუფლება გასაჭირში ჩავარდნილ დნესტრისპირეთს და აფხაზეთს, სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო ლიდერი არ აკონკრეტებს. **„ჩვენ შევწყვეტთ ნებისმიერ სამშვიდობო მოლაპარაკებებს და ყველა ხელმისაწვდომი საშუალებით მხარში ამოვუდგებით ჩვენს ძმებს,"**- აღნიშნავს დე-ფაქტო პრეზიდენტი.

კოკოითი აცხადებს, რომ აფხაზეთისგან განსხვავებით, სამხრეთ ოსეთს სხვა მიზნები აქვს, მაგრამ ეს ხელს არ უშლის ორი რესპუბლიკის ურთიერთობას. **„აფხაზეთს დამოუკიდებლობა ან რუსეთთან ასოცირებული წევრობა სურს. ჩვენ მსგავსი არაფერი გვინდა. ჩვენი სურვილია ჩვენს ხალხს - ჩრდილო ოსებს შეუერთდეთ და ავტომატურად რუსეთის ნაწილი გავხდეთ,"** - აღნიშნავს კოკოითი.

მისი თქმით, სამხრეთ ოსეთი ძალიან მალე საერთაშორისო თანამეგობრობის აღიარებას მოიპოვებს.

*24 საათი*

# ბადრი ნანეტაშვილს პარლამენტს ატოვებინებენ

*იმ მიზეზით, რომ სამეწარმეო საქმიანობას ეწეოდა, მიმდინარე წლის 31 მარტს პარლამენტმა ოპოზიციონერ ვალერი გელაშვილს სადეპუტატო უფლებამოსილება შეუწყვიტა. ეს ფაქტი ოპოზიციამ პოლიტიკურ ზეწოლად მონათლა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ყოველი შეხვედრის დროს მას ხელისუფლების გასაკრიტიკებლად იყენებდა. უსიამოვნო მდგომარეობიდან გამოსავალი საპარლამენტო უმრავლესობამ ადვილად მონახა: ანალოგიური ბრალდება (დეპუტატის სტატუსთან შეუთავსებელი სამეწარმეო საქმიანობა) სახელისუფლებო ფრაქციის წევრს ბადრი ნანეტაშვილსაც წაუყენეს და ამით ოპოზიციას სათქმელი აღარ დაუტოვეს: როგორც კი ვალერი გელაშვილის საკითხი წამოიწევს, იქვე მის „საპირწონედ" ბადრი ნანეტაშვილის გვარიც დასახელდება.*

„ნანეტაშვილის საქმე" რამდენიმე დღის წინათ სახალხო დამცველმა წამოატივტივა, რომელმაც პარლამენტის თავმჯდომარის სახელზე გაგზავნილ წერილში ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობა-დემოკრატების" წევრის ბიზნეს-ინტერესები ამხილა. სოზარ სუბარმა საკანონმდებლო ორგანოს ხელმძღვანელს წარუდგინა 21-გვერდიანი ინფორმაცია, რომელიც, ძირითადად, ტელეკომპანია „თრიალეთის" თანამშრომლების ახსნა-განმარტებებისგან შედგება. მათი განცხადების თანახმად, საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელი ბადრი ნანეტაშვილი დღემდე მართავს ტელეკომპანია „თრიალეთს" და ხელმძღვანელობს მის საინფორმაციო სამსახურს.

ნინო ბურჯანაძისა და პარლამენტის ბიუროს დავალებით, უკვე ორი დღეა, სახალხო დამცველის წერილში მოყვანილ ფაქტებს საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტი სწავლობს.

თავდაპირველად, კომიტეტს ახსნა-განმარტებები ტელეკომპანია „თრიალეთისა" და გაზეთ „თრიალეთის" ყოფილმა ჟურნალისტებმა მისცეს. მათი თქმით, ბადრი ნანეტაშვილის პირადი დავალებით და მითითებით, ხაშურის, ქარელის, გორის და შიდა ქართლის რამდენიმე რაიონის გამგებელს აშანტაჟებდნენ და, გარკვეული ხელშეკრულების საფუძველზე, სახელმწიფო ბიუჯეტიდან თანხების გადარიცხვას სთხოვდნენ.

როგორც ტელეკომპანიის ყოფილი ჟურნალისტები აღნიშნავდნენ, მითითებებს ნანეტაშვილი ტელეკომპანია „თრიალეთის" შენობაში, საკუთარ კაბინეტში იძლეოდა. მათივე მტკიცებით, ხელფასს პირადად ბადრი ნანეტაშვილის ხელიდან იღებდნენ და ტელეკომპანიაში არ არსებობდა არანაირი უწყისი, რომელშიც მათი ხელფასი იქნებოდა დაფიქსირებული.

ბადრი ნანეტაშვილმა პროტესტის ნიშნად, ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობა - დემოკრატების" რიგები დატოვა და აღნიშნა, რომ მის წინააღმდეგ ბრალდებები „შეთითხნილია" და მას უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი გიგა ბოკერია და თავდაცვის მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი უპირისპირდებიან.

ნანეტაშვილი, აგრეთვე, ირწმუნება, რომ პარლამენტიდან მისი გაშვებით საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის თავმჯდომარე ხათუნა გოგორიშვილიც არის დაინტერესებული. დეპუტატის მტკიცებით, ტელეკომპანია „თრიალეთის" ერთ-ერთ ჟურნალისტს, რომელმაც ნანეტაშვილის სასარგებლო ჩვენება მისცა, გოგორიშვილმა განუცხადა, რომ „ფრთხილად ყოფილიყო და თავი არ გაეფუჭებინა".

ბადრი ნანეტაშვილის განცხადებით, იგი ველარ დარჩება იმ საპარლამენტო უმრავლესობაში, რომლის წევრები გიგა ბოკერია, დავით კირკიტაძე, დავით ბეჟუაშვილი და ხათუნა გოგორიშვილი არიან. იგი, ამავდროულად, დეპუტატ გიგა ბოკერიას მამის საქმიანობის შესწავლას მოითხოვს.

როგორც ნანეტაშვილი აცხადებს, გიგა ბოკერიას მამას სამშენებლო ფირმა აქვს, რომელსაც შეკვეთებს თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროები აძლევენ.

**„მოვითხოვ გაირკვეს, როგორ იმარჯვებს ამგვარ კონკურსებში ყოველთვის გიგა ბოკერიას მამა და რატომ უკვეთენ მშენებლობებს სახელმწიფო უწყებები ყოველთვის მას",** - აღნიშნა ნანეტაშვილმა...

მისი თქმით, ჯერ კიდევ წელიწადნახევრის წინათ, თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ოქრუაშვილმა მას, ტელევიზიის დათმობის სანაცვლოდ, რამდენიმე მილიონი ლარი შესთავაზა, ხოლო შემდეგ ის საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა მაია ნადირაძემ, დავით კირკიტაძემ და ხათუნა გოგორიშვილმა დაიბარეს და პარლამენტის საკუთარი ნებით დატოვება ურჩიეს, **„რადგან ამ საკითხის გამო ამტყდარ აჟიოტაჟს ოპოზიცია საკუთარი ინტერესებისთვის გამოიყენებდა".**

**„მოგვიანებით მე დავით კირკიტაძესაც შევხვდი, რომელსაც ვუთხარი, რომ თუ თავს არ დამანებებდნენ, საქმის კურსში მასმედიის წარმომადგენლებს ჩავაყენებდი. კირკიტაძემ მითხრა, რომ ყველა პრობლემა მოგვარებული იყო",** - ამტკიცებს ნანეტაშვილი. მისივე თქმით, რამდენიმე დღის წინათ ბოკერიამ ის საკუთარ კაბინეტში შეიყვანა და დაემუქრა.

**„ამიტომაც არ გამოვრიცხავ, რომ ან დამიჭირონ, ან ავარიაში მოვხვდე",** - შიშობს ნანეტაშვილი. იგი ხელისუფლებას ტელეკომპანია „თრიალეთის" ხელში ჩაგდების მცდელობაში ადანაშაულებს და აცხადებს, რომ ამის პირველი ეტაპი პარლამენტიდან მისი გაძევება იქნება. ბადრი ნანეტაშვილი კატეგორიულად უარყოფს ტელეკომპანია „თრიალეთის" ხელმძღვანელად მის მუშაობას და აცხადებს, რომ იგი თვეში რამდენჯერმე ჩადიოდა საკუთარ ძმასთან, ჯონი ნანეტაშვილთან, რომელიც აღნიშნულ ტელეკომპანიას მას შემდეგ ხელმძღვანელობს, რაც თავად ბადრი ნანეტაშვილი დეპუტატი გახდა...

საპროცედურო საკითხთა კომიტეტში გუშინაც გაგრძელდა „მოწმეების დაკითხვა". შპს „კასპიცემენტის" ხელმძღვანელმა მამუკა სულაძემ ტელეკომპანია „თრიალეთის" ჟურნალისტების მიერ მისი და მისი საწარმოს შანტაჟის თაობაზე ისაუბრა. როგორც მამუკა სულაძემ აღნიშნა, ტელეკომპანიის ჟურნალისტები, რომლებიც რამდენჯერმე იმყოფებოდნენ მის საწარმოში, მას ტელევიზიაში 30-ათასდოლარიანი რეკლამის განთავსებას სთხოვდნენ. მისივე თქმით, სიტუაციაში გარკვევის მიზნით, იგი რამდენჯერმე იმყოფებოდა ტელეკომპანია „თრიალეთის" ოფისში და პირადად შეხვდა ბადრი ნანეტაშვილის ძმას, ტელეკომპანიის ხელმძღვანელს ჯონი ნანეტაშვილს.

მამუკა სულაძის განცხადებით, სწორედ ჯონი ნანეტაშვილმა წაუყენა მას განმეორებით ტელეკომპანია „თრიალეთში" „კასპიცემენტის" 30 ათასი დოლარის რეკლამის განთავსების მოთხოვნა.

გუშინვე საპროცედურო საკითხთა კომიტეტს ახსნა-განმარტებები მისცეს ქარელის რაიონის ყოფილმა გამგებელმა მალხაზ კორკოტაძემ და კასპის რაიონის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელმა გენადი ხაჩიძემ. პირველი მათგანის თქმით, 2003-2005 წლებში, როდესაც იგი ქარელის რაიონის გამგებელი იყო, როგორც ტელეკომპანია „თრიალეთთან", ასევე გაზეთ „თრიალეთთან" გაფორმებული ჰქონდა გარკვეული ხელშეკრულება საინფორმაციო მომსახურების გაწევის ვალდებულებით, რისთვისაც რაიონის ბიუჯეტიდან ოფიციალურად ირიცხებოდა გარკვეული თანხა.

**„რაიონის გამგეობამ დააფუძნა საკუთარი გაზეთი, რომელიც ჩაიდო გაზეთ „თრიალეთში" და ამ მომსახურებაში გაზეთ „თრიალეთს" რაიონის გამგეობა თითო ნომერზე 250 ლარს უხდიდა, რაც თვეში 600 ლარამდე ადიოდა,"** - განაცხადა კორკოტაძემ.

მისივე თქმით, აღნიშნული ხელშეკრულებები, როგორც ტელეკომპანია „თრიალეთთან", ასევე გაზეთ „თრიალეთთან", თავს მოხვეული იყო, აღნიშნული ხელშეკრულებების დადების იდეა კი პარლამენტარ ბადრი ნანეტაშვილისგან მოდიოდა.

**„ამ ხელშეკრულებების დადების გარეშე სხვაგვარად ვერ განხორციელდებოდა ჩვენი ურთიერთობა ვერც ბადრისთან, ვერც ტელეკომპანია „თრიალეთთან". ბადრიმ ყველაფერი იცოდა, რომ რაიონს უჭირდა, მაგრამ ამ ხელშეკრულებებს მაინც გვთავაზობდა,"** - აღნიშნა ქარელის რაიონის ყოფილმა გამგებელმა.

ქარელის რაიონის ყოფილი გამგებლისგან განსხვავებით, კასპის რაიონის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელმა გენადი ხაჩიძემ არ დაადასტურა პარლამენტარ ბადრი ნანეტაშვილთან მსგავსი ურთიერთობა და აღნიშნა, რომ მას კონტაქტები ჰქონდა პარლამენტარის ძმასთან ჯონი ნანეტაშვილთან, რომელიც ტელეკომპანიას ხელმძღვანელობს. თუმცა, კომიტეტის სხდომაზე გაზეთ „თრიალეთის" ყოფილმა ჟურნალისტმა საბა წიწიკაშვილმა განაცხადა, რომ **„პირადად შევესწრო, თუ როგორ დაურეკა ხაჩიძემ ბადრი ნანეტაშვილს და უთხრა - რაღა გინდა, ფული ხომ ჩაგირიცხეო"...**

საბოლოო ვერდიქტს პარლამენტი ბადრი ნანეტაშვილს მომავალ კვირაში, პლენარულ სხდომაზე გამოუტანს. როგორი იქნება ეს გადაწყვეტილება, ძნელი მისახვედრი არ არის: თვითმმართველობის არჩევნების წინ სახელისუფლებო გუნდის ინტერესებში ნამდვილად არ შედის, რომ სკანდალში გახვეული დეპუტატი მის გვერდით იყოს.

*24 საათი*

Georgian National airlines

CLUB Class - როცა კომფორტი მნიშვნელოვანია

საქართველოს ნაციონალური ავიახაზები

ავიაკომპანია "საქართველოს ნაციონალური ავიახაზები" გთავაზობთ ახალ, დღემდე საქართველოში უპრეცენდენტო CLUB Class სერვისს.

რას ნიშნავს იფრინოთ CLUB Class-ით ეს არის, საუკეთესო მომსახურება, გაფრენამდე, ფრენისას და ფრენის შემდგომ, კომფორტაბელური ტყავის სავარძლები და მომსახურების მაღალი ხარისხი, რომელიც უტოლდება ბიზნეს კლასის სერვისს და ყველაფერი ეს მხოლოდ ეკონომ კლასის ფასად.

ავიაკომპანია ,,საქართველოს ნაციონალური ავიახაზების,, ყველა რეგულარული რეისი შესრულდება ახალი, Bombardier CRJ 200 LR -ის ტიპის თვითმფრინავებით, რომელიც აღჭურვილია XXI საუკუნის თანამედროვე ტექნოლოგიებით, რაც უსაფრთხოების მაქსიმალურ გარანტიას იძლევა.

ავიაბილეთების დაჯავშნისთვის და დამატებითი ინფორმაციის მისაღებად დაგვიკავშირდით:
- შ. რუსთაველის პრ. № 5 ; ტელ.: 92 20 20 ; 93 65 93
- კეკელიძის ქ. № 1 ; ტელ.: 22 18 07
- აეროპორტის სალარო; ტელ.: 43 32 23

ფრენების განრიგი
ზაფხულის სანავიგაციო სეზონი
(ადგილობრივი დრო)

| | ფრენა თბილისიდან | | გაფრენა | ჩაფრენა | გამოფრენა | ჩამოფრენა |
|---|---|---|---|---|---|---|
| ორშაბათი | პრაღა * | QB 595/596 | 6:30 | 8:20 | 11:05 | 16:35 |
| | დნეპროპეტროვსკი | QB 525/526 | 17:50 | 18:50 | 20:10 | 23:10 |
| სამშაბათი | მოსკოვი (ვნუკოვო) | QB 771/772 | 8:30 | 10:55 | 20:50 | 23:10 |
| ოთხშაბათი | ალმა - ატა | QB 577/578 | 12:50 | 18:30 | 21:20 | 23:10 |
| | პრაღა * | QB 595/596 | 6:30 | 8:20 | 11:20 | 15:50 |
| | ალმა - ატა ** | QB 577/578 | 17:55 | 23:50 | 2:20 | 4:10 |
| ხუთშაბათი | მოსკოვი (ვნუკოვო) | QB 777/778 | 8:30 | 10:55 | 11:50 | 14:10 |
| | კიევი | QB 595/596 | 17:30 | 18:50 | 11:05 | 16:35 |
| | კიევი *** | QB 543/544 | 8:55 | 10:15 | 12:45 | 16:05 |
| | მოსკოვი (ვნუკოვო) **** | QB 777/778 | 17:30 | 19:50 | 21:00 | 23:20 |
| პარასკევი | სანკტ-პეტერბურგი | QB 555/556 | 8:30 | 11:55 | 13:00 | 16:20 |
| | ოდესა | QB 541/542 | 17:50 | 18:50 | 20:10 | 23:10 |
| შაბათი | მოსკოვი (ვნუკოვო) | QB 771/772 | 8:30 | 10:55 | 20:50 | 23:10 |
| კვირა | კიევი | QB 543/544 | 17:30 | 18:50 | 20:00 | 23:20 |
| | კიევი *** | QB 543/544 | 8:55 | 10:15 | 12:45 | 16:05 |
| | ალმა - ატა ** | QB 577/578 | 17:55 | 23:50 | 2:20 | 4:10 |
| | მინერალნიე ვოდი | QB 523/524 | 17:50 | 19:10 | 22:00 | 23:10 |

* ფრენები მოცემული განრიგით შესრულდება 02.08.2006 -დან
** ფრენები მოცემული განრიგით შესრულდება 02.08.2006 -დან
*** ფრენები მოცემული განრიგით შესრულდება 03.08.2006 -დან
**** ფრენები მოცემული განრიგით შესრულდება 03.08.2006 -დან

| | ფრენა ქუთაისიდან | | გაფრენა | ჩაფრენა | გამოფრენა | ჩამოფრენა |
|---|---|---|---|---|---|---|
| სამშაბათი | მოსკოვი (ვნუკოვო) | QB 567/568 | 17:00 | 19:20 | 12:05 | 14:25 |
| შაბათი | მოსკოვი (ვნუკოვო) | QB 567/568 | 17:00 | 19:20 | 12:05 | 14:25 |


# საერთაშორისო ფონდი რეპატრიაციისთვის

*ევროსაბჭო საქართველოს ხელისუფლებას, დეპორტირებული მესხების რეპატრიაციის მიზნით, საერთაშორისო ფონდის ჩამოყალიბებაში დაეხმარება. თუმცა, როდის შეიქმნება ფონდი ჯერჯერობით უცნობია.*

ნათია მსხილაძე

საქართველოს მიერ ევროპის საბჭოს წინაშე აღებული ვალდებულების თანახმად, მესხების სრული რეპატრიაცია ქვეყანაში 2011 წლამდე უნდა დასრულდეს.

ამის საფუძვლად უნდა იქცეს რეპატრიაციის შესახებ კანონი, რომლის განხილვაშიც, დაახლოებით ორი თვის წინათ, თავად დეპორტირებული მესხების წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ.

საქართველო თავის მომავალ მოქალაქეებს ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში განსახლებას სთავაზობს, ოღონდ არა კომპაქტური დასახლების წესით და არა მესხეთში, საიდანაც ისინი 1944 წელს გაასახლეს. რაც შეეხება დაფინანსებას, რეპატრიაციის პროცესის დაწყებისათვის სახელმწიფო ბიუჯეტში თანხა უკვე მომავალი წლიდან ჩაიდება.

დეპორტირებული მოსახლეობის რეპატრიაციის საკითხებზე მომუშავე სახელმწიფო კომისიის წევრებმა, გიორგი ხაინდრავას მეთაურობით, თითქმის ყველა ქვეყანა მოიარეს, სადაც დეპორტირებულთა შთამომავლები ცხოვრობენ. როგორც სახელმწიფო მინისტრი თავის დროზე აცხადებდა, კანონპროექტის მიხედვით, შესაბამის ქვეყნებში უნდა შეიქმნას სპეციალური დაწესებულებები, ებრაული „სოჰნუთის" ტიპის, რომლებიც რეპატრიაციის საკითხებზე იმუშავებენ და იქ მიიღებენ რეპატრიაციის მსურველთა განცხადებებს. რეპატრიანტის სტატუსის მიღების შემდეგ, დაახლოებით ერთ წელიწადში, პიროვნებას საქართველოს მოქალაქეობის მიღების შესაძლებლობა ექნება.

სხვადასხვა ქვეყნებში გაბნეული მესხების რაოდენობა, არსებული მონაცემებით, 430 ათასამდე ადამიანს შეადგენს, თუმცა ვარაუდობენ, რომ მათგან საქართველოში 15-20 პროცენტი თუ დაბრუნდება.

როგორც ცნობილი გახდა, ევროსაბჭო საქართველოს ხელისუფლებას, დეპორტირებული მესხების რეპატრიაციის მიზნით, საერთაშორისო ფონდის ჩამოყალიბებაში დაეხმარება. **„საქართველოს ევროპელ პარტნიორებს კარგად ესმით, რომ დეპორტირებულთა რეპატრიაციის საკითხის გადაჭრას საქართველოს ხელისუფლება, დასავლეთის ფინანსური მხარდაჭერის გარეშე, ვერ შეძლებს. რეპატრიაციის სახელმწიფო კომისიამ თავისი გასაკეთებელი საქმე უკვე გააკეთა და ახლა საჭიროა სარეაბილიტაციო ცენტრების შექმნა, რომლებშიც საქართველოში დაბრუნების მსურველები ქართულ ენას დაეუფლებიან, ეროვნულობას აღიდგენენ და საქართველოში დაბრუნებისთვის მოემზადებიან. საქართველოს ხელისუფლება, დასავლეთის მხარდაჭერით, ყველაფერს გააკეთებს, რომ ხელი გაუწოდოს ყველა დეპორტირებულს, რომლისთვისაც საქართველოს მიწა გულისტკივილისა და ლტოლვის საგანს წარმოადგენს,"** - აღნიშნა სახელმწიფო მინისტრმა გიორგი ხაინდრავამ.

როგორც ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროში აცხადებენ, ზემოაღნიშნული ფონდის შექმნაზე საუბარი ძალიან ნაადრევია, რადგან შესაბამისი კანონიც კი არ არის მიღებული. **„ჯერ შესაბამისი კანონიც კი არ მიუღიათ და რა ფონდზეა საუბარი. ამასთანავე რეპატრიაცია არ არის დაწყებული. არ გამოვრიცხავ იმას, რომ კანონპროექტის განხილვა საშემოდგომო სესიაზე მოხდეს"**, - აღნიშნა ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს, ლტოლვილთა მიგრაციისა და რეპატრიაციის სამმართველოს უფროსმა ირაკლი კოკაიამ.

# ტერორისტობაში ბრალდებულებისგან ზარალის ანაზღაურებას ითხოვენ

თეა თედლიაშვილი

გორის რაიონულ სასამართლოში განახლდა გორის ტერაქტის მოწყობაში ბრალდებულთა სასამართლო პროცესი. პროცესზე, რიგითი მოქალაქეების გარდა, რომლებიც შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე ცხოვრობენ, დაზარალებულთა სახით სამმართველოს თანამშრომლებიც დაიკითხნენ. დაზარალებულები ერთპიროვნულად ითხოვენ, რომ განსასჯელები უმკაცრესად დაისაჯონ.

პროკურორი გია ჭუმბაძე ცდილობდა დაედგინა ის ზარალი, რომელიც დაკითხულმა დაზარალებულებმა მიიღეს, ვინაიდან, ბრალდებულებს, გარდა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისა, სამოქალაქო პასუხისმგებლობასაც - ზარალის ანაზღაურებასაც აკისრებენ.

დაკითხვისასა აღმოჩნდა, რომ დაზარალებულმა მარინე ჯაფარიძემ იმ მატერიალურ ზარალზე გაცილებით მეტი ზიანი მიიღო, ვიდრე ეს გორის რაიონის გამგეობაში შექმნილი საგანგებო კომისიის მიერაა დათვლილი. კომისიის დასკვნის მიხედვით, ჯაფარიძის ზარალი 948 ლარით განისაზღვრება, თუმცა დაზარალებული აცხადებს, რომ მან 3 ათას ლარზე მეტი ზარალი ნახა.

დაზარალებული კიაზო ქოჩლაძემ აფეთქების დროს სხეულის დაზიანება მიიღო, დაიმტვრა მისი კუთვნილი ავტომობილიც. ავტომობილის ღირებულება კომისიამ 1750 ლარად შეაფასა.

ყველა დაზარალებული ითხოვს, რომ მათი ზარალი გადაიხედოს და მიიღონ შესაბამისი ანაზღაურება. თუმცა პროკურორი გია ჭუმბაძე მიიჩნევს, რომ ბრალდებულები ზარალის ანაზღაურებას სრული სახით ვერ შეძლებენ.

სასამართლო პროცესს ესწრებოდნენ განსასჯელები ზასიევი, კოჩიევი და ვალიშვილი, თუმცა დაზარალებულების მიმართ მათ არანაირი შეკითხვა არ გასჩენიათ.

კოჩიევის ადვოკატი ბესო კაიშაური აცხადებს, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფი დანაშაულთან არანაირ კავშირში არ არის და მისი აყვანის დროს გამოყენებული იყო პოლიციელების მიერ კარგად აპრობირებული მეთოდი.

„კოჩიევი თბილისში ხალხმრავალ ადგილზე იმ მოტივით დააკავეს, რომ ნარკოტიკები გადაჰქონდა, მოწმეები კი თვითონ პოლიციელები იყვნენ, კოჩიევს დანაშაულში წვლილი არ მიუძღვის და თავს დამნაშავედ არ ცნობს. მისი დანაშაული მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ თქვა, ის მანქანა აფეთქდა სამმართველოსთან რომლის ყიდვასაც ვაპირებდიო“, - აცხადებს კოჩიევის ადვოკატი. ზასიევის ადვოკატი კი ცდილობს სასამართლო დაარწმუნოს, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფმა დანაშაული დაშინების შემდეგ ჩაიდინა და მას მითითებებს მოსკოვიდან აძლევდნენ. სასამართლო პროცესი 26 ივნისს განახლდება. ბრალის დადასტურების შემთხვევაში განსასჯელებს სამუდამო პატიმრობა ემუქრებათ.

მოკლედ

## ომბუდსმენი ვაქირში მომხდარი ინციდენტის გამოძიებას ითხოვს

სახალხო დამცველი სიღნაღის რაიონის სოფელ ვაქირში მომხდარი დარბევის ფაქტს ეხმაურება და სამართალდამცველ ორგანოებს მოუწოდებს სასწრაფოდ გამოიძიონ აღნიშნული ფაქტი. სოზარ სუბარი მოითხოვს, კანონის შესაბამისად დაისაჯონ როგორც დარბევის მონაწილეები, ასევე ის პოლიციელები, რომლებიც მშვიდად ადევნებდნენ თვალს აქციის დარბევას.

როგორც ომბუდსმენის აპარატში აცხადებენ, ვითარების ადგილზე გასაცნობად და დეტალების შესასწავლად სახალხო დამცველის წარმომადგენლები სიღნაღის რაიონში ჩავიდნენ და ახსნა-განმარტება ჩამოართვეს მხარეებს.

შეგახსენებთ, რომ ინციდენტი სოფელ ვაქირში 15 ივნისს მოხდა. სიღნაღის რაიონში მოქმედმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა მაჟორიტარი დეპუტატის ნუგზარ აბულაშვილის წინააღმდეგ აქცია გამართეს. საზოგადოების ნაწილი აბულაშვილს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობაზე ზეწოლის განხორციელებაში ადანაშაულებდა. აქციაზე უცნობმა პირებმა ჟურნალისტები დაარბიეს.

აქციის გასაშუქებლად ვაქირში ჩასული ჟურნალისტების განცხადებით, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა მათ დასარბევად გარკვეული პირები დაიქირავეს. ტელეკომპანია „გურჯაანის“ ჟურნალისტებს დაუმტვრიეს კამერა, წაართვეს გადაღებული ვიდეო-მასალა, ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს გაზეთ „სპექტრის“ ჟურნალისტსა და „24 საათის“ რეგიონალურ კორესპონდენტს ზვიად რუაძეს.

შემთხვევას ადგილობრივი პოლიციის თანამშრომლებიც შეესწრნენ, თუმცა დაპირისპირების აღსაკვეთად არანაირი ღონისძიება არ გაუტარებიათ. **24 საათი**

## შსს-მ საკუთარი აგენტი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ყალბი ჩვენების მიცემის ფაქტზე უწყების ყოფილი აგენტი ქეთევან თხილავა დააკავა. თხილავა შსს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომლებმა დააკავეს.

საქმე ისაა, რომ ქეთევან თხილავას ინტერვიუ 11 ივნისს გადაცემა „დროებაში“ გავიდა. სიუჟეტი შეეხებოდა მარნეულის ყოფილი გამგებლის ელდარ ჭოხონელიძის დაკავების ფაქტს (ყოფილი გამგებელი ქრთამის აღების ფაქტზე დააკავეს). თხილავას ინფორმაციით, შსს-მ დანაშაულის პროვოცირება მოახდინა, რეალურად კი ჭოხონელიძე ქრთამის აღებას არ აპირებდა.

გადაცემა „დროებაში“ გასულ სიუჟეტს 12 ივნისს შსს გამოეხმაურა და სამართალდამცველების მიერ ჭოხონელიძის დასაკავებლად რამდენიმე თვის წინ ჩატარებულ ოპერაციასთან დაკავშირებით კომენტარი გააკეთა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, უწყებას გააჩნია ოპერატიული მასალა, რომელშიც ნათლად ჩანს, როგორ აიღო ელდარ ჭოხონელიძემ ქრთამი და როგორ სთხოვდა იგი შინაგან საქმეთა სამინისტროს აგენტს ქეთევან თხილავას, გარკვეული პრობლემის მოგვარების სანაცვლოდ 20 ათას დოლარს. **სინტერპრესნიუსი**

## სემინარი პოლიციელებისთვის

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებისთვის სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასში“ ორდღიანი სემინარი დაიწყო თემაზე - „ადამიანის უფლებები და პოლიცია“

სემინარი საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის, რაულ ვალენბერგის ადამიანის უფლებათა და ჰუმანიტარული სამართლის ინსტიტუტის და გაერო-ს განვითარების პროგრამის (UNDP) მიერ არის ორგანიზებული.

სემინარის ოფიციალურ გახსნას სახალხო დამცველი სოზარ სუბარი, შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ეკატერინე ზღულაძე, საერთაშორისო ექსპერტი გრეემ დოსეტი და გაერო-ს განვითარების პროგრამის წარმომადგენელი ირინა ცაგარელი დაესწრნენ.

ორი დღის განმავლობაში სემინარზე წარმოდგენილი იქნება რალფ კროშოუს სახელმძღვანელო - „ადამიანის უფლებები და პოლიცია“, რომელიც გაერო-ს განვითარების პროგრამის ფარგლებში ითარგმნა. სემინარის მიზანია დამსწრეთ შეასწავლოს სახელმძღვანელოთი სარგებლობა, რის შემდეგაც, სემინარის მონაწილეები, თავის მხრივ, შსს-ს სხვა თანამშრომლებს ჩაუტარებენ ტრენინგებს.

სემინარზე საუბარი იქნება ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული დაწესებულებებისა და სამართალდამცველი ორგანოების ურთიერთობაზე, საქართველოს კანონმდებლობაზე ამ სფეროში, დაკავებულ პირთა მიმართ მოპყრობაზე. გაიმართება დისკუსიები ქალთა, არასრულწლოვანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებების შესახებ. **ინტერპრესნიუსი**

# ქილერის აღიარება

პირველი გვერდიდან

კუზმინის ქილერთა სამკაციანმა ჯგუფმა არა ერთი ხმაურიანი მკვლელობა მოიყვანა სისრულეში, თუმცა, მათი ვინაობა არავისთვის იყო ცნობილი. ქილერთა ჯგუფის ლიდერი - კუზმინი კონსპირაციის ოსტატი იყო. ყოველთვის იყენებდა პარიკს, ნიღაბს, ხელოვნურ წვერულვაშს, ადგილზე არ ტოვებდა თითების ანაბეჭდს და მოწმეს. დავალებაზე იგი ყოველთვის მარტო მიდიოდა და არასდროს, არავის უთანხმებდა ადგილს, საიდანაც კრიმინალური დაჯგუფების ლიდერთა მიერ გამოტანილი ვერდიქტი სისრულეში უნდა მოეყვანა - მოეკლა ობიექტი.

კუზმინის არსებობის შესახებ სამართალდამცველებისთვის „ორეხოვსკის“ დაჯგუფების ლიდერების დაკავების შემდეგ გახდა ცნობილი, იგი დაჯგუფების ლიდერთა ჩვენების შემდეგ დაიჭირეს, მაშინ, როცა მორიგი მკვლელობისთვის ემზადებოდა.

**„არაფერზე ვდარდობ და მოსანანიებელიც არაფერი მაქვს, რადგან, არც ერთი ჩემი მსხვერპლი სიცოცხლის ღირსი არ იყო“,** - განაცხადა დაკითხვაზე კუზმინმა, რომელიც ოთარ კვანტრიშვილის მკვლელობის თაობაზე იძლეოდა ჩვენებას.

ქილერის ჩვენებით, მას უნდოდა მოეკლა ის ადამიანიც (გამოძიების მონაცემებით, საუბარია მიშა მამიაშვილზე), რომელიც კვანტრიშვილთან ერთად იმყოფებოდა, მაგრამ შეეცოდა, მას შემდეგ, რაც დაინახა, თუ როგორ ცდილობდა იგი დაჭრილი მეგობრის დახმარებას. კუზმინის განცხადებით, მისთვის არც ოთარ კვანტრიშვილის მკვლელობის მოტივი იყო ცნობილი. „მე მხოლოდ შავი სამუშაო შევასრულე“, - განაცხადა კუზმინმა.

არსებული ინფორმაციით, ოთარ კვანტრიშვილმა მისი სპორტული კარიერა გამოიყენა და შექმნა ყოფილი სპორტსმენებით - კარატისტებითა და მოკრივეებით დაკომპლექტებული ჯგუფი, რომელიც რეკეტით იყო დასაქმებული, გარდა ამისა, ეს ჯგუფი იცავდა კრიმინალურ ბიზნესს და ასევე, სახელისუფლებო სტრუქტურების უმაღლეს წარმომადგენელთა დაცვასაც ახორციელებდა.

გამოძიების მიერ დასახელებული და ქილერის მიერ დანდობილი ყოფილი სპორტსმენი (ოთარ კვანტრიშვილის მსგავსად ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავე) მიშა მამიაშვილი, გავრცელებული ინფორმაციით, ოთარ კვანტრიშვილის დაჯგუფების ხელმძღვანელი იყო, სწორედ იგი ჩამოჰყვა საქართველოში დაბრუნებულ ედუარდ შევარდნაძეს და შემდეგაც კარგა ხნის მანძილზე მისი დაცვის უფროსი გახლდათ. გავრცელებული ინფორმაციით, 90-იანი წლების დასაწყისში საქართველოში ჩამოსული ედუარდ შევარდნაძის უსაფრთხოების დაცვა უზარმაზარი გავლენის მქონე ოთარ კვანტრიშვილმა იტვირთა და მიშა მამიაშვილი, ადამიანი, რომელსაც თავის სიცოცხლეს ანდობდა, საქართველოში დაბრუნებულ შევარდნაძეს გამოაყოლა.

მართალია, რამდენიმე დღის გამოძიებამ მკვლელობის შემსრულებლის აღიარებითი ჩვენება ჩაიბარა, თუმცა, ჯერჯერობით კვლავ უცნობია მოტივი იმ ადამიანის მკვლელობისა, რომლის პანაშვიდებისა და დაკრძალვის ცერემონიას რუსეთის ტელეარხები პირდაპირ ეთერში გადასცემდნენ.

*24 საათი*

# ახალი ინსტიტუტი თანამშრომლების გასაკონტროლებლად

*იუსტიციის სამინისტრომ დაასრულა „გენერალური ინსპექციის შესახებ“ კანონპროექტზე მუშაობა და პროექტი განსახილველად უკვე გადაუგზავნა პარლამენტს. კანონპროექტის განხილვა პარლამენტში, სავარაუდოდ, ხმაურს გამოიწვევს, რადგან გენერალურ ინსპექციებს, ამ პროექტის მიხედვით, შეუზღუდავი და გადაჭარბებული პოლიციური ფუნქციები აქვთ მინიჭებული. თუმცა, ვიდრე საკანონმდებლო ორგანოში ახალ კანონპროექტს კენჭს უყრიან, მის დებულებებზე სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულების გენერალური ინსპექციებისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელები მსჯელობენ.*

გენერალური ინსპექციის სტრუქტურებსა და ფუნქციებს განიხილავდნენ სასტუმრო „თბილისი მარიოტში“ გამართულ კონფერენციაზე, რომლიც ეუთოს-ა და ამერიკის იურისტთა ასოციაციის ფინანსური მხარდაჭერით მოეწყო.

**„სახელმწიფო დაწესებულებებში შიდაუწყებრივი კონტროლის გაძლიერება მნიშვნელოვანი საკითხია. იმ ქვეყნებში, სადაც სახელმწიფო უწყებების გენერალური ინსპექციების საქმიანობა სპეციალური კანონით რეგულირდება, კორუფციული დარღვევების გამოვლენა მაღალ დონეზეა. არსებული გამოცდილებით, „გენერალური ინსპექციების შესახებ“ კანონპროექტის მიზანია გენერალური ინსპექციების შესახებ ნორმების საკანონმდებლო დონეზე მოწესრიგება. დღემდე ამ სტრუქტურის უფლებამოსილება შესაბამისი დაწესებულების დებულებით განისაზღვრებოდა“,** - ასე განმარტავენ კანონპროექტის ავტორები სახელმწიფო სტრუქტურებში გენერალური ინსპექციების შექმნის აუცილებლობას.

პროექტის მიხედვით, გენერალური ინსპექცია უნდა შეიქმნას ყველა სამთავრობო დაწესებულებაში, მთავრობის კანცელარიასა და პრეზიდენტის ადმინისტრაციაში და შეასრულოს შესაბამისი დაწესებულების შიდაუწყებრივი კონტროლის ფუნქცია.

იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენლების განმარტებებით, გენერალური ინსპექციის საქმიანობის მიზანს წარმოადგენს სახელმწიფო სტრუქტურებში დისციპლინისა და კანონიერების დაცვის სამსახურებრივი კონტროლი; დაწესებულების მოსამსახურეების მიერ მოქალაქეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების შელახვის, სამსახურებრივი გადაცდომის ფაქტებისა და სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედებების გამოვლენა, შემოწმება და დაწესებულების ხელმძღვანელისთვის შესაბამისი დასკვნის წარდგენა.

კანონპროექტი გენერალური ინსპექციის თანამშრომლებს ავალებს არასაბიუჯეტო სახსრების მიღებისა და განკარგვის კანონიერებისა და მიზანშეწონილობის კონტროლს; ასევე, დაწესებულების სისტემის მოსამსახურეების ინტერესთა შეუთავსებლობის ფაქტების გამოვლენას და მათ თავიდან აცილებას. გენერალურმა ინსპექციამ უნდა გააკონტროლოს თანამშრომლების ეთიკური ქცევა და ზედამხედველობა უნდა გაუწიოს სამსახურებრივი ეთიკის დაცვას.

სიახლეს წარმოადგენს კანონპროექტის დებულება, რომლის თანახმადაც, გენერალური ინსპექცია ვალდებულია, თითოეული განხორციელებული შემოწმების შესახებ მითითება შეიტანოს შიდაუწყებრივი კონტროლის სპეციალურ რეესტრში. კანონპროექტის თანახმად, გენერალურ ინსპექციას სამსახურებრივი შემოწმებისთვის ერთთვიანი ვადა ექნება. გამონაკლის შემთხვევაში, დაწესებულების ხელმძღვანელთან შეთანხმებით, ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს სამ თვემდე. გადაწყვეტილებას სამსახურებრივი შემოწმების ჩატარების თაობაზე მიიღებს დაწესებულების ხელმძღვანელი ან გენერალური ინსპექტორი. დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში, გენერალური ინსპექცია დაწესებულების უფლებამოსილ თანამდებობის პირს მიმართავს წარდგინებით კანონმდებლობის დარღვევის ფაქტების, მათი გამომწვევი და ხელშემწყობი მიზეზების აღმოფხვრისა და კანონმდებლობის დამრღვევი პირის მიმართ პასუხისმგებლობის ღონისძიებების შეფარდების თაობაზე.

გენერალურ ინსპექტორს, რომელიც ხელმძღვანელობს გენერალურ ინსპექციას, თანამდებობაზე დანიშნავს და გაათავისუფლებს შესაბამისი დაწესებულების ხელმძღვანელი. პრეზიდენტის ადმინისტრაციის გენერალურ ინსპექტორს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრეზიდენტი, ხოლო მთავრობის კანცელარიის გენერალურ ინსპექტორს - პრემიერ-მინისტრი.

გენერალურ ინსპექციაზე დაკისრებული ფუნქციების ეფექტური განხორციელების მიზნით, გენერალურ ინსპექციასთან შეიძლება შეიქმნას მონიტორინგის საბჭო, რომლის შემადგენლობაში იქნებიან საერთაშორისო ორგანიზაციების, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისა და სხვა არასამთავრობო სტრუქტურების წარმომადგენლები. მონიტორინგის საბჭოს შექმნის, დაკომპლექტებისა და უფლებამოსილების მინიჭების საკითხს წყვეტს დაწესებულების ხელმძღვანელი.

*24 საათი*

# მირცხულავას ისტორიულ-იურიდიული ანალიზი

„მე სტრასბურგში პროცესს მოვიგებ. ის პროექტები, რომლითაც დღეს ენერგეტიკის სფეროში ამაყობენ, ჩემი გაკეთებულია. თუ იურისპრუდენცია გარკვეულ ლოგიკას ექვემდებარება, ჩემი დაკავებისთვის და პატიმრობისთვის არანაირი ლოგიკა არ არსებობს“, - ასეთი გახლდათ სათბობ-ენერგეტიკის ყოფილი მინისტრის დავით მირცხულავას საბოლოო სიტყვა სააპელაციო სასამართლოში გამართულ პროცესზე. ისევე, როგორც პირველი ინსტანციის სასამართლოში, დავით მირცხულავა მეორე ინსტანციის სასამართლოშიც ირწმუნებოდა, რომ მისთვის წარდგენილი ბრალდებები უსაფუძვლო და აბსურდულია. ისტორიულ-იურიდიული ანალიზი - ასე უწოდა სათბობ-ენერგეტიკის ყოფილმა მინისტრმა პროცესზე წარმოდგენილ საკუთარ განცხადებას. სხვათა შორის, როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობის გათვალისწინებით, ექიმების სამედიცინო დასკვნით, სასამართლო სხდომაზე დავით მირცხულავს დასწრება მიზანშეწონილი არ გახლდათ, თუმცა, განსასჯელმა ექიმების რჩევა არ გაითვალისწინა და საკუთარი უდანაშაულობის დასადასტურებლად და განცხადების გასაკეთებლად პროცესზე დასწრება აუცილებლად ჩათვალა.

მოსამართლეს პასუხი უნდა გაეცა დავით მირცხულავას ადვოკატების მიერ წინა პროცესზე დაყენებული შუამდგომლობისთვის, რომლის მიხედვითაც, სათბობ-ენერგეტიკის მინისტრის ინტერესების დამცველები საქმიდან სადავო დოკუმენტების ამოღებას მოითხოვდნენ. როგორც მოსამართლემ განაცხადა, ამ საკითხზე ის განაჩენის გამოტანის დროს იმსჯელებს.

ერთი სიტყვით, დავით მირცხულავას საქმის არსებითი განხილვა მეორე ინსტანციის სასამართლოში დასრულდა. მომდევნო პროცესზე მხარეებს შორის კამათი გაიმართება. პროკურატურა საკუთარ პოზიციას დააფიქსირებს და გაირკვევა, მოითხოვს თუ სახელმწიფო ბრალდება წინა ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენის ძალაში დატოვებას, რომლითაც მირცხულავას 10 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.

*24 საათი*






# საფეხბურთო მასტერკლასი




მორიგი გოლი სერბების კარში.

**არგენტინა - სერბეთი 6:0**

**გოლები:** 1:0 მაქსი (6), 2:0 კამბიასო (31), 3:0 მაქსი (41), 4:0 კრესპო (78), 5:0 ტევესი (84), 6:0 მესი (88)
**გაფრთხილება:** კრესპო - კორომანი, ნადი, კრსტაიჩი
**გაძევება:** კეჟმანი (65)
**არგენტინა:** აბონდანსიერი, ბურდისო, აიალა, ჰაინცე, სორინი, მასკერანო, მაქსი (მესი 75), ლუჩო გონსალესი (კამბასო 17), რიკელმე, სავიოლა (ტევესი 58), კრესპო
**მწვრთნელი:** ხოსე პეკერმანი
**იუგოსლავია:** იევრიჩი, დულიაი, გავრანჩიჩი, დუდიჩი, კრსტაიჩი, ნადი (ეგრიჩი 46), კორომანი (ლუბოჟა 49)ბ სტანკოვიჩი, ჯორჯევიჩი, მილოშევიჩი (ვუკიჩი 70), კეჟმანი
**მწვრთნელი:** ილია პეტკოვიჩი
**მსაჯი:** რობერტო როსეტი
**9 კარში დარტყმა 1**
**11 კარისკენ დარტყმა 4**
**14 ჯარიმა 22**
**3 კუთხური 4**
**3 თამაშგარე 0**
**58% ბურთის ფლობა 42%**
**მატჩის საუკეთესო მოთამაშე:** ხუან რომან რიკელმე

# მშვიდობით სპილოებო




კოტდივუარელები მუნდიალს დაემშვიდობნენ.

**ჰოლანდია - კოტ-დ'ვუარი 2:1**

**გოლები:** 1:0 ვან პერსი (23), 2:0 ვან ნისტელროი (27), 2:1 ბაკარი კონე (38)
**გაფრთხილება:** მატისენი, ლანდზაატი, ვან ბომელი - ზოკორა, არუნა კონე, დროგბა, ბოკა
**ჰოლანდია:** ვან დერ სარი, ჰეიტინგა (ბულაჰრუზი 46), ოიერი, მატისენი, ვან ბრონკჰორსტი, ვან ბომელი, სნეიდერი (ვან დერ ვაარტი 50), ვან ნისტელროი (ლანდზაატი 73), რობენი
**მწვრთნელი:** მარკო ვან ბასტენი
**კოტ-დ'ვუარი:** ტიზე, ებუე, კოლო ტურე, მეიტე, ბოკა, ზოკორა, იაია ტურე, არუნა კონე (აკალე 73), ბაკარი კონე (იაპი იაპო 62), რომარიკი (დინდანი 62), დროგბა
**მწვრთნელი:** ანრი მიშელი
**მსაჯი:** ოსკარ რუისი (კოლუმბია)
**8 კარში დარტყმა 9**
**9 კარისკენ დარტყმა 16**
**24 ჯარიმა 15**
**3 კუთხური 8**
**6 თამაშგარე 4**
**51% ბურთის ფლობა 49%**
**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი:** არიენ რობენი

# მექსიკა შეაჩერეს



ჟოაო რიკარდომ მექსიკელებს რვა დარტყმა აუღო.

**მექსიკა - ანგოლა 0:0**

**მექსიკა:** სანჩესი, სალკიდო, მარკესი, ოსორიო, ტორადო, პარდო, ფრანკო (ფონსეკა, 74`), პინედა (მორალესი, 78`), მენდესი, ბრავო, ზინია (ალერანო, 52`).
**მწვრთნელი:** რიკარდო ლა ვოლპე.
**ანგოლა:** ჟოაო რიკარდო, ჯამბა, კალი, ანდრე, მათეუსი (მანტორასი, 68`), აკვა, მენდონსა, ფიგეირედო (რუი მარკესი, 73`), ზე კალანგა (მილოი, 83`), ლოკო, დელგადო.
**მწვრთნელი:** ლუის დე ოლივეირა გონსალვეში.
**გაფრთხილება:** დელგადო, ანდრე, პინედა, ზე კალანგა, ჟოაო რიკარდო
**გაძევება:** ანდრე (79`)
**მსაჯი:** შამსულ მაიდინი (სინგაპური)
**13 კარში დარტყმა 8**
**8 კარისკენ დარტყმა 1**
**20 ჯარიმა 22**
**6 კუთხური 5**
**0 თამაშგარე 8**
**54 ბურთის ფლობა 46**
**მატჩის საუკეთესო მოთამაშე:** ჟოაო რიკარდო (ანგოლა)


## შპს „საქართველოს რკინიგზა" 2006 წლის 17 ივნისიდან აცხადებს ტენდერს საქართველოს რკინიგზის კუთვნილი ავტოტრანსპორტის ტექნიკური მომსახურეობის შესყიდვის შესახებ

1) შპს "საქართველოს რკინიგზა" (ქ. თბილისი, 0112 თამარ მეფის გამზ. 15 ს/ს ბანკი "რესპუბლიკა", ანგარიშის №3407003205, კოდი 220101757), აცხადებს ტენდერს რვა ლოტად შპს "საქართველოს რკინიგზის" კუთვნილი ავტოტრანსპორტის ტექნიკური მომსახურეობის შესასყიდად და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირს (საქართველოს ან უცხო ქვეყნის იურიდიული ან/და ფიზიკური პირი).

| ლოტი № | ობიექტის დასახელება | განსაკუთრებული თავისებურება | რაოდენობა | მიწოდების ადგილი |
|---|---|---|---|---|
| ლოტი №1 | მსუბუქი ავტოტრანსპორტი | საბჭ. წარმოების | 44 ერთეული | ქ. თბილისი |
| | | უცხოური წარმოების | 39 ერთეული | |
| ლოტი №2 | სატვირთო ავტოტრანსპორტის | | 55 ერთეული | |
| ლოტი №3 | მსუბუქი ავტოტრანსპორტი | საბჭ. წარმოების | 13 ერთეული | ქ. ხაშური |
| | | უცხოური წარმოების | 1 ერთეული | |
| ლოტი №4 | სატვირთო ავტოტრანსპორტის | | 21 ერთეული | |
| ლოტი №5 | მსუბუქი ავტოტრანსპორტი | საბჭ. წარმოების | 24 ერთეული | ქ. სამტრედია |
| | | უცხოური წარმოების | 4 ერთეული | |
| ლოტი №6 | სატვირთო ავტოტრანსპორტის | | 50 ერთეული | |
| ლოტი №7 | მსუბუქი ავტოტრანსპორტი | საბჭ. წარმოების | 4 ერთეული | ქ. ბათუმი |
| | | უცხოური წარმოების | 4 ერთეული | |
| ლოტი №8 | სატვირთო ავტოტრანსპორტის | | 7 ერთეული | |

2) დაინტერესებულ იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირებს გასაწევი სამუშაოების შესახებ სრული ინფორმაციის მიღება შეეძლებათ შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტოში, პრეტენდენტის მიერ სატენდერო მოსაკრებლის 200 ლარის გადახდის შემდეგ, რეკვიზიტებზე ს/ს ბანკი "რესპუბლიკა", ანგარიშის №3407003205, კოდი 220101757. პრენდენტი წარმოადგენს შესაბამის გადახდის ქვითრისა და სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნის შესახებ მომართვის წერილს, რის შემდგომაც მათ სატენდერო დოკუმენტაციასთან ერთად გადაეცემათ დეფექტური აქტები განსახორციელებელი სამუშაოების მოცულობის აღწერით.

3) დაინტერესებულმა იურიდიულმა ან/და ფიზიკურმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები (პრეტენდენტებთან ტექნიკური მაჩვენებლების და სხვა მონაცემების დაზუსტების მიზნით), ქართულ ან/და რუსულ ენაზე უნდა წარმოადგინონ დალუქული პაკეტებით 2006 წლის **10 და 11 ივლისს** 9.00 საათიდან 18.00 საათამდე, ორ ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი), შემდეგ მისამართზე: შპს "საქართველოს რკინიგზა", ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. №15, მე-3 სართული, შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტო.

საკვალიფიკაციო მონაცემების შეფასება მოხდება საკვალიფიკაციო მონაცემების წარმომდგენი იურიდიული ან/და ფიზიკური პირების მონაცემების საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის გზით, აგრეთვე ტექნიკური მაჩვენებლების და სხვა მონაცემების დაზუსტების შემდეგ მხედველობაში მიიღება მხოლოდ მათი შესაბამისობა შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნებთან.

4) საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს ცნობებსა და ინფორმაციას:

**4.1. იურიდიული პირებისათვის;**

1. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
2. ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;
3. ცნობა სასამართლოდან რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება;
4. შესაბამისი სამუშაოს შესრულების გამოცდილების დამადასტურებელი საბუთები.
5. სატენდერო წინადადების უზრუნველყოფისათვის სატენდერო წინადადების ღირებულების 1%-იანი საბანკო გარანტიის წარმოდგენა, **რომლის მოქმედების ვადა ერთი თვით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას.**

**4.2. ფიზიკური პირებისათვის:**

ა) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;
ბ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
გ) ინდ/მეწარმის რეგისტრაციის საბუთი;
დ) შესაბამისი სამუშაოს შესრულების გამოცდილების დამადასტურებელი საბუთები.
ე) სატენდერო წინადადების უზრუნველყოფისათვის სატენდერო წინადადების ღირებულების 1%-იანი საბანკო გარანტიის წარმოდგენა, **რომლის მოქმედების ვადა ერთი თვით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას.**

**4.3. როგორც ფიზიკურ, ისევე იურიდიული პირისათვის:**

- ინფორმაცია უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში განხორციელებული სამუშაოების შესახებ, მათ შორის რკინიგზის ობიექტებზე შესრულებული სამუშაოების შესახებ ასეთის არსებობის შემთხვევაში;

ყველა პრეტენდენტმა აუცილებლად უნდა წარმოადგინოს :

1. ხელმოწერილი (იურიდიული პირებისა და ინდივიდუალური მეწარმეთათვის ასევე ბეჭდით დამოწმებული), სატენდერო წინადადება (ნიმუში წარმოდგენილია სატენდერო დოკუმენტაციაში) რომელშიც აუცილებლად უნდა იყოს მითითებული ლოტის ღირებულება, სატენდერო წინადადების მოქმედების ვადა, პრეტენდენტისათვის სასურველი ანგარიშსწორების პირობები, საქონლის მიწოდების ვადები.
2. ხელმოწერილი (იურიდიული პირებისა და ინდივიდუალური მეწარმეთათვის ასევე ბეჭდით დამოწმებული) ხარჯთაღრიცხვა (ნიმუში წარმოდგენილია სატენდერო დოკუმენტაციაში სამუშაოთა ყველა სახეობაზე.
3. სატენდერო წინადადების ფასი წამოდგენილი უნდა იქნას ეროვნულ ვალუტაში;

პრეტენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციისა და სატენდერო განცხადების მოთხოვნებს.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შპს „საქართველოს რკინიგზა"-ს შესყიდვების სააგენტოში, ტელ: 56-46-24

**სატენდერო კომისია.**

1. უცხო ქვეყნების წარმოამადგენლების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი უნდა იქნას შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან კანონით დადგენილი წესითა და ლეგალიზებული სახით.


## მოკლედ

### „მაიამიმ" ანგარიში გაათანაბრა

NBA-ში მიმდინარე ფინალურ სერიაში ანგარიში გათანაბრდა. „მაიამიმ" საკუთარ მოედანზე გამართული მეორე მატჩიც მოიგო, ამჯერად ანგარიშით 98:74 და ვითარება საოცრად დაიძაბა. ოთხი შეხვედრის შემდეგ ანგარიში საყაიმოა და ყველაფერს დარჩენილი სამი მატჩი გადაწყვეტს. შეგახსენებთ, რომ საკუთარი მოედნის უპირატესობას დალასელი კალათბურთელები ფლობენ. რაც შეეხება მეოთხე შეხვედრას, ანგარიშიდანაც ჩანს, რომ „მაიამი" სრულ უპირატესობას ფლობდა. მაიამელთა შორის ახლაც საუკეთესო იყო დუეინ ვეიდი, რომელმაც თავის გუნდს 16 ქულა შესძინა და 4-ჯერ მოხსნა ფარიდან ბურთი. სტუმართა გუნდში კი ჯერი სტექჰაუზი გამოირჩეოდა. მის ანგარიშზე 36 ქულა და ფარიდან მოხსნილი 6 ბურთია.

### ფიფა გააკრიტიკეს

ჯანდაცვის ევროპელმა ექსპერტებმა გააკრიტიკეს მსოფლიო ჩემპიონატის ორგანიზატორები და მთლიანად ფიფა იმის გამო, რომ მუნდიალის გენერალური სპონსორები ლუდის, სწრაფი კვებისა და გამაგრილებელი წყლების მწარმოებული კომპანიები არიან. ექსპერტების აზრით, ძნელი წარმოსადგენია, რით ხელმძღვანელობდა ფიფა, როდესაც ასეთ სპონსორებს ირჩევდა. ფეხბურთი ხომ ჯანმრთელი ცხოვრების წესის პროპაგანდაც უნდა იყოს.

### სკოლარის ნახევარი გოლიც ეყოფა

დღეს პორტუგალიის ნაკრები თავის მეორე მატჩს გამართავს მსოფლიო ჩემპიონატზე. სკოლარის გუნდი ირანელებს დაუპირისპირდება. თუ პორტუგალიელებმა ეს შეხვედრა მოიგეს, მერვედფინალის საგზურს გაინაღდებენ. „მიმაჩნია, რომ ჯგუფური ეტაპის ყველაზე რთული მატჩი გველის. ირანს ძალიან კარგი გუნდი ჰყავს. ამ შეხვედრაში ნებისმიერი ანგარიშით გამარჯვება მოგვცემდა ხელს. 1:0, 2:1. ეგ კი არა, ნახევარი გოლით რომ შეიძლებოდეს მოგება, არც მაგაზე ვიტყოდი უარს", - აცხადებს ბრაზილიელი სპეციალისტი.

### ჰიდინკი სიურპრიზს ამზადებს

ავსტრალიის ნაკრები ბრაზილიასთან მატჩისთვის დახურულ კარს მიღმა ემზადება. გუუს ჰიდინკი თავის გუნდს მთავარი მატჩისთვის ამზადებს და ამბობს, რომ ბრაზილიელებს საკმაოდ დიდ სიურპრიზს შესთავაზებს. „ცხადია, ბრაზილიის ნაკრები უფრო ძლიერია და მას მეტ პატივს სცემენ. მაგრამ შეუძლებელია მოემზადო მატჩისთვის და ამბობდე, რომ ამ შეხვედრას აუცილებლად წააგებ. ჩვენ ვემზადებით და მხოლოდ გამარჯვებაზე ვფიქრობთ. ბრაზილიელებს დიდი სიურპრიზი ელით", - განაცხადა ჰიდინკმა.

### კლინსმანმა ფეხბურთელები დაასვენა

მას შემდეგ, რაც გერმანიის ნაკრებმა გაინაღდა მერვედფინალში თამაშის უფლება, იურგენ კლინსმანმა ბუნდესნაკრების ფეხბურთელები 30-საათიანი თავისუფლებით დაასაჩუქრა. პარასკევს გამართული ვარჯიშის შემდეგ კლინსმანმა განუცხადა ფეხბურთელებს, რომ შაბათ საღამომდე თავისუფლები არიან და შეუძლიათ ნაკრების ბაზა დატოვონ.

### ოუენი ბედს შეურიგდა

ინგლისის ნაკრების ფორვარდმა მაიკლ ოუენმა აღიარა, რომ შესაძლოა შვედებთან მატჩში სათადარიგოთა სკამზე აღმოჩნდეს. „ეს საკითხი არ მაღელვებს. ჩემს კარიერაში იყო პერიოდი, როდესაც სათადარიგოთა სკამზე ვიჯექი. თუ მწვრთნელი ჩათვლის, რომ სათადარიგოთა შორის უნდა დავრჩე, პრობლემა არ მექნება. ჩვენს გუნდში 23 ფეხბურთელეია და, ცხადია, ვიღაცას აუცილებლად მოუწევს სკამზე ჯდომა", - აცხადებს ოუენი.

### ოპტიმისტი ტორესი

ესპანეთის ნაკრების ფორვარდი ფერნანდო ტორესი მიიჩნევს, რომ მის გუნდს მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის მოგებაც შეუძლია. „ჩვენს გუნდს ამ ჩემპიონატის მოგება შეუძლია და ეს შანსი ხელიდან არ უნდა გავუშვათ. ბედნიერი ვარ, რომ პირველივე მატჩში გოლი გავიტანე. უკრაინელთა კარში გატანილი გოლი უმნიშვნელოვანესია ჩემს კარიერაში", - აცხადებს ტორესი.

### სილვიო ბერლუსკონიმ თანამდებობა დაიბრუნა

იტალიური „მილანის" პრესსამსახურის ცნობით, იტალიის ყოფილი პრემიერ-მინისტრი სილვიო ბერლუსკონი კვლავ აირჩიეს „მილანის" პრეზიდენტად. შეგახსენებთ, რომ ბერლუსკონი „მილანის" პრეზიდენტის პოსტზე 1986-დან 2004 წლამდე მუშაობდა, თუმცა, მას იშემდეგ, რაც ის ქვეყნის პრემიერ-მინისტრი გახდა, კლუბის პრეზიდენტის პოსტის დატოვება გახდა საჭირო. ახლა კი, როცა ბერლუსკონი დიდ პოლიტიკას ჩამოაშორეს, სენიორ სილვიომ „მილანის" პრეზიდენტობა დაიბრუნა.

### სისე - „მარსელში"

„ლივერპულის" ფორვარდი ჯიბრილ სისე მომავალ სეზონს ფრანგულ „მარსელში" გაატარებს. მერსისაიდულმა კლუბმა უიღბლო ფორვარდი ერთი წლით იჯარის წესით გაუშვა ფრანგულ გრანდში. შეგახსენებთ, რომ სისეს მუნდიალზეც უნდა ეთამაშა, მაგრამ ფრანგების მიერ გამართულ ბოლო ამხანაგურ მატჩში ფეხი მოიტეხა.

### როგორ ემალებიან ჟურნალისტებს

როგორც იცით, დიეგო მარადონა ამჟამად გერმანიაშია და ერთ-ერთი არგენტინული ტელევიზიისთვის საფეხბურთო მატჩების რეპორტაჟებს უძღვება. გუშინ დიეგო სერბეთისა და არგენტინის მატჩს უნდა დასწრებოდა. რაც შეეხება გუშინდელ ღამეს, მარადონამ ღამის გასათევად ოთხ სხვადასხვა სასტუმროში დაჯავშნა ნომერი. სერბეთ-არგენტინის მატჩი დორტმუნდში გაიმართა და დიეგოს ორ დორტმუნდულ სასტუმროში ჰქონდა აღებული ნომრები. ამავე დროს მარადონამ გელზენკირხენსა და უინშიც დაჯავშნა ნომრები. როგორც ჩანს, სწორედ ასე ემალება დიეგო მარადონა ათასობით ჟურნალისტს, რომლებიც მასთან შეხვედრას ლამობენ.

### „აიაქსს" მობეზრდა

ამსტერდამის „აიაქსი" აღარაა დაინტერესებული ედგარ დავიდსის შეძენით. კარგა ხნის განმავლობაში ჰოლანდიური კლუბი ელოდა პიტბულის საბოლოო გადაწყვეტილებას, თუმცა ედგარს დღემდე არ გადაუწყვეტია, ინგლისში დარჩება თუ სამშობლოში დაბრუნდება. ამსტერდამული კლუბის ხელმძღვანელთა მოთმინების ფიალა კი აივსო და მათ დავიდსის შეძენაზე უკვე ოფიციალურად თქვეს უარი.

### უკრაინა სუსტი გუნდია

საუდის არაბეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი მარკუს პაკეტა მიიჩნევს, რომ მისი გუნდის მომავალი მეტოქე უკრაინის ნაკრები მუნდიალის ერთ-ერთი ყველაზე სუსტი გუნდია. „პირველ მატჩში ორი ქულა დავკარგეთ და ახლა ჩვენ და ტუნისს მომდევნო ეტაპზე გასვლის ერთნაირი შანსი გვაქვს. უკრაინა კი, რომელმაც სამი ქულა დაკარგა, ძალიან სუსტი გუნდია. ახლა უკრაინელებმა საკუთარ სტილს უნდა უღალატონ. მიმაჩნია, რომ ამ გუნდის დამარცხება არ გაგვიჭირდება", - აცხადებს საუდის არაბეთის ნაკრების მწვრთნელი.

### ამერიკელები ტერორისტებს ემალებიან

აშშ-ს ნააკრების ფეხბურთელებმა ორი დღით დატოვეს ჰამბურგის ერთ-ერთი ფეშენებელური სასტუმრო და ახლა სამხედრო ბაზაზე ცხოვრობენ.

მიზეზი ყველასთვის კარგადაა ცნობილი: არსებობს ტერაქტების საშიშროება და ტერორისტების მთავარი სამიზნე სწორედ აშშ-ს ნაკრები გუნდია. როგორც ჩანს, გერმანულ სპეცსამსახურებს ჰქონდათ რაღაც ინფორმაცია და ამიტომ ამერიკის ნაკრები სამხედრო ბაზაზე გადაიყვანეს.


## განცხადება

**შემზეთი და საპოხი მასალის შესყიდვის შესახებ სატენდერო განცხადებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

1. შპს "საქართველოს რკინიგზის" მიერ 2006წ 2 ივნისს გამოცხადებულ *შემზეთი და საპოხი მასალის შესყიდვის შესახებ* სატენდერო განცხადებაში შევიდეს ცვლილება, კერძოდ:

ა) განცხადების პირველ პუნქტში №1 ლოტის - ინდუსტრიული ზეთი И-40-А-ს რაოდენობა ნაცვლად 85ტნ-სა განისაზღვროს 79 ტონით.

ბ) განცხადების პირველ პუნქტში №2 ლოტის რედუქტორის ზეთი ОСп-Л-ს რაოდენობა ნაცვლად 100ტონისა განისაზღვროს 80 ტონით.

გ) განცხადების პირველი პუნქტის №6 ლოტში ნაცვლად "დიზელის ზეთი "კასტროლი"-სა იკითხებოდეს დიზელის ზეთი 20W50".

დ) განცხადების პირველი პუნქტში ნაცვლად ანტიფრიზი "Тосол-60"-სა იკითხებოდეს ანტიფრიზი "Тосол-65", ხოლო მისი ოდენობა ნაცვლად 2400 ლიტრისა განისაზღვროს 400 ლიტრით.

2. შპს "საქართველოს რკნიგზის" მიერ გამოცხადებული შემზეთი და საპოხი მასალის შესყიდვის შესახებ სატენდერო განცხადების დანარჩენი დებულებები რჩება უცვლელი.

**სატენდერო კომისია**

# ახალი სისხლი ქართული კინოსთვის

## „სამხრეთ კავკასიის დამოუკიდებელ კინემატოგრაფისტთა ასოციაციის" გეგმები

რამდენიმე დღის წინ ქართული კინოს გადარჩენის მსურველთა არმიას „სამხრეთ კავკასიის დამოუკიდებელ კინემატოგრაფისტთა ასოციაცია" (IFA-SC) შეუერთდა. ასოციაცია უკვე ერთი წელია არსებობს, მაგრამ მხოლოდ ახლა გაამჟღავნა საკუთარი სურვილები და გეგმები.

„სამხრეთ კავკასიის დამოუკიდებელ კინემატოგრაფისტთა ასოციაციის" სლოგანების ნაკრები ასე ჟღერს: პროფესიონალების მიერ პროფესიონალებისთვის შექმნილი უნიკალური პლატფორმა, სამხრეთ კავკასიის კინოსაზოგადოების საერთო ინტერესების მხარდაჭერა, კინოპროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება, სადისტრიბუციო სისტემის შექმნა და კინოსაზოგადოების ინტერესების ლობირების პოზიციის გაძლიერება.

გარდა ამისა, ასოციაციის მიზანია სომხეთის, აზერბაიჯანისა და საქართველოს კინოსაზოგადოებების დახმარება კულტურულად და ეკონომიკურად ძლიერ საზოგადოებრივ სექტორად ჩამოყალიბებისთვის.

ასოციაცია შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC) დაფინანსებითა და მხარდაჭერით შეიქმნა. მას კონსულტაციას უწევს შვეიცარიის კინოსა და აუდიოვიზუალური მედიის პროფესიული სწავლების ფონდი (FOCAL).

მიმდინარე წლის განმავლობაში ასოციაციას შორს მავალი გეგმები აქვს: სცენარისტების, პროდიუსერებისა და მონათესავე პროფესიების (კინოკრიტიკოსები, ჟურნალისტები, კინოშესყიდვების პროფესიონალები და ა.შ) ტრენინგი კინოპროექტების ევროპული სტანდარტებით განვითარებისა და მომზადების მიზნით. ტრენინგს უხელმძღვანელებს საფრანგეთში მოღვაწე ხორვატი პროდიუსერი სედომირ კოლარი. ის „ოსკარზე" იყო ნომინირებული ფილმისათვის „წვიმის მოსვლამდე" (რეჟისორი მილქო მანჩევსკი), ხოლო ეს პრიზი მიიღო დანის ტანოვიჩის ფილმის „არავის მიწა" პროდიუსერობისთვის.

ტრენინგში ასევე მონაწილეობას მიიღებს ბრიტანელი სცენარისტი კლერ დონსი. ის ევროკავშირის პროდიუსერების ტრენინგის პროგრამის EAVE ერთ-ერთი დამფუძნებელია. აგრეთვე კანის კინოაკადემიის, BAFTA-ს და სან-სებასტიანის ფესტივალის არაერთი ჯილდოს მფლობელია ფილმებისთვის „კაბა", „მაღალი სეზონი" და ა.შ.

ტრენინგი დაიწყება 2006 წლის ივლისში. მას წაუძღვება კინოგაყიდვების აგენტი შვეიცარელი კრისტა სარედი. სწორედ მისი დამსახურებაა ისეთი რეჟისორების კარიერის განვითარება, როგორებიც არიან ჯიმ ჯარმუში, ენგ ლი, მიხაელ ჰანეკე, ბახტარ ხუდოზნაზაროვი და სხვები. სარედი კრისტა წარმოადგენდა და ყიდდა ლარს ფონ ტრიერის, ამოს კოლერის, მირა ნაირისა და სხვების ფილმებს.

„სამხრეთ კავკასიის დამოუკიდებელ კინემატოგრაფისტთა ასოციაციის" მიერ დაგეგმილი ღონისძიებების ნუსხის დანარჩენი ნაწილი ასეთია: პირველად ამიერკავკასიაში ხმის პირდაპირ ჩამწერი ციფრული აპარატურისა და ხმის სამონტაჟო მოწყობილობის შეძენა და შესაბამისი პროფესიონალური ტრენინგის უზრუნველყოფა; სამხრეთ კავკასიის კინოსექტორის საბაზრო კვლევის განხორციელება; პროდიუსერებისა და კინოგაყიდვებით დაინტერესებული პირების პროფესიული მომზადება; ამიერკავკასიის კინოპროექტების ლობირება და პოტენციური პროდიუსერების მოზიდვაში მხარდაჭერა; იურიდიული ინიციატივების მომზადება კინოწარმოებაში ინვესტირების მოზიდვის მიზნით; პროფესიული ინფორმაციის მიწოდება კინოპროექტების განვითარების, კინოპაკეტების შექმნის, საფესტივალო კონტაქტების დამყარების, ქსელური მუშაობისა და სხვათა შესახებ.

ასოციაცია ასევე აწარმოებს მოლაპარაკებას ისეთ ცნობილ მენტორებთან და კონსულტანტებთან, როგორებიც არიან რეჟისორი და სცენარისტი კშიშტოფ ზანუსი, სცენარისტი და კონსულტანტი ტომას შლეზინგერი და დრამატურგი რუსტამ იბრაგიმბეკოვი.

# მადლობა

ულრმესი მადლობა შპს "უნიკალი"-ს კლინიკური საავადმყოფოს დირექტორსა და ექიმ-ანესთეზიოლოგს ლევან ასლანაძეს, ოპერატორს პროფესორ ზურაბ ბერიაშვილს, ქირურგს ზურაბ დაუშვილს, ექიმებს: გიორგი აბუსელიძეს, ლევან გვასალიას, თემურ გურეშიძეს და მთელ მედპერსონალს დედაჩვენისთვის - ზინა მერაბიშვილისთვის ჩატარებული უნაკლო ოპერაციისათვის და გამოვლენილი გულისხმიერებისათვის.

ღმერთმა ამრავლოს და ხელი მოუმართოს მათ და მათნაირ ექიმებს.

**ნუგზარი, მედიკო, კოტე**

# საქართველოს მთიანი და მაღალმთიანი რეგიონების სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამის მართვის ცენტრი

**აცხადებს კონკურსს სასოფლო-სამეურნეო მანქანების სპეციალისტის დაქირავებაზე (მოკლევადიანი კონტრაქტი)**

**ძირითადი მოვალეობები:**

პროგრამის სამოქმედო რაიონების (დუშეთი, ასპინძა, შუახევი, ამბროლაური) ფერმერის სახლებში განთავსებული სასოფლო-სამეურნეო მანქანა-დანადგარების:

- ტექნიკური მდგომარეობის შესწავლა;
- ღირებულების განსაზღვრა;
- აღნიშნული ტექნიკის შესაბამისობის დადგენა პროგრამის სამოქმედო რაიონებთან;
- შეუსაბამობის დადგენის შემთხვევაში რეკომენდაციის მომზადება ტექნიკის გაცვლის ან გაყიდვის მიზნით;
- ზემოთ აღნიშნული დავალებების შესრულების შესახებ დეტალური ანგარიშის წარმოდგენა.

**კვალიფიკაცია და მოთხოვნები:**

1. შესაბამისი უმაღლესი განათლება;
2. სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შეფასების დადასტურებული პრაქტიკული გამოცდილება.
3. მინიმუმ 3-წლიანი პროფესიული გამოცდილება;
4. საერთაშორისო ორგანიზაციებთან მუშაობის გამოცდილება.
5. კომპიუტერთან მუშაობის უნარ-ჩვევები.

დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ კვალიფიკაციისა და მოთხოვნების დამადასტურებელი საბუთები.

საბუთების მიღება იწარმოებს პროგრამის მართვის ცენტრში ა.წ. 19 ივნისიდან 23 ივნისის ჩათვლით 10:00-დან 17:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე:

თბილისი, კოსტავას ქ. 41, სოფლის მეურნეობის სამინისტროს შენობა, ოთახი 501, ტელ.: 98-53-44; 92-39-71.

ელექტრონული ფოსტა: pmu@rdpmha.org.ge

# ირლანდიელის გამარჯვება

ირლანდიელმა მწერალმა კოლბ ტოიბინმა Impac-ის პრემია მოიპოვა, რომელიც 100 ათას ევროს შეადგენს.

Impac ყველაზე „ძვირფასი" ლიტერატურული პრემიაა მსოფლიოში. მწერალმა იგი დაიმსახურა ბოლო რომანისთვის „ოსტატი". წიგნი მწერალ ჰენრი ჯეიმსის ბიოგრაფიაა. რომანი 2004 წელს ბრიტანულ პრემია „ბუკერზეც" იყო ნომინირებული, 2005 წელს ფრანგული პრემია „საუკეთესო უცხოენოვანი წიგნისთვის" დაიმსახურა და ამავდროულად „ლოს ანჯელეს თაიმსმა" წლის საუკეთესო წიგნად აღიარა.

ტოიბინი პირველი ირლანდიელი მწერალია, რომელმაც ეს პრემია დაიმსახურა.

Impac-ის პრემია 1995 წელს დაარსდა. ის საერთაშორისო ლიტერატურული პრემიაა, რომლის სამშობლო დუბლინია. კონკურსში იღებენ ყველა ენაზე დაწერილ წიგნებს, ყველა ეროვნების ავტორთა ნამუშევრებს. ერთადერთი პირობაა, რომ წარდგენილი წიგნი ინგლისურ ენაზე უნდა იყოს თარგმნილი.

მწერალმა განმარტა, რომ შეეცადა დაეწერა ისეთი წიგნი, რომელიც იმ მკითხველისთვისაც იქნებოდა საინტერესო, რომელსაც ჰენრი ჯეიმსის მიერ დაწერილი არც ერთი წინადადება არ წაუკითხავს.

ჟიურიმ აღნიშნა, რომ ტოიბინის წიგნი, რომელიც „მხოლოდ ჰენრი ჯეიმსის პიროვნების კვლევა არ არის, საუკეთესო მხატვრული ნაწარმოებია. რომანის ამოცანაა გმირის სულიერ ღელვაში ჭეშმარიტების შეცნობა. სწორედ აქედან იბადება დახვეწილი და ლამაზი ცხოვრებისეული და ლიტერატურული მიგნებები."

Impac-ის საფინალო ჩამონათვალში ასევე აღმოჩნდნენ ბრიტანელი ჯონათან კოე, ასევე ირლანდიელი რონან ბენეტი და კრის აბანი ნიგერიიდან.

ამ პრემიის ლაურეატები არიან ორჰან პამუკი (წიგნისთვის „მე მქვია წითელი") და მიშელ უელბეკი („ელემენტარული ნაწილაკები").

# to be or not to be - მონოლოგი ინტერნეტში

შექსპირისა და ზოგადად ლიტერატურის მოყვარულთა სასიხარულოდ, ინტერნეტის უსასრულობაში კიდევ ერთი ახალი სადგური გაჩნდა. Google-მა შექსპირის საიტი გახსნა.




საიტზე შეიძლება ცნობილი დრამატურგის ოცდაჩვიდმეტივე პიესის წაკითხვა ორიგინალში, ასევე მისი ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ არსებული კვლევებისა და სხვადასხვა ინსცენირებების შესახებ არსებული ინფორმაციის მიღება. ამას გარდა, საიტი იტევს უილიამ შექსპირის პიესების არაერთ თეატრალურ დადგმას, რომლის ხილვაც თავისუფლადაა შესაძლებელი.

ახალი რესურსი ინტეგრირებულია Google Book Search-თან, რაც მომხმარებელს საშუალებას აძლევს გაეცნოს მსოფლიოს მრავალი ბიბლიოთეკის წიგნებსა და გამოცემებს. მათ შორის იმ გამოცემებს, რომლებიც XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისს ეკუთვნის. სასურველი წიგნის მოძებნა შეიძლება ავტორისთვის „ახლობელი", ნებისმიერი ფრაზის მინიშნებით. მაგალითად, თუ ჩაწერთ ფრაზას: to be or not to be, „ჰამლეტის" 100 გამოცემას გადაეყრებით. ამას გარდა, Google Earth-ის მომსახურების საშუალებით შესაძლებელია იხილოთ შექსპირის თეატრის არაერთი ფოტოსურათი.

# განცხადება

**საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოს დაცვის ინსპექცია აცხადებს ტენდერს ავტოგასამართი საწყავის შესყიდვაზე და იწვევს დაინტერესებულ პირებს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.**

დაფინანსების წყარო - სახელმწიფო ბიუჯეტი

შესყიდვის ობიექტი - საავტომობილო საწვავი

ლოტი №1 - ბენზინი აი 95 (პრემიუმი), რაოდენობა - 120000 ლიტრი

ლოტი №2 - დიზელის საწვავი PPM-50, რაოდენობა - 5000 ლიტრი

ტენდერში გამარჯვებულის მიერ აღნიშნული საქონლის მიწოდება უნდა მოხდეს შემსყიდველის მიერ წინასწარ განსაზღვრული საქონლის რაოდენობისა და მიწოდების გრაფიკის შესაბამისად გამარჯვებულის ავტოგასამართ სადგურებზე საბარათო (ტალონების) სისტემის გამოყენებით.

დაინტერესებულ პირებს სატენდერო დოკუმენტაციის მიღება შეეძლებათ შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გ. გულუას ქუჩა №6, საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება გარემოს დაცვის ინსპექცია, მე-6 სართული. სატენდერო კომისიის აპარატი. ტ. 275775, 275770.

პრეტენდენტებმა სატენდერო დოკუმენტაციის მისაღებად უნდა გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით შემდეგ ანგარიშზე: საქართველოს ეროვნული ბანკი 220101107, ანგარიში № 200122900 სახაზინო კოდი 302003000. სატენდერო მოსაკრებლის გადახდისა და შესაბამისი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ პრეტენდენტებს შესაბამისი დოკუმენტაცია (ქართულ ენაზე) გადაეცემათ მოთხოვნისთანავე, 2006 წლის 19 ივნისიდან 2006 წლის 7 ივლისის 18 საათამდე მისამართზე: ქ. თბილისი, გ. გულუას №6, მე-6 სართული, გარემოს დაცვის ინსპექცია, სატენდერო კომისიის აპარატი.

ტენდერში მონაწილეობის მისაღებად პრეტენდენტებმა უნდა წარმოადგინონ განაცხადი და საკვალიფიკაციო მონაცემები, რომლებიც უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

იურიდიულ პირთათვის:

1. მსურველის იურიდიული პირის ქონებაზე არ უნდა იყოს დადებული ყადაღა (ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);

2. მის მიმართ არ უნდა ხორციელდებოდეს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია, არ უნდა მიმდინარეობდეს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება (ცნობა სასამართლოდან). უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოებიდან;

3. მსურველის იურიდიული პირის ხელმძღვანელები ბოლო 5 წლის განმავლობაში არ უნდა იყვნენ მსჯავრდებულნი დაშესყიდვის დაწყების მომენტისათვის მათ მიმართ არ უნდა იყოს აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან). უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოებიდან.

ფიზიკურ პირთათვის:

1. მის მიმართ არ უნდა მიმდინარეობდეს გაკოტრების საქმის წარმოება (ცნობა სასამართლოდან);

2. უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ უნდა იყოს მსჯავრდებული და შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მის მიმართ არ უნდა იყოს აღძრული სისხლის სამართლის საქმე მის ეკონომიურ და სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან).

საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე და წარმოდგენილი დახურული პაკეტით, სატენდერო კომისიის აპარატში, ხელმძღვანელის ან მის მიერ წერილობით უფლებამოსილი პირის მიერ, 2006 წლის 10 ივლისის 15 საათამდე მისამართზე: გ. გულუას ქუჩა №6, მე-6 სართული, გარემოს დაცვის ინსპექცია, სატენდერო კომისიის აპარატი.

პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება უნდა იყოს ხელმოწერილი ხელმძღვანელი პირის მიერ. ხელმოუწერელი სატენდერო წინადადება არ განიხილება.

პრეტენდენტების განაცხადის, საკვალიფიკაციო მონაცემებისა და სატენდერო წინადადებების გახსნა და შერჩევა მოხდება პრეტენდენტთა თანდასწრებით 2006 წლის 10 ივლისს, 15 საათზე, ზემოთ აღნიშნულ მისამართზე.

დაგვიანებით შემოსულ განცხადებებს, საკვალიფიკაციო მონაცემებსა და სატენდერო წინადადებებს სატენდერო კომისია არ განიხილავს და უბრუნებს წარმომდგენ პირს.

ალტერნატიული სატენდერო წინადადება არ განიხილება.

ტენდერის დროს გამოვლინდება ერთი ან რამდენიმე გამარჯვებული, ლოტების მიხედვით.

ტენდერი ტარდება საქართველოს კანონის "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საფუძველზე.

შესყიდვაში მონაწილეობის მსურველებს შეუძლიათ მიიღონ დამატებითი ინფორმაცია სატენდერო კომისიის აპარატში ზემოთ აღნიშნულ მისამართზე და ტელეფონზე 255770, 255775.

საკონტაქტო პირი როლანდ ჩაჩავა. ტ. 895509840.

**საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ქ. ბათუმის 3 საპყრობილეს მიერ კვების პროდუქტების შესყიდვაზე 2006 წლის 5 ივნისის გაზეთ "24 საათში" გამოქვეყნებულ განცხადებაში ტენდერის ჩატარების შესახებ შეტანილი იქნა ცვლილებები და განცხადებები.**

ჩამოყალიბდეს შემდეგი შინაარსით:

| რიგ. № | მისაწოდებელი საქონლის მოკლე დახასიათება | რაოდენობა | მიწოდების ადგილი | მიწოდების გრაფიკული ვადები |
|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
| 1 | პირველი ხარისხის პური ახალ მდგომარეობაში ლოტი №1 | 56100 კგ | ხელვაჩაურის რაიონი სოფ. ურეხი, ბათუმის №3 საპყრობილე | 1 ივლისიდან 31 დეკემბრის ჩათვლით ყოველდღიურად. მიწოდება 10 საათზე მოთხოვნათა მიხედვით. |
| 2 | გაყინული თევზი ლოტი №2 | 480 კგ | ხელვაჩაურის რაიონი სოფ. ურეხი, ბათუმის №3 საპყრობილე | 1 ივლისიდან 31 დეკემბრის ჩათვლით ყოველთვიური მოთხოვნის მიხედვით. |
| 3 | კარტოფილი ლოტი №3 | 13500 კგ | ხელვაჩაურის რაიონი სოფ. ურეხი, ბათუმის №3 საპყრობილე | 1 ივლისიდან 30 სექტემბრის ჩათვლით ყოველთვიური მოთხოვნის მიხედვით |
| 4 | კარტოფილი ლოტი №4 | 13500 კგ | ხელვაჩაურის რაიონი სოფ. ურეხი, ბათუმის №3 საპყრობილე | 1 ოქტომბრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით ყოველთვიური მოთხოვნის მიხედვით |
| 5 | კომბოსტო ლოტი №5 | 1200 კგ | ხელვაჩაურის რაიონი სოფ. ურეხი, ბათუმის №3 საპყრობილე | 1 ივლისიდან 30 სექტემბრის ჩათვლით ყოველთვიური მოთხოვნის მიხედვით |
| 6 | კომბოსტო ლოტი №6 | 1200 კგ | ხელვაჩაურის რაიონი სოფ. ურეხი, ბათუმის №3 საპყრობილე | 1 ოქტომბრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით ყოველთვიური მოთხოვნის მიხედვით |
| 7 | სტაფილო ლოტი №7 | 240 კგ | ხელვაჩაურის რაიონი სოფ. ურეხი, ბათუმის №3 საპყრობილე | 1 ივლისიდან 31 დეკემბრის ჩათვლით ყოველთვიური მოთხოვნის მიხედვით |
| 8 | ჭარხალი ლოტი №8 | 240 კგ | ხელვაჩაურის რაიონი სოფ. ურეხი, ბათუმის №3 საპყრობილე | 1 ივლისიდან 31 დეკემბრის ჩათვლით ყოველთვიური მოთხოვნის მიხედვით |
| 9 | ხახვი ლოტი №9 | 450 კგ | ხელვაჩაურის რაიონი სოფ. ურეხი, ბათუმის №3 საპყრობილე | 1 ივლისიდან 30 სექტემბრის ჩათვლით ყოველთვიური მოთხოვნის მიხედვით |
| 10 | ხახვი ლოტი №10 | 500 კგ | ხელვაჩაურის რაიონი სოფ. ურეხი, ბათუმის №3 საპყრობილე | 1 ოქტომბრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით ყოველთვიური მოთხოვნის მიხედვით |
| 11 | ბარდა ლოტი №11 | 1700 კგ | ხელვაჩაურის რაიონი სოფ. ურეხი, ბათუმის №3 საპყრობილე | 1 ივლისიდან 31 დეკემბრის ჩათვლით ყოველთვიური მოთხოვნის მიხედვით |
| 12 | ბრინჯი ლოტი №12 | 1200 კგ | ხელვაჩაურის რაიონი სოფ. ურეხი, ბათუმის №3 საპყრობილე | 1 ივლისიდან 31 დეკემბრის ჩათვლით ყოველთვიური მოთხოვნის მიხედვით |
| 13 | მაკარონი ლოტი №13 | 2700 კგ | ხელვაჩაურის რაიონი სოფ. ურეხი, ბათუმის №3 საპყრობილე | 1 ივლისიდან 31 დეკემბრის ჩათვლით ყოველთვიური მოთხოვნის მიხედვით |
| 14 | შაქარი ლოტი №14 | 3300 კგ | ხელვაჩაურის რაიონი სოფ. ურეხი, ბათუმის №3 საპყრობილე | 1 ივლისიდან 31 დეკემბრის ჩათვლით ყოველთვიური მოთხოვნის მიხედვით |
| 15 | მცენარეული ზეთი რაფირინებული ლოტი №15 | 1700 ლ | ხელვაჩაურის რაიონი სოფ. ურეხი, ბათუმის №3 საპყრობილე | 1 ივლისიდან 31 დეკემბრის ჩათვლით ყოველთვიური მოთხოვნის მიხედვით |
| 16 | ტომატპასტა ლოტი №16 | 306 კგ | ხელვაჩაურის რაიონი სოფ. ურეხი, ბათუმის №3 საპყრობილე | 1 ივლისიდან 31 დეკემბრის ჩათვლით ყოველთვიური მოთხოვნის მიხედვით |
| 17 | მარილი ლოტი №17 | 630 კგ | ხელვაჩაურის რაიონი სოფ. ურეხი, ბათუმის №3 საპყრობილე | 1 ივლისიდან 31 დეკემბრის ჩათვლით ყოველთვიური მოთხოვნის მიხედვით |
| 18 | საქონლის ხორცის კონსერვი ლოტი №18 | 420 კგ | ხელვაჩაურის რაიონი სოფ. ურეხი, ბათუმის №3 საპყრობილე | 1 ივლისიდან 31 დეკემბრის ჩათვლით ყოველთვიური მოთხოვნის მიხედვით |

ყველა შესასყიდი საქონელი უნდა იყოს მაღალი ხარისხის.

ტენდერში მონაწილეობის მიღება შეეძლება ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს.

ტენდერში გამარჯვებულების მიერ აღნიშნული საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს 2006 წლის 1 ივლისიდან 31 დეკემბრის ჩათვლით, შემსყიდველის მიერ წინასწარ განსაზღვრული საქონლის მოცულობისა და მოწოდების გრაფიკის შესაბამისად, ზემოთ ჩამოთვლილ მისამართზე ცხრილის მიხედვით.

ტენდერში მონაწილეობის მსურველებმა სატენდერო კომისიის "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის შესაბამისად საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე არა უგვიანეს 2006 წლის 27 ივნისის 18 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი ხელვაჩაურის რაიონი სოფ. ურეხი. ტელეფონი 7-13-02, მობ. 877-46-43-75, 893-90-76-60.

საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

იურიდიული პირებისათვის:

1. ცნობას საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან);

2. ცნობას საგადასახადო ინსპექციიდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან);

3. ცნობას საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ ტენდერში მონაწილეობის მსურველი იურიდიული პირის ხელმძღვანელები უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში არ არიან ნასამართლევი ან შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მათ მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან);

4. ცნობას იურიდიული პირის ხელმძღვანელის (დირექტორი, პრეზიდენტი) იდენტიფიკაციის შესახებ (ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან რეგისტრაციის შესახებ);

5. ცნობას სასამართლოდან, რომ არ მიმდინარეობს მისი გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან).

ფიზიკური პირებისათვის:

1. მეწარმის სარეგისტრაციო მოწმობა;

2. ცნობას შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ იგი უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და შესყიდვის მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე მის ეკონომიკურ და სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

3. ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

საკვალიფიკაციო შერჩევა მოხდება წარმოდგენილი დოკუმენტაციის ზემოთ ჩამოთვლილ კრიტერიუმებთან შედარების საფუძველზე.

- ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირი გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ წარმოადგენს ზემოთ ჩამოთვლილ ყველა საკვალიფიკაციო დოკუმენტს და ისინი არ აღმოჩნდება ყალბი;

- სატენდერო დოკუმენტაცია პრეტენდენტებს გადაეცემათ 2006 წლის 27 ივნისის 18 საათამდე მათ მიერ სატენდერო მოსაკრებლის 200 (ორასი) ლარის გადახდის შემდგომ, მისამართზე: საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სად-ის, ქ. ბათუმის №3 საპყრობილე, ხელვაჩაურის რაიონი სოფ. ურეხი. საკვალიფიკაციო მონაცემებისა და სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება 27 ივნისის 18 საათზე.

სატენდერო მოსაკრებლის საბანკო რეკვიზიტებია: ქ. თბილისი, "საქართველოს ეროვნული ბანკი", ბანკის კოდი 220101107, ანგარიშის № 200122900, სახაზინო კოდი 300694040. ბანკის შემოსავლის ორდერში აუცილებლად უნდა მიეთითოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ქ. ბათუმის №3 საპყრობილეს სატენდერო მოსაკრებელი (200 ლარი).

პრეტენდენტების სატენდერო წინადადებები უნდა შედგეს შესყიდვის ობიექტის მიხედვით. პრეტენდენტები წარმოადგენენ ერთ სატენდერო წინადადებას დახურული კონვერტით.

ტენდერში შეიძლება გამოვლინდეს ერთი ან რამდენიმე გამარჯვებული.

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ საკონტაქტო პირს ნური დიდმანიძეს, ტელ.: 893 90-76-60, ქ. ბათუმის №3 საპყრობილე.

# პამუკის მოგონებების ქალაქი

## სტამბულის უცნაური სევდა

სოფო კილასონია






სულ უახლოეს წარსულში ცნობილმა თურქმა მწერალმა მოსკოვი მოინახულა. ვიზიტის მიზეზი მისი ახალი წიგნი გახლდათ. რუსულად თარგმნილი „სტამბული: მოგონებების ქალაქი", რომელიც ავტობიოგრაფიული რომანია, მოსკოვში თავად ავტორმა წარმოადგინა. მკითხველებთან შეხვედრისას მწერალი ინტელექტუალი, თანამედროვე თურქეთის სიამაყისა და სიძულვილის ობიექტი, საუბრობდა მშობლიურ ქალაქზე, მწერლის ხელობაზე, ლიტერატურაზე, პოლიტიკასა და დღევანდელობაზე.

პამუკის ლიტერატურას ქართველი მკითხველი რუსულ ენაზე გაეცნო. პირველი თარგმანი 1999 წელს გამოიცა. რუსი მკითხველი თურქი მწერლის ცნობილი რომანის „შავი წიგნის" პირველ თარგმანს სწორედ ამ წელს „საზღვარგარეთულ ლიტერატურაში" წააწყდა. მოკლედ, XX და XXI საუკუნეების გასაყარზე ჩვენც აღმოვაჩინეთ, რომ ქალაქში, რომელიც დღეს დიდ ბაზრებთან უფრო ასოცირდება, ვიდრე მეორე რომთან, დიდი მწერალი ცხოვრობს.

თბილისის წიგნის მაღაზიებში რუსულად თარგმნილ „შავ წიგნს" მოჰყვა „მე მქვია წითელი", რომელიც დეტექტიური ხასიათის დამაინტრიგებელი ტექსტია დასავლური და აღმოსავლური კულტურების შესახებ. სამი წლის შემდეგ რუსი ლიტერატორები პამუკის კიდევ ერთ რომანს „თეთრ ციხესიმაგრეს" დაეწაფნენ. ასე და ამგვარად, მათი წყალობით, სამივე მათგანის წაკითხვა ქართველმა წიგნის მოყვარულებმაც მოახერხეს.

გასულ წელს ორჰან პამუკზე ბევრი ითქვა და დაიწერა როგორც პრესაში, ისე ინტერნეტ-საიტებზე. მაგრამ იწერებოდა და კამათობდნენ არა მის ლიტერატურაზე, არამედ იმ ტექსტზე, რომელიც შვეიცარიულ გაზეთს Tages-Anzeiger გაანდო. მაშინ მწერალმა აღნიშნა, რომ თურქეთში ვერავინ ბედავს სომხების გენოციდზე საუბარს. მწერლის სამშობლოში ამ რეპლიკამ აღშფოთება გამოიწვია. ულტრანაციონალისტები მას მოკვლით ემუქრებოდნენ, ნაციონალისტებმა სასამართლოში უჩივლეს, ევროპული გაერთიანებები მის დასაცავად ენერგიას არ იშურებდნენ. საბოლოოდ კი სასამართლო პროცესი დაწყებისთანავე დასრულდა. თავად მწერალი ამ საქმეს ფილოსოფიურად მიუდგა. მისი შეხედულებები 1915 წლის მოვლენაზე და საკუთარ ქვეყანაზე ოდნავაც არ შეცვლილა.

რუსი მკითხველი აღფრთოვანებით შეეგება პატივსაცემ სტუმარს. ეს სრულიად გასაგებია. შეხვედრას პამუკთან მოჰყვა არაერთი მოკლე სტატია იმის შესახებ, თუ რა ითქვა და რაზე გაეღიმა მწერალს. რაც ყველაზე საინტერესოა, ეს რუსი ლიტერატორების თვალით დანახული და წაკითხული ორჰან პამუკია. წერენ: მის ლიტერატურაში ჩანს როგორც ჯოისისა და პრუსტის შემოქმედებით გატაცება, ასევე დიდია ტოლსტოის, ჩეხოვის, დოსტოევსკის, ტურგენევის და სხვათა გავლენა. აქ მთელი რუსული ლიტერატურის დიდი და პატარა წარმომადგენლებია ჩამოთვლილი. წერენ, რომ სწორედ ამ უკანასკნელი მიზეზის გამო უხარიათ პამუკის რუსეთში ჩამოსვლა...

შეხვედრა წიგნის მაღაზია „ბუკბერში" გაიმართა. პამუკი პასუხობდა კითხვებს, რომლებიც არაერთგზის გაუგონია დასავლელი ჟურნალისტებისგან. არაფერი ახალი, მაგრამ მწერალი მაინც საუკეთესო გუნებაზე დამდგარა. პასუხობდა მოკლედ, პირდაპირ და ღიმილით.

მწერალმა განაცხადა, რომ, რა თქმა უნდა, უყვარს საკუთარი ქვეყანა. სურს, რომ თურქეთი ევროკავშირში იხილოს. დარწმუნებულია და ყველას უმხელს, რომ თურქეთში აზრის თავისუფლად გამოხატვის საშუალება არ არის, ან, უბრალოდ, ძნელია. უარყო ინფორმაცია, რომელიც მის ანტირელიგიურობაზე მიუთითებდა. ამასთან, ისლამურ ტერორიზმსაც შეეხო: „ისლამი - ეს უდიდესი ცივილიზაციაა... მცირე ისლამური დაჯგუფებებს დასავლეთი თავისივე მიზნებისთვის იყენებს". დასძინა, რომ მისი ქვეყანა „არასოდეს გახდება ირანი" და ის ამაში დარწმუნებულია.

როცა საუბარი პოსტმოდერნიზმს შეეხო, მწერალმა თქვა, რომ ეს ტერმინი ჟურნალისტური კლიშე უფროა, ვიდრე რეალური მიმდინარეობა ლიტერატურაში: „ჩემზე ამბობენ, რომ მე პოსტმოდერნისტი ვარ. თუ ასეა, ასეთია ჩემი პოსტმოდერნისტული პასუხიც."

მწერლის ტიპაჟზე როცა საუბრობდა, აღნიშნა: შორს არის იმ „ძველმოდური" აზრისგან, რომ მწერალმა ბევრი უნდა იმოგზაუროს და ბევრის ცხოვრებით იცხოვროს, რადგან, მისი აზრით, შესაძლოა არასდროს დატოვო მშობლიური ქალაქი და მაინც საუკეთესოდ წერდე. აღნიშნავს, რომ ისეთმა ავტორებმა, როგორებიც არიან ნაბუკოვი, კონრადი, შეცვალეს ენა და კულტურა და სულ სხვა განზომილებაში შექმნეს საკუთარი ნაწარმოებები. მაგრამ „პამუკი მათ რიცხვს არ ეკუთვნის."

თურქი მწერალი მოსკოვში გახლდათ და საუბრის ბოლოს, თავისთავად ცხადია, რუსულ ლიტერატურასაც შეეხებოდა. ცნობილია, რომ მწერალს ძალიან უყვარს რუსული ლიტერატურა. პირველ რიგში, ტოლსტოი და დოსტოევსკი, მაგრამ მათ შორის არჩევანს არასოდეს გააკეთებს. „ეს იგივეა, ბავშვს ჰკითხო, დედა უფრო გიყვარს თუ მამაო."

როცა ჰკითხეს, რომელი წიგნით აჯობებდა მის ლიტერატურასთან ურთიერთობის დაწყება, ავტორმა ზოგადი და განყენებული პასუხი არ გასცა. იყო ისეთივე კონკრეტული და ლოგიკური, როგორც ყოველთვის. მან საკუთარი რომანების მოკლე რეცენზირებაც შესთავაზა საზოგადოებას: „თუ ეძებთ გასართობსა და დამაინტრიგებელს, მაშინ აიღეთ „მე მქვია წითელი". თუ გინდათ, ჩემს შესახებ ბევრი შეიტყოთ, „სტამბული" უნდა წაიკითხოთ. ბევრად ინტელექტუალურია „შავი წიგნი", მოკლე და კონკრეტული - „თეთრი ციხესიმაგრე", „თოვლი" კი პოლიტიკურია."

„სტამბულში" არის მთხრობელი - ორჰან პამუკი და კიდევ ორი მთავარი გმირი: თავად ქალაქი და „ხიუზუნი" - განსაკუთრებული სახე სევდისა, რომელსაც მხოლოდ სტამბულის მცხოვრებლები განიცდიან. ეს რაღაც მარტოობის მსგავსია, თუმცა ევროპული მარტოობისგან განსხვავებით, სტამბულის მარტოობა - ნებაყოფლობითი არჩევანია და ამავე დროს სტამბულის მოქალაქეებს შორის განზოგადებისა და მათში აღრევის შეგრძნებით. პამუკთან „უბედურება ნიშნავს გძულდეს საკუთარი თავი და საკუთარი ქალაქი." ავტორი, რომელმაც მთელი ცხოვრება სტამბულში გაატარა, ამ ყოველივეს მძაფრად გრძნობს. სწორედ ამიტომ თავად ქალაქი ხდება მისი მოგონებები, მისი ავტობიოგრაფია.



## აფიშა

**17-18 ივნისი**

### თეატრი

**რუსთაველის თეატრი**
**შაბათი**
ლაშა ბუღაძე
„ჯარისკაცი, სიყვარული, დაცვის ბიჭი და... პრეზიდენტი

**კვირა**
„თორმეტი განრისხებული მამაკაცი"
რეჟისორი რობერტ სტურუა
დასაწყისი: 19.00

**თეატრალური სარდაფი**
**შაბათი**
„მუუ"
რეჟისორი ზურაბ ქიქოძე

**კვირა**
კლოდ მანიე
„ოსკარი
რეჟსიორი ლევან წულაძე
დასაწყისი: 19.00

**თავისუფალი თეატრი**
**შაბათი**
„მედეა"
რეჟისორი გოჩა კაპანაძე

**კვირა**
„ძმები"
რეჟისორი ავთო ვარსიმაშვილი
დასაწყისი: 19.00

### გალერეა

**„კოპალა"**
გამოფენა „ჩემს სიზმრებში"
პარიზელი მოქანდაკის დარეჯან ზურაბიშვილის
სკულპტურა

**TMS**
ქართველ ქალთა ნაქარგობის გამოფენა

**სამხატვრო აკადემიის გალერეა**
ფერწერა
საქველმოქმედო გამოფენა-გაყიდვა

### კლუბები

**შაბათი**

**2 SIDE**
I love Deep @ Left Side with Mr. TAHO

# განცხადება საერთაშორისო ტენდერის ჩატარების შესახებ

**1.** ქ. ბათუმის ადგილობრივი ხანძარსაწინაამგდეგო სამსახური (ქ. ბათუმი, 26 მაისის ქ. N45) აცხადებს ტენდერს 2(ორი) ერთეული 10(ათი)ტონიანი და 5(ხუთი) ტონიანი სახანძრო ავტოცისტერნის შეძენის სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. მიწოდების სასურველი ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან **2 თვის პერიოდი.**

**3. დაინტერესებულმა პირებმა განცხადება (დალუქვის გარეშე), საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება, ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად (ერთი დედანი ან დედანის ასლი ნოტარიულად დამოწმებული და ერთი ქსერო ასლი) დალუქული პაკეტებით უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 10 ივლისიდან 2006 წლის 11 ივლისის 16 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, 26 მაისის ქ. N45. (ქ. ბათუმის ადგილობრივი ხანძარსაწინაამგდეგო სამსახური).**

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**4.1 იურიდიული პირისათვის:**

ა) ცნობას, რომ არ მიმდინარეობს ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის რეორგანიზაცია. (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საგადასახადოდან),

ბ) ცნობას, რომ არ მიმდინარეობს ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის ლიკვიდაცია, გაკოტრებისა და სანაციის საქმისწარმოება. (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს სასამართლოდან);

გ) ცნობას შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არსებობის შესახებ. (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას საჯარო რეესტრის სააგენტოს ადგილობრივი ორგანოს მიერ);

დ) ცნობას საქართველოს შსს-ს საინფორმაციო ცენტრიდან რომ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ხელმძღვანელი მუშაკები უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულები და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

**4.2. ფიზიკური პირისათვის:**

ა) ცნობას, შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია.

ბ) ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს სასამართლოდან).

გ) ცნობას საქართველოს შსს-ს საინფორმაციო ცენტრიდან რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმატიზაციის სამმართველოდან);

**4.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:**

ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

ბ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ.

გ) ცნობა შესაბამისი საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტისადმი დავალიანების არქონის შესახებ;

**5.** სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია ქართულ ენაზე. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება 2006 წლის 10 ივლისის 16 საათამდე, ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის (ქ. ბათუმის საფინანსო სამსახურის სპეციალური ანგარიში N000142402, საქართველოს ეროვნული ბანკის ბათუმის ფილიალის კოდი 220501102, საინ. კოდი 245428531, დანიშნულება სატენდერო მოსაკრებელი) გადახდის შემდეგ, შეეძლებათ მისამართზე: ქ. ბათუმი, 26 მაისის ქ. N45.

**6**. პრეტენდენტებს უფლება აქვთ წარმოადგინონ ერთი სატენდერო წინადადება, ტენდერში გამოვლინდება ერთი გამარჯვებული.

**7.** ტენდერის შედეგად გამოვლენილ გამარჯვებულთან ხელშეკრულების გაფორმებისას გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია 5%-ის ოდენობით.

**8.** დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან - მურად ქოქოლაძე ტ. 3-01-62, მისამართზე: ქ. ბათუმი, 26 მაისის ქ. N45.

**სატენდერო კომისია**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ქ. თბილისის მერიის შპს "თბილლიფტი" აცხადებს ღია ტენდერს ლიფტის სათადარიგო ნაწილების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. შესყიდვის ობიექტი დაყოფილია ლოტებად.

| ლოტი | მოსაწოდებელი საქონელი | ერთეული | რაოდენობა |
|---|---|---|---|
| 1 | მართვის კარადა 0,71 მ/წ "მოგილოვი | ცალი | 5 |
| | მართვის კარადა 1,0 მ/წ ორკარადიანი "მოგილოვი" | ცალი | 2 |
| | მართვის კარადა 1,0 მ/წ "ზალეპანიე | ცალი | 3 |
| 2 | კონტაქტორი –1 | ცალი | 160 |
| | დროის რელე –818 | ცალი | 80 |
| | რელე –4 1103, 243 | ცალი | 1000 |
| | რელე –9 1103, 243 (გერკონი) | ცალი | 300 |
| 3 | ავტომატი 16 ა | ცალი | 40 |
| | ავტომატი 1,6 ა | ცალი | 50 |
| | სელენური გამმართველი | ცალი | 30 |
| | დიოდური გამმართველი | ცალი | 30 |
| | წინაღობა | ცალი | 100 |
| | კონდესატორები –2 | ცალი | 100 |
| | დიოდები | ცალი | 100 |
| | კლემნიკები | ცალი | 60 |
| | გადამრთველი –2 | ცალი | 50 |
| 4 | ტრანსფორმატორი 380/110/24 | ცალი | 50 |
| | მუხრუჭის მაგნიტი კომპლექტში –201 | ცალი | 20 |
| | დენმკვეთი (რუბილნიკი) 139-1 | ცალი | 40 |
| 5 | ელ.ძრავი ორსიჩქარიანი –62 4 160 6/18-3; 3,5 კვ | ცალი | 10 |
| | ელ.ძრავი ორსიჩქარიანი –72-3,5 კვ | ცალი | 20 |
| | ელ.ძრავი ორსიჩქარიანი 180 –4,5 კვ | ცალი | 2 |
| | ელ. ძრავი ორსიჩქარიანი 5 200-7,0 კვ | ცალი | 2 |
| | ელ.ძრავის სტატორი | ცალი | 10 |
| | ელ.ძრავის როტორი | ცალი | 10 |
| | ელ.ძრავის სახურავი | ცალი | 20 |
| | კაბინის ძრავი | ცალი | 15 |
| 6 | მავთული 6 მმ | გ/მ 800 | 800 |
| | მავთული 2,5 მმ | გ/მ | 1600 |
| | მავთული 0,5 მმ | გ/მ | 4000 |
| | ძალოვანი კაბელი 4 წვერი | გ/მ | 2025 |
| | დრეკადი კაბელი 18 წვერი | გ/მ | 1540 |
| 7 | ჯალამბარი დიდი | ცალი | 2 |
| | დიდი ჯალამბრის ჭია წყვილი | ცალი | 5 |
| | დიდი ჯალამბრის სახურავი | ცალი | 10 |
| | დიდი ჯალამბრის შკივი | ცალი | 5 |
| | დიდი ჯალამბრის ქურო | ცალი | 10 |
| | დიდი ჯალამბრის ნახევარქურო | ცალი | 10 |
| | პატარა ჯალამბარი კაპინის | ცალი | 10 |
| | ზეთი | ლიტრი | 500 |
| 8 | ბაგირი 10 მმ, 12 მმ | გ/მ | 320 |
| | ბაგირი 7,2 მმ | გ/მ | 250 |
| | სიჩქარის შემზღუდავი | ცალი | 10 |
| | სიჩქარის შემზღუდავის დამჭიმი | ცალი | 10 |
| | შახტის ელ.ჟგუტი | გ/მ | 100 |
| 9 | სართულის გადამრთველი | ცალი | 100 |
| | სართულის გადამცემი | ცალი | 50 |
| | კაბინის ბრძანების პულტი | ცალი | 8 |
| | სართულის გამოძახების კოლოფები | ცალი | 200 |
| 10 | პირწონის ზამბარები | ცალი | 30 |
| | პირწონის ტვირთები | ცალი | 50 |
| | ჭის ზამბარები | ცალი | 21 |
| | შახტის კარებები | ცალი | 20 |
| | შახტის კარებების მოჩარჩოვება | კვ მ | 45 |
| | შახტის კარებების ფრთები | ცალი | 40 |
| | შახტის კარებების ჩამკეტები | ცალი | 60 |
| | შახტის კარებების რიგელები | ცალი | 70 |
| | შახტის კარებების რეზინა წყვილი | ცალი | 40 |
| | შახტის კარებების კარეტკა | ცალი | 10 |
| | კაბინის მცოცავები | ცალი | 40 |
| | კაბინის პლასტიკატები აღდგენა | კვ მ | 90 |
| | კაბინის პლაფონი | ცალი | 15 |
| | კაბინის ლინოლიუმი | კვ მ | 30 |
| | ზღურბლი (პაროგები) | ცალი | 100 |
| | კაბინის კარებები | ცალი | 80 |
| | სამანქანო მეტალის კარები | კვ მ | 10 |

3. საქონლის მოწოდება მოხდება 2006 წლის განმავლობაში (საქონლის მიწოდების კონკრეტული გრაფიკი დადგინდება გამარჯვებულ პრეტენდენტთან სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების გაფორმებისას). მოწოდება უნდა განხორციელდეს ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზირი 89/24-ში, ქ. თბილისის მერიის შპს "თბილლიფტში".

4. ტენდერში მონაწილე იურიდიულ და ფიზიკურ პირებზე სატენდერო დოკუმენტაცია გაიცემა 200 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ 2006 წლის 6 ივლისის 15 საათამდე დ. აღმაშენებლის გამზ. 89/24-ში მდებარე შპს "თბილლიფტში".

სატენდერო მოსაკრებელი უნდა ჩაირიცხოს (ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო შემოსავლებისათვის რაიონის მიხედვით) ა/ა № 200122900 - საქართველოს ეროვნული ბანკი, კოდი - 220101107, სახაზინო კოდი დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი - 300024040, დანიშნულება - ადგილობრივი სატენდერო მოსაკრებელი.

5. დაინტერესებულმა პირებმა განაცხადი ტენდერში მონაწილეობის სურვილის შესახებ (დალუქვის გარეშე), საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადებები (ერთ დალუქულ კონვერტში) ქართულ ენაზე უნდა წარმოუდგინონ სატენდერო კომისიას 2006 წლის 7 ივლისის 11 საათიდან 15 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზირი 89/24, შპს "თბილლიფტი".

6. საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების ჩამონათვალი:

6.1. იურიდიული პირისათვის:

ა) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

ბ) ცნობა საჯარო რეესტრიდან პრეტენდენტის ქონებაზე ყადაღის არსებობის შესახებ;

გ) ცნობა სასამართლოდან რეგისტრაციის ადგილის მიხედვით, რომ პრეტენდენტის მიმართ არ მიმდინარეობს მისი ლიკვიდაცია ან რეაბილიტაციის საქმის წარმოება;

დ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია.

6.2. ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

6.4. როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირისათვის:

ა) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტისადმი დავალიანების არქონის შესახებ.

საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები წარმოდგენილი უნდა იყოს ორიგინალის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლების სახით.

7. სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება პრეტენდენტების თანდასწრებით 2006 წლის 7 ივლისის 15 საათზე შემდეგ მისამართზე: დ. აღმაშენებლის გამზირი 89/24, II სართული.

8. ტენდერის შედეგად შეიძლება გამოვლინდეს 10 (ათი) გამარჯვებული (ლოტების მიხედვით).

9. საკვალიფიკაციო და სატენდერო წინადადებების შეფასება განხორციელდება "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად.

10. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: რამაზ მაჭავარიანი - სატენდერო კომისიის წევრი, ალექსანდრე არველაძე - სატენდერო კომისიის აპარატის წევრი. საკონტაქტო ტელეფონი 95-43-71, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის 89/24.

## დღეს დავით ყიფიანს 55 წელი შეუსრულდებოდა

# ბოლო ინტერვიუ



ხშირად მეკითხებიან: რატომ არ გავითვალისწინე გულშემატკივრის პოზიცია მაშინ, როცა ფეხბურთს თავს ვანებებდი.

მანდ ორი პასუხი შეიძლება იყოს: პირველი და, ალბათ, ყველაზე უფრო რეალურიც, ესაა - ის განწყობა და ემოციები, რითაც მაშინ ვხელმძღვანელობდი. ოცდათერთმეტი წლისა არც ვიყავი...

მეორე: გადაწყვეტილების სისწორეზე იმოქმედა იმანაც, რომ ალბათ თვითონაც ვგრძნობდი შინაგანად, ასეთი სერიოზული ტრავმის შემდეგ შეიძლება ისე ველარ მეთამაშა, როგორც ადრე...

ეს მაშინდელი გრძნობა მცდარი იყო თუ რეალური, ამას დღეს ვერავინ იტყვის, მეც გამიჭირდება თქმა... არავინ იცის, როგორ შეიძლებოდა გაგრძელებულიყო ჩემი საფეხბურთო კარიერა, როგორ შეიძლებოდა მეთამაშა იმ ფიზიკური ტრავმის მერე, რასაც ფეხის მოტეხილობა ჰქვია და იმ ფსიქოლოგიური ტრავმის მერე, როდესაც მსოფლიო პირველობაზე ვერ მოვხვდი... ამის თქმა დღეს ძალიან ძნელია, მაგრამ ეს ორი ფაქტორი აუცილებლად იმოქმედებდა.

ბევრი მიფიქრია იმის მერეც, უამრავი ხალხი მხვდებოდა. ახლობლები, ნაცნობები თავის პოზიციას გამოხატავდნენ. მათი პოზიცია ცალსახა იყო: ას კაცში ერთი თუ მოიძებნებოდა, რომელიც მეტყოდა - სწორად მოიქეცი, ფეხბურთს რომ თავი დაანებეო. უმეტესობა იმ აზრის იყო, რომ უნდა გამეგრძელებინა საფეხბურთო კარიერა.

ახლა უკვე დროის გადმოსახედიდან, ანალიზის მერე, შეიძლება იმის თქმა, რომ მათ არ გავუწიე ანგარიში... დღეს პირველად მეძლევა იმის საშუალება, რომ ჩემს გულშემატკივარს ბოდიში მოვუხადო ამისთვის...

გასაგებია, რომ გულშემატკივარს ყოველთვის უნდა, თავის საყვარელ ფეხბურთელს დიდხანს უყუროს მინდორზე, ხოლო ის, თუ როგორ ითამაშებს, ამ შემთხვევაში ცოტა იქით გადაიწევს, უფრო მომავლისთვის გახდება სჯა-ბაასის საგანი.

მე ალბათ ცოტა თავი დავიზღვიე... შეიძლება დავრჩენილიყავი, ამას დიდი აპლოდისმენტები და სიხარული მოჰყოლოდა, მაგრამ დროთა მსვლელობაში ყველაფერი ეს გაქარწყლდებოდა...

ყველას, შენ გარშემო მყოფს, გულშემატკივარს, უნდა, რომ სულ თეთრ ცხენზე იჯდე, სულ კარგად თამაშობდე და სულ სიხარული მოგქონდეს... როგორც კი ფეხი დაგიცდება, რაღაც ხელშემშლელი პირობები იქნება და ისე ვერ გამოიჩენ თავს, როგორც შენგან ელიან, მაშინვე ეს სიმპათია, აღფრთოვანება და თაყვანისცემა შენ მიმართ რადიკალურად იცვლება და უკვე სულ სხვა სურათს ღებულობ. ბევრი ამას ძალიან მტკივნეულად აღიქვამს და მეც მოვერიდე, არ მინდოდა ეგეთ დღეში ჩავვარდნილიყავი, იმიტომ, რომ...

მე მადლიერების გრძნობით მინდა მოვიხსენიო ჩემი გულშემატკივარი, რომელთა მიმართ მადლობის მეტი არაფერი მეთქმის. მათი განწყობა ჩემდამი მთელი ჩემი საფეხბურთო კარიერის მანძილზე ძალიან კარგი იყო. ძალიან კეთილად იყვნენ ჩემ მიმართ განწყობილნი და ბევრ რამეს ისეთს მპატიობდნენ, რასაც სხვას ალბათ არ აპატიებდნენ... თუმცა, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ალბათ დამნაშავე ვარ იმაში, რომ მათი აზრი არ გავითვალისწინე მაშინ, როცა ფეხბურთს თავი დავანებე...

# უყიფიანოდ...



*"სიკვდილის გამო ხომ არ გადავიყვარებ ადამიანს? მით უმეტეს, ცოცხლებზე ათასჯერ უკეთესი თუა..."*

***ჯერომ სელინჯერი***
*"თამაში ჭვავის ყანაში"*

გიორგი გორგოძე

ქართული ფეხბურთის ყველა დროის ყველაზე გამორჩეული ვარსკვლავი წელს, 18 ივნისს, თავის ნამდვილ დაბადების დღეზე, ორმოცდათხუთმეტი წლისა გახდებოდა. თითქმის ხუთი წელი გავიდა მას მერე, როდესაც უკანასკნელად ამაღლების ეკლესიიდან გაუყვა ამაღლების გზას. ვარსკვლავი მოწყდა ცას... მომიტევოს ახალმა თაობამ, თუ ვიტყვი, რომ დღევანდელი ქართული ფეხბურთის "ციცინათელების" იშვიათი გაელვება ძალიან შორსაა დათო ყიფიანის კაშკაშა ვარსკვლავის ნათებისაგან... ღმერთმა ჰქნას, ოდესმე განმეორდეს მისი დარი ქართულ ფეხბურთში.

ბედნიერია ის, ვისაც დათო ყიფიანი მინდორზე უნახავს. უბედნიერესი ხალხი ვიყავით მისი ახლო მეგობრები, რომლებმაც მასთან ერთად სამი და ოთხი ათეული წელი გავატარეთ. ძალიან გამართლებაა ცხოვრებაში ყველა იმათგანს, ვინც თუნდაც ცოტა ხნით დათო ყიფიანთან ყოფნის თანაზიარი ყოფილა მინდორზე თუ საფეხბურთო მოედნის გარეთ. ყიფო მარადი დღესასწაული იყო და ასეთად დარჩება, რადგან ის იმ ღირს კაცთა რიგს მიეკუთვნება, რომელთა სახელსა და საქმეს გამხსენებელი არ უნდა დაელიოს.

ყიფომ კარგად იცოდა ჩვენი გულებისკენ სავალი გზები, უამრავ სიხარულს გვაზიარა. ჩვენთვის დღესასწაულები მოუწყვია, სატკივარი კი თავისთვის შეუნახავს და გულისწუხილი სხვისთვის თავზე არ მოუხვევია. აკი ერთხელაც ვეღარ დაიტია მისმა დიდმა გულმა ეს ტკივილი...

მონუსხულები ვიჯექით სტადიონზე და ტანში უჩვეულო ჟრჟოლა დაგვივლიდა, როცა ყიფო ბურთს მოიგდებდა და მერე მოგეცათ ლხენა... დათოს თამაშის მანერა ყველასგან გამორჩეული იყო, ჯიშიანი, ყიფიანური: თავაწეული, ბურთს არც დახედავდა, ისე ჰყავდა მოშინაურებული... მზერა ანთებული და იმავდროულად აზრიანი... ათასში გამოარჩევდი, სხვანაირი იყო ბურთთან, სხვანაირად ხედავდა პარტნიორს, სხვანაირს უმზადებდა მეტოქეს ფინტსა თუ კიდევ უარესს და, რაც მთავარია, სხვანაირად აზროვნებდა და იმავდროულად, მისი ეს სხვანაირი აზროვნება მისი გუნდის ინტერესებთან სრულ უნისონში იყო. ყოველ თამაშზე ბოლომდე იხარჯებოდა, მარტო თანდაყოლილი ნიჭის იმედად არ იყო. გენახათ ერთი მისი მაისური თამაშის მერე, ყველაფერს ბოლომდე მინდორზე ტოვებდა. იოლად არასოდეს არაფერი მოსვლია ცხოვრებაში. ძალიან ახალგაზრდა დაკაცდა - ოცდაერთი წლიდან უმამოდ, მარტო ეწეოდა ოჯახის ჭაპანს და ასეთი იყო ბოლომდე.

არავის ახსოვს დათოს ჩაგდებული, უგულო თამაში. ყიფომ თავისი სათამაშო კარიერა ისე გაასრულა, რომ არც ერთ თამაშზე მის მაყურებელს მისთვის ტაში არ დაუნანებია.

მერე იყო მისი სიზიფეს აღმართი - ჭყინტი დინამოელები და მათი უფროსი მწვრთნელი დავით ყიფიანი. თუ ვინმემ ფეხბურთის თამაში ისწავლა იმ პერიოდში, ყველამ ყიფიანის ხელში გამოიარა. როცა დათო ყიფიანი საქართველოში მუშაობდა, მხოლოდ მისი გაწვრთნილი გუნდები ხდებოდნენ ჩემპიონები, გინდა ნორჩი "დინამო" ყოფილიყო და გინდა მის მისვლამდე ჩაძირული "ტორპედო". საქართველოში რაც მოსაგები იყო, ყველაფერი მოიგო. ევროტურნირებისა კი, აბა, რა გითხრათ, დელ ბოსკეს ადგილზე არ უმუშავნია, თუმცა მასზე ნაკლები მწვრთნელიაო, ძნელად იტყვი, უბრალოდ, ზოგს უმართლებს... ქართული "ციცინათელების" ხშირად მბჟუტავი და ალაგ-ალაგ მოელვარე კრებულით კი ციდან ვარსკვლავების მოწყვეტა მხოლოდ კეთილ ზღაპრებშია შესაძლებელი...

სათამაშო კარიერისას სავსე ტრიბუნების ნებიერ პრემიერს მწვრთნელობისას ლამის ცარიელ სტადიონზე უხდებოდა ორიოდ ასეული ცხვირმოუხოცავი, ქვასროლია "ფანის" გინების აკომპანიმენტის ქვეშ გუნდის გამოყვანა... ალბათ ამანაც გადაავსო ტკივილით მისი დიდი გული და ერთხელაც ვეღარ გაუძლო ტკივილს...

დათო ყიფიანი ვერაფერში იქნებოდა საშუალო. იგი თავისი ტალანტით საფეხბურთო ღმერთებთან წილნაყარი გახლდათ. ეტყობა, არ იყო მისი საქმე ერთობ საშუალო გუნდების წყნარად გაძღოლა, ამიტომაც ვერ ჰგუობდა იმ ჭაობს, რაც ბოლოდროინდელ ქართულ ფეხბურთში იყო დაგუბებული. ვინ-ვინ და ცხონებულ ნოდარ ახალკაცზე მეტად დათოს ჭეშმარიტ ფასს ძნელად ვინმე თუ უწყოდა, ჰოდა, სწორედ ქართული ფეხბურთის ამ გაუცინარმა გურუმ ბრძანა ყიფოზე: "ყიფიანი-მწვრთნელის პრობლემა ისაა, რომ დათო ფეხბურთელებს იმ საზომით სთხოვს, რომლითაც მარტო თვითონ შეეძლო თამაში..." ალბათ ასეც იყო ხანდახან, რადგან დათო ყიფიანის თვალსაწიერი სულ სხვა მასშტაბისა გახლდათ! დავით ყიფიანი იყო და იმიტომ!

ბოლო დროს მაინც ძალიან გაუჭირდა, იობის მოთმინებით ვეღარ იტანდა მისი პიროვნების მიმართ სხვადასხვა ჭიალუების და პირანიების შხამიან გამოხდომებს... როცა პანაშვიდებისათვის გასადიდებელ სურათებს ვარჩევდით, მაშინღა აღმოვაჩინე, რომ ბოლო წლების ფოტოებზე საოცრად ნაღვლიანი თვალები ჰქონდა, ამოუხსნელი სევდა იდგა მის მზერაში... ყიფო ხომ თავის ტკივილებს ძალიან იშვიათად ამზეურებდა, ისიც ჩვენთან - ახლობლებთან, წამოსცდებოდა იშვიათად ორიოდ სიტყვა და მერე ამასაც ხუმრობაში გაატარებდა... უკარებაც იყო ხანდახან და უმეტესად მიმტევებელიც, ფიცხიც - იშვიათად და ლმობიერიც - ხშირად, გამძაფრებული ღირსების გრძნობით დადიოდა ამ ქვეყანაზე და იმავე დროს ხანდახან ისეთს აპატიებდა... დავით ყიფიანი იყო და იმიტომ!

გახსოვთ, როგორ იხსენებდნენ ყოფილ საბჭოეთში და მის გარეთაც დიდ "დინამოს"? - "კამანდა დავიდა კიპიანი!" ზოგ-ზოგიერთს აღიზიანებდა შეიძლება, მაგრამ ფაქტია - ასე იყო!

გამორჩეული იყო და მეგობრობაც გამორჩეული იცოდა. ჩვენ, მის ახლობლებს, იმ ბედნიერ დროს ყიფოს გვერდში ყოფნის სიხარული ბუნებრივად და ჩვეულებრივ ამბად მიგვაჩნდა...

ჩვენი მეგობარი დავით ყიფიანი კი ამ დროს არა მარტო ქართული ფეხბურთის სიმბოლო გახდა, არამედ ჩვენი პატარა ქვეყნის სახედ იქცა! და ამაშიც დიდი იყო, ამაშიც მისი განუმეორებელი აურა დიდ საქმეს, ქართულ საქმეს აკეთებდა!

იმ ავადმოსაგონარ 17 სექტემბერს უგმირო, ანთხლეულმა საქართველომ ბოლომდე ვერ გაიისიგრძეგანა მომხდარი უბედურება - დაჭიანებულ და დაბეჩავებულ ქვეყანას ჯილა მოუკვდა, კაცი სახელიანი და გულშიჩასაკრობი, ვინაც იმდენი დღესასწაული და გამარჯვების გემო გაგვასინჯა ქართველებს...

ყიფოს სამეგობროს და ქართული ფეხბურთის ყველა გულდამწვარ ქომაგს სხვანაირი წელთა ათვლა გვაქვს: ყიფოსთან ერთად და უყიფიანოდ...

გაგვახსენდება გადაჭედილი სტადიონი, ხალხის სიმრავლის გამო ზოგჯერ დაგვიანებით რომ ავასკდებოდით "დინამოს" სტადიონის მეცხრე სექტორის მეორე იარუსის შუა რიგებს და სანამ კუთვნილ ადგილს მივადგებოდით, მანამ გზადაგზა იმედიანად შევეკითხებოდით პირველ შემხვედრს: "ყიფო ხოა დღეს?" და პასუხად: "აგე, დათო!.."

ყიფოსადმი ჩვენს სიყვარულს ვერაფერი წაშლის. იგი ჩვენშია, ჩვენს გულსა დაგრძნობებშია დაუნჯებული. ყიფო იყო და დარჩა საშვენისად ჩვენი ცხოვრების იმ ბედნიერი წლებისა, როცა საჩუქრად გვერგო მასთან ერთად ყოფნა. და ახლა, როცა მისი სული ნათელში გადავიდა, "სიკვდილის გამო ხომ არ გადავიყვარებ ადამიანს? მით უმეტეს, ცოცხლებზე ათასჯერ უკეთესი თუა..."

ვინ შემაყვარა ფეხბურთი1 - ამაზე ადვილი რაა საპასუხოდ: ყიფომ, დათო ყიფიანმა!

***გიორგი გორგოძის წიგნიდან***
***"დღესასწაულის წადილი"***


## "დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი"-ს მოწვევით

2006 წლის 16 მაისიდან 23 მაისამდე ქ. თბილისში, გამაჯანსაღებელ ცენტრ "ნაუტილუსი"-ს ენდოსკოპიური და პლასტიკური ქირურგიის განყოფილების ბაზაზე, მსოფლიო სახელის მქონე ქირურგი ავიშაი ვეინბერგერი ჩაატარებს შემდეგი სახის ოპერაციებს:

- სახის კანის მცირე მოცულობის დაჭიმვა, ღაბაბის კორექციით

(40 წლამდე ასაკის პაციენტებში)
- სარძევე ჯირკვლის გადიდება სილიკონის პროთეზით
- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა
- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა + ზედა და ქვედა ქუთუთოს პლასტიკა
- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა + ზედა და ქვედა ქუთუთოს პლასტიკა + საკუთარი ცხიმის ინექციები
- ცხვირის პლასტიკური ოპერაციები
- დეფორმული და დიდი ზომის ყურების პლასტიკა
- ქუთუთოების პლასტიკა + წარბების აწევა
- სარძევე ჯირკვლის დაპატარავება
- სარძევე ჯირკვლის აწევა
- ლიპოსაქცია (ცხიმის ამოტუმბვა)
- შუბლის დაჭიმვა
- დაკიდებული მუცლის პლასტიკა
- მინიაბდომინოპლასტიკა (მუცლის ქვედა ნაწილის პლასტიკა)
+ ლიპოსაქცია
- ტუჩების გადიდება
- კანის ნაოჭების კორექცია
- ნიკაპის გადიდება პროთეზით
- სახის დაჭიმვა
- სახის დაჭიმვა (უფრო დიდი მოცულობის)
- კონტურული პლასტიკა ცხიმის ინექციებით

ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ ტელეფონებზე: 893 60 30 06, 893 65 38 39

## გამაჯანსაღებელი ცენტრი

ნაუტილუსი



გთავაზობთ:
- ■ აღმოსავლური მედიცინის ცენტრი
- ■ სარეაბილიტაციო-რელაქსაციური SPA ცენტრი
- ■ მარადიული ახალგაზრდობის სამყარო "კედრის სახლი"
- ■ წონაში კლების ახალი უნიკალური პროგრამა

- ■ "STARMASTER"-ის და "NAUTILUS"-ის უახლესი თაობის ტრენაჟორებით აღჭურვილი ფიტნეს კლუბი
- ■ ულტრათანამედროვე რეაბილიტაცია და SPA ცენტრი
- ■ ულტრათანამედროვე გერმანული სამკურნალო აბაზანები და ტალახები, SPA კაფსულა
- ■ უახლესი გერმანული ვერტიკალური და ჰორიზონტალური სოლარიუმები

**მისამართი:** ი.ჭავჭავაძის 78
**ტელ:** 22 56 26
23 56 26
E-mail: info@nautilus.ge
reception@nautilus.ge







## სიახლე გამაჯანსაღებელ ცენტრ "ნაუტილუსში"

გაიხსნა აღმოსავლური მედიცინის ცენტრი, სადაც მომსახურებას გაგიწევენ უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები: საერთაშორისო სუ ჯოკ აკადემიის მასწავლებელი **სიმონ გორელაშვილი, ანდრო სამხთუაშვილი, ლალი მუხიაშვილი** და სხვ.

მკურნალობა ტარდება შემდეგი მეთოდებით:

ჩინური მედიცინა, სუ ჯოკ თერაპია, ტვისტ თერაპია, ელექტროპუნქტურა, ლაზეროპუნქტურა, მანუალური თერაპია და სხვა.

გნებავთ განთავისუფლდეთ შემდეგი პრობლემებისაგან:

ნევროზი; უნებლიე შარდვა; ნევრიტები და ნევრალგიები; რადიკულიტი; დისკოზი; მხედველობის, სმენის, ყნოსვის, გემოვნების, დაქვეითება; რეინოს დაავადება; ბრონქიტი, ბრონქიალური ასთმა; კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადებები; დიფუზური და კვანძოვანი ჩიყვი; საკვერცხეების ცისტა, მენსტრუალური ციკლის დარღვევა, ძვალსახსროვანი სისტემის ტრავმული დაზიანებები, თმის ცვენა და სხვა.

მობრძანდით აღმოსავლური მედიცინის ცენტრ "ნაუტილუსში"!

**მის.: ი. ჭავჭავაძის გამზ. N78**
**ტელ.: 899 55 28 87; 22-56-26; 23-56-26**
**ელ. ფოსტა: info@nautilus.ge**

# განცხადება

ქალაქ ბათუმის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის კომისია აცხადებს კონკურსს ქალაქ ბათუმში, ტაბიძისა და ლეონიძის ქუჩების კვეთაში მდებარე საცხოვრებელი სახლის მოპირდაპირედ 300 კვ.მ. სკვერის სარგებლობაში (იჯარა) განკარგვის მიზნით

**შესავალი**

ქ. ბათუმის მთავრობის 2006 წლის 13 ივნისის N168 დადგენილების შესაბამისად თანამედროვე ტიპის საზოგადოებრივი ობიექტის მოწყობის მიზნით, ქალაქ ბათუმის ადგილობრივი თვითმმართველობის მიწის მართვისა და განკარგვის კომისია აცხადებს კონკურსს ქალაქ ბათუმში, ტაბიძისა და ლეონიძის ქუჩების კვეთაში მდებარე საცხოვრებელი სახლის მოპირდაპირედ 300 კვ.მ. სკვერის სარგებლობაში (იჯარა) განკარგვაზე.

**1. კონკურსის მიზანი**

კონკურსის მიზანია ტაბიძისა და ლეონიძის ქუჩების კვეთაში მდებარე საცხოვრებელი სახლის მოპირდაპირედ 300 კვ.მ. სკვერის სარგებლობაში 15 წლიანი იჯარით განკარგვა თანამედროვე ტიპის საზოგადოებრივი დასვენებისა და გასართობი ობიექტის მშენებლობისათვის.

**2. ინფორმაცია მიწის ნაკვეთის შესახებ**

მიწის ნაკვეთის მისამართი: ქალაქი ბათუმი, ტაბიძის ქ. N1;
მიწის ნაკვეთის განკარგვის წესი: კონკურსი;
მიწის ნაკვეთის გასხვისების ფორმა: იჯარა;
მიწის ნაკვეთის გამოყენების ფორმა (მიზნობრივი) - თანამედროვე ტიპის საზოგადოებრივი დასვენებისა და გასართობი ობიექტის მშენებლობა;
მიწის ნაკვეთის ფართობი: 300 კვ.მ;
მიწის ნაკვეთის საწყისი ფასი 1 კვ.მ-ზე - 0,72 ლარი, სულ 216 ლარი.
იჯარის ხელშეკრულების ვადა: 15 წელი.

**3. საკონკურსო პირობები:**

კონკურსის ძირითადი პირობებია:

1. მიწის ნაკვეთის საწყისი საიჯარო ფასი ყველა მონაწილისათვის ერთნაირია და შეადგენს 1 კვ.მ. 0,72 ლარს, ჯამში 216 ლარს, ხოლო იჯარის ხელშეკრულების ვადა 15 წელს;
2. სარგებლობაში გადაცემულ მიწის ნაკვეთზე თანამედროვე ტიპის საზოგადოებრივი დასვენებისა და გასართობი ობიექტის მშენებლობა;
3. კონკურსში გამარჯვებული პირი ვალდებულია მშენებლობა დაიწყოს ხელშეკრულების ძალაში შესვლის დღიდან არაუგვიანეს 1 თვისა და დაასრულოს მშენებლობის ნებართვის მიღებიდან 6 თვის ვადაში;
4. საკუთარი მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით უზრუნველყოს აშენებული ობიექტის ინფრასტრუქტურის მოწყობა.
5. კონკურსში გამარჯვებულმა ძირითადად უნდა უზრუნველყოს მომხმა-რებელთა მაღალი დონის მომსახურება, მიმდებარე ტერიტორიის კეთილ-მოწყობა და სანიტარიულ-ჰიგიენური წესების დაცვა. გამარჯვებული (შემდგომში მოიჯარე - ოპერატორი) ვალდებულია დაასუფთავოს მასზე განპირობებული და მიმდებარე ტერიტორია, არ შექმნას დისკომფორტული ხმოვანი ფონი, უზრუნველყოს საკანალიზაციო და ნარეცხი წყლების ცენტრალურ საკანალიზაციო ქსელში ჩართვა. Gგამარჯვებულმა ასევე უნდა უზრუნველყოს სკვერის მოვლა-პატრონობა და გამწვანება;
6. კონკურსში გამარჯვებული ვალდებულია უზრუნველყოს პროექტების წარმოდგენა და ქ. ბათუმის ქალაქგეგმარებისა და სივრცითი მოწყობის ადგილობრივ სამსახურთან სათანადო შეთანხმების შემდეგ ერთიანი გენგეგმის მიხედვით მათი რეალიზება;
7. საკონკურსო წინადადება ითვლება ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად იმ შემთხვევაშიც, თუ იგი ხელშეკრულებაში არ არის შეტანილი და მათი შეუსრულებლობა წარმოადგენს საფუძველს კონკურსის შედეგების გაუქმების, გამარჯვებულთან შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმების ან დადებული ხელშეკრულების მოშლისათვის. კონკურსში გამარჯვებულთან დადებული იჯარის ხელშეკრულების მოიჯარის მიერ ცალმხრივად შეწყვეტის საფუძველს წარმოადგენს ასევე მოიჯარის მიერ იჯარით გადაცემულ მიწის ნაკვეთზე საკონკურსო წინადადებით დადგენილ ვადაში მშენებლობის განუხორციელობლობა ან/და სხვა საკონკურსო პირობების დარღვევა.

**4. კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის პირობები:**

კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის პირობაა პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საპროექტო წინადადება, მათ შორის ისეთი საპროექტო წინადადება, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება სარგებლობაში (იჯარა) გადასაცემ მიწის ნაკვეთზე ასაშენებელი ობიექტის არქიტექტურული ერთიანობა, შემოთავაზებული მაღალი საიჯარო ქირა, სხვა პირობები და მომსახურების სახეები, რომლებიც საუკეთესოდ იქნება მიჩნეული.

**5. კონკურსში მონაწილეობის პირობები**

1. კონკურსში მონაწილეობა შეუძლია ნებისმიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირს, რომელიც აიღებს ვალდებულებას, რომ კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში გააფორმებს შესაბამის ხელშეკრულებას ქალაქ ბათუმის მთავრობასთან.
2. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საკონკურსო კომისიას უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი;
ბ) პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი წინადადებები (მათ შორის სა-პროექტო) ცალკე დალუქული სახით;
გ) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს საანგარიშსწორებო ან-გარიშზე სავალდებულო შენატანის სახით თანხის დეპონირების დამადასტუ-რებელი დოკუმენტი;
ე) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის მონაცემები;
ვ) ნოტარიალურად დამოწმებული მინდობილობა, თუ პრეტენდენტი მოქმედებს სხვა პირის სახელით;

3. იურიდიული პირები დამატებით წარადგენენ სადამფუძნებლო დოკუმენ-ტაციას.
4. კონკურსში მონაწილე პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადებები (მათ შორის საპროექტო) საკონკურსო ტერიტორიაზე განსათავსებელი კომერციული დანიშნულების ობიექტების შესახებ აუცილებელია წარმოდგენილი იყოს მინიმალური მოცულობით (ესკიზის სახით A3 ფორმატში, ზამბარაზე აკინძული, ლამინირებული - 2 ეგზემპლარად, კომპიუტერულ ვერსიასთან და მოკლე ანოტაციასთან ერთად). პროექტში ასევე გათვალისწინებული უნდა იყოს თანამედროვე ტექნოლოგიათა გამოყენება და უნდა იძლეოდეს წარმოდგენას შენობის ძირითადი გეგმარებითი და ტექნიკურ-ეკონომიკური მახასიათებლების შესახებ.
5. ა) კონკურსში მონაწილეობის გარანტიისათვის პრეტენდენტმა კომისიის სასარგებლოდ უნდა წარმოადგინოს დეპოზიტი 10,8 ლარის ოდენობით, რაც წარმოადგენს 300 კვ.მ. მიწის ნაკვეთის საწყისი ფასის 216 ლარის 5%-ს.

ბ) პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს საბანკო ან/და სადაზღვევო დაწესებულებისაგან გაცემული თანხმობა, რომ მისი გამარჯვების შემთხვე-ვაში საბანკო ან/და სადაზღვევო დაწესებულება გასცემს საბანკო გარანტიას კონკურსში გამარჯვებული პირის ვალდებულების უზრუნველსაყოფად არანაკლებ 20 000 ლარის ფარგლებში, ხოლო გამარჯვებულის გამოვლენის, კომისიის შემაჯამებელი ოქმის დამტკიცების და შეტყობინების გამარჯვებუ-ლის მიერ მიღებიდან 10 საბანკო დღის ვადაში გამარჯვებულმა უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება გამარჯვებულის მიერ ნაკისრი ვალდებულება არანაკლებ 20 000 ლარით.

აღნიშნული მოთხოვნის შეუსრულებლობა შესაბამისად წარმოადგენს საფუძველს პრეტენდენტის საკონკურსო პირობების განუხილველობისათვის, კონკურსის შედეგების გაუქმებისა და გამარჯვებულთან შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებაზე უარის თქმისათვის, რა დროსაც კონკურსში გამარჯვებულს პირგასამტეხლოს სახით დაეკისრება 3 000 ლარის გადახდა.

**6. სხვა პირობები:**

1. კომისიის გადაწყვეტილება მიიღება კომისიის საჯარო სხდომის დამთავრების შემდეგ არა უგვიანეს 30 დღისა. გადაწყვეტილება მიიღება კომისიის წევრთა ღია კენჭისყრით, ხმათა უბრალო უმრავლესობით და შეიტანება სხდომის ოქმში.
2. სახელმწიფო და მისი ოფიციალური პირები პასუხს არ აგებენ მატერიალურ დანახარჯებზე, რომლებსაც გასწევენ პრეტენდენტები საკონკურსო პროცესში მონაწილეობისათვის.
3. საკონკურსო დოკუმენტაციის პაკეტისა და სხვა ინფორმაციის მისაღებად პრეტენდენტმა უნდა მიმართოს საკონკურსო კომისიას შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმის ეკონომიკური პოლიტიკის ადგილობრივი სამსახური, ლუკა ასათიანის ქ. N25. ტელ: 7-26-45; 7-20-03.
4. კონკურსში განაცხადის მიღება შეწყდება 2006 წლის 21 ივლისს, 1500 სთ-ზე.
5. კომისიის სხდომაზე პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი დალუქული პაკეტების გახსნა და საჯარო განხილვა მოხდება 2006 წლის 21 ივლისს, 1600 სთ-ზე.
6. კონკურსში მონაწილეობისათვის პრეტენდენტმა "ბე" უნდა შეიტანოს შემდეგ ანგარიშზე:

აჭარის ცენტრალური ბანკი 220501102
მიმღები - ქ. ბათუმის საფინანსო სამსახური.
საიდენტიფიკაციო კოდი 245428531.
ანგარიშსწორების ანგარიშის N000142402

# განცხადება საერთაშორისო ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ს.ს. "ა. ღვამიჩავას სახელობის ონკოლოგიის ნაციონალური ცენტრი" თბილისი, 7716, ლისის ტბის მიდამოები საკუთარი შემოსავლების ფარგლებში საქართველოს კანონის შესაბამისად აცხადებს ერთეტაპიან ტენდერს ცენტრის საჭიროებისათვის მედიკამენტების, შესახვევი მასალისა და სამედიცი დანიშნულების საგნების შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.
2. ***შესასყიდი საქონლის ჩამონათვალი:*** მედიკამენტების, რეაქტივების, შესახვევი მასალისა და სამედიცინო დანიშნულების საგნების შესყიდვა:

- სპეც.კონტროლს დაქვემდებარებული მედიკამენტები
- ანტიბიოტიკები (სხვადასხვა ჯგუფის)
- ანტიმიკრობული საშუალებები
- გადასასხმელი საშუალებები
- სხვადასხვა ჯგუფის მედიკამენტები
- რეაქტივები
- ტესტ-სისტემები
- ერთჯერადი მოხმარების საგნები
- შესახვევი მასალა
- სადეზინფექციო საშუალებები
- ქირურგიული სახარჯი მასალა
- და სხვა...

3. ***საქონლის მიწოდების პირობები*** - საქონლის მიწოდება განხორციელდება ყოველთვიურად შემსყიდველის მოთხოვნის საფუძველზე 2006 წლის 31 დეკემბრამდე.
4. ***მიწოდების ადგილი:*** ქ. თბილისი, 7716, ლისის ტბის მოდამოები ს.ს. "ა. ღვამიჩავას სახელობის ონკოლოგიის ნაციონალური ცენტრი".
5. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები (დალუქულ პაკეტში), ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 7 ივლისის 15 საათამდე შემდეგ მისამართზე: ს.ს. "ა. ღვამიჩავას სახელობის ონკოლოგიის ნაციონალური ცენტრი" ქ. თბილისი, 7716, ლისის ტბის მოდამოები ოთახი N15. სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება ზემოაღნიშნულ მისამართზე 2006 წლის 7 ივლისის 15 საათზე (ტენდერში მონაწილეებს უფლება აქვთ დაესწრონ სტენდერო წინადადებების გახსნას).
6. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**6.1. იურიდიული პირისათვის:**

ა) იურიდული პირის რეგისტრაციის დამდასტურებელი დოკუმენტი;
b) ცნობა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ;
g) ცნობა სასამართლოდან, ან საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია.

**6.2. ფიზიკური პირისათვის:**

ა) ცნობა შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა.

**6.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:**

ა) ცნობა სასამართლოდან, ან საგადასახადო ინსპექციიდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;
ბ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან საქართველოს ბიუჯეტისადმი დავალიანების არარსებობის შესახებ;
გ) სატენდერო წინადადების ხელის მომწერისათვის გაცემული მინდობილობა (დაურთეთ საჭიროებისამებრ).

7. ზემოაღნიშნული საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენა სავალდებულოა ასევე მონაწილე პირის სუბკონტრაქტორბისათვის.
8. არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა საკვალიფიკაციო დოკუმენტების დამადასტურებლი დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნების შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოებიდან ქართულ ენაზე, ნოტარიულად დამოწმებული, თარგმანის სახით.
9. სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს სამ ეგზემპლარად დახურულ კონვერტში (ერთი ეგზემპლარი დედანის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით).
10. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-6 პუნქტში გათვალისწინებულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.
11. ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს შეეძლებათ 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ ანგარიშზე: მიმღები - ს.ს. "თი-ბი-სი ბანკი"-ს მარჯანიშვილის ფილიალი, კოდი N220101850, ანგარიშის N360800015, (სატენდერო მოსაკრებელი) 2006 წლის 5 ივლისის 15 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ს.ს. "ა. ღვამიჩავას სახელობის ონკოლოგიის ნაციონალური ცენტრი" ქ. თბილისი, 7716, ლისის ტბის მოდამოები ოთახი N15.
12. ტენდერში შესაძლებელია რამდენიმე გამარჯვებულის გამოვლენა, რომლებსაც მიენიჭებათ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ცალკეული ლოტების შესრულების უფლება.
13. ტენდერში გამოიყენება სატენდერო წინადადების ყზრუნველყიფის გარანტია სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის გარანტია 1%-ის ოდენობით.
14. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების გარანტიის მექანიზმი 3%-ის ოდენობით.
15. ტენდერში მონაწილეობის მსურველ პირებს უფლება აქვთ საკვალიფიკაციო მონაცემებისა და სატენდერო წინადადებების წარმოდგენამდე გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას შემსყიდველ ორგანიზაციაში.
16. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: ივანე ყაჭიური, მისამართზე: ს.ს. "ა. ღვამიჩავას სახელობის ონკოლოგიის ნაციონალური ცენტრი" ქ. თბილისი, 7716, ლისის ტბის მოდამოები ოთახი N15 ტელ: 39-86-51.

# შპს "საქართველოს რკინიგზა" აცხადებს კონკურსს

**შპს "საქართველოს რკინიგზის"** ***დაბა მახინჯაურის სამგზავრო ვაგზლის შენობის*** **ნაწილის (შემდგომში - საიჯარო ქონება) იჯარით გაცემის მიზნით, კაფე-ბარის მოსაწყობად**

*1. ძირითადი საინფორმაციო მონაცემები:*

**- საიჯარო ქონების იურიდიული მისამართი** - დაბა მახინჯაური, სამგზავრო ვაგზლის შენობა
**- საიჯარო ქონების ფართობი** - 50 კვ/მ.
**- შენობის დახასიათება** - ექსპლუატაციაში შედის 2006 წლის 15 ივლისს, შენობა შედგება 2 სართულისაგან, საიჯარო ქონება განთავსებულია მეორე სართულზე
**- საწყისი თვიური საიჯარო ქირა** - 200 ლარი, დღგ-ს გარეშე.
**- "ბე"** - 150 ლარი.
**- იჯარის ვადა** - 3 თვე.
**- განაცხადების მიღების ადგილი** - ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზირი N15, შპს "საქართველოს რკინიგზის" ადმინისტრაციული შენობა, მე-4 სართული, ტელ.: 56-33-48, 56-33-70, 56-65-10.
**- განაცხადების მიღების ვადა** - 2006 წლის 17 ივნისიდან 2006 წლის 3 ივლისის ჩათვლით, 10.00 საათიდან - 18.00 საათამდე.
**- კონკურსის ჩატარების თარიღი (მონაწილის წინადადებების შემცველი კონვერტების გახსნის თარიღი) ადგილი და დრო** - 2006 წლის 4 ივლისი, ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზირი N15, შპს "საქართველოს რკინიგზის" ადმინისტრაციული შენობა, 14.00 საათი.
**- შპს "საქართველოს რკინიგზის" საბანკო რეკვიზიტები** - "ბანკი რესპუბლიკა", ცენტრალური ფილიალი, ა/ა N3407003205, ბანკის კოდი N220101757, საიდენთიფიკაციო კოდი N202886010.
**- კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ** - საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს.

*2. კონკურსის პირობები*

- საიჯარო ხელშეკრულების გაფორმებიდან ერთი კვირის ვადაში თანამედროვე სტანდარტების შესატყვისი კაფე-ბარის მოწყობა და ექსპლუატაცია.
- მოიჯარის მიერ საიჯარო ქირის ყოველთვიურად თანაბარწილად გადახდა.
- მოიჯარის მიერ ქონების, კომუნალური და კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა გადასახადების, აგრეთვე საიჯარო ქონების დაცვის ხარჯების დროულად და სრულად გადახდა.
- მოიჯარემ უნდა დაიცვას ხანძარსაწინააღმდეგო, უსაფრთხოებისა და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები, უზრუნველყოს საიჯარო ქონების მოვლა-პატრონობა, აგრეთვე იმგვარად ისარგებლოს აღნიშნული ქონებით, რომ საფრთხე არ შეუქმნას სარკინიგზო მოძრაობასა და მოქალაქეთა უსაფრთხო გადაადგილებას შენობასა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე. თუ მოიჯარის ბრალეული ქმედებით შენობასა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე ზიანი მიადგა მესამე პირებს, მოიჯარე ვალდებულია აუნაზღაუროს მათ ეს ზიანი.
- მოიჯარე ვალდებულია შექმნას ყველა საჭირო პირობა საიჯარო ქონების ნორმალური ფუნქციონირებისთვის. მოიჯარეს უფლება არა აქვს სხვა დანიშნულებით გამოიყენოს საიჯარო ქონება და ხელი შეუშალოს მგზავრთა მომსახურებას.
- მოიჯარეს ეკრძალება, შპს "საქართველოს რკინიგზის" წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, მოახდინოს საიჯარო ქონების რეკონსტრუქცია, ქვეიჯარით გასცეს ან სხვაგვარად უფლებრივად დატვირთოს საიჯარო ქონება.
- იჯარის ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ საიჯარო ქონება უბრუნდება შპს "საქართველოს რკინიგზას".
- იჯარის ხელშეკრულების ვადამდე მოშლის ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენს საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის N1-1/209 ბრძანებით დამტკიცებული "სახელმწიფოს 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით არსებული საწარმოების ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების განკარგვისა და გადაცემის წესის შესახებ" დებულების მე-5 მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული პირობის დადგომა.

*3. საუკეთესო წინადადებების გამოვლენის კრიტერიუმები*

- მაქსიმალური საწყისი საიჯარო ქირის შემოთავაზება (რომელიც უნდა აღემატებოდეს გამოცხადებულ საწყის საიჯარო ქირას).
- საუკეთესო სერვისის შემოთავაზება (სასურველია საზ-კვების სფეროში მუშაობის გამოცდილების ქონა).
- ვალდებულების აღება დანარჩენი საკონკურსო პირობების დაკმაყოფილებაზე.

*4. იჯარის ხელშეკრულების დადება*

- კონკურსის ჩატარებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში გამარჯვებული მონაწილე ვალდებულია შპს "საქართველოს რკინიგზასთან" გააფორმოს იჯარის ხელშეკრულება, რომელიც უნდა დამოწმდეს ნოტარიული წესით.
- სახელშეკრულებო ვალდებულებების შეუსრულებლობის ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში მოიჯარე იღებს გაფრთხილებას წერილობითი ფორმით, სადაც მიეთითება ვადა დარღვევის აღმასაფხვრელად. ამასთან, თუ მოიჯარე დაარღვევს საიჯარო ქირის გადახდის ვადებს, მაშინ იგი ვალდებულია გადაუხადოს რკინიგზას პირგასამტეხლო თვიური საიჯარო ქირის 0,01 %-ის ოდენობით ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის (პირგასამტეხლო მოიჯარეს ეკისრება წინასწარი გაფრთხილების გარეშე).
**ობიექტის ფართობი:** 886,47 კვ.მ.
**ობიექტზე დამაგრებული მიწის ფართობი:** 11D556 კვ.მ.
**საწყისი გასაყიდი ფასი:** 3D500D000 (სამი მილიონ ხუთასი ათასი) აშშ დოლარის ექვივალენტი ლარებში (დღგ-ს ჩათვლით).

**აუქციონი ჩატარდება 2006 წლის 29 ივნისს დღის 12 საათზე.**

აუქციონის თაობაზე დაწვრილებითი ინფორმაცია გამოქვეყნებულია გაზეთ "მესაკუთრეს" 13..06.06წ N23 (468), (ჭანტურიას ქ. N12, III სართული).

**შ.პ.ს. "სახელმწიფო უზრუნველყოფა"**
**მისამართი: ქ.Dთბილისი, ი.Dჭავჭავაძის გამზ. N64**
საკონტაქტო ტელეფონი: 91-60-79 899 35-55-35 899 55-52-20

# მოწვევა ტენდერში მონაწილეობაზე

თარიღი: 2006 წლის 16 ივნისი
კონტრაქტის საიდენტიფიკაციო No.:GE/FDP/TS2-6
მსოფლიო ბანკის კრედიტი No.: *3699-GE*
მსოფლიო ბანკის პროექტის სახელწოდება: ტყის განვითარების პროექტი

1. საქართველოს მთავრობამ საერთაშორისო განვითარების ასოციაციისაგან (IDA) მიიღო კრედიტი ტყის განვითარების პროექტის განსახორციელებლად. ნაწილი ამ თანხიდან უნდა მოხმარდეს შემდეგ ქმედებებს: ლანდშაფტურ პრინციპეპზე დაფუძნებული სტატისტიკური მეთოდით ტყის ინვენტარიზაციის განხორციელება 20 სატყეო მეურნეობაში ტყის ფონდის ფუნქციონალური ზონირებისა და რესურსების დადგენის მიზნით.

2. მდგრადი განვითარების პროექტების განმახორციელებელი სააგენტო გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სახელით იწვევს ტენდერში მონაწილეობის მსურველებს წარმოადგინონ დახურული სატენდერო შემოთავაზებები შემდეგ ტექნიკურ მომსახურეობაზე:

*კვლევის ძირითადი მიზანია თვითოეული მოცემული ტერიტორიისათვის ტყითსარგებლობის ზონირების გეგმის შემუშავება არსებული ლანდშაფტურ-ეკოლოგიური ბაზისის (კარკასის) საფუძველზე. ამ გეგმის საშუალებით უნდა დადგინდეს ტყის ფონდის რესურსების რაოდენობრივი და ხარისხობრივი პარამეტრები და მერქნის ნამატი.*

**I. GE/FDP/TS2-6/1 (Lot 1; Lot 2; Lot 3; Lot 4)** - ლანდშაფტურ პრინციპეპზე დაფუძნებული სტატისტიკური მეთოდით ტყის ინვენტარიზაციის განხორციელება 6 სატყეო მეურნეობაში ტყის ფონდის ფუნქციონალური ზონირებისა და რესურსების დადგენის მიზნით.
**Lot#1 -** სამეგრელოს რეგიონი, ოდიშის სატყეო მეურნეობა, წალენჯიხასა (26 ათ.ჰა) და ჩხოროწყუს (21 ათ.ჰა) რაიონები;
**Lot#2 -** სამეგრელოს რეგიონი, მარტვილის სატყეო მეურნეობა, მარტვილის (36 ათ.ჰა) რაიონი;
**Lot#3 -** სამცხე-ჯავახეთის რეგიონი, ადიგენის სატყეო მეურნეობა, ადიგენის (31 ათ.ჰა) რაიონი; და საქართველოს 20 რაიონის ტერიტორიისათვის ლანდშაფტურ-ეკოლოგიური კარკასის მომზადება;
**Lot#4 -** სამცხე-ჯავახეთის რეგიონი, ახალციხის სატყეო მეურნეობა, ასპინძისა (15 ათ.ჰა) და ახალციხის (32 ათ.ჰა) რაიონები

**II. GE/FDP/TS2-6/2 (Lot 1; Lot 2; Lot 3)** - ლანდშაფტურ პრინციპეპზე დაფუძნებული სტატისტიკური მეთოდით ტყის ინვენტარიზაციის განხორციელება 4 სატყეო მეურნეობაში ტყის ფონდის ფუნქციონალური ზონირებისა და რესურსების დადგენის მიზნით.
**Lot#1 -** მცხეთა-მთიანეთის რეგიონი, დუშეთის სატყეო მეურნეობა, დუშეთის(115 ათ.ჰა) რაიონი;
**Lot#2 -** მცხეთა-მთიანეთის რეგიონი, ახალგორის სატყეო მეურნეობა, ახალგორის (52 ათ.ჰა) რაიონი;
**Lot#3 -** შიდა ქართლი რეგიონი, ხაშური-ქარელის სატყეო მეურნეობა, ხაშურისა (26 ათ.ჰა) და ქარელის (26 ათ.ჰა) რაიონები;

**III. GE/FDP/TS2-6/3 (Lot 1)** - ლანდშაფტურ პრინციპეპზე დაფუძნებული სტატისტიკური მეთოდით ტყის ინვენტარიზაციის განხორციელება 1 სატყეო მეურნეობაში ტყის ფონდის ფუნქციონალური ზონირებისა და რესურსების დადგენის მიზნით.
**Lot#1 -** მცხეთა-მთიანეთის რეგიონი, თიანეთის სატყეო მეურნეობა, თიანეთის (46 ათ.ჰა) რაიონი; და საქართველოს 840 ათ. ჰა ტერიტორიაზე აეროფოტოსურათების მოპოვება

**IV. GE/FDP/TS2-6/4 (Lot 1; Lot 2; Lot 3)** - ლანდშაფტურ პრინციპეპზე დაფუძნებული სტატისტიკური მეთოდით ტყის ინვენტარიზაციის განხორციელება 4 სატყეო მეურნეობაში ტყის ფონდის ფუნქციონალური ზონირებისა და რესურსების დადგენის მიზნით.
**Lot#1 -** კახეთის რეგიონი, ახმეტას სატყეო მეურნეობა, ახმეტას (74 ათ.ჰა) რაიონი;
**Lot#2 -** კახეთის რეგიონი, თელავის სატყეო მეურნეობა, თელავის (58 ათ.ჰა) რაიონი; და საქართველოს 160 ათ. ჰა ტერიტორიაზე აეროფოტოსურათების მოპოვება
**Lot#3 -** კახეთის რეგიონი, ყვარლის სატყეო მეურნეობა, ლაგოდეხისა (14 ათ.ჰა) და ყვარლის (57 ათ.ჰა) რაიონები;

**V. GE/FDP/TS2-6/5 (Lot 1; Lot 2; Lot 3; Lot 4)** - ლანდშაფტურ პრინციპეპზე დაფუძნებული სტატისტიკური მეთოდით ტყის ინვენტარიზაციის განხორციელება 5 სატყეო მეურნეობაში ტყის ფონდის ფუნქციონალური ზონირებისა და რესურსების დადგენის მიზნით.
**Lot#1 -** იმერეთის რეგიონი, ჭიათურა-საჩხერეს სატყეო მეურნეობა, საჩხერეს (44 ათ.ჰა) რაიონი; და საქართველოს 290 ათ. ჰა ტერიტორიაზე აეროფოტოსურათების მოპოვება
**Lot#2 -** იმერეთის რეგიონი, ბაღდადის სატყეო მეურნეობა, ვანისა (29 ათ.ჰა) და ბაღდადის (53 ათ.ჰა) რაიონები;
**Lot#3 -** გურიის რეგიონი, ოზურგეთი-ლანჩხუთის სატყეო მეურნეობა, ოზურგეთის (17 ათ.ჰა) რაიონი;
**Lot#4 -** გურიის რეგიონი, ჩოხატაურის სატყეო მეურნეობა, ჩოხატაურის (35 ათ.ჰა) რაიონი;

*დაინტერესებულ კომპანიებს შეუძლიათ წარმოადგინონ შემოთავაზებები ერთ, რამოდენიმე ან ყველა ლოტზე შესაბამისად ერთ, რამოდენიმე ან ხუთივე სატენდერო პაკეტის ფარგლებში, იმ პირობით, რომ თითოეულ ლოტზე წარმოდგენილი უნდა იყოს დამოუკიდებელი სატენდერო ფორმა და დამოუკიდებელი საბანკო გარანტია. ერთი სატენდერო პაკეტის ფარგლებში ერთ ლოტზე შემოთავაზების სურვილის შემთხვევაში დაინტერესებულმა კომაპანიამ უნდა შეიძინოს მთლიანი სატენდერო პაკეტი.*

*შეფასება განხორციელდება ლოტების მიხედვით.*

*3. დამატებითი ინფორმაციის მისაღებად და სატენდერო დოკუმენტაციის შესაძენად ტენდერში მონაწილეობის მსურველებს შეუძლიათ მიმართონ მდგრადი განვითარების პროექტების განმახორციელებელ სააგენტოს შემდეგ მისამართზე:*
**საქართველო, 0114, თბილისი, გულუას ქ. 6,**
**ტელ: +995 99 110848; +995 32 754050**
**საკონტაქტო პირი: ნინო რამიშვილი, შესყიდვების სპეციალისტი.**

*დოკუმენტების თითოეული კომპლექტის გადასახადი (100 ლარი), რომელიც არ ექვემდებარება უკან დაბრუნებას, გადარიცხულ უნდა იქნეს შემდეგ ანგარიშზე:*

*ბანკის დასახელება:* *ბაზის ბანკი, თბილისი, საქართველო*
*ბანკის კოდი:* *220 101 956*
*ანგარიშის N* *134446*
ბენეფიციარი: მდგრადი განვითარების პროექტების განმახორციელებელი სააგენტო

სატენდერო დოკუმენტების (ტენდერში მონაწილე კომპანიების მიერ წარმოდგენილი ფასების) ძალაში ყოფნის ვადაა 90 დღე სატენდერო წინადადებების გახსნიდან.
საბანკო გარანტიის თანხა თითოეულ ლოტზე:

**I. GE/FDP/TS2-6/1 (Lot 1; Lot 2; Lot 3; Lot 4)**
**Lot#1 -** 3500 ლარი
**Lot#2 -** 2500 ლარი
**Lot#3 -** 6000 ლარი
**Lot#4 -** 3500 ლარი
**II. GE/FDP/TS2-6/2 (Lot 1; Lot 2; Lot 3)**
**Lot#1 -** 8000 ლარი
**Lot#2 -** 4000 ლარი
**Lot#3 -** 4000 ლარი
**III. GE/FDP/TS2-6/3 (Lot 1)**
**Lot#1 -** 18000 ლარი
**IV. GE/FDP/TS2-6/4 (Lot 1; Lot 2; Lot 3)**
**Lot#1 -** 5500 ლარი
**Lot#2 -** 7000 ლარი
**Lot#3 -** 5000 ლარი
**V. GE/FDP/TS2-6/5 (Lot 1; Lot 2; Lot 3; Lot 4)**
**Lot#1 -** 8000 ლარი
**Lot#2 -** 6000 ლარი
**Lot#3 -** 1500 ლარი
**Lot#4 -** 2500 ლარი

დოკუმენტები მოწოდების ბოლო ვადაა
**I. GE/FDP/TS2-6/1 (Lot 1; Lot 2; Lot 3; Lot 4) -** 2006 წლის 17 ივლისს 13 საათამდე
**II. GE/FDP/TS2-6/2 (Lot 1; Lot 2; Lot 3) -** 2006 წლის 17 ივლისს 15 საათამდე
**III. GE/FDP/TS2-6/3 (Lot 1) -** 2006 წლის 17 ივლისს 17 საათამდე
**IV. GE/FDP/TS2-6/4 (Lot 1; Lot 2; Lot 3) -** 2006 წლის 18 ივლისს 13 საათამდე
**V. GE/FDP/TS2-6/5 (Lot 1; Lot 2; Lot 3; Lot 4) -** 2006 წლის 18 ივლისს 16 საათამდე

შემდეგ მისამართზე:
მდგრადი განვიტარების პროექტების განმახორციელებელი სააგენტო
საქართველო, 0114, თბილისი, გულუას ქ. 6
მე-6 სართული.

შემოთავაზებების გახსნის პროცედურა განხორციელდება **ზემოთ ხსენებულ დროს (თვითოეული სატენდერო პაკეტისათვის)** ადგილობრივი დროით ტენდერში მონაწილე კომპანიების წარმომადგენელთა თანდასწრებით (მათი სურვილის მიხედვით).

# შპს "საქართველოს ფოსტა" ატარებს კომერციულ კონკურსს შპს "საქართველოს ფოსტის" ბალანსზე რიცხული ფართების ქირავნობის წესით გაცემის მიზნით

**ქირავნობით გაიცემა შემდეგი ფართები:**

1. ქ.თბილისი, წყნეთი, რუსთაველის ქ.N3-ში მდებარე 15 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართი - საწყისი ყოველთვიური საიჯარო ქირა 1 კვ.მ. ფართზე 12ლ;
2. ქ.თბილისი, ვაგზლის მ.N2-ში მდებარე 150 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართი - საწყისი ყოველთვიური საიჯარო ქირა 1 კვ.მ ფართზე 9 ლარი;
3. ქ.თბილისი, ავიაფოსტის უბანში მდებარე 30 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართი - საწყისი ყოველთვიური საიჯარო ქირა 1 კვ.მ. ფართზე 9 ლარი;
4. ქ.თბილისი, ვაგზლის მ. N2-ში მდებარე 210 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართი (სარდაფის ტიპის) - საწყისი ყოველთვიური საიჯარო ქირა 1 კვ.მ. ფართზე 9 ლარი;
5. ქ.თბილისი, ვაგზლის მ. N2-ში მდებარე 10 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართი - საწყისი ყოველთვიური საიჯარო ქირა 1 კვ.მ. ფართზე 9 ლარი;
6. ქ.თბილისი, ვაგზლის მ. N2-ში მდებარე 200 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართი (სარდაფის ტიპის) - საწყისი ყოველთვიური საიჯარო ქირა 1 კვ.მ. ფართზე 9 ლარი;
7. ქ.თბილისი, ვაგზლის მ. N2-ში მდებარე 20 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართი (ნახევრად სარდაფის ტიპის) - საწყისი ყოველთვიური საიჯარო ქირა 1 კვ.მ. ფართზე 9 ლარი;
8. ქ.თბილისი, ვაგზლის მ. N2-ში მდებარე 180 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართი (ნახევრად სარდაფის ტიპის) - საწყისი ყოველთვიური საიჯარო ქირა 1 კვ.მ. ფართზე 9 ლარი;
9. ქ.თბილისი, ავიაფოსტის უბანში მდებარე 10 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართი - საწყისი ყოველთვიური საიჯარო ქირა 1 კვ.მ. ფართზე 9 ლარი;

**დამატებითი პირობები:**

1. ხელშეკრულების გაფორმებისას გამარჯვებული პრეტენდენტი ვალდებულია სამი თვის ვადაში ჩაატაროს მიმდინარე და სარემონტო სამუშაოები მის მიერ ქირავნობის წესით დროებით სარგებლობაში აღებულ ფართში გამქირავებელთან შეთანხმებული ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად, ხოლო რემონტზე გაწეული ხარჯები გამქირავებლის მიერ არ ანაზღაურდება;
2. ხელშეკრულების გაფორმებისას გამარჯვებული პრეტენდენტი შპს "საქართველოს ფოსტის" სალაროში წინასწარ იხდის სამი თვის ქირავნობის გადასახადს;

კონკურსი ჩატარდება 2006 წლის 3 ივლისს 16.00 საათზე, შპს "საქართველოს ფოსტის" სათაო ოფისში, მისამართზე: ქ.თბილისი, ვაგზლის მ.N2;

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად მონაწილის ბილეთის ფასი შეადგენს 20 ლარს რომელიც მონაწილის მიერ გადახდილი უნდა იქნეს შპს "საქართველოს ფოსტის" სალაროში.

კონკურსში მონაწილეთა განაცხადების მიღება დაიწყება მ/წლის 19 ივნისს და დასრულდება 30 ივნისს 18.00 საათზე.

**კონკურსში მონაწილე პირებმა უნდა წარმოადგინონ:**
1. განაცხადი;
2. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის მონაცემები;
3. გადახდის ქვითარი (გამოცხადებული ყოველთვიური ქირის 10%-ს პრეტენდენტი იხდის ბე-ს სახით ბილეთის საფასურთან ერთად ფოსტის სალაროში);
4. იურიდიული პირები დამატებით წარმოადგენენ ნოტარიულად დამოწმებულ სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლს, ამონაწერს სამეწარმეო რეესტრიდან;
5. კონკურსი ჩატარდება ღია წესით და იმავე დღეს გამოცხადდება გამარჯვებული ფიზიკური თუ იურიდიული პირი;
6. აუცილებელია პრეტენდენტის დასწრება კონკურსზე, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ მიერ შემოტანილი განაცხადი არ დაექვემდებარება განხილვას და არ ანაზღაურდება კონკურსში მონაწილეობის მისაღებად გადახდილი ბილეთის ფასი;
7. პრეტენდენტთა წინადადებების შეფასებისას უპირატესობა მიენიჭება იმ პირთა განაცხადებს, რომლებიც კონკურსის ჩატარების დღეს შემოგვთავაზებენ საწყის ღირებულებასა და სხვა კონკურსის მონაწილე პირებზე მეტი საფასურის გადახდას;
8. ხელშეკრულება მხარეებს შორის გაფორმდება კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენიდან 10 დღის ვადაში;
9. დამქირავებელი ვალდებულია საწარმოს (აღნიშნული ფართის) პრივატიზაციის (რეალიზაციის) შემთხვევაში შეწყვიტოს საწარმოს (აღნიშნული ფართის) პრივატიზაციამდე (რელიზაციამდე) საწარმოს ძირითადი საშუალებების დროებით სარგებლობაში გადაცემის ურთიერთობები (ხელშეკრულებები) ყოველგვარი კომპენსაციებისა და ჯარიმების გადახდის გარეშე, რაც ძირითადი საშუალებების დროებით სარგებლობაში გადაცემის საკონკურსო (სააუქციონო) და სახელშეკრულებო პირობებშია.

დაინტერესებულ პირებს დაწვრილებითი ინფორმაციის მისაღებად შეუძლიათ მიმართონ შპს "საქრთველოს ფოსტის" საკონკურსო კომისიას
მისამართზე: ვაგზლის მ. N2; ტელ: 912142; 899 50 53 70

შპს "საქართველოს ფოსტა"

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ქალაქ თბილისის ისანი-სამგორის რაიონის გამგეობა აცხადებს ტენდერს რაიონის ტერიტორიაზე არსებული საცხოვრებელი სახლების I სართულის კეთილმოწყობის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

მოსაწყობია:

ა) სადარბაზოში შესასვლელი ცენტრალური ლითონის კარი 2მმ-იანი თუნუქის ფურცლებით, მასზე დამონტაჟებული კოდირებული საკეტით. კარები უნდა დამონტაჟდეს და შეიღებოს 2 ფენად ზეთოვანი საღებავით. კარებების სავარაუდო რაოდენობა 800 ცალი, საერთო სავარაუდო ფართით 2400 მ2;

ბ) სადარბაზოში შესასვლელი სათადარიგო ლითონის კარი, ცხაურის ტიპის, დ-14 მმ-იანი მასიური კვადრატით, საკეტის გარეშე. მასზე უნდა იყოს დამონტაჟებული შიდა ურდული და ბოქლომის ჩამოსაკიდებელი რგოლები. კარები უნდა დამონტაჟდეს და შეიღებოს 2 ფენად ზეთოვანი საღებავით. კარებების სავარაუდო რაოდენობა 95 ცალი, საერთო სავარაუდო ფართით 185 მ2.

შესყიდვის ობიექტის კონკრეტული პარამეტრები მისამართების ჩვენებით შემსყიდველის მიერ ტექნიკური დავალების სახით გადაეცემა ტენდერში გამარჯვებულ ორგანიზაციას.

2. მიწოდების სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2006 წლის 1 დეკემბრამდე.

3. დაინტერესებულმა პირებმა განაცხადი ტენდერში მონაწილეობის სურვილის შესახებ, საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება (დალუქულ კონვერტში) ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 7 ივლისის 11 სთ-დან 10 ივლისის 17-სთ-მდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მოსკოვის გამზირი N14, ისანი-სამგორის რაიონის გამგეობა.

4. პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

4.1. იურიდიული პირისათვის:

ა) ცნობას საგადასახადო ინსპექციიდან რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

ბ) ცნობას სასამართლოდან ადგილმდებარეობის მიხედვით რომ არ მიმდინარეობს მისი გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება;

ბ) ცნობას საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა.

4.2. ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობას შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია;

ბ) ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

4.3. როგორც იურიდიული ასევე ფიზიკური პირისათვის:

ა) ინფორმაციას სამუშაოების განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურტექნიკური შესაძლებლობების შესახებ.

5. თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

6. 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, (ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო შემოსავლებისათვის (რაიონების მიხედვით) აN200122900, საქართველოს ეროვნული ბანკი, კოდი 220101107, სახაზინო კოდი: ისანი-სამგორის რაიონი 300054040; დანიშნულება-ადგილობრივი სატენდერო მოსაკრებელი) სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა 2006 წლის 17 ივნისიდან 2006 წლის 7 ივლისამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მოსკოვის გამზირი N14, ისანი-სამგორის რაიონის გამგეობა.

7. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: მერაბ პაპიაშვილი, საკონტაქტო ტელეფონი: 705473, 899341297, მისამართზე: ქ.თბილისი, მოსკოვის გამზირი N14, ისანი-სამგორის რაიონის გამგეობა.

**სატენდერო კომისია**

© გაზეთი 24 საათი

# Weekend

შაბათ-კვირა, №9
17-18 ივნისი, 2006




დედაქალაქი

არის ასეთი ქვეყანა 7

გულახდილად

აჭარაში დანახული ჟინი



4

სტილი



მუზეუმის ინტერიერი 5

დროთა კავშირი

"უდაბურ ტალღათა" მითი 10

საკითხავი

უჩინარი ქალაქები 12

ავტომობილი



"ულტიმა GTR720" ყველაზე ტემპერამენტიანი ავტომობილი 14

ბუზღუნა






მთავარი გმირი ორი ორთქმავალია - ერთი დიდი ტვირთის მატარებელი, ნაომარი და მეორე - უფრო ქალური, რომელიც პატარა სადგურში მანევრებს აკეთებს. ეს ამბავი მათ ამაღლებულ სიყვარულზეა.

2-3

# რეზო გაბრიაძე: საქართველო ახლა ურთულეს მოსახვევშია

მაია ჭალაგანიძე

*“იმედია, თეატრი 6 თვით დაიკეტება, მაგრამ ალბათ 8 თვე გამოვა...” - ამბობს ბატონი რეზო გაბრიაძე. ვსხედვართ ძველ ქალაქში, ბეტონის ახალი, სახლებით გარშემორტყმულ “არ დაიდარდოს” შუშაბანდში, რომელიც ამ უსერიოზულეს შენობებში გაჭედილი მობუზული ლეკვივით ცახცახებს.*
*მარიონეტების თეატრი 6-7 თვით იკეტება და სეზონზე ახალი სპექტაკლითა და ძველი მაყურებლით გაიხსნება.*

## ავანგარდი და არიერგარდი

სპონსორის გვარს მოგვიანებით ვიტყვი. უაღრესად მადლიერი ვარ ამ კაცის, უანგაროდ იმდენი რამ გააკეთა საქართველოში.

თეატრი შენდება და სპექტაკლებს ვდგამთ. ტექნიკურად ძალიან ჩამორჩენილი ვიყავით. მაგრამ, ეს ჩამორჩენა ყოველთვის ცუდი არ არის.

თავისთავად, არიერგარდიც საინტერესოა. უავანგარდოდ ცხოვრებაც შეუძლებელია და ხელოვნებაც, მაგრამ სულ წინ, ავანგარდში ყოფნის და უკან არმოხედვის სურვილი არ ვარგა იმიტომ, რომ როცა ადამიანი ერთ ადგილზეა, კუნთების, გრძნობების ატროფია ხდება, ფუნქციები იშლება. ამიტომ ვიღაც ხომ უნდა იყოს არიერგარდში?! ისინი ძალიან ჩქარა გარბიან წინ და ჩვენ ნელა მივსდევთ, თუმცა, ხშირად ავანგარდისტობასაც მაბრალებან. თავს იმ კულტურის ნაწილად ვთვლი, რომელიც საქართველოში ყოველთვის იყო, არის და იქნება, ამ ტრადიციებს მივსდევ. ძალიან ტრადიციული კაცი ვარ და ამას არავითარ შემთხვევაში არ მინდა გადავუხვიო.







რეზო გაბრიაძე.





## თბილისური ცხოვრება

- 10 წელია, აქ ვარ. ისე, ბოლოს ორი თუ სამი წლის წინ ვიყავი ინგლისში. სულ უფრო და უფრო მიჭირს ფრენა ავადმყოფობების გამო, რომელიც ადამიანში გროვდება, როცა 70 წელს უახლოვდები. ვარ თბილისში, ვმუშაობ და ვცდილობ, ბევრი არ ვიარო, ამის არც დრო მაქვს.

**- ახალი სპექტაკლი ალბათ, ისევ სიყვარულზე იქნება.**

- ისევ. მთავარი გმირი ორი ორთქმავალია - ერთი დიდი ტვირთის მატარებელი, ნაომარი და მეორე - უფრო ქალური, რომელიც პატარა სადგურში მანევრებს აკეთებს. ეს ამბავი მათ ამაღლებულ სიყვარულზეა.

ხშირად მეკითხებიან, რატომ ორთქმავლებზეო? იმიტომ, რომ ძალიან ლამაზები და ძალიან ერთგულები არიან, განსაკუთრებით, თეატრალური დადგმისთვის.

ცხოვრება ძალიან დაძაბულია თბილისში. შემხვდებიან ხოლმე ნაცნობები და აზრზე არ ვარ, ვისთან ვდგავარ. ახლა თურმე ეს მემარცხენე გამხდარა, ოღონდაც, გუშინწინ მემარჯვენე იყო და მე ეს არ მცოდნია. დღეს თურმე ამ მთავრობას უმღერის და გუშინ იმას უმღერდა. მოკლედ, ვერ გავუგე... ამ პოლიტიზებულ ფონზე საშიშიც არის გააცილო კაცი იმქვეყნად, იარო პანაშვიდებზე, ქორწილებსა და მეჯლისებზე. ძნელია თქვა უარი კონსერვატორიასა და ოპერაზე.

**- “არ დაიდარდოს” შუშაბანდიდან როგორ ჩანს ეს ყველაფერი?**

- დიდი პროცესი მიდის. საქართველო ურთულეს მოსახვევშია. ფეოდალიზმიდანაც კი არ გამოვდივართ, იმიტომ, რომ ფეოდალიზმიც ვერ დავამთავრეთ, ჩავრჩით იმ კლასში და ახლა სოციალისტური ეგვიპტიდან გამოვდივართ იმიტომ, რომ მოვხვდით ისეთ სასწაულში, რასაც საბჭოთა კავშირი ერქვა. თანაც, ძალით კი არ ვიყავით, აქტიურად ვმონაწილეობდით მის შექმნაში. ახლა ერთი იდეოლოგია დაერთო გაუთავებელი ლოთობისა და “სუფრა აკადემიაა”-ს მეორე იდეოლოგიას. ერთი რამ კი მახარებს - დადებით ახალგაზრდებში აშკარად შეინიშნება კულტურისადმი წადილი.

**- წუხელ, რუსეთის ერთ-ერთ არხზე ცნობილი რუსი მსახიობი ბატალოვიც ამას ამბობდა. დაჯერება შეიძლება, რადგან უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში ის პედაგოგია...**

- ახალგაზრდებმა ჯერ დასავლეთის კულტურით დაიწყეს, ეს გზა აუცილებლად მიგიყვანთ ჩინეთის, ინდოეთის, იაპონიის, მექსიკისა და სხვა კულტურებთან. აუცილებლად გაივლიან სფეროს, რასაც ქვია დედამიწა და მისი კულტურა, სადაც ჩვენ მარგალიტად ვჩანვართ. ოღონდაც, ერთი საშიშოება არის - გლობალიზაცია გარდაუვალია. ადამიდან და ევადან ადამიანი მხოლოდ გლობალიზაციას აკეთებს. უამისოდ არ იქნებოდა წამალი, ჩაიდანში არ იქნებოდა მდუღარე, არ იქნებოდა ჩოხა და ულვაში რომ ულვაშია, ისიც არ იქნებოდა - ვიღაც ერთმა გაიპარსა და მწყობრში მოიყვანა ბანჯგვლები, მეორე მოვიდა, ნახა და აიღო - არიან ერები, რომელთაც ეს კარგად გადააქვთ. მიმოსვლის გარეშე არც ქრისტიანები ვიქნებოდით, საიდან გავიგებდით, რომ ეს არსებობდა?!

გლობალიზაცია გარდაუვალი პროცესია და თან საშიში იმიტომ, რომ იშლება არაჩვეულებრივი, იდუმალი, ჩამალული, რომელიც 4-5 ათასი წელია ადამიანში დევს და ეს მუსიკაში კარგად ჩანს, რა აჯობებს მსოფლიოში “ჩაკრულოს?”

დედამიწაზე არსებული ერები ეს უზარმაზარი ორკესტრია და დირიჟორი იცით თქვენ, ვინც იქნება. არ შეიძლება დაიკარგოს სილამაზე და მით უმეტეს, ისეთი არაჩვეულებრივი ენა, რომელიც ჩვენ ღმერთმა გვარგუნა. ნიკო მარს აქვს ნათქვამი - ქართული ენა ყოველთვის პასუხობს თანამედროვეობასო. ჩვენი ენა მუდამ მიყვება დროს, ჩამორჩენა არ აქვს.

**- ანტიგლობალისტები გვარწმუნებენ, რომ აუცილებლად წავიშლებით და დავიკარგებით...**

- ეს საშიშროება არის და მოდით, ასე ვთქვათ - რადგან გლობალიზმი გარდაუვალი პროცესია, დისციპლინისთვის, იმისთვის, რომ მართლა არ წავიშალოთ, ანტიგლობალისტები საჭირო და აუცილებელიცაა. ცხოვრებაში ყველანაირი პეპელა არსებობს და ამას ქვია ჰარმონია. ამიტომ, მათი მოსმენა და პატივისცემა აუცილებელია. მე არც გლობალისტი ვარ და არც ანტიგლობალისტი, რადგან ძალიან მოხუცი ვარ. როცა ვეკითხები ჩემს თავს, ახალგაზრდა რომ ვიყო, რომელი ვიქნებოდი-მეთქი, აუცილებლად ამათ შორის ჰარმონიის მისაღწევად ვიქნებოდი.

დიდი უზნეობაც არის - არ მესმის, პოროსის მარმარილოს მელანი შეასხა და დაამსხვრიო ვიღაც გენიოსის ნახელავი (ჰენუიაში). დღეს რომ ბორის ძნელაძე ყოფილიყო, აუცილებლად მიეკედლებოდა ანტიგლობალისტურ პროტესტებს. აქეთაც ხომ საშინელებაა? გლობალისტები სულ მოგებაზე ფიქრობენ და ამაშია მათი ძალა. უყვართ მოგება და რაც მთავარია, იციან, მაგრამ ეს თუ არ გათანასწორდა, ასე სად გავექანებით? მსოფლიო სადღაც დაიკარგება, მე კი არ მინდა დაიკარგოს ქართული ენა და აზროვნება და არ მინდა ასევე დაიკარგოს იტალიურიც და სხვაც. ჩვენ ამ ჰარმონიას მივაღწევთ, ჰარმონიაზე ვიფიქროთ ყველამ და ასე ვიაროთ.

**- თქვენ ეს სიტყვები ცხოვ-**

**რებისეულმა გამოცდილებამ გათქმევინათ. მაგრამ, ამ რთულ მოსახვევში სხვადასხვა ტემპერამენტისა და ასაკის ადამიანი ერთად როგორ შევა? ამ მოსახვევში კი ჩვენ ახალგაზრდა თაობას შევყავართ, რომელიც ახლა, ჩვენზე, ცოცხლად სწავლობს რთულ მოსახვევებში სიარულს...**

- ფორმას გააჩნია. რა ფორმით გააკეთებ ყველაფერს. ქუჩაში დაგდებული ნებისმიერი ქვა ვილაცისთვის მოგონებაა, მაგრამ დაუნახაობაც არ შეიძლება... მაგრამ, ეს არის აქტიური პოლიტიკა თქვენ კი ახლა პოლიტიკაში მითრევთ... ჩვენი მინისტრების სწავლება 10 ოქსფორდის ფასი გვიჯდება, რადგან ის ჩვენს ზურგზე სწავლობს. ისეთი გაწვრთნილი და სასწაული რკინის კაცი იყო საუბედუროდ, ეს სტალინი. სპეციალური სახლი ააშენეს და "სპეციალისტების სახლი" დაარქვეს. ესენი უაღრესად კონსერვატიული ხალხი იყო, მეფეს მისტიროდნენ. გენშტაბი რომ გადაათვალიეროთ, სულ მეფის ოფიცრები იყვნენ და მათ გააკეთეს ის გამარჯვება, რომლითაც ყოველთვის ვიამაყებთ, რადგან ფაშიზმზე ეს გამარჯვება ქართველებისაც არის.

კაცის ასე იოლად გადაგდება არ შეიძლება. თქვენ შეგიძლიათ ეს დააზუსტოთ - ევროპაში სერიოზულად დგას პენსიონერების უკან მოყვანის საკითხი, არ გაგიგიათ? იმიტომ, რომ იქაც ეს პრობლემა დაიბადა. მოვიდა ახალგაზრდა, ენერგიული მაგრამ ვერ აშენებს ხიდებს და ბანკებს. თქვენ მეტყვით - ხომ იყო პერიკლი, სოფოკლე... სოკრატი და პლატონი რომ ერთ ხარაგაულისხელა ქალაქში ქუჩაში ხვდებიან ერთმანეთს და ეს ერთსა და იმავე საუკუნეში ხდება, ჩვენ "მარგალიტებზე" ცოტა უნდა დავიხიოთ. მარგალიტები ბევრი გვხდება ტელევიზიაში, სადაც ზის კაცი და ამბობს: მე შვეიცარიის მოდელს ავიღებდი, მაგრამ უფრო წინ წავიდოდი... ეს კაცი ან აშკარად ბოდავს, ან წუხანდელი გამოყვა. ამ ლაპარაკის დროს სახესთან ხელს იქნევს აქეთ-იქეთ იმიტომ, რომ სტუდიაში მესამე წელია ცხოვრობს ბუზი და რომ ის უკვე ტელევარსკვლავია. ტელევიზიაში კადრი ბუზებით არის სავსე.

ასე რომ, 45 წლიანი ხალხი, რომელთაც იციან ხიდის აგება, ან იციან სად დევს თბილისის კანალიზაცია, საჭიროა.

## "მიმდინარეობს ჩასუნთქვა"

ზოგ ადამიანს 24 საათი არ ყოფნის, რომ იყოს ტელევიზიაში. არის ხალხი, რომელიც სულ იქ არიან, ალბათ იქ ძინავთ, მაგრამ 24 საათიდან როგორ აკეთებენ 25 საათს, არ ვიცი.

ერთხანს, ახალგაზრდობაში ჟურნალისტი ვიყავი და ვიტყვი - ტელევიზიამ საქართველოში ჩამოაყალიბა და დაამკვიდრა საშინელი სტილი, ერთმანეთს აზრი გააწყვეტინონ. უფრო ადრე კი, არეულობის დროს (ავტორიც ვიცი ამ სიტყვის, მაგრამ არ გეტყვით), გამუდმებით გაიძახოდნენ "ერთი წამით, ერთი წამით..." ანუ, როცა თქვენ ლაპარაკობთ, მე ვპოულობ ადგილს, სადაც ტელევიზიის ენით რომ ვთქვა, "მიმდინარეობს ჩასუნთქვა" და ახლა მე ვიწყებ - "ერთი წამით..."

რომელიმე კეთილმან და მოცლილმან რომ დაიდოს ჭადრაკის საათი და სუფთა დრო დაითვალოს, აღმოჩნდება, რომ ზოგ გადაცემაში წამყვანს ამ სუფთა დროის 70-80 პროცენტი მიაქვს. ე.ი. ეს ადამიანი საკუთარი თავის პიარითაა დაკავებული, კომუნიკაცია ირღვევა. ამიტომაა, რომ ხალხმა დაიწყო გადართვა არხებზე, სადაც ერთი ადამიანი მეორეს ლაპარაკს აცლის. ჩიტებს და ცხოველებს თავისი ენა აქვთ, რომელიც, სამწუხაროდ, ჩვენ არ გვესმის. მაგრამ, ჩვენთან რომ ენა წარმოიშვა, ის არც ჩიტებს ესმით და არც ჩვენ.

მაგალითად: "მე ამაზე ვისაუბრე" - ამბობს - საუბარი კი მინიმუმ, ორ ადამიანს გულისხმობს. საუბარს ძალიან მოუხდება აივანი და არა ბალკონი. ბალკონზე შეიძლება წაიჩხუბო ან ჩამოვარდე იქიდან. რომელიღაც არხზე ცეცხლმოკიდებულ სახურავზე იდგა მეხანძრე. დგას, გადმოხტომა უნდა. ამ დროს წამყვანი ამბობს: "ახლა ჩვენ ის გვესაუბრება და... " მსხვილ პლანზე ტუჩების არტიკულაციით მთელი საქართველო კითხულობს, რომ ის კაცი ამბობს სამ ნაცნობ სიტყვას, რომლიდანაც პირველია "შენი..." ესენი კი, ამბობენ: "მან საუბარში განაცხადა, მიშველეთო და ჩვენ ეს დავაფიქსირეთ..." გადავრჩით და გამოვედით პერიოდიდან "დავაფიქსირეთ" და ახლა არის პერიოდი "მე ვსაუბრობ..." ამ სიტყვებში იმალებიან და ჰგონიათ, რომ არიან კულტურულ-მულტურულები.



*საუბარი "არ დაიდარდოს" შუშაბანდში.*

## სად არიან ექსტრა ქართველები

ქუთაისში ძალიან კარგი საავადმყოფო გაუხსნიათ და იცით, ეს რა კარგია?! ქუთაისი არის არაჩვეულებრივი საექიმო ქალაქი და აგიხსნით რატომ - თბილისის სამედიცინო ინსტიტუტი ძალიან ახლოს იყო ცეკასთან და ცეკას ემსახურებოდა, ხოლო ქუთაისლები, თელაველები მიდიოდნენ ხარკოვში, კიევში, მოსკოვში, პეტერბურგში და მართლა სერიოზულად სწავლობდნენ. ამიტომ, ყველაზე ზუსტი დიაგნოსტიკა ახლა მანდ არის.

ცუდად რომ ვიყავი, ქუთაისში, ერთ ექიმთან დამაკავშირეს. კარგა ხანს მელაპარაკა, გამომკითხა ყველაფერი და მითხრა, ეს გჭირს, ეს და ესო. მერე გადავფრინდი ისრაელში და აბსოლუტურად იგივე დიაგნოზი დამისვეს.

თქვენ იცით, საქართველოს ისტორიაში რა დიდებული გვარია მესხიშვილი. მე-16 საუკუნიდან ერთნაირად მძლავრი პიროვნებები იყვნენ ამ გვარში და ნებისმიერ სფეროში ასე მსახურობდნენ - ხელოვნება, მედიცინა, სამღვდელოება. ჩვენ გვყავს ლამაზი ქცევის, ექსტრა კლასის ხარისხიანი ადამიანი, სახელოვანი ექიმი ლადო მესხიშვილი, რომელიც ახლა გერმანიაშია. ბავშვის გული ერთი ციდაა. წარმოიდგინეთ, 2 დღის დაბადებული ბავშვის გულის ოპერაციას აკეთებს ჩემი თანამემამულე და თანაც მეგობარი. რა უჭირს ჩვენს ქვეყანას ასეთი უსაშველო, რომ მას ერთი შენობა არ ერგო?!

**- რამდენიმე წლის წინ მას უნდოდა საქართველოში გერმანიის ანალოგიური კლინიკის გაკეთება, რომელიც რეგიონული მნიშვნელობისა იქნებოდა და მთავრობის თითქმის ყველა კაბინეტში წილი მოსთხოვეს... როგორც თქვეს, ახლა მის ჩამოსაყვანად მოლაპარაკებები მიმდინარეობს.**

- ძალიან ვაჟკაცი ყოფილა ის, ვინც მაგას ფულს მოთხოვს. არსებობს რწმენა და ცრუმორწმუნეობა. ცრუმორწმუნეებსაც აქვთ შიშები - ან ღილს კოცნის, ან გაიკას. მაგრამ, იმას, ვინც მესხიშვილს ფული მოთხოვა, არც რწმენა ჰქონია და არც ცრუმორწმუნეობა. მერე ის ფული შეერგება? ამას ტყის ყაჩაღი არ კადრულობს. არ იცის, თვითონ რა ელის, საწყალი და უბედურია. რაც არ უნდა დაუდოთ თქვენ ლადო მესხიშვილს, ის არ ითამაშებს ამ თამაშს, რადგან ის უამრავი ბავშვების გულების მოსარჩენად მოდის.

## გამომშვიდობება "ხრუშჩოვკებთან"

- ეს გარდაუვალი პროცესია. ყოველი ახალი სახლი თბილისში, ერთი წაშლილი სოფელია. როგორც კი თბილისში ერთი სახლი აშენდა, სადღაც სოფელი ჩაკვდა. ხანდახან ვფიქრობ, ვიღაც განგებ აკეთებს, ყველა აქ ჩამოგვყაროს და უპატრონო გაიყიდოს... გაშეშებულია ქუთაისი, მკვდარია ქალაქი.

გამიხარდებოდა, რომ რაც შეიძლება მეტი კარგი ავტომოდელირების და სხვა წრეები გაიხსნას, იმიტომ, რომ ახალგაზრდას ტვინი ძალიან ვითარდება. ასეთი ბევრი წრე უნდა იყოს და ყველგან, განსაკუთრებით, ისეთ ქალაქებში როგორიც ქუთაისია. ქუთაისში კაცი ქუჩაში გამოდის და თავი უყვარს, თუ ჯიბეში 15 თეთრი აქვს.

შეინიშნება უგემოვნოდ გაფორმებული რესტორნების სიმრავლე. ამდენ რესტორანს მინიმუმ, ნიუ-იორკის, ან კაიროს რაოდენობის მოსახლეობა ჭირდება, რადგან ჩვენ არ გვყავს ამდენი მოსახლეობა, ამდენი მოქეიფე დარდიმანდი.

**- ეს მუშაობს და ალბათ, ამიტომაც იხსნება. საგამოფენო დარბაზებს ხომ მოგება არ მოაქვთ?**

- არ მუშაობს, რადგან საგამოფენო დარბაზიც ძალიან ბევრია.

დიდი მადლობა მას, ვინც ჩვენი კინოსტუდია გადაარჩინა. არ არსებობს ქართული ფილმი, რომელიც ამ პავილიონებში არ იყოს გადაღებული. თუ არ მეშლება, 800 ფილმი გვაქვს და აქედან მინიმუმ, 15 შედევრია (არ ჩამოვთვლი, ვინმეს რომ არ ეწყინოს). ომამდელ კინოს ვგულისხმობ ან, ვთქვათ, ჩემს დროს გაკეთებულ "ფიროსმანს", რომელიც მსოფლიოში უნიკალურ ფილმად აღიარეს. ეს ჩვენი სტუდია "დეფას" სპეციალისტების მიერ არის აშენებული. ომამდე, 20-იან წლებში "დეფა" და ჰოლივუდი ერთმანეთს ტოლს არ უდებდნენ. ამ არაჩვეულებრივ პავილიონებს ვიღაცამ რომ ბულდოზერი მიაყენა, კინაღამ გული გამისკდა. მერე სასიხარულო ამბავი გავიგე, რომ გადარჩენილა. ეს დიდი საქმეა.

ვიღაცამ მითხრა, ქუთაისში შეიძლება, თეთრი ხიდი აღადგინონო. რატომ არ შეიძლება მას დაერქვას აკაკის ხიდი? თუმცა, ამას სპეციალისტები უფრო დააზუსტებენ.

რომ ჩავფიქრდები, სევდას მგვრის, სოფელი რომ იშლება, ქალაქები იშლება. ამ საკითხში დილეტანტის რჩევა მინდა მივცე - სოფლისკენ და სხვა ქალაქებისკენ მიმავალი გზის პირველი 50 კილომეტრი მაინც კარგად უნდა გაკეთდეს, რადგან მალე დადგება დრო, როდესაც ეს მოსახლეობა თბილისს აუცილებლად მიატოვებს. თუ გზები იქნება, სახლსაც ააშენებს, წარმოიშობა პატარა ქალაქები, რომელსაც თავისი წარმოება ექნება და რომელიც იოლი მოსავლელია. აუცილებლად მოვა დრო, როცა ამუშავდება ფოთი, ქუთაისი და სხვა დაბა-ქალაქები, ამისი მჯერა.



ქეთევან იგნატოვას

## გულახდილად

საქართველოსა და რუსეთის პრეზიდენტების ამ კვირაში შემდგარი შეხვედრით გამოწვეული ემოციების გულახდილად არგაზიარება არაფრით შემეძლო. შეხვედრის წინა ნერვიულობის, მოლოდინის გადმოცემაც არ შემიძლია. არც ის შემიძლია არ ვაღიარო, რომ როდესაც სააკაშვილმა სიტყვა დაიწყო, გულმა ცოტა წამიჭირა (ეტყობა, კარდიოლოგს უნდა მივმართო). ჩემი ქვეყნის პრეზიდენტის ზუსტი, მკაფიო, ყოვლის მთქმელი, უკომპრომისო, ღირსებით აღსავსე, მკვეთრი და, ამავე დროს, მაქსიმალურად დელიკატური გამოსვლით გამოწვეული სიამაყის დამალვაც არ შემიძლია. მგონი ბოკერიას სიტყვებს ვიმეორებ? თუმცა, რატომაც არა! ისიც ხომ მოქალაქეა. სახელმწიფოებრივ სიამაყეს კი ჩვენ ყველანი ერთნაირად მონატრებულები ვართ. ასეთი მივიწყებული სიამაყის გრძნობა, ჩემთვის პირადად, საკმაოდ თავბრუდამხვევი ყოფილა. რას ნიშნავს განწყობის თეორია! პუტინიც კი უფრო მესიმპათიურა!

# აჭარაში დანახული ჟინი



*ბულვარი სეზონისთვის ემზადება.*



*ბათუმის "ზერეგი".*



გასული კვირა აჭარაში გავატარე და "ცვალებადი მოღრუბლულობის" ნაცვლად, როგორც ნებისმიერი თბილისელი, მზეს ვნატრობდი. თუმცა, გამოგიტყდებით, რომ უამინდობის მიუხედავად, სრულებით არ მომიწყენია. ჩემს ადგილობრივ მეგობრებთან ერთად საყვარელ ბათუმს ვათვალიერებდი და ახალ-ახალი შთაბეჭდილებებით ვივსებოდი. დამერწმუნეთ, აქ აღარავინ მოიწყენს! არც წარმოგიდგენიათ რა ხდება, რა მასშტაბის, მრავალფეროვნების სამუშაოები მიმდინარეობს! სადაც არ გაიხედავ, რაღაცას აკეთებენ, ღებავენ, ლესავენ, აგებენ. ბათუმელები ხუმრობენ, რომ თუ ადრე "აღორძინება" ჰქონდათ, ახლა ნამდვილი "აღმშენებლობა" აქვთ. მართლაც ასეა. ჩოლოქის ახალი ხიდიდან დაწყებული, ყველაფერი შენდება, ნათდება, ძველი ინგრევა, რემონტდება, იყიდება, იღებება, იგება... მთელი აჭარის გაყოლებაზე დამონტაჟებულია ლამპიონები, გზის განათებები, შესანიშნავად გაკეთებული და მართლაც კომფორტულია ახალი გვირაბი (რასაც ვერ ვიტყვი რიკოთის გვირაბზე - საშინელი ასფალტი, განათება, ვენტილაცია...), გაფართოებულია სამანქანო გზები, დაგებულია ასფალტი, გაკეთებულია გზის გამყოფი გამწვანებები, დარგულია ასობით პალმა და სხვა ნერგები, ქობულეთის ულამაზეს სანაპიროზე წლების განმავლობაში ჭიანი კბილებივით ამოჩრილი, მიტოვებულ-გაპარტახებული სასტუმროები, პანსიონატები ყველა ერთდროულად შენდება, მოვლილ-დასუფთავებული პარკი ოლეანდრებითა და გორტენზიებით არის აყვავებული. ბათუმში შესვლისთანავე თვალში გხვდება გაფართოებულ-გამწვანებულ-განათებული გზა, მახინჯაურში მშენებარე სადგური, გადიდებულ-რეკონსტრუირებული, დიდი, ლამაზი ქოლგებით მოფენილი, ამ დროისათვის უჩვეულოდ ხალხმრავალი "ზერეგი", მშენებლობის პროცესში მყოფი ყოფილი "უნივერმაღი", ბაზრის ტერიტორია, უზარმაზარი საცხოვრებელი სახლი, ათობით ახალი, ერთი მეორეზე მყუდრო კაფე, საბავშვო მოედნები, ყოველ ათ მეტრში ნაგვის ბუნკერები და მათი არსებობით გამოწვეული სისუფთავე, სკვერებში, ბაღებში დადგმული ლამაზი სკამები, მინით მოპირკეთებული მინისტრთა საბჭოს შენობა, რომლის შემხედვარეს თავი ბრიუსელში შეიძლება გეგონოს და უამრავი სხვა სიახლე.

გასუფთავებულ-შეღებილი (სხვათა შორის ნორმალურად!), განათებული ბათუმის უძველესი უნიკალური შენობები, ტაძარი იმდენად ეფექტურად გამოიყურება, რომ გრძნობა მქონდა, თითქოს პირველად ვნახე. გამწვანებულ, გადაბიბინებულ და ასევე ძალიან ხალხმრავალ ბულვარში ქვაფენილის დაგება, ახალი კაფეების მშენებლობა, ძველების კიდევ უფრო გაფართოება, უშუალოდ სანაპიროზე ხის ან ბამბუკის ბუნგალოების დამონტაჟება მასიურად მიმდინარეობს. "ერას" მოედანზე გაკეთებულ მართლაც რომ თანამედროვე შადრევანთან ყოველ საღამოს ბათუმელები იკრიბებიან, მუსიკას უსმენენ, ბავშვები კი თითქოს მიწიდან ამოხეთქილი წყლის ნაკადებს შორის დარბიან, წუწაობენ (თუ ასეთი შადრევნების გაკეთება შეგვეძლო, რაღა თბილისში ჩავაცივდით 60-იანი წლების სამხატვრო კომბინატის ჩუქურთმებიან შადრევნებს?! უცნაურია!). ყოველ ნაბიჯზე ახალი და, სხვათა შორის, თბილისზე უკეთესი, მაღაზიებიც იხსნება. აი, ასე გამოიყურება დღეს ბათუმი, სადაც ყველაფერი კეთდება, ცოცხლდება. ზოგიერთი რამ მოგწონს, ზოგიერთი ნაკლებად, მაგრამ ამ ისედაც ულამაზესი ქალაქის მოვლის ტენდენციის არდანახვა, მგონია, შეუძლებელია.

რა თქმა უნდა, ყველაფერი იდეალურად არც აქ არის. უბადრუკი "მედეა" და "მესხეთი" ბათუმს ჯერ კიდევ ამახინჯებს. ლტოლვილების დაკმაყოფილება-გასახლება ვერა და ვერ მოხერხდა. ეტყობა, ვაჭრობა მიდის, ამ ვაჭრობას კი ქალაქის იერსახე სერიოზულად ეწირება. ბათუმის თეატრის გარშემო არსებული 60-70-იანი წლების საცხოვრებელი კორპუსების ფერებს ვერაფრით გადმოგცემთ. ამგვარი ფერების არც სახელწოდება ვიცი, არც მანამდე მინახავს სადმე. უბრალოდ, საინტერესოა, ამ ფერების ნიმუშები ვინ მოიფიქრა, სად მოიძია, რა ნიშნით შეარჩია? საინტერესოა, ამ "ფერმწერ ვინმეს" ეს საქმე ვინ ჭკუათმყოფელმა მიანდო? მაგრამ "მედეაც" და თეატრის მოედნის აჭრელებაც იოლად გამოსწორებადია. ლტოლვილებსაც, ადრე თუ გვიან, გაიყვანენ, სტაფილოსფერ-ფირუზისფერ-ყვითელ სათამაშო სახლებსაც ადამიანურ ფერებად გადაღებავენ, მაგრამ, აი, "ინტურისტს" რაღა ეშველება, არ ვიცი. მუქი რუხი ფერის ქვით აშენებული ეს უნიკალური შენობა, ეტყობა, ამ სიტყვის არა რუსთაველისეული და არც ზურაბიშვილისეული, არამედ ჩვენებური მნიშვნელობით "ქაჯების" ხელში აღმოჩნდა და "ქაჯებმაც" მაქსიმალურად გააქაჯეს. ნაცრისფერი ქვა ყვითლად, უფრო სწორად კი, ოხრისფრად (რა მნიშვნელობაა!) გადაღებეს (ქვა!), ინტურისტის ცნობილი დაბურული ეზო გაჩეხეს, გააუქმეს და მთელ მის ტერიტორიაზე ორსართულიანი, ღია და დახურული აუზი ჩააშენეს, უნიკალური მრგვალი აივნებიდან ერთ-ერთი რაღაც გაუგებარი პლასტიკით მოაპირკეთეს, ინტერიერი ხელოვნური ყვავილებითა და მოოქროვილი დეტალებით გადაჭედეს, ფასადზე ბევრი დროშა გამოფინეს და საერთო ჯამში, ყველაფერი სამვარსკვლავიან თურქულ სასტუმროს დაამსგავსეს. ვიცით, რომ "ინტურისტი" საგანგაშო მდგომარეობაში იყო, ლპებოდა, არაფერი მუშაობდა. მის კორიდორებში კი ვირთხები დარბოდნენ, მაგრამ თუ ყიდულობ, თუ ფულს ხარჯავ, თუ აკეთებ, ნუთუ არ შეიძლება, რომ ნორმალურად, გემოვნებითა და ელემენტარული პროფესიონალიზმით, ოდნავი სიყვარულით გააკეთო? ნუთუ არ შეიძლებოდა, რომ "ინტურისტის" ღირებულების არქიტექტურულ ძეგლზე, ეპოქალურ შენობაზე კონტროლი გამკაცრებულიყო, რათა იგი გალოკილ "ქაჯეთის ციხეს" არ დამსგავსებოდა. ახალგახსნილი "ინტურისტი" ჩემი ბათუმური ვოიაჟის ყველაზე მძიმე, მტკივნეულ-უარყოფითი შთაბეჭდილებაა, თანაც, რატომღაც, მოულოდნელი. არ ვიცი რატომ, რის საფუძველზე, მაგრამ სულ სხვას ველოდი, დასანანია!

როგორც უკვე გითხარით, აჭარის "აღმშენებლობა" მხოლოდ ბათუმით არ შემოიფარგლება. ჩოლოქთან იწყება და სარფში მთავრდება. გონიო-კვარიათის მშენებლობის ბუმის, ან, თუ გნებავთ, ისტერიის გადმოცემაც ძნელია. "Hotel Eva", "Hotel Liza", უამრავი ახალი პატარ-პატარა თუ დიდი სასტუმროები, ბუნგალოები, კვების ობიექტები, ენით აღუწერელი ცისფერი ფერის საცხოვრებელი კორპუსი, თითქმის ყველა გლეხის გადიდებულ-შეღებილი (გაირკვა, რომ გლეხებს მეტი გემოვნება აქვთ, ვიდრე ზოგიერთ დიზაინერს) სახლები, კვარიათის მთის ფერდობებზე სოკოებივით მომატებული კერძო აგარაკები, სპორტული მოედნები და ა.შ. მე, როგორც გონიოს სტაჟიანი მკვიდრი, სამანქანო ტრასის ლამპიონებით განათებას გამოვყოფდი. არ წარმოგიდგენიათ, რა ხდებოდა ამ ისარივით სწორ გზის მონაკვეთზე. არც ერთი სეზონი არ ჩაივლიდა, რომ საგზაო შემთხვევას სიბნელის გამო ერთი-ორი ფეხით მოსიარულე არ შეწირვოდა.

აჭარა აშკარად შენდება. ამ ულამაზეს კუთხეს უვლიან, ცდილობენ, აკეთებენ. უმეტესობა გამოსდით, ზოგჯერ სერიოზულ შეცდომებს უშვებენ ("ინტურისტის" შემთხვევაში), მაგრამ გულწრფელად ცდილობენ და ამის არდანახვა, არდაფასება არ შეიძლება. თუ რაღაცები არ მოგვწონს, ისე არ გამოდის, როგორც უნდა იყოს, ჩემი აზრით, ამას დრო, გამოცდილება, პრაქტიკა, კონკურენცია გამოასწორებს, უფრო დახვეწს. ალბათ, ოდესღაც სამხრეთ საფრანგეთის კურორტებიც, კანიც, ნიცაც ასე შენდებოდა. ჩვენ ხომ ევროპელებისგან განსხვავებით თითქმის ყველაფერს, მათ შორის შენებასაც, თავიდან ვსწავლობთ და სულ მალე აუცილებლად ვისწავლით. მთავარია, ის მონდომება, რომელიც მე გასულ კვირას აჭარაში დავინახე.





# მუზეუმის ინტერიერი

ნატა ჯანბერიძე
სტუდია "ROOM'S"-ის დიზაინერი

*ისტორიულად, ადრეული მუზეუმი ჩამოყალიბდა, როგორც ხელოვნების შესანიშნავი და იშვიათი ნიმუშების თავშესაყარი. ამ ადგილს უწოდებდნენ საოცრებათა ოთახს ან იშვიათი და საუცხოო ნივთების კაბინეტს.*

მუზეუმი საზოგადოების სამსახურშია. ის ინახავს, იძიებს, იძენს, აკავშირებს და გამოფენს ისტორიულ და თანამედროვე მტკიცებულებებს, იმისთვის, რომ ხალხმა მიიღოს განათლება და ისამოვნოს. იქ დადიან ბავშვები, მოზარდები, ოჯახები, პროფესიონალები და ტურისტები.

საზოგადოებრივი დაწესებულების ინტერიერის დიზაინი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ის ხალხს ეკუთვნის, და არა კონკრეტულ პიროვნებას. ასეა მუზეუმიც, რომელიც ეკუთვნის ქვეყანას, მთელ ერს. ამიტომ, მის დიზაინს სჭირდება სპეციფიური მიდგომა - ფრთხილი და ღირსეული.

მუზეუმის საექსპოზიციო დარბაზების ინტერიერი, ექსპონატების მომგებიანად წარმოსაჩენ ფონს უნდა ქმნიდეს. თანამედროვე უცხოური საგამოფენო დარბაზები ცოცხალი ორგანიზმებია, მათი არქიტექტურული ნიშანია შიდა სივრცის მოქნილად გამოყენება, ძირითადი სათავსოებისა და მათი შემდგომი გაფართოების გათვალისწინებით. კლასიკური სამუზეუმო შენობები კი გამოირჩევა კაპიტალურობით და პომპეზურობით.

თბილისში, სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის შენობა XX საუკუნის 20-იანი წლების არქიტექტურის საუკეთესო ნიმუშია. ისტორიული მუზეუმი კლასიცისტური სტილის, თან ეროვნული ხასიათისაა. დღეს ფასადი მშვენივრად გამოიყურება, ინტერიერი კი, ფუნქციონალურად და ვიზუალურადაც მოძველებული და "საცოდავია". კარგი ის არის, რომ ეს ამბავი დროებითია, რადგან იწყება რეკონსტრუქცია. შენობის ინტერიერს განაახლებს სპეციალურად მოწვეული სამუზეუმო არქიტექტორი ფრანგი ჟან მილუ და ქართველ არქიტექტორ-დიზაინერთა ჯგუფი, რომლის ერთ-ერთმა წევრმა, ნატალია ფირცხალავამ, მიამბო მომავალ პროექტზე.



მუზეუმის ინტერიერის რეკონსტრუქციის პროექტი. კომპიუტერული ვიზუალი.







დიზაინერები ცდილობენ შეინარჩუნონ შენობის ისტორიული ხიბლი. ინტერიერში შეაქვთ მასალა, რომლითაც მოპირკეთებულია მუზეუმის ფასადი, მათი აზრით დაბუჩარდებული მარმარილოს ფხვნილით შემოსილი კედლები ინტერიერს მიანიჭებს მუზეუმებისთვის სახასიათო სიცივეს და სიმკაცრეს. ინტერიერის დეკორატიულ მხარეში გამოყოფენ ძირითად მოტივებს: კლასიცისტური, თანამედროვე ჰაიტეკი და აღმოსავლური ელემენტები. მაგალითად, განათების წყარო იქნება მაღალტექნოლოგიური. შთამბეჭდავად მეჩვენება იატაკიდან კედლის მთელ სიმაღლეზე მიმართული განათების სხივები, რომელთა, საფუძველს, წარმოადგენს ქვის კოლონის ფუძე. კარგია კლასიკური სტილისთვის სახასიათო "კარნიზების" ორიგინალურად, ჩანართებად გამოყენების იდეა. მინის ღიობების ვიტრაჟულ სტილში გადაწყვეტა, ოღონდ ფერადი შუშით კი არა, არამედ "ფასკამოხსნილი" პატარ-პატარა გამჭვირვალე შუშებით. არქიტექტორ-დიზაინერები გვპირდებიან თანამედროვე სტანდარტების შესაბამის ტექნიკურ უზრუნველყოფას და ინტერიერს, სადაც გათვალისწინებული იქნება როგორც შემეცნებითი სივრცეები, ასევე მოსასვენებელი ადგილები. გაკეთდება კაფე, რომელშიც დამთვალიერებელი კვლავ კულტურულ გარემოში შეისვენებს.



არსებული ფასადი ეზოს მხრიდან.

ჩაფიქრებულია XX საუკუნის 20--იანი წლების სტილის ე.წ. "ბაუჰაუზის" შემოტანა ავეჯის სახით. ეს იქნება ხის, გეომეტრიული ფორმის, მარტივი ცნობადი სკამები. ისიც კარგია, რომ კაფე კაფესთვის სახასიათო გარეგნობის კი არა, უფრო კაბინეტის მსგავსი, სადა და ცოტა სერიოზულიც იქნება.

რაც შეეხება, სივრცობრივ რეკონსტრუქციას, ნაკლებად შეიცვლება. გაიზრდება ვესტიბიული (სალაროების გახსნის ხარჯზე), გარდერობი და სველი წერტილები, დაკომპლექტდება ზონები მომსახურე პერსონალისთვის. შეიცვლება შენობის უკანა კედელი. რადგან, კლასიცისტურ ნაგებობას ჰარმონიულად ერწყმის თავისივე აღმოსავლური სტილის თაღოვანი ფანჯრები, ისევ ამ სტილის მაღალი ვიტრინები შეცვლის შიდა ეზოზე გამავალ კედელს, საიდანაც შენობაში ბუნებრივი განათება შეაღწევს. დამთვალიერებელი სწორედ ამ შემინული კარებიდან გავა განახლებულ შიდა ეზოში. აქ დახვდება სასიამოვნო, კულტურული ღონისძიებების ჩასატარებლად გამზადებული გარემო. პატარა სცენა, საკმაოდ საინტერესოდ გადაწყვეტილი მაყურებლის ან მსმენელის დასაჯდომი სივრცით. ასევე სტუდენტებისთვის გამოყოფილი იქნება სემინარების მოსასმენი სივრცე ღია ცის ქვეშ. დღესაც არსებული წყლის რეზერვუარი, რომელიც აუცილებელია სახანძრო ნორმების დასაცავად, დიზაინერებმა გადაანაწილეს, აუზიანი შადრევანის ნაცვლად შექმნეს თანამედროვე, კვადრატული ფორმის, მშვიდი ფანტანები. ეზოს მხრიდან, შენობის ფასადი, რომელიც წითელი აგურით არის მოპირკეთებული შენარჩუნდება, შეიცვლება მიშენებული ნაწილი, რა თქმა უნდა, ჰარმონიულად მთლიან მუზეუმთან.



შიდა ეზოს განახლება. კომპიუტერული ვიზუალი.

მოკლედ, აქაური და უცხოელი სტუმარიც შეძლებს კულტურულად და ორგანიზებულად დაგეგმოს მთელი დღე მუზეუმის შიგნით და გარეთაც.

ვუსურვებ ჩემს კოლეგებს, რომ თავიდან ბოლომდე განახორციელონ თავიანთი ჩანაფიქრი. საქართველოს კი ვუსურვებ, რომ მართლაც შედგეს ეს პროექტი - ქვეყანა იმსახურებს, რომ კიდევ ჰქონდეს მასშტაბური თანამედროვე კულტურული ცენტრები.

p.s. ნატალია ფირცხალავამ რომელიც, მუხრანის სასახლის ინტერიერსაც აფორმებს, შემომთავაზა, სხვა დიზაინერებთან ერთად, ახალ სასიამოვნო პროექტში თანამშრომლობა. სრულდება რუსთაველის გამზირის მოწესრიგების პროექტი. განახლდება შენობების ფასადები და მათ ქვემოთ არსებული მაღაზიების ვიტრინები, ქუჩა დასუფთავდება ყოველგვარი უკულტურო და უშნო "გამონაზარდების" ტიპის მიშენებებისგან, რომლებიც ამახინჯებს შენობებს და გარემოს. გამზირს გაალამაზებს კარგი დიზაინის მოსასვენებელი სკამები, ლამპიონები, ახალი ავტობუსის გაჩერებები, გამწვანება და ა.შ.

გაგრძელება.
დასაწყისი იხ.
№3, 4, 5, 6, 7, 8

მალხაზ ხარბედია

# არაყი
# თეთრი აჩრდილი

## მენდელეევის სიზმარი ნომერი 2

რუსული არყის მთავარი თვისება განსაკუთრებული წყალია. როგორც ამბობენ ყველაზე კარგი მდინარე ნევისა ყოფილა და "მოსკვა რეკას" სათავეებიდან აღებული წყალი (ძალიან აქებენ ბაიკალის წყალსაც, ირკუტსკის და ალტაის მხარის წყალს, ულანუდეშიც ჩინებულ არაყს აკეთებენ თურმე. ჩრდილო ოსეთის სპირტსაც აქებენ რუსები, მაგრამ რაღაც არ მჯერა, იმდენი ნაგავი გამისინჯავს ოსური სპირტისგან ნაკეთები, თუმცა ეს ყველაფერი შესაძლოა ჩვენი, ქართველი "გამზავებლების" ბრალიც იყოს). ამ წყლის გარეშე 20-იან წლებში ძალიან გაუჭირდათ რუს ემიგრანტ არყის მწარმოებლებს, რომლებიც საფრანგეთში, შვედეთში, გერმანიასა თუ ამერიკაში იყვნენ მიმოფანტულნი. იგივე დღეში იყო ლეგენდარული პიერ სმირნოვიც, თუმცა მალე პრობლემას ძალზე უცნაური გადაწყვეტა მოუძებნეს და საბჭოთა რუსეთმა, თავის ყოფილ თანამოქალაქეებზე, ხალხის მტრად რომ ჰყავდა გამოცხადებული, წყლის მიყიდვა დაიწყო, თანაც საკმაოდ ძვირადაც.

სპირტთან შერევამდე წყალი კვარცის ქვიშაში იფილტრებოდა, გადიოდა აერაციის პროცესს, თუმცა წყალს არამცდაარამც არ გადაადუღებდნენ, რადგან გამოხდილი წყალი კარგავს თავის თავდაპირველ გემოსაც და ბრწყინვალებასაც.

მეორე ნიშანი ფილტრაციის ურთულესი პროცესია. როგორც ამბობენ, რუსებს თავიდან ძალიან ცუდი სპირტი გამოსდიოდათ, მღვრიე და დაბალი ხარისხისა. ეს სპირტი რახის მინარევებით იყო აყროლებული და საშინელი გემო ჰქონდა. 15-17-ე საუკუნეებში სერიოზულ პრობლემას წარმოადგენდა კარგი, ჰერმეტული ქვაბების, სახდელი კლაკნილებისა და გამაგრილებელის ყიდვა თუ დამზადება, ამიტომაც დისტილაციის ტექნოლოგია ძირითადად ეკლესია-მონასტრებში იხვეწებოდა, რადგან მაშინ მონასტრები არამხოლოდ სულიერების, არამედ ტექნიკური ცოდნის წყაროც იყო. თანაც მატერიალურად მხოლოდ ეკლესიის ხაზინას ძალუძდა აპარატების შეძენა.

უნდა ითქვას, რომ მონასტრებში ბლომად იყვნენ ქიმიკოსებიც, ტექნოლოგიური დახვეწის სამუშაოები კი ფარულად მიმდინარეობდა, ამიტომ თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ "რუსი ალქიმიკოსები" მხოლოდ ერთი საქმით იყვნენ დაკავებულნი და ევროპელებისგან განსხვავებით, თეთრი, გამჭვირვალე სითხის დახვეწაზე ზრუნავდნენ. ისინი სპირტს ხან ქვიშაში ფილტრავდნენ, ხანაც მაუდში, ფერფლსა და ნახშირში. ნახშირით გაფილტვრა რუსებმა სრულყოფილებამდე მიიყვანეს, 18 საუკუნეში კი საბოლოოდ დადგინდა ხის ჯიშები, რომლის ნახშირიც იდეალური იყო გასაფილტრად: წიფელი, ცაცხვი, მუხა, თხმელა და რა თქმა უნდა, არყის ხე. ამავე პერიოდში შემუშავდა ერთი უმნიშვნელოვანესი ოქროს წესი, რომელიც მხოლოდ გაზავებული სპირტის გაფილტვრაში მდგომარეობდა, რადგან სუფთა სპირტს ნახშირი ვერ აცლიდა არასასურველ მინარევებს.

19-ის მეორე ნახევარში ლეგენდარული დიმიტრი მენდელეევიც ჩაერთო საქმეში, როგორც ჩანს, სიზმარი ნახა და მალე დაამტკიცა კიდეც, რომ გაზავებული სპირტის (არყის) სამჯერადი ფილტრაციით (არყის ხის ნახშირზე) წარმოუდგენელ შედეგებს შეგვიძლია მივაღწიოთ. საქმე ისაა, რომ ასეთი წესით მიღებულ არაყში ვერცერთმა ლაბორატორიულ-ქიმიურმა მეთოდმა ვერ შეძლო მინარევების აღმოჩენა (სხვათა შორის, ამ ფილტრების საფუძველზე გამოიგონა 1 მსოფლიო ომის დროს მენდელეევის ერთ-ერთმა მოწაფემ აირწინაღი).




*ეს პერიოდულობის სისტემა რუსმა ლოთებმა მენდელეევის გავლენით შექმნეს და სახელად ˝ალკოჰოლური ელემენტების პერიოდულობის სისტემა˝ უწოდეს. აქ დაკვირვებული თვალი ˝ზაკუსოიდებისა˝ და ˝ოპოხმელოიდების˝ გრაფასაც ნახავს. დაწვრილებით იხ. http://recycle.dajam.net/4486.*

## რძით, კვერცხითა და პურით გაფილტრული არაყი

რუსეთში ყველაზე მეტად ფილტრაციის ბიოლოგიური ხერხია გავრცელებული, ე.წ. კოაგულაცია, ანუ დალექვის, შედედების გზით გაფილტვრა. პირველად სპირტში, დაბალი ხარისხისა და არაუმეტეს 70 პროცენტისა, ბლომად ახალ რძეს ან კვერცხის ცილას ასხამენ. ეს უცნაური ნაზავი მალე დედდება და ჭურჭლის ფსკერზე ილექება, რომელიც ძირითადად რახის არასასურველ მინარევებს მოიცავს. შემდგომი გამოხდისას კრისტალურად სუფთა პროდუქტი დგება, მაგრამ ამ ორნახადს სუფთა წყლით აზავებდნენ, სანამ 40 გრადუსი არ დადგება. გაწმენდა-ფილტრაციის ბოლო ეტაპზე კი უკვე ახლადგამომცხვარი ჭვავის პური გამოიყენება. საქმე ისაა, რომ ახლადგამომცხვარი პური (ძველ პურში თურმე საფუარის წილი მატულობს და არაყს შეიძლება არასასიამოვნო გემო მიანიჭოს) წებოვანი ცომის ფორების რთულ სისტემას წარმოადგენს და ეს წებოვანა მინიმალური მინარევებისგანაც კი ფილტრავს არაყს.

არსებობს გაფილტვრის კიდევ ერთი არაჩვეულებრივი წესი - არყის გაყინვა. წყალი, რომელიც კასრის კედლებს მიეყინება, რახის მინარევებსაც თან "ითრევს", და საკმარისია გაუყინავი არყის ფრთხილად გადასხმა, რომ საუკეთესო სასმელი მივიღოთ. ეს ხერხი ფილტრაციის ყველაზე იაფი ხერხია, თუმცა კი დრო შედარებით მეტი სჭირდება (გაყინვას ძველი რუსები ზაფხულშიც ახერხებდნენ სპეციალურ მიწისქვეშა "მყინვარებში", სადაც ყინული გვიან შემოდგომამდე არ დნებოდა ხოლმე).

არსებობდა შედედების კიდევ ერთი რეცეპტი, რომლის მიხედვითაც არაყში თევზის წებოს ასხამდნენ (ამ წებოს სახელად კარლუკი ერქვა, მაგრამ დღეს უკვე აღარავინ იცის რას წარმოადგენდა იგი, ან როგორ მზადდებოდა), რომელიც შემდეგ დედდებოდა და ილექებოდა არყის მთელ ნაგავთან ერთად.

## არომატი

ითვლება, რომ ყველაზე ცნობილი არომატიზატორი სვიაა, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში იგი ლუდის მთავარი ინგრედიენტია, ისევე როგორც მთელს ევროპაში (თუმცა გერმანელები, ჰოლანდიელები და ინგლისელები იშვიათად იყენებენ მას ლუდში, ამიტომ გემოზე ადვილად გაარჩევთ ერთმანეთისგან ვთქვათ "ჰაინეკენსა" და "ზლატოპრამენს") და იმასაც ამბობენ, რომ არანაირი მცენარე ისე ეფექტურად არ აცლის სასმელს რახის მინარევებს, როგორც სვია. იგივე თვისება გამოარჩევს თაფლსაც, ოღონდ მის გამოყენებას ცოდნა უნდა, თორემ მე და ჩემს მეგობარს, მიშა კვიციანს სვანეთში არც ერთხელ არ გამოგვივიდა არყის თაფლით გაზავება და ზუგდიდიდან ამოტანილი საზიზღარი სპირტი ისევ იმ გემოზე რჩებოდა ხოლმე - პროფანებმა ვერაფერი დავაკელით.

არომატიზატორად ათასნაირი ბალახეულ-ფესვეულ-ყვავილეულიც გამოიყენება, ასევე კენკრაცა და ხილიც, მაგრამ ეგ უკვე ნაყენები და ბალზამებია და არა არაყი. მე რომ მკითხოთ, არაყს არც უნდა არომატიზატორი, თუმცა გამონაკლისებიც არსებობენ, მაგალითად ვისაც "ზუბროვკა" ან არყის ხის ე.წ. "ბრუნკებზე" დაყენებული არაყი დაულევია, დამეთანხმება, რომ კარგი, არისტოკრატული არომატიზატორი პირიქით, უფრო ხვეწს და არბილებს სასმელს.

ჩემი ყველაზე მწარე მოგონება არომატულ სასმელთან დაკავშირებით, საშინელ 90-იან წლებს უკავშირდება: ვისაც ბანანისა და მარწყვის შნაპსისთვის დანიური კალმახის ვადაგასული კონსერვი მიუყოლებია, ადვილად მიხვდება რასაც ვგულისხმობ.

## რამდენიმე რჩევა სანამ "ზაკუსკაზე" გადავიდოდეთ

■ არაყი უნდა დაარტყა, კონიაკივით წრუპვა არაყს არ უხდება. ზოგი სპეცი იმასაც ამბობს, პატარა ყლუპებით უნდა სვა, თანაც პირში კი არ უნდა გამოივლო, უნდა გაღეჭო ეს ყლუპიო. თქვენი არ ვიცი და მე ეგეთ რამეებში ეჭვი მეპარება.

■ არაყი მხოლოდ კარგ ხასიათზე დალიეთ, კარგ ხალხთან ან მეგობრებთან ერთად (სამწუხაროდ, 90 პროცენტი პირიქით იქცევა).

■ არაყს გრძელ-გრძელი სადღეგრძელოები არ უხდება.

■ არყის დალევა გადაღლილზეა კარგი, მძიმე სამუშაო დღის მერე, აი მაშინა აქვს გემოცა და მუღამიც. თუკი მთელი დღე გორაობ, რაღა გეარყება.

■ ზოგის აზრით, დალევამდე 2-3 საათით ადრე 50 გრამი მისწრებაა ორგანიზმისთვის, მოთელვაც გავლილია და აღარც ისე თვრები.

■ არაყი 8-10 გრადუსამდე უნდა გაცივდეს. მისი "გაყინვა" არ შეიძლება, რადგან ვერც კი გაიგებ ისე ჩაცლი ყველაზე საზარელ "ატრავასაც" კი. არადა ცუდ არაყზე საშინელი არაფერია. თუკი მხოლოდ უვარგისი არაყი გაქვთ, ფულიც არ გიჭყავით და მაღაზიაც ცხრამთასიქითაა, მაშინ ჯობია პირდაპირ საყინულეში გააქანო ბოთლი, შემდეგ ყინულიანივე ჭიქაში ჩამოყარო და ისე დაარტყა. აი შუქი თუ არაა ამ დროს, ან მაცივარი თუა გაფუჭებული, მაშინ, როგორც იტყვიან, მოგვიწევთ ხორხის გავარჯიშება.

■ არყის ზომიერად მოხმარება კარგად მოქმედებს საჭმლის მონელების პროცესზე, ყოველ დღე 30 გრამი კი ქოლესტერინის დონეს დაბლა წევს. კარგია გულის დაავადებებისთვის.

გაგრძელება
შემდეგ ნომერში



*თუ წვეთში ოკეანე აირეკლება, მეტადრე დედაქალაქის ცოდვა-მადლის ფონზე შესაძლებელია, მთელი ჩვენი სათაყვანებელი სამშობლოს მისწრაფება და სატკივარი წარმოჩნდეს.*

*რუბრიკით "დედაქალაქი" განვიზრახე, კიდევ უფრო თვალსაჩინო გახდეს ქართული საზოგადოების არსებობა, მისი წარსული, აწმყო და მომავალი, მისი უწყვეტობა დროში. უფრო ნათელი გახდეს ქართული საზოგადოების ფიქრი, წადილი, მოღვაწეობა, მისი მხნეობა და სიფხიზლე. თვალსაჩინო გახდეს, თუ რა სულიერი მემკვიდრეობის, რა ღირებულებების გადაცემას აპირებს იგი მომდევნო გენერაციისათვის.*

*რუბრიკის ერთ-ერთი ირიბი ამოცანაა თანამედროვე ქართული საზოგადოების შრომის, გარჯისა და ღვაწლის შუქზე კიდევ უფრო ღიმილისმომგვრელი გახდეს მასმედიის მიერ ხელშეწყობილი ტრაგიკომიკური მითი მასზე, რომ, იყო ზეზვა და მზია, მას მერე არავინ ყოფილა და არც არავინ იქნებოდა, რომ არ მოსულიყვნენ დღევანდელი პოლიტიკოსები და შოუბიზნესის ვარსკვლავები.*

*რუბრიკის პირდაპირი ამოცანა ის გახლავთ, რომ შეძლებისდაგვარად სწორი მიმართულებით გავიშვიროთ ხელი და ვთქვათ, რომ არსებობს მოფიქრალი ქართული საზოგადოება, რომელიც მოკრძალებით განაგრძობს საუკუნეების წინ დაწყებულ საქმეს.*

*იქნებ ამ "აღმოჩენამ" გააქროს პოლიტიკოსთა სახეებიდან ამბიციური თვითდაჯერებულობა და უნიადაგო ამპარტავნობით ნაკარნახევი ირონიული ღიმილი და ისინიც ჩვენი ქვეყნის მოკრძალებულ მსახურებად აქციოს.*

*P.S. კიდევ ერთი და მთავარი. პირადად ჩემთვის სახელმწიფოს შენება სამართლის შენებას ნიშნავს.*

# არის ასეთი ქვეყანა

**- რამდენიმე დღის წინ ტელევიზიის საშუალებით გავიგონე ასეთი ფრაზა - "ჰომეროსი, რუსთაველთან შედარებით, პატარა ბავშვია"... ჩვენდა სამწუხაროდ, ეს არ არის ერთი ახირებული ქართველის აზრი, ეს არის ნიშანი იმ სავალალო ტენდენციისა, რომელიც ჩვენს ხალხში არსებობს. ეს არის ნიშანი იმისა, რომ "ვეფხისტყაოსანი" ლექსისთვის კი არ სჭირდება ქართველს, არამედ კომბლად უნდა, რომ ამ კომბლით ხან ჰომეროსს გაუტეხოს თავი და ხან დანტეს.**

**ზემოაღნიშნული ფრაზის მთქმელს "ვეფხისტყაოსნის" ერთი სტროფი რომ მაინც ჰქონდეს გასიგრძეგანებული და განცდილი, სულიერად ეზიარებოდა რუსთველისეულ სივრცეს და ამით ჯეროვან პატივს მიაგებდა ჰომეროსსაც, სოკრატესაც და პლატონსაც. მათი აზროვნებითაც დაინტერესდებოდა, "ვეფხისტყაოსნისგან" კომბალს კი აღარ გამოთლიდა, არამედ სულიერად ამაღლდებოდა, თვალსაწიერი გაუფართოვდებოდა და ნაციონალური ამპარტავნების, ნაციონალური პატივმოყვარეობის ნაცვლად ეროვნული თავმოყვარეობა ჩამოუყალიბდებოდა.**

**სარწმუნოების მიმართაც მსგავსი დამოკიდებულება შეიმჩნევა. მართლმადიდებლური აღმსარებლობა კათოლიკებთან, ან პროტესტანტებთან ქედმაღლობისთვის კი არ შექმნილა, არამედ თავმდაბლობისთვის და სულიერი ამაღლებისთვის, სულიერი გადარჩენისთვის.**

**მაგრამ ჩვენი სატკივარი ამით არ მთავრდება.**

**ზემოაღნიშნულმა ერთმა უკიდურესობამ საპირწონედ მეორე უკიდურესობა ასაზრდოვა. ნაწილმა ჩვენი ხალხისამ (ძირითადად პოლიტიკაში შეცვენილებს ეხებათ) ეს პრიმიტიული ფონი საკუთარი მედიდურობის საფუძვლად მიიჩნია. სხვისი ნაკლი თავიანთი ამპარტავნების ნიადაგად იგულეს, არა თავისი სულიერების, არამედ მხოლოდ სხვისი ნაკლის არსებობის ხარჯზე.**

**მედიდურობენ, რადგან თავიანთი, ან უფრო სწორად, - ჩვენი "ჩამორჩენილი" სამშობლო ახალ "სივრცეებში" მათ უნდა გაიყვანონ, პირველად უნდა აზიარონ ცივილიზაციას, საქართველო მსოფლიო ისტორიის კონტექსტში უნდა ჩაწერონ (აქამდე, ალბათ, ასე არ იყო) და ლიბერალურ ღირებულებებსა და დემოკრატიულ ფასეულობათა სისტემას უნდა შეახონ. მაგრამ ისინიც, "ვეფხისტყაოსნისა" და კომბლის მსგავსად, დემოკრატიისგან დემოკრატიის კომბალს თლიან, რადგან მათი ამბიციით დაავადებული სულიერება მეტს ვერ სწვდება, მეტს ვერ ითვისებს.**

**ორივე უკიდურესობა მხოლოდ "მდგომარეობით" განსხვავდება ერთიმეორისგან, სულიერი მდგომარეობით კი სრულიად იდენტურია, ერთი ფესვის ორი განაყარია.**

**ამ ფესვს სახელად პატივმოყვარეობა ჰქვია.**

**მაგრამ, მოდი თბილისის პრობლემებს დავუბრუნდეთ, თბილისში დავბრუნდეთ, თუმცა ამ მონოლოგით, ვფიქრობ, თბილისიდან არსად გავსულვართ. ცოცხლდება თბილისის ძველი უბნები. შეიძლება, იდენტურად ვერ იბრუნებდნენ შინაარსს - ეს ბუნებრივია, ეპოქა შეიცვალა, - მაგრამ ცოცხლდება ერთ დროს ყველასგან მივიწყებული ქუჩები, ახალ იერს იძენს, ახალ ელფერს იძენს. თან სიძველის სურნელიც მოაქვს. დღევანდელი თაობები მონაწილეობენ ამ გაცოცხლებაში, აღდგენაში... ჩემი აზრით, კიდევ უფრო მართებული იქნება, კერძო მესაკუთრეებმა იზრუნონ, რომ გაჩნდეს სახელოსნოები, რომლებიც იყო ძველ უბნებში, გაჩნდეს ხელოსანი, გაჩნდეს დუქანი, რომელიც გაქრა თბილისის ქუჩებიდან. თბილისი ყოველთვის იყო აღმოსავლეთისა და დასავლეთის გზაშესაყარი. გზაგასაყარი კი არა, გზაშესაყარი. თბილისის ქუჩა მარტო გასართობი არ იყო, იგი შინაართისაც გამოირჩეოდა.**

- იმიტომ, რომ თბილისი ბუნებრივად ვითარდებოდა. გეოგრაფიულად ნამდვილად იყო შესაყარი აღმოსავლური და დასავლური კულტურებისა, აქ ხდებოდა მათი ურთიერთგაცვლა. სახელოსნოებში დამზადებული ნივთები იმ ეპოქაში აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენდა. რასაკვირველია, საჭიროებისამებრ შეიძლება ამ სახელოსნოების აღდგენა. რაც შეეხება დუქნებს, მათი სიმრავლე განპირობებული იყო იმით, რომ თბილისი ცხელი ქალაქია. დუქნებს აწყობდნენ გრილ ადგილებში, სარდაფებში. ახლა გარეთ რასაც ვხედავთ, დომინირებს ევროპული რესტორნები. სწრაფვა ევროპული კულტურისკენ ამას ბუნებრივად შობს. მაგრამ, ეს რევოლუციური განვითარება იმიტომაც მოხდა, რომ კერძო საკუთრება მოისპო კომუნისტების დროს. იმ ადგილს თავისი პატრონი უნდა ჰყოლოდა. ის განვითარდებოდა, თუმცა, შეიძლება ფუნქცია არ შეეცვალა. დღესაც ამ ფუნქციით იქნებოდა. მაგრამ, შინაარსი მოსპეს. ჯერ-ჯერობით, სხვა ფორმით ხდება იმავე დანიშნულების ადგილების განვითარება - ევროპული რესტორნებისა თუ კაფეების სახით. ესეც ძალიან კარგია, რადგან მაინც ქუჩასთან ურთიერთობა არ წყდება.

**- რა თქმა უნდა, ძალიან კარგია, თუმცა გაჩნდა ცალმხრივობის საშიშროება. ერთიც არის - ჩვენს ქვეყანაზე, თუნდაც დედაქალაქზე, ლაპარაკისას ემოციის ზედაპირზე ტურისტი ამოდის. ტურიზმი, ეს თავისთავად უმნიშვნელოვანესი რამ არის, მაგრამ მთავარი ხომ ჩვენი სულიერი მოთხოვნილებაა. ჩვენს სულიერებაში კი ყოველთვის იყო თბილისის სივრცეში შერწყმული აღმოსავლეთი და დასავლეთი.**

- იმიტომ, რომ ჩვენ საერთოდ ამის ქვეყანა ვართ. რამდენადაც აღმოსავლურ კულტურასაა ნაზიარები საქართველო, იმდენად დასავლურს. ნუ გავიწყდება, რომ დასავლეთით ბიზანტია გვესაზღვრებოდა და აღმოსავლეთით - ირანი. ჩვენი კულტურის ბუნებრივი განვითარება ამ ორ დიდ კულტურას ეყრდნობა. მერე სამწუხაროდ, აირია ყველაფერი, მაგრამ ის მოთხოვნილება, რაც გვაქვს, გენეტიკურია, რადგან ესაა შენი გარემო. შენი ევროპულობა, შენი კულტურისადმი ლტოლვა განაპირობებს სრულყოფილებისაკენ ლტოლვას. ამ დროს შენს გარემოში აღმოსავლეთის დიდმა გავლენამ უკვალოდ როგორ შეიძლება ჩაიაროს. დასავლეთის კულტურა არ არსებობდა, როცა აღმოსავლეთს დიდი სიმაღლეები ჰქონდა.

**- ამას ემატება ის არაჩვეულებრივი ფაქტი, რაც ახასიათებდა ქართულ კულტურას - ეს არ იყო ჩაკეტილი სივრცე, არ იყო ეგზოტიკური. იყო გახსნილი, დიდი ღირებულებების თანაზიარი. ნუ გვავიწყდება, რომ ბერებმა თარგმნეს ბუდას ცხოვრება და "სიბრძნე ბალავარისა" დაარქვეს. რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანი რევიზიით, მაგრამ ინფორმაცია მიაწოდეს ქართულ საზოგადოებას. ნიშანდობლივია, რომ ეს ბერებმა თარგმნეს.**

- ცოდნა გიმყარებს პატივისცემას შენივე სარწმუნოებისა თუ ფილოსოფიის მიმართ. ჩემი აზრით, ძველ თბილისში ფუნქციურად თუ აღდგება ძველი დაწესებულებები, ცუდი არ იქნება. მე რასაც ვუყურებ, ტურისტი ისევ ხალიჩას ეტანება, ანუ იმას, რაც იქ არ არის, საიდანაც ჩამოვიდა. ასეა ადამიანი მოწყობილი. ჩვენთან ერთმანეთის გვერდით იყიდებოდა გერმანული პიანინოები, "ზინგერის" საკერავი მანქანები და აღმოსავლური ხალიჩები. ყველა ქალაქურ ოჯახში იყო საუკეთესო ევროპული ნივთები. რაც კომუნისტები შემოვიდნენ, საქართველოში როიალებისა და პიანინოების გადასარჩენად სპეციალური ჯგუფი შეიქმნა გრიგოლ რობაქიძის



**ნიკოლოზ შენგელაია**

**მხატვარი**

*1983 წლიდან მონაწილეობდა საკავშირო გამოფენებში.*
*1994 წელს ჰქონდა პერსონალური გამოფენა პარიზში, გალერეა "მოდერნ არტში".*
*1995 წ. - გალერეა "მონმარტრ არტი", პარიზი - პერსონალური გამოფენა.*
*1996 წ. - გალერეა "პლას დე ვოჟი", პარიზი - პერსონალური გამოფენა.*
*ამსტერდამში თანამედროვე მხატვრების გამოფენის მონაწილე.*
*ალტერნატიული ხელოვნების ფორუმის მონაწილე - პარიზი.*
*არის არტურ რემბოს სახელობის პრიზის მფლობელი გრაფიკული ნამუშევრისათვის "მთვრალი ხომალდი" - პარიზი.*
*დამდგმელი მხატვარი ფილმებისა: ტატო კოტეტიშვილის "მატარებელი" და "ანემია", დიტო ცინცაძის "სახლი", გიორგი შენგელაიას "ახალგაზრდა კომპოზიტორის მოგზაურობა", "ხარება და გოგია", "ორფეოსის სიკვდილი" და "მიდიოდა მატარებელი".*
*არის დამდგმელი მხატვარი სპექტაკლებისა: "მარტოობის ბინადარი", "პლანეტების გადაფრენა".*
*დამდგმელი კლიპებისა "მოდი აქ" და "მე გადავცურავ ზღვას" ირაკლი ჩარკვიანის შესრულებით.*
*ავტორი ჩვენი დედაქალაქის სიმბოლოს სკულპტურული კომპოზიციის - "ხოხბის შადრევანი" - აბანოთუბანი.*

# არის ასეთი ქვეყანა

მეთაურობით. ერთ-ერთი უნიკალური გერმანული პიანინო დღესაც დგას ჭავჭავაძეების მუზეუმში.

**- ეგ პირველი პიანინო იყო, რაც საქართველოში შემოვიდა, გრიბოედოვმა შემოიტანა... ერთი სიტყვით, ქალაქი ფორმას ილდგენს და რიგ შემთხვევაში უკეთესობისკენ იცვლება, მაგრამ ვითარება რომ სიკეთისკენ შეიცვალოს, აუცილებელია ის, რასაც საზოგადოება ითხოვს - მერის არჩევნები. ახლა არჩევნები ახლოვდება, მაგრამ, როგორც ამბობენ, კანონი არჩევნების წესის შესახებ არ გადაიხედება. ესე იგი, ისევ არ მოხერხდება მერის არჩევა.**

- ეგ იმაზეა დამოკიდებული, რა სიმძაფრით მოითხოვ და რა დონეზე გაითვალისწინებს ხალხის ინტერესებს ხელისუფლება. ხელისუფლებას, ეტყობა, არ სურს, თავის ხალხს რაღაც ჰკითხოს. ნაწილობრივ აღიარებენ, ვიცით, რომ ყველას უნდა მერის არჩევა, მაგრამ ამ შემთხვევაში ასე მიგვაჩნიაო. ეს რა ფორმაა? შეიძლება ასეთი ფორმის არსებობა, მაგრამ ეს ანტიდემოკრატიაა. თუ დემოკრატიის განვითარეშექმნილ ვითარებაზე, ვერავის ვერ გადააბრალებს ვერაფერს. ასე ბოლო არ ექნება ხელისუფლების ძაგებას. არ აძლევენ მოქალაქეებს პასუხისმგებლობას. მხოლოდ დეკლარაციებით აცხადებენ, მაგრამ ისე არ აძლევენ არანაირ უფლებას. სად გაგონილა დემოკრატიის განვითარება, ადამიანს თუ არჩევანის უფლება არ ექნება. კოლექტიური პასუხისმგებლობის ქვეყნებში სხვა სისტემაა. უმრავლესობა მოდის პარლამენტში და პასუხისმგებელია მინისტრთა კაბინეტზე. ამის ადეკვატურია თვითმმართველობის სქემებიც. მაგრამ ჩვენს ქვეყანაში, სადაც პრეზიდენტსა და უმაღლეს ხელისუფლებას ასეთი გაფართოებული უფლებები აქვთ, ამის ადეკვატურად, ლეგიტიმურად ძლიერი უნდა იყოს თვითმმართველობის ხელისუფლებაც. ლეგიტიმაცია არის სიძლიერეში, როდესაც პირდაპირ ირჩევენ მერს.

**- პასუხისმგებლობაც მეტია, როდესაც ხალხის მიერ ხარ არჩეული.**

**...ლი საკუთარი სულიერი თავგადასავლის მონაწილე არ გახადა და მოწმედ დატოვა, ამ მწერლის გზა ლიტერატურაში წარუმატებელია. ასევეა კინოში, თეატრში... მაყურებელი მოწმე კი არა, მონაწილე უნდა იყოს იმ დღესასწაულისა თუ დრამისა, რასაც აწვდი. კონტაქტში ხდება წარმატება. ასეა პოლიტიკაშიც. შენ თვითონ უნდა ეცადო, რომ ხალხი მონაწილე გახადო პროცესებისა.**

- ეს არის ბუნებრივი გზა, რომ ნამდვილი მოქალაქეობრივი პატრიოტიზმი განავითარო. ამის ნაცვლად ხელოვნურად ქმნიან რაღაც ბანაკებს, ფორმებს აცმევენ, დროშებს იქნევენ. ეს არ ქმნის პატრიოტიზმს. ეს მოჩვენებითი მდგომარეობაა. როცა მოქალაქეც და ხელისუფლებაც ერთნაირად ვართ პასუხისმგებლები დროის წინაშე, ქვეყნის წინაშე და მომავალი თაობის წინაშე, ეს ქმნის რაღაც ერთიანობას და თანადგომას.

**- სიტყვა "პატრიოტიზმს" შინაარსი დი...**

...ნი ინტერესია, რომ დიდ ცივილიზებულ გზაზე დავდგეთ, რაც მართებულად მიმაჩნია. მაგრამ, დასავლურ ქვეყნებამდე მისასვლელი გზის გავლა ძალიან რთულია. თან, შიგნით არავითარი რესურსი არა გაქვს, რომ შენს ქვეყანაში ეკონომიკურად გამაგრდე და ამას მოჰყვეს სიძლიერე სხვა სფეროებში. უნდა დაეყრდნო ნამდვილ ერთიანობას, არადა, სწორედ ამას უგულებელყოფენ.

ეს ხომ გავიარეთ, დათო. ეს ხომ გავიარეთ საბჭოთა კავშირის ეპოქაში. იყო კომუნისტური პარტიის პატრიოტიზმი, მაგრამ ჩვენ კომუნისტებად გავიზარდეთ? იმ პარტიის პატივისმცემლები გავიზარდეთ? მთელი ბავშვობა და მთელი ცხოვრება ჩაგვჩიჩინებდნენ და ყველაფერს აკეთებდნენ.

**- ერთსულოვნება რომ ვახსენეთ... თუ შენ ამბობ, რომ ჩვენს პარტიას შემოუერთდით, პარტიის ყოველდღიურ საქმიანობას შემოუერთდითო, ეს არ არის ერთიანობა. მოქალაქეები მშენებლობისას უნდა შეერთდნენ და ყველა თავის ადგილზე, თავისი საქმით უნდა შეუერთდეს საერთო აღმშენებლობას.**



ბაზე დებ თავს, ყველა შემთხვევაში უნდა მიიღო ის, რასაც უმრავლესობა გადაწყვეტს. ისტორიაში გვაქვს იმის მაგალითები, რომ უმრავლესობა საშინელ გადაწყვეტილებებს იღებს, მაგრამ ეს ერთ-ერთი მიღებული ფორმაა ხომ? თუ ამას არაფრად აგდებ, დაანებე თავი დემოკრატიაზე ლაპარაკს. თქვი, რომ ჩვენ ჯერ სხვა პრობლემები გვაქვს, რაღაც უნდა ვაკონტროლოთ, ჩვენს ხელში იყოს ხელისუფლება, მაგრამ არ შეიძლება ხალხის ასე იგნორირება, არ შეიძლება ძალაუფლების პრობლემას გადააყოლო იმის მშენებლობა, რისთვისაც მოხვედი.

**- უმრავლესობა ითხოვს მერის პირდაპირი წესით არჩევას. ხომ აქვს უფლება, რომ ერთხელ შეცდეს თავის არჩევანში, ორჯერ შეცდეს...**

- ჩვენ ყველა ვცდებით ცხოვრების განმავლობაში, მაგრამ იმ შეცდომებზე ვსწავლობთ. იმდენად ჭკვიანები არა ვართ, რომ სხვის შეცდომებზე ვისწავლოთ, მაგრამ საკუთარ შეცდომებზე მაინც ვსწავლობთ რაღაცას. თავისუფალი არჩევნები დემოკრატიის განვითარების პირველი პრინციპია. სხვანაირად დემოკრატია არ განვითარდება. გადაწყვეტილებას იღებს უმრავლესობა, მაგრამ პატივი უნდა სცე დანარჩენების აზრს. ერთხელ თუ შეცდა ადამიანი, მეორედ აღარ შეცდება, მესამედ აღარ შეცდება. თვითონ ხდება მოქალაქე პასუხისმგებელი

- რატომ იღებს უმრავლესობა პასუხისმგებლობას მთლიანად საკუთარ თავზე? გეუბნებიან, კი ბატონო, თუ არ მოგწონვართ, აირჩიეთ სხვა პარტია და იმათ აირჩიონ მერი. ესეც არ არის სწორი. შეიძლება რომელიმე პარტიის პროგრამა მომწონდეს, მათი კანდიდატი კი პიროვნულად არ მომწონდეს. ის მერი აღარ არის პასუხისმგებელი მოქალაქის წინაშე და არც მოქალაქეს აქვს ადეკვატური მოთხოვნის უფლება.

**- ჯანსაღი ატმოსფერო იქმნება მაშინ, როცა ხალხი მონაწილეობს სახელმწიფოს შენებაში. სწორი არ არის, როცა ხალხი მოწმედ დგება და არა მონაწილედ.**

- რატომღაც ჩათვალეს, რომ შეუძლიათ ხალხს უთხრან, რაკი გვენდეთ, ახლა გვაცალეთო. დრო მიდის, ერთ სივრცეში, ერთ ქვეყანაში ვარსებობთ და პრობლემები ყოველდღიურად უნდა გადაიჭრას. მე შეიძლება ორი წლის წინ აგირჩიე, მაგრამ ორი წელია ისე იქცევი, რომ საერთოდ უარს მეუბნები ჩემს ქვეყანაში მიმდინარე პროცესებში მონაწილეობაზე, უფლებას არ მაძლევ, მომავალში თვითმმართველობის წარმომადგენლები ავირჩიო. ეს არის გარკვეული განაცხადი ხალხის მიმართ.

**- ასეთი გზით გამორიცხულია ნებისმიერ დარგში წარმატებულობა. თუნდაც სახელოვნებო სამყაროში - მწერალმა თუ მკითხველი... დებული აქვს, მაგრამ სახიფათოა ამ სიტყვით მანიპულირება, გრადაცია. თუ პატრიოტულ ორგანიზაციაში გაწევრიანებული არა ხარ, ესე იგი პატრიოტი არ ხარ? სახიფათო გრადაციაა. ხალხის ნდობა იბადება მაშინ, როცა ხალხი ხედავს და გრძნობს, რომ მას ენდობიან. ხალხი, იმის ხალხია, რომ ვერასოდეს და არასოდეს რომელიმე ერთ ორგანიზაციაში ვერ და არ გაწევრიანდება.**

- მე არ შემხვედრია ხმამაღალი პატრიოტი. ღირსეულ კაცს არ წამოსცდება, მე ვარ პატრიოტიო, ხმამაღლა არ იტყვის. შენ თუ მოქალაქეს უარს ეუბნები ქვეყნის ცხოვრებაში მონაწილეობაზე, უფლებაც აღარ გაქვს, რამე მოსთხოვო. ნდობის მაგალითი უნდა აჩვენო. ქვეყანა რომ ამ მდგომარეობაშია, შენ უფრო მეტი უნდა შეძლო, რადგან ობიექტურად ქვეყანა რთულ მდგომარეობაშია. რომელი ხელისუფლებაც არ უნდა იყოს, საქართველო პრობლემატურ მდგომარეობაშია, რადგან საქართველო თავისი ზომით, წონით, ისტორიით, მდებარეობით, ეკონომიკური სიტუაციით, ობიექტურად თუ მივუდგებით, რთულ მდგომარეობაშია. იმიტომ, რომ ტრადიციულად, ისეთი დიდი ქვეყანა, როგორიც რუსეთია, გამუდმებით გეპოტინება და არ უნდა შენი დაკარგვა, თავს გახვევს დამოუკიდებლობის არასწორ პირობებს, სხვა დიდ ქვეყნებს სხვა ინტერესები აქვთ. ჩვე...

- ჰო, მაგრამ სურვილი უნდა იყოს. როცა შენ ხედავ, რომ ამისი წინაპირობა არსებობს, ტენდენცია არსებობს, სურვილი არსებობს, შენს პოტენციალს მოახმარ საერთო საქმეს. თუ გახსოვს, თავიდან იდეა იყო ეს - ვცადეთ, შემოგვეკრიბა სამეცნიერო და კულტურული პოტენციალი. ხალხი უანგაროდ მზად იყო თანადგომისთვის, იმიტომ, რომ იმედი გაჩნდა, რომ რაღაც საშინელი, სტატიკური ეპოქა დამთავრდა. ეგეთ კარტ-ბლანშს გაძლევს ხელში საზოგადოება და ამაზე უპირობოდ უარს ამბობ. მარტო ჩვენზე კი არ არის ლაპარაკი, ლაპარაკია მექანიზმზე. ჩვენს გარდა უამრავი სხვა ხალხი იყო, ვინც ცვლილებას გულშემატკივრობდა, რადგან უსამართლობასთან ჰქონდათ გაიგივებული ის ეპოქა. არიან კომპეტენტური ადამიანები ქვეყანაში, მართალია, არც ისე ბევრი, მაგრამ ესაა ბირთვი, საიდანაც მაგალითი უნდა აელო ხელისუფლებას და მათი მეშვეობით თავის ხალხს დაკავშირებოდა, მისთვის ნდობა გამოეცხადებინა, გასაჭირშიც ერთად ვიქნებოდით, წარმატებებით ერთად გავიხარებდით; ვიცხოვრებდით იმ რეალობაში, რომელშიც ვცხოვრობთ ჩვენ ყველანი, ხელისუფლების გარდა. ეს წყალგამყოფი თვითონ შექმნეს. მე არ ვიცი, ამის საწინდარი რა იყო. შიში, გაურკვეველი ინფორმაციები თუ რა... ვერ ვხვდები ლოგიკურად, რადგან რაშიც ისინი ძალას

# არის ასეთი ქვეყანა

ხედავენ და ეძებენ, ის არ არის ისეთი ძალა, რომ დაგიცვას, სწორედ ამ კონფლიქტურ ვითარებაში, როცა რუსეთთან დაძაბული ურთიერთობა გაქვს, როცა ტერიტორიები დაკარგული გაქვს, როცა მყარად გინდა დადგე ფეხზე, რომ დაელაპარაკო უკრაინელებს თუ ნატო-ს თუ ვისაც გინდა... არც იქ არის ასე მარტივად საქმე. ევროპასაც სულ არ უნდა ასე უთავბოლოდ გაფართოება. ახალი კონსტიტუციისადმი დამოკიდებულებამაც დაადასტურა ეს. საფრანგეთსა და ჰოლანდიაში რომ ჩავარდა ეს კონსტიტუცია, ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ეს იყო. იმათ უკვე ჩამოყალიბებული სისტემა აქვთ. ამდენი საუკუნეა, სოციალურ პირობებს იქმნიან და ამ დროს ევროკავშირის ეგიდით ხდება გაერთიანება იმ ქვეყნებისა, სადაც პრობლემებია - ყოფილი სოციალისტური ქვეყნებისა. ყველა თავისი პრობლემებით მიდის. სადღაც ორგანიზებულ, უკვე მოწყობილ სახლში ჩვენ გვინდა შევიდეთ ჩვენი პრობლემებით - ეკონომიკის გარეშე, სიდუხჭირით, დაკარგული ტერიტორიებით. სწორედ ამ დროს უნდა ეცადო, რომ შიგნით, ქვეყანაში, ერთ მუშტად შეიკრა, ოღონდ ეს მუშტი სამართლიანობაზე უნდა იდოს, კანონზე უნდა იდოს, ერთ სტანდარტზე, განცდაზე. ხალხი უნდა ხედავდეს, რომ ხელისუფლება განიცდის შენს მდგომარეობას. კაცს თუ თვალს გაუსწორებ, ის კაცი ომშიც წამოგყვება დღესვე, მაგრამ მართალი უნდა იყო, რომ თვალი გაუსწორო. იმან უნდა იცოდეს, რომ შენთვის კი არ ცდილობ, ქვეყნისთვის ცდილობ, შენი შვილისთვის, იმ კაცის შვილისთვის, საერთო საქმისთვის. მე მგონია, რომ პოტენციალი არ არის, ხალხი არ არის, ვინც ამას გრძნობს, ესმის, იცის.

**- საერთოდ, დარაზმვა, საზოგადოების რაზმად ჩამოყალიბება არ ვარგა, რადგან ინდივიდი ჰკარგავს სახეს - რაზმი ხდება. ხიბლი წუთისოფლისა არის ინდივიდებში და თავისუფლებაში. ვფიქრობ, რაზმული დისციპლინა სამხედრო საქმეს სჭირდება და არა ყოველდღიურ წუთისოფელს.**

- გამაღიზიანებელია, როცა ამბობენ, "ჩვენი გუნდი". კი მაგრამ, მაშინ ჩვენ რა გუნდში ვთამაშობთ? ისინი რა, ცალკე არიან? საქართველოს მოქალაქეები ცალკე ვართ? და ისინი არიან "გუნდი", რომელმაც ყველაფერი იცის? სამწუხაროდ, ადამიანებს იმედი ეკარგებათ. საერთოდ, მე არ მინახავს, ულირს ადამიანს ღირსეული საქმეები ეკეთებინოს.

**- ასეთი რამ მჯერა, რომ გამორიცხულია. დარაზმვა შეიძლება მხოლოდ ომის დროს. და რაც ნიშანდობლივია, ადამიანებმა ჩვენს თვალწინ დაიწყეს ბიოგრაფიების შეცვლა. ადამიანებმა დაიწყეს საკუთარი ბიოგრაფიის შელამაზება კი არა, გამოცვლა. და არა მარტო თვითონ იცვლიან, საკუთარ წინაპრებსაც დაუწყეს ბიოგრაფიების გამოცვლა. ახლა რომ ვისმენ, ქაქუცა ჩოლოყაშვილთან თუ არა, მის რაზმთან მაინც მიახლოებული ყოფილა ლამის ყველა ქართველი მამა ან პაპა.**

**როგორც ვიცი, ბოლოს დუშეთთან 60-კაციანი რაზმი ჰყავდა ქაქუცას. იმ რაოდენობის ამალა რომ ჰყოლოდა, რამდენი ქართველიც დღეს თავის წინაპრებს ატმასნის მის რაზმს, ნიკოფსიითგან დარუბანდამდის გადაჭიმავდნენ საქართველოს.**

- ეგ იმ პიროვნებების ტრაგედიაა, მათ უბადრუკობასა და მდაბიურ თვისებებზე მეტყველებს. მაგრამ ამგვარი გამონაგონი რომ თავის საქმეს აკეთებს, ეს საზოგადოების პრობლემის დასტურია. ეს ფაქტი ნორმალურ საზოგადოებაში უნდა იყოს ან დაცინვის, ან აღშფოთების საგანი, ხომ ასეა? რაკი ხალხი ამას ცდილობს, ესე იგი სადღაც გასდის, არა? ამ ქვეყანაში ხშირად უყურადღებოდ გვრჩება ადამიანის, პიროვნების ბიოგრაფია. ესეც პოლიტიკური თუ სოციალური კულტურის დონის ერთ-ერთი მაჩვენებელია. ადამიანის ბიოგრაფია, მისი საქციელი განაპირობებს აზრს ამ ადამიანზე. ჩვენ ეგ სულ გვავიწყდება. ახლო ისტორიას ვგულისხმობ, რისი მომსწრეც მე გავხდი. ითვალისწინებენ ადამიანის პოზიციას კონკრეტულ დროს. და ორი დღის წინ ადამიანი რა პოზიციაზე იდგა, რას აკეთებდა, აღარ ახსოვთ. ცვალებადი ადამიანი, რა თქმა უნდა, მომავალშიც შეიცვლის პოზიციას და ნებისმიერ სახელს დაირქმევს. ფიტულები არიან და მარტო სახელები აქვთ. შინაარსი არა აქვთ. არც ღირებულება არა აქვთ, პოზიცია არა აქვთ. სამწუხაროდ, ასეთი ადამიანები მომრავლდნენ, განსაკუთრებით პოლიტიკურ ნომენკლატურაში. საქართველოში პოლიტიკაში მოღვაწე ადამიანებიდან უმრავლესობა ამ ადგილის გარეშე, ამ სახელის გარეშე არაფერს არ წარმოადგენს.

**- იციან, რომ ამ თანამდებობის, ამ "პატივის" გარეშე, რომელიც ხელისუფლებაში ყოფნას მოაქვს, - ამას თვითონ აღიქვამენ პატივად და არა პასუხისმგებლობად, - აღარ იქნებიან ანგარიშგასაწევნი თავისი სულიერების, ინტელექტის, განზრახვების გამო. ერთადერთი გზა საკუთარი "პატივდებულებისაკენ", არის გზა ხელისუფლებისაკენ. და ამ გზას ადგება, რათა დაიკმაყოფილოს მანიაკური, სრულიად უნიადაგო პატივმოყვარეობა. თანამდებობის გარეშე ეს ადამიანი არ არის საზოგადოებისთვის შესამჩნევი.**

**"მდგომარეობა". მდგომარეობა არის თავი და ბოლო ამ ადამიანებისთვის. ეს არის ახდენილი ოცნება. ასეთი ადამიანებისთვის იმდენად მიმზიდველია ეს "მდგომარეობა", იმდენად შევიდნენ როლში, რომ თავი განმკითხავებად წარმოიდგინეს. იმას ვგულისხმობ, რომ იყო საბჭოთა პერიოდში ფსევდოსაზოგადოების შექმნის მცდელობა, რაღაც სახეც მისცეს ამ საზოგადოებას, რომელსაც მოქრთამავდნენ და მათგან მხარდაჭერას მიიღებდნენ. შექმნეს ფსევდოსაზოგადოება, რომელსაც არქმევდნენ საზოგადოებას. მაგრამ, დღეს ადამიანი განმკითხავად როგორ უნდა თვლიდეს თავს მხოლოდ იმიტომ, რომ ჩინოვნიკის პოსტი აქვს. ის პოსტი ჩააბარა ხალხმა იმიტომ, რომ კონკრეტულ საქმეს მიხედოს, იმიტომ კი არა, რომ ერი განიკითხოს, მტყუან-მართლის ზნეობრივი გარკვევა დაიწყოს, განმკითხავის სახელისუფლებო პოსტი არ არსებობს, მეტადრე, როცა სასამართლო ბეჩავ მდგომარეობაშია.**

- იმიტომ, რომ ამ ადამიანებს არა აქვთ იმის გონება და იმის ინტელექტი, რომ არ განიკითხონ.

**- საერთოდ, მოვლენების, ხალხის, ქცევის, კონკრეტული გადაწყვეტილებების შეფასება ხდება დროში გავრცობილად. თავის სახელს ყველაფერს დრო და საზოგადოება დაარქმევს და არა პოლიტიკური აქტივისტი, რომელსაც ჰგონია, რომ პოსტი მისცეს იმიტომ, რომ განიკითხოს.**

- სამწუხაროა, მაგრამ ეროვნული მოძრაობიდან დაწყებული, ყველა ხელისუფლებისკენ მიიწევდა, რამდენიმე პიროვნების გარდა - მერაბ კოსტავა, რომელიც წრფელად იბრძოდა, ზურაბ ჭავჭავაძე, რამდენიმე ადამიანი ჭავჭავაძის საზოგადოებიდან, გია ჭანტურია...

**- კიდევ იყო ხალხი, არა ასეთი სახელოვანი, მაგრამ ძალიან გულწრფელი ხალხი.**

- როგორ არა, მე ხალხს კი არ ვგულისხმობ, ლიდერებზე ვამბობ.

**- არ შეიძლება, ერთი რომელიმე მიზანი ჰქონდეს ან ხელისუფლებას, ან ერს. სანამ ჰეგელი გაჩნდებოდა, ქრისტიანობა რომ მოვიდა, როგორც უკიდეგანო სიყვარულის რელიგია. მორწმუნეს არა აქვს მიზანი, რომელთანაც უნდა მივიდეს. წინასწარ განსაზღვრულია, რომ ის მიზნამდე ვერასდროს მივა. მისი ცხოვრების წესი არის უსასრულო მიახლება იმ შორეულ ხატთან, და არა სწრაფვა, რომ თვითონ გახდეს ხატი.**

- მაგაზე საუბარი ძალიან შორს წაგვიყვანს. ეგ ფილოსოფიურ-ზოგადსაკაცობრიო საკითხია, საერთოდ, კაცობრიობის გზაზე. მაგრამ არსებობს კონკრეტული პოლიტიკური მიზნებიც, რომლებზეც ესენი ხშირად აპელირებენ და ხშირად ატრიალებენ. შეიძლება დღეს ჩვენი კონკრეტული მიზანი იყოს, რომ როგორმე ჩვენი ლტოლვილები დავაბრუნოთ აფხაზეთში. მაგრამ, ისე მორალურად უნდა მოიქცე, ისეთი ნაბიჯები უნდა გადადგა, რომ იმ მიზნისკენ ბუნებრივად წახვიდე. ელემენტარული რამაა - საკუთარ თავთან უნდა იყო მართალი, რომ სხვამაც დაგიჯეროს.

**- აფხაზეთში... თვალსაჩინოებისთვის აფხაზეთი ვთქვათ... აფხაზეთში პალმის დაბრუნება ხომ არ გვინდა. მთავარია, ქართველმა ხალხმა და აფხაზმა ხალხმა ერთმანეთი დაიბრუნოს.**

- სამშობლო ჰქვია შენს ქვეყანას, ანუ სადაც შენი მშობლები ცხოვრობდნენ. ხომ არ ჰქვია სამთიულეთი, საველეთი, საპალმეთი...

**- ქართველმა ადამიანმა უნდა დაიბრუნოს აფხაზი და აფხაზმა უნდა დაიბრუნოს ქართველი. ესაა მთავარი და არა მტკაველით გაზომილი მიწა.**

**როგორც მორწმუნე ადამიანში უნდა გაიაროს ქრისტემ მთელი თავისი გზა, გოლგოთა უნდა გაიაროს, ჯვარცმა უნდა გაიაროს, და ეს თვით ადამიანში უნდა მოხდეს, ასევე შენი ერის სულიერმა თავგადასავალმა შენს სულში უნდა გაიაროს მთელი სიგრძე-სიგანით. შენი კულტურის ისტორიამ უნდა გაიაროს შენს სულიერებაში. და ეს თუ მოახერხე, სხვა გამომეტყველება გაგიჩნდება. აბა, ვნახოთ XIX საუკუნის ფოტოები. როგორი გამომეტყველებებია... რა საზოგადოება იყურება ამ ფოტოებიდან...**

- სხვა პატივი გერგება იმ ქვეყნებიდან, რასაც განვითარებული ქვეყნები ჰქვია. შენ ბუნებრივ ადგილს იკავებ. ნიღბით კი არ მიდიხარ. იმას კი არ უნდა გაიძახოდე, მე მინდა ვიყო დემოკრატიო. უნდა იყო დემოკრატი. უნდა გახდე დემოკრატი. ყოველდღიურად უნდა შეასრულო ის, რაც დემოკრატს ევალება. ეგრე არ არის, რომ ევროპელებთან მივიდეთ და ვუთხრათ, ჩვენ არაფერი არა გვაქვს, არც ეკონომიკა, არც ღირებულებები, არც დემოკრატია, უამრავი პრობლემა გვაქვს და თქვენთან გვინდა. ეგრე არ არის. უნდა დაიმსახურო, რომ გახდე ევროპული საზოგადოების ღირსეული წევრი. ამის ყველა შესაძლებლობა გაქვს ისტორიულად, ტრადიციულად. ევროპელებმა არ იციან, შენ რა ისტორია გაიარე და როგორ მოიტანე დღემდე შენი კულტურა, ტრადიცია, რადგან დღეს არ გეტყობა. ამას დაეყრდენი და აღადგინე. ამას გრძელი დრო უნდა. შიგნიდანაც თავისუფალი უნდა იყო.

**- ლიბერალურ ღირებულებებსა თუ დემოკრატიულ ფასეულობებსა და ქართულ კულტურას, ისტორიას, ქართულ ცნობიერებას შორის არავითარი კონფლიქტი არ არის. კონფლიქტი არის თვითონ იმ ადამიანებში, ვინც დემოკრატიული ღირებულებების მატარებლობაზე დებს თავს, სინამდვილეში კი ზერელე წარმოდგენა აქვთ ამ ღირებულებებზე, განცდილი არა აქვთ, მათი სულიერება არ არის ნაზიარები რეალურად ამ ღირებულებებს და გარდა ამისა, საერთოდ არა აქვთ წარმოდგენა მშობლიური კულტურის ისტორიაზე. ორივე განცდილი და გააზრებული რომ ჰქონდეთ, დაინახავდნენ, რომ მათ შორის არ არის კონფლიქტი. პრობლემა თვითონ ის დაწინაურებული ჩინოსანია, რომელიც დემოკრატიული ფასეულობების ერთგულებას იბრალებს და მისი შემყურე უბრალო კაცი ფიქრობს, რომ თუკი რაც ამის უკან დგას, ისაა დემოკრატია, მაშინ არც ის აღარ მინდაო.**

- ჩვენთან ყველაზე მეტად დომინირებს ფრაზა, რომელსაც ყური კი მივაჩვიეთ, მაგრამ ძალიან ცუდი ფრაზაა: "ეჰ, ჩვენი საშველი არ არის". ადამიანი საკუთარი თავის რწმენას ჰკარგავს. უბრალო მოქალაქე საკუთარ თავთან აიგივებს ხელისუფალს. პატარა სინათლის წყარო ხომ უნდა დაინახოს ადამიანმა, რომ იქით დაიძრას. ერთი და იგივე ჩანაცვლება, სტილისტიკა. ჩვენს ქვეყანაში ერთი ჯგუფი ცვლის მეორე ჯგუფს, რომ მთელი ქვეყნის და ხალხის ხარჯზე მდგომარეობა შეიქმნან, იარსებონ, რომ მერე კიდევ ამ ხალხს უძახონ, რომ ისტორიულ გზაგასაყარზე დგანან. გაუბედურებულმა კაცმა, რომელიც მთელი დღე ქუჩაში დადის, რომ ერთი პური მიუტანოს შვილს და როგორებიც მრავლად არიან, თურმე კიდევ უნდა მოითმინოს და გაიჭირვოს, თუ უნდა ქვეყნის წინსვლა. თუკი იმას თხოვ, შენ დამანახე, რომ იჭირვებ. კი ბატონო, გავიჭირვოთ, მაგრამ ერთად გავიჭირვოთ, მარტო მე კი არა. ყველაფერი გამოვა, ყველაფერი გაკეთდება, თუკი საფუძვლად დაედება მორალი. სახარებისეული ზნეობა.

**- სამართლიანობის მოთხოვნა ადამიანის თანდაყოლილი თვისებაა. სამართლიანობის განცდას, სამართლიანობის შეგრძნებას სჭირდება სულიერი საზრდო. იყო პერიოდები, როცა სახელმწიფოებრიობის მხრივ უკეთესობის არავითარი შესაძლებლობა არ არსებობდა. ვთქვათ, 1950-იან წლებში ხომ იყო ქართული გენერაცია, ცხოვრობდა და თავის სულიერებაში არ ჰკარგავდა მუხტს, ინარჩუნებდა თავის ეროვნულ თუ ზოგადსაკაცობრიო სულისკვეთებას, რათა დადგებოდა დრო, რომ გამოეყენებინათ შანსი და ამ დროს ქართული საზოგადოება მზად უნდა დახვედროდა. ახლა შანსი არის და მსჯელობაც უფრო მძაფრი უნდა გახადო, რომ ასეთი შესაძლებლობა არ დაიკარგოს.**

- ხელისუფალი ასმაგად პასუხისმგებელია ყველაფერზე. პიროვნებები ქმნიან ყველაფერს. საზოგადოება არის მთავარი ხელისუფალი.

ხელისუფლება უნდა იყოს ხალხის ნების აღმსრულებელი. გადაუხვევს თუ არა, პასუხი უნდა მოეთხოვოს. სამწუხაროდ, ჩვენთან ჯერ ასე არ არის. ადამიანები ქმნიან ყველაფერს. ნამდვილი ხელისუფლება მაინც არის საზოგადოება.

**- ქვეყანა მაშინ არის ქვეყანა, როცა ადამიანს შეუძლია, სამართალი იპოვოს ქვეყანაში. იმედი მაქვს, ჩვენი სამშობლოც აქეთკენ დაიძრება და მალე გახდება ასეთი ქვეყანა. არის ასეთი ქვეყანა...**



ყოველი ისტორია თანამედროვე ისტორიაა

*ბენედეტო კროჩე*

# პეტრეს ქალაქის წინაპრები

ნოდარ ლადარია
ლეილა ბეზარაშვილი

რამდენიმე დღის წინ პეტერბურგში, რუსეთის იმპერიის ჩრდილოეთ დედაქალაქში შეხვდნენ ერთმანეთს მიხეილ სააკაშვილი და ვლადიმერ პუტინი. მათი შეხვედრის გარშემო, როგორც წესი და რიგია, ტყუილ-მართალის ნაირფერი ქსოვილი მოიქარგა. მაგრამ დღეს თვით ადგილი გვაინტერესებს — სანქტ-პეტერბურგი, ახალი დროის რუსული მითის აკვანი, რომელიც ჯერ პეტრე პირველმა დაარწია, მოგვიანებით კი ალექსანდრე პუშკინმა გალექსა გვირგვინოსანთა ფარული და განცხადებული სურვილები: მის თხზულებებში "ჩრდილოეთის პალმირა" "პეტრეს ქმნილებად" და "უდაბურ ტალღათა ნაპირზე" ლამის არაფრისაგან გაშენებულ სასწაულად წარმოჩნდა. ასე იყო თუ არა სინამდვილეში?

ნევის შესართავთან მდებარე ვრცელი და ტყით დაფარული ტერიტორია ძველად მრავალ სახელს ატარებდა: ინგრია, ინგერმანლანდია, იჟორთა მიწა... თავიდან აქ სწორედ იჟორები ცხოვრობდნენ და კიდევ ვოდები — ორივე ბალტიურ-ფინური ტომების ხალხი იყო. მე-8 საუკუნიდან აქ სლავებიც ჩნდებიან.

დღევანდელი პეტერბურგის მახლობლად პირველი დასახლებული პუნქტი იყო სკანდინავიური ქალაქი ალდეიგიუბორგი, რომლის საფუძველი 753 წელს ჩაიყარა, ანუ პეტერბურგამდე თითქმის ათასი წლით ადრე. ადგილი მეტად ხელსაყრელი იყო, რადგან ვინც ნევის შესართავზე დაჯდება, თავისუფლად აკონტროლებს ბალტიიდან შავ ზღავმდე და ბალტიიდან კასპიის ზღვამდე გაჭიმულ სავაჭრო გზებს. ამიტომაც ინგრიას თუ ინგერმანლანდიას "თავის ძირძველ მიწად" მიიჩნევდა ჯერ ბატონი დიდი ნოვგოროდი, როგორც ამ ქალაქს მატიანეები და ოფიციალური საბუთები მოიხსენიებენ, მერე მოსკოვის სამთავრო. მაგრამ შვედებიც ზუსტად ამ აზრისა იყვნენ. რას იზამ, ნებისმიერი ეთნიკური იდენტობა რომ გადაფხიკო, მის ქვეშ აუცილებლად გამოჩნდება ეკონომიკური ინტერესები...

სწორედ ამ ეკონომიკური ინტერესების გამოა, რომ მხოლოდ ნოვგოროდის მატიანე 1283-1323 წლების პერიოდში სლავებსა და სკანდინავებს შორის თხუთმეტ შეიარაღებულ შეტაკებას აღწერს. აშკარაა, რომ "უდაბურ ტალღათა ნაპირისათვის" არავინ მოიკლავდა თავს.

მე-14 საუკუნის დასაწყისში ინგრიის მეტოქეობა გადაიზარდა ციხე-სიმაგრეთა შორის დუნედ მიმდინარე კონფლიქტში, რომელიც შვედებმა წამოიწყეს. 1300 წლის ივნისში ვიკინგების შთამომავლები ჩამოსხდნენ ნევის შენაკადის, ოხტის შესართავთან და ეს ორი მდინარე ღრმა არხით შეაერთეს. წარმოქმნილ სამკუთხა კუნძულზე დაარსდა ციხე-ქალაქი ლანდსკრუნა — შვედურად, ქვეყნის გვირგვინი. ეს კი პეტერბურგის მეორე წინაპარია. რვა გოდოლისაგან შემდგარ ციდატელზე არტილერია განლაგდა, ამგვარად, ადვილი იყო უკვე სავაჭრო ნავსადგურის აშენება. ყველაფერი იყო აქ: ნავმისადგომები, საპორტო მაღაზიები, საწყობები, სარემონტო დოკები და სხვა მისთანა.

ნავსადგურის გარშემო თავისთავად დაიწყო ზრდა ქალაქმა, რომლის დამაარსებლად ითვლება შვედეთის მეფე, ბირგერ მაგნუსონი, ხოლო მონარქის ნებას უშუალოდ აღასრულებდა მხედართმთავარი ტორგილს კნუტსონი. ამ ნიჭიერი და ინიციატივიანი კაცის წარმოშობაზე თითქმის არაფერია ცნობილი: მისი სახელი საბუთებში პირველად 1281 წელს გვხვდება. ექვსი წლის შემდეგ კნუტსონი რაინდად აკურთხეს, ერთი წლით გვიან კი მან შვედეთის ჯარში უმაღლესი წოდება, მარშალის ხარისხი მიიღო. სწორედ მას უნდა უმადლოდეს ქვეყანა ხანგრძლივი სამოქალაქო მშვიდობის დამყარებას.

პოლიტიკოსი, რომელმაც ბოლო მოუღო შინაომებს, მშვენივრად გრძნობდა, რომ მშვიდობის გარანტია მხოლოდ ბალტიის ზღვის აღმოსავლეთი ნაპირები და ნევის შესართავია. სწორედ მან დააარსა 1293 წელს ვიბორგის ციხე-სიმაგრე — დღევანდელი პეტერბურგის ერთ-ერთი გარეუბანი. მაშინ კი ქვის სქელი კედლებით გარშემორტყმულმა დაბამ თავისუფლად გაუძლო კარელების, ფინელების, ნოვგოროდელების შეტევებს და მალე აღმოსავლეთ ბალტიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სავაჭრო ცენტრად იქცა.

ორი წლის შემდეგ, 1295 წელს ლადოგის ტბის დასავლეთ ნაპირზე დაიწყეს კექსჰოლმის (დღევანდელი პრიოზერსკ-




*მოქანდაკე ფალკონე - პეტრე პირველის მონუმენტი*



*ამ ადგილას იყო ძველი ნიენი.*

## "უდაბურ ტალღათა" მითი

სასკოლო სახელმძღვანელოს ყოველთვის უფრო დიდი გავლენა ჰქონდა საზოგადოებაზე, ვიდრე სერიოზულ ისტორიკოსთა გამოკვლევებს. ამის მაგალითად თუნდაც ვახტანგ გორგასლის ხოხობი გამოდგება: თბილისის ღერბზე გამოსახული ეს ფრინველი და მასთან დაკავშირებული ისტორია მე-19 საუკუნეში მოიგონა იაკობ გოგებაშვილმა.

იგივე ითქმის პუშკინის პოემაზე "რვალის მხედარი", რომელშიც გალექსილი და საზოგადოებრივ ცნობიერებაში საბოლოოდ გამყარებულია მითი დემიურგ იმპერატორზე, რომელმაც არაფრისგან შექმნა ქალაქი და გაჭრა სარკმელი ევროპაში. თუმცა პუშკინმა კარგად იცოდა ისტორია, ამიტომაც პოემის ავტორისეულ შენიშვნებში, ზუსტად იმ ადგილას, სადაც ევროპაში გაჭრილ სარკმელზეა ლაპარაკი, პუშკინი წერს: "ალგაროტიმ სადღაც თქვა: Pitersbourg est la fenêtre par laquelle la Russie regarde en Europe" (პეტერბურგი სარკმელია, რომლიდანაც რუსეთი ევროპას გასცქერის) — დიახ, მეტად ზუსტი ნიუანსია: გასვლა კარიდან შეიძლება, სარკმლიდან კი მხოლოდ იცქირებიან ხოლმე. იტალიელმა გამანათლებელმა, ფრანჩესკო ალგაროტიმ, რომელიც ევროპული სამეცნიერო-პოპულარული ტრადიციის ფუძემდებლად შეიძლება მივიჩნიოთ, კარგად იცოდა პეტერბურგის პოლიტიკური ფუნქცია და მის ამშენებელთა ამბიციებიც. მაგრამ, ისტორიული სიმართლე ხშირად ეწინააღმდეგება იდეოლოგიას. არსებობს ზეპირი გადმოცემა, დოკუმენტურად დაუდასტურებელი, მაგრამ საკმაოდ რეალისტური, რომ პუშკინს "უდაბურ ტალღათა" შეტანა პოემაში რბილად ურჩია მისმა პირადმა ცენზორმა, სრულიად რუსეთის იმპერატორმა ნიკოლოზ პირველმა. მაშინაც კი, თუ ეს გადმოცემა სინამდვილეს არ შეესაბამება, მასში არის მთავარი — მოტივაცია. გონიერი მკითხველები მაშინაც ხვდებოდნენ, ვის ინტერესებში შეიძლება ყოფილიყო ისტორიის სწორედ ასეთი და არა სხვანაირი წარმოსახვა. მაგრამ, გონიერი მკითხველიც, როგორც ყოველთვის, უმცირესობაშია.

შეიძლება ითქვას, რომ პეტრე პირველი საკუთარ თავს სრულიად შეგნებულად აღიქვამდა დემიურგად, რუსეთის შემოქმედად. თანაც ეს აუცილებლად არაფრისაგან შექმნა უნდა ყოფილიყო. სხვანაირად როგორ ავხსნათ ის, რომ ნიენისა და ნიენშანცის აღების შემდეგ მან კი არ გაამაგრა არტილერიისაგან დაზიანებული ციხე-სიმაგრე და ქალაქი, არამედ მიწასთან გაასწორა და ახალი მიტროპოლიის საძირკველი სულ რაღაც რამდენიმე კილომეტრით ქვემოთ ჩააყრევინა. რაციონალური არგუმენტებით პეტრეს ამგვარ ქმედებას ვერ გავამართლებთ.

აი, ისტორიკოსთა იდეოლოგიზაციის კიდევ ერთი ნიმუში: ამბობენ, რომ დღევანდელი პეტერბურგის ტერიტორიაზე ბინადრობდა სულ 1516 სული. მაგრამ, როცა სტოლბოვის საზავო ხელშეკრულებით ეს მიწები გადავიდა შვედეთის მფლობელობაში, იგივე ისტორიკოსები წერენ, რომ იქაურმა მცხოვრებლებმა ვერ აიტანეს შვედებისაგან სასტიკი ექსპლოატაცია და კვლავ რუსეთში გადმოსახლდნენ. გადმოსახლებულთა რიცხვად ორმოცდაათი ათასს ასახელებენ. საინტერესო არითმეტიკაა: როცა გინდა დაამტკიცო, რომ პეტრემ უდაბნოში ააგო ქალაქი, იქ ორ მუჭა ადამიანს ასახლებ. მაგრამ, თუ იდეოლოგია ითხოვს იმის დამტკიცებას, რომ შვედები გაცილებით უფრო სასტიკი მებატონეები იყვნენ, ვიდრე რუსები, იძულებული ხარ საიდანღაც გააჩინო სამი საშუალო ქალაქის მოსახლეობა.

ისტორია უცნაური რამაა: ხშირად ავიწყდებათ, რომ პეტრეს ჯარების წინააღმდეგ ნიენშანცის ციხე-სიმაგრეს არა მარტო შვედი ვიცე-პოლკოვნიკი იცავდა, არამედ რუსი აზნაური აპოლოვიც, რომელიც რუსებისაგან შემდგარ რაზმს სარდლობდა. მართალია, ისტორია დუმს, რა ბედი ეწიათ მათ პეტრეს შემოსვლის შემდეგ, მაგრამ თუ იმპერატორის ხასიათს გავითვალისწინებთ, მათი არ უნდა შეგვშურდეს.

და კიდევ ერთი: დღევანდელ პეტერბურგთან შედარებით, ქალაქ ნიენს ერთი უბედურება არ აწუხებდა — მოქცევითი წყალდიდობები, პეტერბურგის ნამდვილი სასჯელი. ბედის ირონიით, პეტრე პირველი სწორედ ასეთი სტიქიური მოვლენის დროს გაცივდა და ისე გარდაიცვალა. თუმცა, ამაშიც არის კანონზომიერება, რადგან საღვთო წერილი გვასწავლის: "ვაი მას, ვინც სისხლზე აშენებს ქალაქს და უსამართლობაზე აფუძნებს დარბაზებს" (წინასწარმეტყველი აბაკუმი, 2:12).

## ყოველი ისტორია თანამედროვე ისტორიაა

*ბენედეტო კროჩე*

ის) მშენებლობა. და აი, 1300 წელს, როგორც ვთქვით, საფუძველი ჩაეყარა ლანდსკრუნას. სამწუხაროდ, ოხტისა და ნევის შესართავთან აგებული ქალაქის პირველმა ვერსიამ დიდი ხანი ვერ გაძლო: 1301 წლის 18 მაისს შვედების "თავხედობით" გამძვინვარებულმა ნოვგოროდელებმა ნავსადგური გადაწვეს და რაღაც ირაციონალური მრისხანებით მოცულებმა ის ხელოვნური კუნძულიც გაანადგურეს, რომელზედაც ციტადელი იყო აღმართული.

რატომ არ გამოიყენეს მშვენიერი ნაგებობები, რომლებიც, შეიძლება ითქვას, მუქთად ერგოთ? — იმიტომ რომ ასეთ ხელსაყრელ ადგილას მდებარე ქალაქი სულ მალე თვით ნოვგოროდის კონკურენტად იქცეოდა. კონკურენტს კი, მოგეხსენებათ, ეთნიკურობა არ გააჩნია: გინდ შვედი იყოს, გინდ რუსი — ერთნაირად არასასურველია.

ერთი სიტყვით, ციხე-სიმაგრეთა ომის პირველი ეტაპი ტრაგიკულად დასრულდა: გადამწვარი ლანდსკრუნას გამო 1305 წელს ცილი დასწამეს ტორგილს კნუტსონს და ერთი წლის პატიმრობის შემდეგ 1306 წელს თავი მოჰკვეთეს სტოკჰოლმის მთავარ მოედანზე.

კონფლიქტის მეორე ეტაპი 1323 წელს დაიწყო, როცა მოსკოვის მთავარმა, იური დანილოვიჩმა ნევის სათავესთან მდებარე კუნძულ ორეხოვზე ააშენა ციხე-სიმაგრე ორეშეკი. ეს ნამდვილად კერკეტი კაკალი აღმოჩნდა შვედებისთვის. მათ ორეშეკის აღება მხოლოდ 1611 წელს მოახერხეს. 1655 წელს რუსებმა კვლავ დაიბრუნეს ქალაქი, მაგრამ 1661 წელს კარდისის საზავო ხელშეკრულების თანახმად უკვე ნოტებურგად წოდებულ ციხე-სიმაგრეში ისევ შვედური გარნიზონი დადგა. რუსებმა მისი დაბრუნება მხოლოდ პეტრე პირველის დროს მოახერხეს და 1702 წლის 11 ოქტომბერს აღებული რუსული ორეშეკი იმპერატორმა შლისელბურგად მონათლა.

როგორც ვხედავთ, რუსეთის იმპერიის ახალი დედაქალაქის ირგვლივ სულაც არ ყოფილა უდაბნო: აქ საუკუნეების განმავლობაში საკმაოდ მღელვარე ეკონომიკური და პოლიტიკური ცხოვრება მიმდინარეობდა. თუმცა, უნდა ითქვას, რომ მთავარი ჯერ კიდევ წინაა.

დავუბრუნდეთ ოდესღაც სასტიკად განადგურებულ ლანდსკრუნას. აქ, ნევისა და ოხტის შეერთებასთან მე-17 საუკუნეში იყო პატარა რუსული სოფელი უსტ-ოხტა. ადგილი საკმაოდ კარგად იყო ათვისებული. ფინური და შვედური მოსახლეობა რუსულს რამდენიმეჯერ ჭარბობდა. დღევანდელ ვასილიევის კუნძულზე, მაგალითად, დე ლა გარდის ოჯახი სახლობდა, დღევანდელ პეტროგრადის მხარეს — ბირკენჰოლმების ოჯახი, ხოლო ამჟამინდელი დუდერჰოფის მიდამოები შვედეთის მეფის მრჩეველს, იოჰან სკიუტეს ეკუთვნოდა...

აქ მნიშვნელოვანია სწორედ დე ლა გარდის ოჯახი: 1611 წელს ამ გვარის წარმომადგენელმა, იაკობმა, მეფე გუსტავ მეორის დროის პოლიტიკურმა მოღვაწემ, ძველი ლანდსკრუნის ადგილას დაიწყო ახალი სავაჭრო დაბის, ნიენისა და ციტადელის, ნიენშანცის მშენებლობა. ხუთკუთხა ციხე-სიმაგრის სიგანე კილომეტრს აღწევდა. კედლების სისქე 9 მეტრი იყო და მას 78 ქვემეხი იცავდა. ახალმა ქალაქმა მალე ჩაყლაპა სოფელი უსტ-ოხტა და 1632 წლის 17 ივნისს იაკობ დე ლა გარდის შუამდგომლობით, მეფე გუსტავ II ვაზამ მას ქალაქის ხარისხი უბოძა.

ამის შემდეგ ნიენის მოსახლეობა 1640-42 წლებში ერთნახევარჯერ გაიზარდა და ოციათასს გადააჭარბა. ყოველ წელს სხვადასხვა ქვეყნის ასზე მეტი ხომალდი შემოდიოდა ამ ნავსადგურში. და არა მარტო პროტესტანტული ქვეყნებიდან, არამედ პოლონეთიდან და საფრანგეთიდანაც, რადგან დედოფალ კრისტინას სპეციალური განჩინებით ეს ხომალდებიც განსაკუთრებული დაცვით სარგებლობდნენ ნიენის ნავსადგურში, რადგან ევროპაში იმ დაძაბულ დროსაც ესმოდათ, რომ თავისუფალი ვაჭრობა სარწმუნოებრივმა უთანხმოებებმა არ უნდა შეაფერხოს.

1642 წლის 29 სექტემბერს დედოფალმა კიდევ უფრო გააფართოვა ნიენის უფლებები და პრივილეგიები: მან ქალაქს ღერბი უბოძა — ყალყზე შემდგარი და ხმალმომარჯვებული ლომი, რომელიც ორ მდინარეს, ნევასა და ვოლხოვს შორის იყო გამოსახული. სავაჭრო კონტრაქტების რაოდენობით ნიენმა მალე გაუსწრო ვიბორგსა და ბალტიისპირეთის ბევრ სხვა ქალაქს. ნავსადგურის ადგილობრივი სანაოსნო ასზე მეტ ხომალდს ითვლიდა. ქალაქის გარშემო ორმოცამდე სოფელი იყო განლაგებული — მათ შორის, ერთმანეთს ცვლიდა რუსული და ფინური სოფლები.

მაგრამ, 1656 წელს რუსეთის მეფემ ალექსი მიხაილოვიჩმა შვედეთთან ომი დაიწყო და ნიენისკენ გაგზავნა მრავალრიცხოვანი რაზმი ვოევოდა პეტრე პოტიომკინის სარდლობით. ქალაქი ომისთვის არ იყო მზად. 30 ივნისს ნიენშანცი რუსებმა აიღეს. თვით ნიენში მათ ხუთასამდე სახლი დაწვეს და საშინლად გაძარცვეს ქალაქი. შვედური საბუთების თანახმად, რუსებმა ამოხოცეს ყველა, ვინც კი დამალვა ვერ მოასწრო, არ ინდობდნენ ქალებსა და ბავშვებს. მაგრამ, ომი მეტად ორაზროვანი რამაა: ქალაქში, რომელიც დაანგრიე, გადაწვი და გაძარცვე, ვერასოდეს გამაგრდები ხანგრძლივად. რუსებმა მალევე მიატოვეს გაპარტახებული ნიენი და უკუიქცნენ.

შვედებმა ელვის სისწრაფით აღადგინეს ქალაქი და 1670-იან წლებში ის მოსახლეობით ფინეთის უდიდეს ქალაქებს, ვიბორგსა და აბოს გაუტოლდა. აქ არამარტო სავაჭრო საქმე დუღდა, არამედ იმ დროისათვის მეტად იშვიათი რამ — საავადმყოფოც კი არსებობდა. ღვთისმსახურება სრულდებოდა გერმანულ და შვედურ ლუთერულ და რუსულ მართლმადიდებელ ეკლესიებში. სხვათა შორის, რუსებს, რომლებიც იმ პერიოდში მრავლად იღებდნენ შვედეთის მოქალაქეობას, არავინ სთხოვდა ლუთერულ რწმენაზე გადასვლას, მაშინ როცა რუსულ სამსახურში შესასვლელად უცხოელებს ხელახლა ნათლავდნენ. საპორტო ქალაქი ყოველთვის გამოირჩევა სარწმუნოებრივი შემწყნარებლობითა და განათლებისკენ სწრაფვით: დაიწყო საუბრები ნიენში უნივერსიტეტის გახსნაზე.

მაგრამ, უბედურების ზარმა აქაც მოულოდნელად ჩამოჰკრა: დაიწყო ჩრდილოეთის ომი. 1703 წლის გაზაფხულზე პეტრე პირველის არტილერიამ უმოწყალო ცეცხლი გაუხსნა ნიენშანცის ციხეს. თავდამსხმელთა შორის იყო თვით იმპერატორი, რომელიც თავს არტილერიის კაპიტან პეტრე მიხაილოვად მოიხსენიებდა. 1 მაისს შვედები დანებდნენ. პეტრე ნიენში შევიდა და ჩვეულებისამებრ სახელი შეუცვალა მას — შლოტბურგი დაარქვა.

ცოტა ხნის შემდეგ ქალაქი დაანგრიეს. კი არ დაანგრიეს, არამედ აგურებად დაშალეს. და მთელი მასალა ნევის დინების ქვედაწელში, მშენებარე პეტერბურგს მოახმარეს. თუ პუშკინის მიერ აღწერილი "უდაბური ტალღების ნაპირი" ოდესმე არსებობდა, ეს, რა თქმა უნდა, ადამიანთა გაბოროტებისა და სისასტიკის წყალობით შექმნილი უდაბნო იყო. რუსების ირაციონალური მძვინვარება ალბათ მხოლოდ რომაელებისას შეედრებოდა, როცა ძველი წელთაღრიცხვის 146 წელს მარადიული ქალაქის ლეგიონებმა დაანგრიეს საძულველი კართაგენი, ხოლო მისი ტერიტორია გადახნეს და ზედ იმ დროისთვის მეტად ძვირფასი პროდუქტი, მარილი დააყარეს, რათა არასოდეს არაფერს ეხარა "წყეულ" მიწაზე.

1714 წელს, ადგილი, სადაც ათ წელიწადზე ოდნავ მეტი ხნით ადრე განლაგებული იყო ქალაქი ნიენი და ციხე-სიმაგრე ნიენშანცი, მოინახულა მაკლენბურგის ელჩმა, ვებერმა: მის თვალწინ საწყალობელი სურათი გადაიშალა: რამდენიმე ნანგრევი, ღრმა თხრილები, ჭები, ღრმა ორმოები სახლებს ქვეშ არსებული სარდაფების ადგილას... ყველაფერი, რისი წაღებაც შეიძლებოდა, ბოლო კენჭამდე გაზიდეს პეტერბურგის ასაშენებლად.

დღეს ბევრ რასმე ამბობენ იმის გასამართლებლად, თუ რატომ მოიქცა ასე პეტრე პირველი. ერთ-ერთი არგუმენტი შემდეგია: ნიენი პატარა ქალაქი იყო და მისი გადარჩენის რენტაბელობა ეჭვს იწვევდა. არ ვიცით, როგორ შეიძლება იწვევდეს ეჭვს ქალაქის გადარჩენის რენტაბელობა — საზოგადოდ ეს საკითხი რთულია, მაგრამ არა გვგონია, რომ მე-18 საუკუნის დასაწყისში ნიენს უფრო უჭირდა, ვიდრე დღევანდელ რუსთავს. მაგრამ, რაც შეეხება ქალაქისა და ციტადელის ზომებს, აქ ორი რიცხვის შედარება იკმარებს: ნიენშანცის სიგანე — 1000 მ; პეტერბურგში მდებარე პეტრე-პავლეს ციხე-სიმაგრის სიგანე — 750 მ.

იმასაც ამბობენ, რომ რუსებს გამაგრება აუცილებლად ზღვის ნაპირზე სჭირდებოდათ, მაგრამ არავის ახსოვს, რომ ქვეყნის სიღრმეში განლაგება არანაირად არ აბრკოლებდა ნიენის ნავსადგურის მუშაობას.

რუსებმა მალე ჩაკეტეს ნევის შესართავი: ფინეთის ყურის წვერში აღიმართა კრონშლოტის ციხე, რომელსაც 1723 წელს კრონშტადტი ეწოდა. ამ გარემოებამ ერთბაშად წაართვა სამხედრო სტრატეგიული მნიშვნელობა ყველაფერს, რაც კი დინების ზედაწელში მდებარეობდა. მაგრამ, საჭირო იყო კი ეს სტრატეგიული მნიშვნელობა? — მე-19 საუკუნის პატიოსანი რუსი ისტორიკოსი ვ. კლიუჩევსკი წერს, რომ რეველის (დღევანდელი ტალინი) და რიგის მიერთების შემდეგ თვით პეტერბურგის ნავსადგურსაც არავითარი ფუნქცია არ ჰქონდა რუსეთისათვის — ამ დამხმარე როლს მშვენივრად შეასრულებდა ნებისმიერი სხვა ქალაქი, თუნდაც იგივე ნიენი, რომელიც შეეწირა პეტრეს პირად ამბიციებსა და იმპერიული მითოლოგიის ინსტინქტურ მოთხოვნებს — დამანგრეველი აუცილებლად უნდა წარმოჩენილიყო აღმაშენებლად.



შვედეთის დედოფალი კრისტინა.

იტალო
კალვინო



# უჩინარი ქალაქები



ლელა ბერიძის
თარგმანი იტალიურიდან

გაგრძელება.
დასაწყისი იხ. №1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8

## IX თავი

დიდებულ ხანს ერთი ატლასი აქვს, სადაც იმპერიის და მეზობელი სამეფოების ყველა ქალაქი უკლებლივ ყველა სასახლითა და ქუჩით, გალავნით, მდინარით, ხიდით, ჭიშკრითა და ჯებირითაა აღნიშნული. იცის, რომ აზრი არა აქვს, მარკო პოლოს მოხსენებებიდან ამ ადგილების შესახებ ამბებს ელოდოს, თანაც ისედაც კარგად მოეხსენება: რომ კამბალუკში, ჩინეთის დედაქალაქში, სამი კვადრატული ქალაქი ერთმანეთშია ჩადგმული, თითოეულში ოთხი ტაძარი და ოთხი ჭიშკარია, რომლებიც წელიწადის დროების მიყოლებით იხსნებიან; რომ კუნძულ ჯავაზე გაცოფებული მარტორქა მომაკვდინებელ რქაზე აცვამს ვიღაცას; რომ მააბარის ნაპირებზე ზღვის სიღრმეში მარგალიტებით თევზაობენ.

ყუბლაი ეკითხება მარკოს: - დასავლეთში რომ დაბრუნდები, შენს ხალხსაც იგივეს უამბობ, რასაც მე მიყვები?

- მე კი ვლაპარაკობ და ვლაპარაკობ, - პასუხობს მარკო, - მაგრამ მსმენელი მხოლოდ იმას იტოვებს, რასაც ელის. ერთია სამყაროს აღწერა, რომელსაც შენ შენს კეთილშობილ ყურს უგდებ, და სულ სხვაა ის, რაც მტვირთავებისა და გონდოლიერების ჯგუფებს მოივლის ჩემს მიწაზე ჩემი დაბრუნების დღეს, სხვაა კიდევ ის, რისი კარნახიც ასაკში შესულს შემეძლება, თუ ჯენოველი პირატები შემიპყრობენ და იმავე საკანში დაბორკილს ჩამსვამენ, სადაც სათავგადასავლო რომანების გადამწერი იჯდება. თხრობას ენა კი არა, ყური მართავს.

- ხანდახან მეჩვენება, რომ შენი ხმა შორიდან აღწევს ჩემამდე, სანამ რეალური და ისეთი აწმყოს ტყვეობაში ვარ, ცხოვრება რომ არ უხერხდება, სადაც ადამიანური თანაცხოვრების ყველა შესაძლო ფორმამ თავისი ციკლის უკიდურეს მწვერვალს მიაღწია და წარმოდგენა ჭირს, რა ახალ ფორმებს მიიღებენ ისინი. შენი ხმიდან უხილავი მიზეზები გამომესმის, რომლების გამოც ცხოვრობდნენ ქალაქები, და რომლებისთვისაც, ალბათ, უკვე გამქრალები, ისევ აღდგებიან.

დიდებულ ხანს ერთი ატლასი აქვს, რომლის გეგმებიც ასახავენ მთელ დედამიწის სფეროს და ყოველ კონტინენტს, ყველაზე შორეული სამეფოების საზღვრებს, გემების კურსებს, სანაპიროების შემოგარენს, ყველაზე წარჩინებული მეტროპოლების და ყველაზე მდიდარი პორტების რუკებს. ამ ატლასის რუკებს ფურცლავს მარკო პოლოს თვალწინ, მისი ცოდნა რომ შეამოწმოს. მოგზაური შეიცნობს კონსტანტინოპოლს ქალაქში, რომელიც სამი ნაპირის შესაყართან აგვირგვინებს ერთ გრძელ სრუტეს, თხელ ყურეს და ჩაკეტილ ზღვას; ახსოვს, რომ იერუსალიმი ორ დიდ, არათანაბარი სიმაღლის და ერთმანეთის პირისპირ მდგარ ბორცვზე მდებარეობს; ფიქრიც არ სჭირდება სამარყანდის და მისი ბაღების საჩვენებლად.

სხვა ქალაქებისთვის ზეპირად გავრცელებულ გადმოცემებს იშველიებს ან გამოცნობას ცდილობს, ეყრდნობა რა რამდენიმე მითითებას: კალიფების ნაირფერადი მარგალიტი გრანადაა, კოპწია ჩრდილოეთის პორტია ლუბეკა, ებანით ჩაშავებულა და სპილოს ძვლით გადათეთრებულა ტიმბუკტუ; სადაც მილიონობით ადამიანი შინ ყოველდღე ხელში გრძელი პურით ბრუნდება, პარიზია. ატლასზე ფერადი მინიატურებითაა გამოსახული დასახლებული ადგილები, რომლებსაც უჩვეულო ფორმა აქვთ: უდაბნოს ერთ ნაკეცში შეკუნჭული ოაზისი, საიდანაც მხოლოდ პალმების წვერები გამოჩრილა, ნამდვილად ნეფტაა; ციხესიმაგრემ მცურავ ქანებსა და იმ მეწველ ძროხებს შორის, რომლებიც ზღვის მიქცევ-მოქცევის დროს დამარილებული მინდვრების ბალახს ცოხნიან, არ შეიძლება, სან მიკელეს მთა არ გაგახსენოთ; და ურბინოს მეტი სხვა ვერაფერი იქნება სასახლე, რომელიც ერთი ქალაქის გალავნის კედლებს შორის აღმართვის ნაცვლად თვითონ შეიცავს ერთ ქალაქს, თავის გალავანში მოქცეულს.

ატლასზე ის ქალაქებიცაა გამოხატული, რომლის არსებობის და ადგილმდებარეობის შესახებ არც მარკომ და არც გეოგრაფებმა არაფერი იციან, მაგრამ რომლებიც არ შეიძლება, დაკლებოდნენ შესაძლო ქალაქების ფორმებს: ერთი კუცკო, სხივური და განტოტილი მცენარის ფორმით, რომელიც აღებმიცემობის სრულყოფილ წესრიგს ასახავს; ერთი მექსიკა, რომელიც ტბაზე გადამწვანებულა, და რომელსაც მოკტეცუმას სამეფო სასახლე მართავს, ერთი ნოვგოროდი ხახვისთავიანი გუმბათებით, ერთი ლჰასსა, რომელსაც თავისი თეთრი სახურავები სამყაროს ღრუბლიანი სახურავის ზევით აუწევია. მარკო ამ ქალაქებისთვისაც ამბობს რაღაც სახელებს, რა მნიშვნელობა აქვს, რას, და უთითებს, რა გზით შეიძლება იქ მისვლა. ცნობილია, რომ ადგილების სახელები იმდენჯერ იცვლება, რამდენი უცხო ენაც არსებობს; და რომ სრულიად განსხვავებული გზებითა და კურსებით ნებისმიერი ადგილიდან ნებისმიერ ადგილს შეიძლება მიაღწიოს ცხენოსანმა, ეტლოსანმა, ნიჩბოსანმა თუ მფრინავმა ადამიანმა.

- მეჩვენება, რომ ქალაქებს ატლასზე უკეთ შეიცნობ, ვიდრე მათი პირადად მონახულებისას, - ეუბნება მარკოს იმპერატორი და წიგნს ერთბაშად ხურავს.

და პოლო: - მოგზაურობისას ამჩნევ, რომ განსხვავებები ქრება: ნებისმიერი ქალაქი ყველა ქალაქს ჰგავს, ადგილები ერთმანეთს უცვლიან ფორმებს, წესრიგს, მანძილებს, კონტინენტებს გადაავსებს უფორმო მტვერი. შენი ატლასი განსხვავებებს ხელუხლებლად ინახავს: ეს ღირსებების ისეთივე ნაკრებია, როგორიცაა სახელისთვის ასოები.

დიდებულ ხანს ერთი ატლასი აქვს, რომელშიც ყველა ქალაქის რუკაა თავმოყრილი: იმათიც, რომლების გალავნებიც მყარ ფუნდამენტზე დგას, იმათიც, რომლებიც დაინგრნენ და ქვიშისგან გადაისანსლენ, და იმათიც, რომლებიც ერთ დღეს იარსებებენ და რომელთა ადგილასაც ახლა ჯერ მხოლოდ კურდღლების სოროებია.

მარკო პოლო ფურცლავს რუკებს, შეიცნობს ჯერიკოს, ურს, კართაგენს, უთითებს მისადგომებს სკამანდრიოსის შესართავზე, სადაც აქაველთა გემები ათი წელი უცდიდნენ ალყის შემომრტყმელების დაბრუნებას, სანამ ულისეს მიერ ჭანჭიკებით დამაგრებული ცხენი უდიდესი წვალებით არ შეათრიეს სკაიას ბჭეში. მაგრამ ტროაზე საუბრისას, მისთვის კონსტანტინოპოლის ფორმის მიცემა უნდებოდა და იმ ალყის წინასწარმეტყველება, რომელსაც ულისესავით ეშმაკი მუჰამედი მრავალი თვის მანძილზე შემოარტყამდა ამ ქალაქს, ღამით კი პერასა და გალატას მოვლითააყვანინებდა გემებს დინების მიმართულებით ბოსფორიდან ოქროს რქამდე. ამ ორი ქალაქის შერევით იღებდა მესამე ქალაქს, რომლის სახელიც შეიძლებოდა სან ფრანცისკო ყოფილიყო, მას შეიძლება უგრძესი მსუბუქი ხიდები გადაეტყორცნა ოქროს ჭიშკარსა და უბეზე, რქიანი ტრამვაები სულ აღმართ ქუჩებზე ეხრიგინებინა, აყვავებულიყო, როგორც წყნარი ოკეანის დედაქალაქი იმ დღიდან ათასი წლის მანძილზე 300-წლიანი ხანგრძლივი ალყის შემდეგ, რომელიც გადარჩენილ თეთრკანიანთა ნაშიერებთან ყვითლების, შავების და წითლების რასების შერევას გამოიწვევდა დიდებული ხანის იმპერიაზე კიდევ უფრო უკიდეგანო იმპერიაში.

ატლასს ესა აქვს კარგი: იმ ქალაქების ფორმებს აჩენს, რომლებსაც ჯერ არც ფორმა აქვთ და არც სახელი. არსებობს ქალაქი, რომელსაც ამსტერდამის ფორმა აქვს - ჩრდილოეთისკენ მიმართული ნახევარწრე შიგ კონცენტრული არხებით: უფლისწულების, იმპერატორის, ბატონების ქალაქი; არსებობს იორკის ფორმის ქალაქი, იგი მაღალ შამბნარიან ადგილებშია ჩაკეტილი, გალავნით გამაგრებული და კოშკებით სავსე; არსებობს ახალი ამსტერდამის ფორმის ქალაქი, ნიუ იორკადაც წოდებული, ორ მდინარეს შორის წაგრძელებულ კუნძულზე მდებარე და მინისა და ფოლადის კოშკებით გაძეძგილი, სავსე ქუჩებით, ბროდვეის გარდა ყველა სხვა დანარჩენი ღრმა და ლარივით გაჭიმულ არხებს რომ მოგაგონებთ.

ფორმების კატალოგი უსასრულოა: სანამ თითოეული ფორმა თავის ქალაქს არ იპოვნის, ახალი ქალაქები გაჩნდებიან და გაჩნდებიან. სადაც ფორმები ამოწურავენ თავიანთ ვარიაციებს და იშლებიან, იქ ქალაქის დასასრული იწყება. ატლასის ბოლო რუკებზე გადაშლილიყო ქსელები დასაწყისისა და დასასრულის გარეშე, ლოს ანჟელესის ფორმის, კიოტო-ოსაკას ფორმის, უფორმო ქალაქები.

## ქალაქები და წასულები. 5.

ყოველ ქალაქს, როგორც ლაუდომიას, გვერდზე სხვა ქალაქი უდგას, რომლის მცხოვრებლებსაც იგივე სახელები აქვთ: ეს სასაფლაოა - მიცვალებულების ლაუდომია. მაგრამ ლაუდომიას განსაკუთრებულობა ისაა, რომ ის ორმაგობას არ ჯერდება და სამმაგია ანუ მესამე ლაუდომიასაც შეიცავს, რაც ჯერარდაბადებულების ლაუდომია გახლავთ.

ორმაგი ქალაქის თავისებურებები ცნობილია. რაც უფრო ხალხმრავალი ხდება და ფართოვდება ცოცხლების ლაუდომია, მით უფრო მატულობს გალავნის იქით საფლავების რიგები. მიცვალებულების ლაუდომიას გზებზე უფანჯრო შენობები მოჩანს, თვით გზები კი ისეთი ვიწროა, რომ მესაფლავის მანქანა ძლივს ეტევა; მაგრამ ქალაქის სქემა და სამყოფელების წესრიგი ცოცხლების ლაუდომიასას იმეორებს, აქაც ოჯახები სულ უფრო და უფრო მიჭეჭყილები არიან ერთმანეთზე მიწყობილ სამარხ ნიშებში. კარგამინდიან შუადღეებზე ცოცხალი მოსახლეობა მოინახულებს ხოლმე მიცვალებულებს და მათ ქვის ფილებზე ამოიკითხავს საკუთარ სახელებს: ცოცხლების ქალაქის მსგავსად ეს ქალაქიც ტანჯვა-წვალების, გაბრაზებების, ილუზიების, გრძნობების ამბებს გვიამბობს; განსხვავება ისაა, რომ აქ ყველაფერი ფაქტადაა ქცეული, შემთხვევას მოკლებული, კატალოგიზირებული, მოწესრიგებული. უსაფრთხოდ რომ იგრძნოს თავი ცოცხლების ლაუდომიამ, მას სჭირდება, საკუთარი თავის ახსნა მიცვალებულების ლაუდომიაში იპოვნოს, იმ რისკის ფასადაც კი, რომ იქ მეტ-ნაკლებად აღმოაჩენს ამ ახსნებს ერთზე მეტი ლაუდომიასთვის, სხვადასხვა ქალაქებისთვის, რომლებსაც შეიძლება ეცოცხლათ და

ვერ იხეირეს, ან იპოვნის მიკერძოებულ, ურთიერთსაწინააღმდეგო, იმედისგამაცრუებელ მიზეზებს.

მათ, ვინც ჯერ კიდევ უნდა დაიბადონ, ლაუდომია დამსახურებულად გამოუყოფს ასევე ფართო სამყოფელს; მართალია, ეს სივრცე არაპროპორციულია მათი რიცხვისა, რაც უსასრულოდ ითვლება, მაგრამ ეს სულ ნიშებით, ჭრილებით და კანელურებით სავსე ცარიელი ადგილი გახლავთ, ჯერარდაბადებულებს ხომ იმხელა ადგილი შეიძლება დაეთმოთ, რამხელაც გინდა სულო და გულო, გააჩნია, როგორ წარმოვიდგენთ მათ: თაგვის, აბრეშუმის ჭიის, ჭიანჭველის თუ ჭიანჭველის კვერცხისხელებად, არც იმაში გვიშლის რამე ხელს, გამართულებად ან კედლიდან გამოჩრილ ყოველ შვერილზე და თაროზე ჩაკუზულებად წარმოვიდგინოთ ისინი, ჩამწკრივებულებად ან გაფანტულებად ყოველ კაპიტელზე თუ პლინთუსზე, იმაზე ჩაფიქრებულებად, თუ რა ელით მომავალში, და ასე მარმარილოს ერთ ნაკაწრში განვჭვრიტოთ მთელი ლაუდომია დღეიდან მოყოლებული ასიათასი წლის შემდეგ, გადავსებული ათიათასობით სულით, ჯერ არნახული სამოსელებით რომ შემოსილან, ვთქვათ, ბადრიჯნისფერი ტყავის მოსასხამით ან დოლბანდზე ინდაურის ბუმბულით, და ამოვიცნოთ მათში საკუთარი თუ კეთილმოსურნე თუ მოქიშპე ოჯახების, მევალეებისა თუ კრედიტორების შთამომავლები, ისინი მიდი-მოდიან და აგრძელებენ მომავალ შურისძიებებს, სიყვარულით თუ ანგარებით ქორწილებს. ლაუდომიას მცხოვრებლები დადიან ხოლმე ჯერარდაბადებულების სახლში და კითხვებით მიმართავენ მათ; ნაბიჯები ცარიელი კამარების ქვეშ გაისმის; შეკითხვები სიჩუმეში ყალიბდება - ცოცხლების შეკითხვები ყოველთვის საკუთარ თავს ეხება და არა მათ, ვინც უნდა მოვიდეს; ზოგის საზრუნავი ისაა, რომ სასახელო მოგონებები დატოვოს, ზოგს კი სწადია, თავისი სამარცხვინო საქციელები დაავიწყებინოს ყველას; ყველას სურს, საკუთარი ქმედებების შედეგების ხაზს გაჰყვეს; მაგრამ რაც უფრო იმახვილებენ მზერას, მით უფრო ნაკლებად შეიცნობენ უწყვეტ კვალს; ლაუდომიაში დასაბადებლები მტვრის მარცვლების მსგავსი წერტილებივით მოჩანან, მოწყვეტილები იმას, რაც აქამდე იყო და იმასაც, რაც მერე იქნება.

ჯერარდაბადებულების ლაუდომია, მიცვალებულების ლაუდომიისა არ იყოს, ცოცხლების ლაუდომიის მცხოვრებლებში ერთგვარი უსაფრთხოების გრძნობას კი არა, განგაშის გრძნობას იწვევს. მნახველებს საბოლოოდ ორი სახის აზრი უჩნდებათ, და გაუგებარია, რომელი უფრო შიშის მომგვრელია: ერთნი ფიქრობენ, რომ ჯერარდაბადებულთა რიცხვი ბევრად აჭარბებს ყველა ცოცხალისა და ყველა გარდაცვლილის რიცხვს - მაშინ ქვის ყოველ ნასვრეტში ძაბრის დამრეც ფერდზე სტადიონის კიბეებზე თავმოყრილებივით ერთმანეთს ეჭყლიტებიან უხილავი ბრბოები, და რადგანაც ყოველ თაობას უმრავლდება ლაუდომიას შთამომავლობა, ყოველ ძაბრში ასობით ძაბრი იხსნება, თითოეულში მილიონობით ადამიანია, რომლებიც უნდა დაიბადონ, და რომ არ დაიხრჩონ, მათ ყელები წაუგრძელებიათ და პირები მოუღიათ; მეორენი ფიქრობენ, რომ ლაუდომიაც გაქრება და მასთან ერთად ყველა მისი მოქალაქეც, თუმცა არავინ იცის, როდის, ანუ თაობები გაჩნდებიან, მიაღწევენ ერთ გარკვეულ რიცხვს და აღარ გამრავლდებიან, მაშ, მიცვალებულების ლაუდომია და ჯერარდაბადებულების ლაუდომია იმ ქვიშის საათის ორი ამპულასავით ყოფილა, რომელიც არ ამოტრიალდება, დაბადებასა და გარდაცვალებას შორის ყოველი გადასვლა ქვიშის მარცვალია, რომელიც ყელის ვიწრო გასასვლელს გადაკვეთს, და ლაუდომიას უკანასკნელი მცხოვრების დაბადებისას ის უკანასკნელი მარცვალი ჩამოვარდება, რომელიც ახლა აქაა და გროვის წვერში იცდის.

## ქალაქები და ცა. 4.

ასტრონომებს რომ დაუძახეს პერინ-ციას დაარსებისთვის ნორმების დასადგენად, მათ ვარსკვლავების მდებარეობის მიხედვით დათქვეს შეხვედრის დღე და ადგილი, გაავლეს დეკუმანოს და კარდოს* გადამკვეთი წრფეები, ერთი - მზის მოძრაობის და მეორე - იმ ღერძის მიხედვით, რომლის გარშემოც ცა ტრიალებს, გეგმა ზოდიაქოს 12 სახლის შესაბამისად დაყვეს ისე, რომ ყოველ ტაძარს და ყოველ უბანს საჭირო ზეგავლენა ხვდომოდა წილად შესაფერისი თანავარსკვლავედებიდან, დაადგინეს გალავნის ადგილი, რომელშიც ჭიშკრები იმის წინასწარმეტყველებით გაიჭრებოდა, რომ შემდგომი ათასი წლის მანძილზე მთვარის დაბნელების მომენტები თითოეულში ჩარჩოსავით ყოფილიყო ჩასმული. ირწმუნებოდნენ, რომ პერინცია ზეცის ჰარმონიის ანარეკლი იქნებოდა; ბუნების მადლი და ღმერთების წყალობა გამოძერწავდნენ მცხოვრებლების ბედ-იღბალს.

ასტრონომების გამოთვლებს ზედმიწევნით მისდიეს და ასე აშენდა პერინცია; სხვადასხვა ხალხები მოვიდნენ აქ დასასახლებლად; პერინციაში დაბადებულთა პირველი თაობა მისი გალავნის შიგნით იზრდებოდა; მათაც, მათი მხრივ, მიაღწიეს დასაქორწინებელ ასაკს და შვილები ეყოლათ.



დღეს პერინციას ქუჩებში და მოედნებზე სახიჩრებს, ჯუჯებს, კუზიანებს, მსუქნებს, წვერიან ქალებს შეხვდები. მაგრამ ყველაზე საშინელს არ აჩენენ; ხმაჩახლეჩილი ყვირილები გამოდის სარდაფებიდან და ბეღლებიდან, სადაც ოჯახები სამთავიან ან ექვსფეხა ბავშვებს მალავენ.

პერინციას ასტრონომები ძნელი არჩევანის წინაშე აღმოჩნდნენ: ან უნდა აღიარონ, რომ მთელი მათი გამოთვლები მცდარია და რომ მათი ციფრები ცის აღწერას ვერ ახერხებენ, ან უნდა გაამხილონ, რომ ღმერთების წესრიგი სწორედ ისაა, რაც მონსტრების ქალაქში აისახება.

## გაგრძელებული ქალაქები. 3.

მოგზაურობისას ყოველ წელს მიწევს პროკოპიაში გაჩერება და ყოველთვის ერთი და იმავე სასტუმროს ერთსა და იმავე ოთახს ვილებ. თავიდან მოყოლებული ყოველთვის იმ პეიზაჟით ვტკბებოდი, ფარდის გადაწევისას ფანჯრიდან რომ დაინახავ: თხრილი, ხიდი, დაბალი კედელი, ცირცელის ხე, თავთავების ველი, მაყვლის ბუჩქი, საქათმე, პატარა ფერდობის ყვითელი ზურგი, თეთრი ღრუბელი, ტრაპეციის ფორმის ლურჯი ცის ნაგლეჯი. დარწმუნებული ვარ, რომ პირველად არავინ ჩანდა; მხოლოდ შემდეგ წელს გავარჩიე ფოთლების ერთ შერხევაზე მრგვალი და ბრტყელი სახე, რომელიც თავთავს ღრღნიდა. კიდევ ერთი წლის შემდეგ უკვე სამნი იყვნენ დაბალ კედელზე შემოსკუპულნი, შემდეგ ჩამოსვლაზე კი ექვსნი დამხვდნენ, ერთ რიგად გამწკრივებულიყვნენ, ხელები მუხლებზე დაეწყოთ და თეფშში ჩაყრილ თითო-ოროლა ცირცელს შეექცეოდნენ. ყოველ წელს შევიდოდი თუ არა ოთახში, გადავწევდი ფარდას და ვითვლიდი მომატებულ სახეებს: 16, თუ იმათაც მივათვლით, ქვემოთ თხრილში რომ არიან; 29, საიდანაც 8 ქათმებივით შემომსხდარა ცირცელის ხეზე; 47, თუ იმათ არ ჩავთვლით, საქათმეში რომ არიან. ერთმანეთს ჰგვანან, წესიერების შთაბეჭდილებას ტოვებენ, დაჭორფლილები არიან, ილიმებიან, ზოგს პირი მაყვლითა აქვს მოთხვრილი. მალე დავინახე მთელი ხიდი, რომელიც სავსე იყო მრგვალსახეებიანი ტიპებით, *** ჩაკუზულები იყვნენ, რადგან გასანძრევი ადგილი აღარ ჰქონდათ; თავთავებს წიწკნიდნენ, მერე სიმინდის ტაროების თქვლეფას მოჰყვნენ.

ასე წლიდან წლამდე ვხედავდი, როგორ გაქრა თხრილი, ხე, ბუჩქი, და დაიფარა გაბერილ და ფოთლების ლეჭვით ამოძრავებულ ლოყებს შორის გაბმული წყნარი ღიმილების მესრებით. არავინ იცის, ისეთ მოცუცქნულ სივრცეში, როგორიც ეს სიმინდის ყანაა, რამდენი კაცი შეიძლება დაეტიოს, განსაკუთრებით თუ მუხლებზე ხელშემოხვეულები გაუნძრევლად ისხდებიან. იმაზე მეტი უნდა იყვნენ, ვიდრე გგონია: ვხედავდი, როგორ გადაიჭედებოდა ბორცვის ზურგი უფრო და უფრო შეჯგუფული ბრბოთი; მაგრამ რაც ხიდზემყოფებმა ერთმანეთის ზურგებზე შესკუპება დაიწყეს, უფრო შორს ველარ ვიყურები.

წელს ფარდის გადასაწევად რომ მოვიცალე, ფანჯრის ჩარჩოში მხოლოდ სახეებიანი სივრცელა შემრჩა: ერთი კუთხიდან მეორემდე, ყველა დონესა და ყველა მანძილზე ეს მრგვალი სახეებია, უძრავი, ბრტყელ-ბრტყელი, ღიმილზე მინიშნებით, და მათ შორის ბევრი ხელი, რომლებიც მათი წინამდგომების მხრებს ჩასჭიდებიან. ცაც კი გამქრალა. უმჯობესია, მოვშორდე ფანჯარას.

გადაადგილება სულ არ მეიოლება. ჩემს ოთახში 26 კაცი ჩამომსხდარა: ნაბიჯი რომ გადავდგა, იატაკზე ჩაკუზულები უნდა შევაწუხო, გზას ვიკვლევ კომოდებზე ჩამომსხდართა მუხლებსა და იმათ იდაყვებს შორის, რომლებიც რიგრიგობით ეყრდნობიან ლოგინს: ყველა ზრდილობიანია, კიდევ კარგი.

## დაფარული ქალაქები. 2.

იოლი როდია რაისაში ცხოვრება. ქუჩაში ხალხი დადის და ხელებს თვითონვე იგრეხს, მტირალ ბავშვებს უჯავრდება, მდინარის ჯებირებს ეყრდნობა მუჭებს შორის საფეთქლებმოქცეული, დილას საშინელი სიზმრიდან ილვიძებს და ახალ საშინელს იწყებს. კიდევ კარგი, ბნელი გამოხედვებისგან გვიფარავენ თავები, რომლებიც დახრილან სამუშაო მაგიდებზე, სადაც ყოველ წუთში თითებს ჩაქუჩით იჭეჭყავენ ან ნემსით იჩხვლეტენ, ან მცდარი რიცხვების სვეტებზე ნეგოციანტებისა და ბანკირების ჟურნალებს ჩაჰკირკიტებენ, დუქნების თეკაზე ცარიელი ჭიქების რიგების წინ ჩახრილან. შიგნით, სახლებში კი კიდევ უარესია, და ამაში დასარწმუნებლად იქ შესვლაც არაა საჭირო: ზაფხულობით ფანჯრები აყალმაყალით და თეფშების მსხვრევითაა გაყრუებული.

და მაინც რაისაში ყოველ წუთში დაინახავ ბავშვს, ფანჯრიდან რომ უცინის ძაღლს, რომელიც ჩარდახზე შემხტარა ღომის ნაჭრის დასათრევად, წელან რომ ჩამოუვარდა კალატოზს; - ჩემო სიხარულო, მოდი, ერთი ამომაწებინე! - მაღალი ხარაჩოებიდან ჩამოსძახა მან ახალგაზრდა მიმტანს, რომელსაც ტალავრის ქვეშ რაგუიანი თეფში მიაქვს, და კმაყოფილია, რომ მას მიართმევს მექოლგეს, რაღაც კარგად დამთავრებულ საქმეს რომ აღნიშნავს - დოღზე თავისმოსაწონებლად თეთრფურფუშელებიანი მზის ქოლგის ყიდვას რომელიღაცა დიდი ქალბატონისგან, შეყვარებული რომ იყო ერთ ოფიცერზე, რომელმაც გაუღიმა ბოლო დაბრკოლებაზე გადახტომისას, ნეტა იმას და უფრო კი მის ბედნიერ ცხენს, რომელიც დაბრკოლებებს გადააფრინდებოდა და მისდევდა ცაში მფრინავ გნოლქათამას, ბედნიერ ჩიტს, რომელიც ერთმა ბედნიერმა მხატვარმა გალიიდან გაათავისუფლა, როცა იგი წითელ-ყვითელი წინწკლებით ერთი წიგნის იმ გვერდის მინიატურაში ჩახატა, სადაც ფილოსოფოსი ამბობს: "რაისაშიც, ამ უღიმღამო ქალაქშიც გადის უხილავი ძაფი, რომელიც ერთ სულიერს მეორესთან წამიერად აკავშირებს, წყდება და ისევ იბმება მოძრავ წერტილებს შორის, თან ახალ სწრაფ გამოსახულებებს ხატავს ისე, რომ უბედური ქალაქი ყოველ წუთს შეიცავს ბედნიერ ქალაქს, რომელმაც არც კი იცის, რომ არსებობს".

* ღერძები, რომლებსაც რომაელები ქალაქის დაარსებისას ავლებდნენ ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ და აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ.

გაგრძელება
შემდეგ ნომერში



ბუგატის სედანი



პორშე პანამერა



ასტონ მარტინ რეპიდი

# სუპერავტომობილების ამბები

**მერაბ ლორთქიფანიძე**

დღეისათვის მსოფლიოს ბაზრის სუპერავტომობილების სეგმენტი მეტისმეტად გადატვირთულია, მაგრამ ამის მიუხედავად, სულ უფრო იზრდება ამ სეგმენტში რეალიზაციის მოცულობა. ბუნებრივია, ამას შედეგად წარმოების გაფართოება და გამრავალფეროვნება მოსდევს. უფრო მეტიც, საწვავის ფასის განუხრელი ზრდის მიუხედავად, ეს სეგმენტი სულ უფრო იზრდება და როგორც ჩანს, ეს ტენდენცია კვლავაც გაგრძელდება. ოღონდ, ამის პასუხად, მწარმოებლებს თავიანთი სამოდელო გამის გაფართოება მოუწევთ.

ისინი ასეც იქცევიან. ქვემოთ გაგაცნობთ იმ მოსალოდნელ სიახლეებს, რომლებსაც სუპერავტომობილების მწარმოებლები თავიანთ მყიდველებს უმზადებენ.

დავიწყოთ "ფოლკსვაგენით", რომელიც ახლო მომავალში თავის ჯგუფში შემავალი "ბუგატის" სამოდელო რიგის გაფართოებას გეგმავს. ვოლფსბურგელმა კონსტრუქტორებმა უკვე დაიწყეს მუშაობა ახალ, ოთხკარიან სედანზე, რომელიც საზოგადოების წინაშე უახლოეს სამ-ოთხ წელიწადში წარსდგება.

ახალი ავტომობილი აღიჭურვება იმავე W16 არქიტექტურის ძრავით, რომელიც უკვე გამოიყენება მოდელ "ვეირონზე". ოღონდ, სედანისთვის ის დეფორსირდება და შესაბამისად, სიმძლავრე 950 ცხენის ძალამდე (1001-დან) შეუმცირდება. ძრავი ავტომობილის წინ განთავსდება და მისი მაბრუნი მომენტი ოთხივე ბორბალს გადაეცემა. ძრავს შეუწყვილდება ნახევრადავტომატური, 7-საფეხურიანი გადაცემათა კოლოფი, რომელიც მუხლა ლილვს ორდისკოიანი გადაბმულობის ქუროთი (დიდი სიმძლავრის და მაბრუნი მომენტის მქონე ძრავებს მრავალდისკოიანი ქუროები ემსახურება) დაუკავშირდება. მწარმოებელი არაფერს ამბობს, თუ რამდენი იქნება სედანის მაქსიმალური სიჩქარე. სამაგიეროდ, ცნობილია, რომ ეს მაჩვენებელი ხელოვნურად შეიზღუდება კომპიუტერის მეშვეობით.

ძნელია იმის თქმა, თუ რომელი ავტომობილები იქნებიან "ბუგატის" სედანის კონკურენტები. ფასით თუ ვიმსჯელებთ (ვეირონის მსგავსად, ახალი სედანიც მილიონი ევრო ეღირება) ასეთი ავტომობილები უახლოეს თვალსაწიერზე ჯერ არ ჩანს. მეორეს მხრივ, ძარის ტიპისა და აღჭურვის დონით თუ ვიმსჯელებთ, მის კონკურენტებად შეიძლება მივიჩნიოთ სპორტული სედანები "პორშე პანამერა" და "ასტონ მარტინ რეპიდი". ეს ორივე ავტომობილი ბაზარზე უფრო ადრე გამოჩნდება, ვიდრე "ბუგატის" სედანი.

"ასტონ მარტინის" შეფმა ულრიხ ბეცმა უკვე დაადასტურა ცნობა იმის შესახებ, რომ მის კომპანიას გადაწყვეტილი აქვს "რეპიდის" წარმოება. უფრო მეტიც, მან განაცხადა, რომ სიახლე ბაზარს 2008 წელს ეწვევა, ერთი წლით ადრე, ვიდრე "პორშე პანამერა". ეს კი იმას ნიშნავს, რომ ინგლისური კომპანიის ავტომობილს მცირე ფორა ექნება უშუალო კონკურენტის გამოჩანამდე.

"რეპიდის" კონცეპტუალური მოდელი პირველად დეტროიტის წლევანდელ ავტოსალონზე წარსდგა საზოგადოების წინაშე და მან დიდი მოწონებაც დაიმსახურა. ეს ავტომობილი ბაზირებულია იმავე, ალუმინის მონოკოკზე, რომელიც უკვე გამოიყენება "ასტონ მარტინის" ორი მოდელის, DB9-ისა და "V8 ვენტიჯის" წარმოებისას. გარდა ამისა, კონცეპტუალურ "რეპიდს" ამ ორ მოდელთან სხვა ბევრი სერთოც აქვს. კერძოდ:

ის აღიჭურვება 6.0-ლიტრიანი V12 ძრავით, რომლის სიმძლავრე 480 ცხენის ძალამდეა. ძრავთან შეწყვილდება ნახევრადავტომატური გადაცემათა კოლოფი, რომლის საფეხურებსაც მძღოლი შეცვლის საჭის რგოლზე განთავსებული ნიჩბით (ლაპოტით). ავტომობილის წამყვანი ბორბლები კი უკანა იქნება.

"რეპიდს" დაამზადებს "ასტონ მარტინის" გეიდონის ქარხანა. სავარაუდებია, რომ წლიურად მხოლოდ 500 ცალი "რეპიდი" გამოვა ქარხნიდან, თითოეულის ღირებულება კი დაახლოებით 200 ათასი ევრო იქნება.

"პორშესაც" უკვე გადაწყვეტილი აქვს ოთხკარიან სედანის წარმოება. ახალ ავტომობილს უკვე სახელიც აქვს - "პანამერა". ასევე გადაწყვეტილია, რომ ამ ავტომობილს ლაიპციგის ქარხანაში გამოუშვებენ, მის ძარებს კი "ფოლკსვაგენის" ჰანოვერის ქარხანა დაამზადებს.

ახალი ავტომობილის წარმოების ასათვისებლად, ლაიპციგის ქარხანა მნიშვნელოვნად გაფართოვდება. კერძოდ, მიიღებენ 600 ახალ თანამშრომელს, რის შედეგადაც, ქარხანაში დასაქმებულთა რაოდენობა ათასს მიაღწევს. სხვათა შორის, ლაიპციგის ქარხანა ცნობილია იმით, რომ აქ მზადდება "პორშეს" უგზოობის მოდელი "კაიენი". გარდა ამისა, იგივე ქარხანა უშვებდა ცნობილ კუპე "კარერა GT-საც", რომლის წარმოება ახლახან შეწყდა.

ჯერჯერობით კომპანია არ ავრცელებს "პანამერასთან" დაკავშირებულ დაწვრილებით ინფორმაციას. მოსალოდნელია, რომ სედანი აღიჭურვება იმავე V10 აგრეგატით, რომელიც გამოიყენებოდა "კარერა GT-ზე". "ასტონ მარტინ რეპიდის" გარდა, "პანამერამ" კონკურენცია უნდა გაუწიოს ასევე "მაზერატი კვატროპორტეს", "ლამბორგინის" სრულიად ახალ სედანსა და "ბენტლის" ახალ სედანს, რომლის გამოშვებასაც ინგლისური კომპანია ასევე 2009 წლიდან აპირებს.

"ბენტლის" (ეს კომპანიაც ფოლკსვაგენს ეკუთვნის) ჯერ საბოლოოდ არ გადაუწყვეტია, გამოუშვებს თუ არა კაბრიოლეტ "აძურის" ბაზაზე ახალ, ძვირადღირებულ სედანს. უნდა ითქვას, რომ ძნელია "ბენტლის" მომავალი სიახლის ისეთი მოდელების კონკურენტად წარმოჩენა, როგორებიც იქნება "რეპიდი", "ბუგატის" სედანი და "პანამერა". ინგლისურ ავტომობილს უფრო იმის პრეტენზია ექნება, რომ ბაზარზე შეავიწროოს თავისი ყოფილი "ნათესავი" - "როლს როის ფანტომი".

სანამ საბოლოო გადაწყვეტილებამდე მივიდოდეს, "ბენტლი" თავისი პროდუქციის მომხმარებელს ერთ საინტერესო სიახლეს შესთავაზებს. ესაა ცვალებადი გეომეტრიის ფრთების მქონე ტურბოკომპრესორი, რომლის მეშვეობითაც, მნიშვნელოვნად გაიზრდება W12 ძრავის სიმძლავრე და მიმღებიანობა (დაბალ ბრუნთა რიცხვებზე მაღალი მაბრუნი მომენტის განვითარება).

ახალი ტურბოსისტემის მეშვეობით, "ბენტლი კონტინენტალ GT-სა" და "ბენტლი ფლაინგ სპურზე" გამოყენებული W12 ძრავის სიმძლავრე 560-დან 700 ცხენის ძალამდე გაიზრდება. რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, გაუმჯობესდება აგრეგატის ელასტიურობაც (დაახლოებით იგივეა, რაც მიმღებიანობა).

დაბოლოს, "მაიბახის" მოსალოდნელ სიახლეზე. "მერსედეს-ბენცის" ლუქსის კლასის მარკა თავის პოტენციურ მყიდველს ახალ, "მცირე ზომის" სედანს უმზადებს, რომლის სიგრძე არ იქნება 5.1 მეტრზე მეტი. სამაგიეროდ, ეს თითქმის ნახევარი მეტრით ნაკლებია კომპანიის ყველაზე პატარა ავტომობილ "მაიბახ 57-ის" სიგრძეზე.

გერმანულ ჟურნალ "აუტო მოტორ უნდ შპორტის" ცნობით, ახალი ავტომობილი "მერსედეს-ბენცის" S-კლასის ბაზაზე დამზადდება. ის ბაზარზე 2009 ან 2010 წელს გამოჩნდება. ეს ავტომობილი მხოლოდ V8 და V12 აგრეგატებით დაკომპლექტდება, რომელთა სიმძლავრე იქნება 500-600 ცხენის ძალა.

"მაიბახის" მომცრო სედანის კონკურენტები იქნებიან "ბენტლი კონტინენტალ ფლაინგ სპური" და "როლს როისის" ახალი, "პატარა" სედანი, რომლის გაყიდვების დაწყებაც 2010 წელსაა მოსალოდნელი. პატარა "მაიბახის" სავარაუდო ფასია 200 ათასი ევრო.

# "ულტიმა GTR720"

## ყველაზე ტემპერამენტიანი ავტომობილი

პატარა ინგლისური კომპანია "ულტიმა" (Ultima) ცნობილია იმით, რომ "მაკლარენის" ძველი პროტოტიპის ნახაზების მიხედვით ამზადებს სპორტულ ავტომობილებს. აგრეთვე იმითაც, რომ სიჩქარის და აჩქარების არაერთი რეკორდი აქვს დამყარებული.

ახლახანს კომპანიამ თავისი სუპერკარების თაყვანისმცემლები კიდევ რამდენიმე რეკორდით გააოცა. ავტომობილმა "ულტიმა GTR-მა", რომლის საჭესთანაც კომპანიის დირექტორი რიჩარდ მერლოუ იჯდა, მსოფლიოს ახალი რეკორდი დაამყარა 0-100 მლ/სთ-0 (ადგლიდან 100 მლ/სთ-ის აკრეფა და ისევ გაჩერება) სპრინტში.

ავტომობილმა სტარტიდან 60 მლ/სთ სიჩქარე 2.6 წამში განავითარა, 0-100 მლ/სთ კი - 5.3 წამში. ამ სიჩქარის აკრეფის შემდეგ კი უმალ (0.5 წამში) დაიწყო დამუხრუჭება და 3.6 წამში გაჩერდა. სულ, ადგილიდან დაძვრაზე, დათქმული სიჩქარის (100 მლ/სთ, ანუ 160 კმ/სთ) აკრეფასა და გაჩერებას კი 9.4 წამი მოანდომა! ყველა ჩამოთვლილი შედეგი მსოფლიოს ახალი რეკორდია.

კომპანიამ რეკორდების დასამყარებლად გამოიყენა სადემონსტრაციო ავტომობილი "ალტიმა GTR640", რომელშიც შეიცვალა მხოლოდ ძრავი. კაპოტქვეშ განლაგდა ამერიკულ კომპანია "ამერიკენ სპიდის" მიერ დამზადებული, "შევროლეს" კონსტრუქციის V8 ძრავი, რომლის სამუშაო მოცულობა 6,3 ლიტრი, სიმძლავრე კი 720 ცხენის ძალაა. ამ ოპერაციის შემდეგ შეიცვალა ავტომობილი სახელიც და ის "ულტიმა GTR720" გახდა. სარეკორდო სესიამდე ავტომობილმა გაიარა საგზაო ჰომოლოგაცია. მას საგზაო (არასარბოლი) საბურავები დაუყენეს, ძრავთან კი ასევე სტანდარტული, 5-საფეხურიანი გადაცემათა კოლოფი G50 შეაწყვილეს.

მერლოუ ამბობს, რომ ესოდენ შესანიშნავ დინამიკურ მონაცემებს "ულტიმა GTR720" უნდა უმადლოდეს ძრავისა სიმძლავრისა და ავტომობილის წონის (990 კგ) შესაშურ თანაფარდობას. ამასთან, ავტომობილი არაა განკუთვნილი მხოლოდ რეკორდებისთვის. მისი მართვა შეიძლება საერთო სარგებლობის გზებზე, კარგსა და ცუდ ამინდში.

"საოცარია, მაგრამ ჩვენმა კომპანიამ ფაქტობრივად, სუპერკარების ახალი კლასი შექმნა. მხოლოდ ციფრებს დაგისახელებთ: 0-100 მლ/სთ-0 სპრინტში ჩვენი ავტომობილი ორი წამით ჯობნის "მაკლარენ F1 LM-ს", რომელიც მილიონი დოლარი ღირს და ამაზე ცოტა ნაკლებით "ფერარი ენცოს" რომელიც 700 ათასი დოლარი ღირს. ეს მაშინ, როცა ჩვენი "ულტიმას" ღირებულება 100 ათას დოლარზე ოდნავ მეტია.

შედარებისთვის, ქვემოთ მოგიყვანთ "ულტიმა GTR720-ისა" და მისი კონკურენტი სუპერავტომობილების მონაცემებს სხვადასხვა "ნომინაციებში":




რიჩარდ მერლოუ თავის რეკორდსმენთან ერთად

### 0-100 მლ/სთ-0

ულტიმა GTR720 - 9.4 წამი
ფერარი ენცო - 10.9 წამი
მაკლარენ F1 LM - 11.5 წამი
პორშე კარერა GT - 11.6 წამი
პაგანი ძონდა - 11.8 წამი

### 0-60 მლ/სთ

ულტიმა GTR720 - 2.6 წამი
ფერარი ენცო - 3.4 წამი
მაკლარენ F1 LM - 3.2 წამი
პორშე კარერა GT - 3.7 წამი
პაგანი ძონდა - 3.7 წამი

### 0-100 მლ/სთ

ულტიმა GTR720 - 5.3 წამი
ფერარი ენცო - 6.7 წამი
მაკლარენ F1 LM - 6.3 წამი
პორშე კარერა GT - 7.4 წამი
პაგანი ძონდა - 7.5 წამი

### 100 მლ/სთ-0 შენელება
(არ იგულისხმება პილოტის რეაქცია)

ულტიმა GTR720 - 3.6 წამი
ფერარი ენცო - 4.0 წამი
მაკლარენ F1 LM - 4.6 წამი
პორშე კარერა GT - 4.1 წამი
პაგანი ძონდა - 4.0 წამი

# მოძრაობის უსაფრთხოება




## ფოტო 1.

ერთი ნიშნის დაყენება ქალაქის ბიუჯეტს დაახლოებით, 70 ლარი უჯდება. თევდორე მღვდლის ქუჩაზე ეს ლაფსუსი ქალაქის ბიუჯეტს დაუჯდა 150 ლარი, მისი გამოსწორება დაუჯდება კიდევ 150 ლარი. "ვინ თქვა, რომ ღარიბ ქვეყანაში ვცხოვრობთ?"




## ფოტო 2.

ვიწრო მონაკვეთი. ალმაშენებლის გამზირზე, მის ყველაზე ვიწრო მონაკვეთში, კიევის ქუჩიდან საარბრუკენის (ყოფ. ვორონცოვის) მოედნამდე დახაზულია ორი გამყოფი ზოლი, თან ისეა დახაზული, რომ არც ერთ გზაჯვარედინზე არ არის წყვეტილი. ანუ მარცხენა მოხვევა ამ მონაკვეთში გაუქმდა. არ ვიცი, გეგმა უჭირდათ თუ ვიღაცის ჯინი ჰქონდათ... ასეა თუ ისე, ერთი რამ დანამდვილებით შეიძლება ითქვას - სტანდარტი მათთვის არ არსებობს, გაუმარჯოს თვითშემოქმედებას! ამ დროს ამ სტანდარტში, რომელიც ვენის კონვენციამ დაამტკიცა, წერია, რომ ორი გამყოფი ზოლი იხაზება მაშინ, როცა ქუჩა მინიმუმ ოთხრიგიანია ორივე მიმართულებით. ე.ი. ერთი ზოლი ზედმეტია. ამ შეცდომას, რომელიც ქალაქის ბიუჯეტს 200 ლარზე მეტი დაუჯდა, დაემატა ზარალი, რომელიც მოჰყვა ქუჩების გადაკეტვას; ახლა ამ შეცდომების გასწორება ვინ იცის, რამდენს მოითხოვს... რაც შეეხება, ამ ვიწრო ყელში მანქანების დგომას, თუ ვიღაცას ელემენტარულად ესმის მოძრაობის ორგანიზაცია, დააყენეთ ორივე მხარეს საგზაო ნიშანი "გაჩერება აკრძალულია".

## ფოტო 3.

მიცკევიჩი-გამსახურდია. ამ ფოტომ დამარწმუნა - რა კარგია თავისუფლება, გინდა "მხოლოდ მარცხნივ" წადი და გინდა "მხოლოდ მარჯვნივ". მაგრამ, მე მინდა ვიარო მარჯვნივაც და მარცხნივაც, მით უმეტეს ამ გზაჯვარედინზე... ეხება ეს ჩემს თავისუფლებას თუ არა. ორივე ნიშანი მოსახსნელია და ეს მონაკვეთი დასახაზია ისეთი სქემით, რომელიც შეცვლის ამ ლაფსუსებს. ამ შეცდომამ დააზარალა ქალაქის ბიუჯეტი 150 ლარით და მისი დემონტაჟი კიდევ უფრო დააზარალებს.




## ფოტო 4.

ფასიანი სადგომი. მე უკვე ვწერდი, ან ჩემი დაწერა რად გინდათ, რომ საგზაო ნიშანი მონტაჟდება ისეთნაირად, რომ მოძრავი მანქანა ნიშანს უნდა ხედავდეს. ბოლო ხანებში თბილისში ძალიან ოპერატიულად დამონტაჟდა ბევრი "ფასიანი სადგომი"-ს ნიშნები. ასევე ოპერატიულად არის დაშვებული იმდენი შეცდომა, რამდენიც ნიშანია. საქმე ის არის, რომ მოძრაობის დროს მანქანა ვერ ხედავს დაყენებულ ნიშანს, მის სიმბოლოს და მეორეც - ნიშანი მოქმედებს თავის უკან, ე.ი. ამჟამად შეცდომით დაყენებული ეს ნიშანი მიგვანიშნებს, რომ "ფასიანი სადგომის" ადგილია - ტროტუარი. ამ შეცდომის დაშვებამ მინიმუმ 3 500 ლარით დააზარალა ქალაქის ბიუჯეტი და შეცდომის გამოსწორება უფრო გაზრდის ამ თანხას. უნიკალური ქვეყანა ვართ - ვაფინანსებთ შეცდომებს!




"ქალაქის ცენტრის ღირსშესანიშნაობა!"

## ფოტო 5.

ეს არის საბურთალო-კუტუზოვის ქუჩების გადაკვეთა, სადაც ორმოებს ვერ დათვლი, ხრეშით სავსეა, მაგრამ შუქნიშანი ამ გზაჯვარედინზე მუშაობს. აქ ბუზღუნა მიხვდა, რომ მოძრაობის უსაფრთხოება - ეს არის არ არის მხოლოდ შუქნიშანი, ქუჩების მონიშვნა და სხვა. მოძრაობის უსაფრთხოება იწყება ქუჩის მდგომარეობიდან, ასფალტის საფარიდან და გზაჯვარედინის მოწყობიდან. თითქმის ყველა ქვეყანაში და მით უმეტეს, დედაქალაქებში გზებზე ორმოები, ხრეში, სამშენებლო ნაგავი და ა.შ. ქვის ხანაში დარჩა. დღეს მსოფლიო ფიქრობს იმაზე, რა დააგოს ასფალტის ზედაპირზე - ბრეზენტი, ძვირფასი ხის მასალა თუ სხვა, რათა გააუმჯობესოს შეჭიდულობა მანქანასთან გზის პროფილის შესაბამისად... სამაგიეროდ, რაც უფრო მეტი ორმოა მით უფრო დაბალი სიჩქარეა და ავარიის ვარაუდი მცირდება; მანქანას რესორი გაუტყდება თუ ხიდი ჩაეშლება, ეს არავის ადარდებს... ისე, რა მოსატანია და, ბუზღუნა როგორც იქნა იმასაც მიხვდა, რის ხარჯზე იმატა მკვეთრად პროფილაქტიკების რაოდენობამ.

## ფოტო 6.

მიცკევიჩი-კუტუზოვის ქუჩების გადაკვეთაზე ბუზღუნა, სიმართლე რომ გითხრათ, შეშინდა, იმიტომ რომ გარდა დანგრეული ასფალტისა, დგას ოთხი სახრჩობელა, მართალია, თოკების გარეშე. როცა ჩუმად გავიკითხე, მითხრეს რომ ოდესღაც ამ ბოძებზე შუქნიშნები ეკიდა. მერე ეს შუქნიშნები, ალბათ, სხვაგან წაიღეს და ჩვენ შუქნიშნის გარეშე დავრჩით. ამ სახრჩობელების შემყურე გზაზე ვერ გადავდივართ, მანქანა მანქანას ეჯახება... - შემომჩივლა იქაურმა ბუზღუნამ. გულში კი გავიფიქრე: "კარგი, შუქნიშნების დაყენება დაავიწყდათ, ვის არ მოსდის, მაგრამ ნიშნები "მთავარი გზის მიმართულება" და "დაუთმე გზა" ხომ უნდა იდგეს გზაჯვარედინზე, როცა შუქნიშანი აღარ მუშაობს?! რაიმეთი ხომ უნდა იყოს გარანტირებული უსაფრთხო მოძრაობა?!







"ფრთხილად, თბილისში სახრჩობელები გაჩნდა!"

## კლუბები/რესტორნები

**იხსნება: 12:00;** ქართულ-აზიურ-ევროპული რესტორანი შესაბამისი ინტერიერითა და კერძებით. **საუკეთესო დასვენებისა და გართობის ადგილი თქვენთვის და თქვენი სტუმრებისთვის.** აქ შეგიძლიათ მიირთვათ ტრადიციული ქართული, დახვეწილი **ევროპული და ეგზოტიკური აზიური სამზარეულოების დელიკატესები,** ნახოთ ცეცხლოვანი ქართული, აზიური, ბოშური და მუცლის ცეკვები და გემო გაუსინჯოთ სურნელოვანი არომატის მქონე ნარგილეს. რესტორანი **იტევს 160 სტუმარს;** აქვს **VIP დარბაზი,** კარაოკეთი და პროექტორით, გათვლილია 50 სტუმარზე; **სამზარეულო მუშაობს: 02:00-მდე;** ერთი ადამიანის **კვების საშუალო ღირებულება: 40 ლარი;**
**სიახლე: 1 ივნისიდან 24 საათიანი მომსახურება.** გაატარეთ ღამე აზიურ გარემოში, ჩილიმი, ღამის პროგრამა და ტრადიციულად უგემრიელესი კერძები.

**კოკა-კოლას ჯაზფესტივალთან დაკავშირებით: 23.06.06-Jast 5 Jazz Band /Session starts at 20:00; 24.06.06-"Boogy Band" /Session starts at 20:00; 25.06.06-Jargi Magalashvili Jazz Band /Session starts at 20:00.**

**მტკვრის მარჯვენა სანაპირო 2;**
**ტ.: (+99532) 75 11 88;**
**ფაქსი: (+99532) 75 11 88;**
უფასო ავტოსადგომი.

**დიჯეი ფართი: 21.00**
ქართული და ევროპული სამზარეულო. საუკეთესო ადგილი დაბადების დღეებისა და კერძო წვეულებების მოსაწყობად. **დაბადების დღის პაკეტი ბავშვებისათვის: 8** ლარიდან **(9-დან 15 წლამდე); უფროსებისათვის: 25** ლარი იტევს 80-100 სტუმარს **დამატებითი სერვისი:** წამყვანი და გასართობი პროგრამა; კარაოკე; დიჯეი; თამაშები; მოსაწვევები; ფოტო და ვიდეოგადაღება; ტორტი; კლუბის დეკორი.

**ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატთან დაკავშირებით** კლუბში გახსნილია **ჰოლანდიის ფანკლუბი.** მატჩების მსვლელობისას **გათამაშდება საჩუქარი "Teliani Trading"-ისგან.**

**კოკა-კოლას ჯაზფესტივალთან დაკავშირებით: 23.06.06- Jay Kay Hats Carnival, doors Open: 23:00, + Bonus Cocktail "Talulah"; 24.06.06-Jazz Hause Party, Doors Open 23:00, + Bonus Cocktail "Miles Davis"; 25.06.06-"Funky Night", Doors Open: 23:00, + Bonus Cocktail "Earth Wind & Fire"; "Maidan's Cafe"** /მეიდან კლუბის მიმდებარე ტერიტორია/ **25.06.06-Maidan's Jazz Band/Session starts at 20:00.**

**რკინის რიგი 6;**
**ტ/ფაქსი (+99532) 75 11 88**
ავტოსადგომი უფასოა.

**იხსნება: 19:00; პარასკევი/შაბათი - დისკოთეკა 22:00;**
**შესვლა: 20 ლ.** გოგონებისათვის უფასოა; **VIP** ადგილი ცალკე შესასვლელით. **ყოველდღე: 22:00** ელექტრონული მუსიკა და დიჯეი ფართი; ქართველი და ევროპელი დიჯეები. **არაბული ნარგილე: 20 ლარი;** მუშაობს ბოლო სტუმრის გაცილებამდე.

**ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატთან დაკავშირებით** კლუბში გახსნილია **ბრაზილიის ფანკლუბი.** მატჩების მსვლელობისას **გათამაშდება საჩუქარი "Teliani Trading"-ისგან.**

**კოკა-კოლას ჯაზფესტივალთან დაკავშირებით: 23.06.06-"Right Side Jazz Band & Tatia Khaburzania", Doors Open: 21:00; 24.06.06-Big Jam, Doors Open: 21:00; 25.06.06-"Right Side Jazz Band & Tatia Khaburzania", Doors Open: 20:00.**

**ბამბის რიგი 7;**
**ტ: (+99532) 43 90 38**
ავტოსადგომი უფასოა

# აკადემიური რჩევანი

### ლუდსახარშისა და რესტორნის "კაიზერ ბრაუ" ადმინისტრატორ კოტე ვეფხვაძესთან ერთად

საქართველოში, ისევე როგორც მთელ მსოფლიოში, ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებასთან ერთად **ტოტალური ფეხბურთის ხანა დაიწყო.** მოულოდნელად **აღმოჩნდა,** რომ ის **ქალბატონებიც** კი, რომლებიც მთელი წლის მანძილზე გაღიზიანებით უმზერდნენ მწვანე მინდორს მიშტერებულ მამაკაცებს, ახლა თავადაც **დიდი ყურადღებითა და არანაკლები ემოციით ადევნებენ თვალყურს ოჯახური იდილიის მტრად ცნობილ ფეხბურთს.** მწეველები ეწვიან, ლუდის მოყვარულები კი, რომელთა რაოდენობაც ქალბატონებს შორის "ტოტალურად" იზრდება, სიამოვნებით მიირთმევენ სამამულო და უცხოური წარმოების საუკეთესო ლუდს, რომლითაც ქართული ბაზარი უხვადაა გაჯერებული. და თუ ყველა საჭმელი, სლოგანს თუ დავუჯერებთ, - ითხოვს კოკა-კოლას, **ფეხბურთის ყველა მატჩი ნამდვილად ლუდს ითხოვს.** ლუდს, რომელსაც როგორც აღმოჩნდა, სრულიად უსაფუძვლოდ უამრავ ჯანმრთელობისათვის მავნე ზეგავლენას მიაწერდნენ. არადა, ლუდი უხვად შეიცავს ადამიანის



ორგანიზმისათვის აუცილებელ ნივთიერებებს, რის გამოც მას წარსულში "თხევადი პურიც" კი შეარქვეს. თითქმის ყველამ იცის, რომ მარცვლეული კულტურა ორგანიზმისათვის მეტად საჭირო და სასარგებლოა, მაგრამ იმ ფაქტს, რომ ლუდი სწორედ ნარჩევი მარცვლეული კულტურებისაგან მზადდება, ხშირად არ აცნობიერებენ. სხვა ალკოჰოლური სასმელებისაგან განსხვავებით, ლუდი ერთადერთი პროდუქტია, რომელიც ვიტამინებისა და მინერალების დიდ რაოდენობას შეიცავს. **ის აბსოლუტურად არ შეიცავს ცხიმებსა და ქოლესტერინს** და არ შეიძლება გახდეს წონის მომატების მიზეზი. ამასთან, 250მლ. ლუდი მხოლოდ 110კ.კალორიას შეიცავს, გაცილებით ნაკლებს ვიდრე ჯინ-ტონიკი(121კ.კალ), ცქრიალა ღვინო(131კ.კალ), გაზიანი სასმელი(136კ.კალ), ღვინო(175კ.კალ) და მილქი შეიქი(284კ.კალ). სამაგიეროდ, ერთ ლიტრ **ლუდს შეუძლია დააკმაყოფილოს** ორგანიზმისათვის საჭირო **პროტეინების** დღიური ნორმის 10%, რაც ყველასთვის ასე საყვარელ სასმელს - ღვინოსაც კი არ შეუძლია. ლონდონის უნივერსიტეტის მიერ ჩატარებული კვლევების თანახმად, ჩეხებს, რომლებიც დღეში საშუალოდ ერთ კათხა ლუდს მაინც მიირთმევენ, **გულსისხლძარღვთა სისტემის დაავადებები** სხვებთან შედარებით 50%-ით ნაკლებად აღენიშნებათ. ანუ, **ლუდი,** მის მომხმარებელთა შორის, შესამჩნევად **ამცირებს ინფარქტის რისკს.** 27000 მამაკაცის შესწავლის შემდეგ კი ფინელები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ დღეში ერთი კათხა ლუდის მიღება **თირკმელებში კენჭის გაჩენის საშიშროებას** 40%-ით ამცირებს. თუმცა, უნდა გვახსოვდეს, რომ ნებისმიერი ალკოჰოლური სასმელის დიდი დოზით მოხმარების შემთხვევაში, შესაძლოა, საფრთხე შევუქმნათ საკუთარ ჯანმრთელობასაც და სხვებსაც. და ბოლოს, **ლუდი ყოველთვის,** მარტო ვსვამთ მას თუ მეგობრებთან ერთად, დიდ სიამოვნებასთან, **გემრიელ კერძებთან**(ხორცეულთან, თევზეულთან, ზღვის სხვა პროდუქტებთან) და სპორტულ სანახაობსთან, **უმეტესად ფეხბურთთან ასოცირდება.** რადგან, - ის არ იწვევს სწრაფ თრობას, ხელს არ უშლის პარალელურად რაიმეს ყურებას(მისი სმისას სადღეგრძელოების მოყვარული ქართველებიც კი თავს იკავებენ) და რაც მთავარია, თავისი მომადუნებელი ეფექტის წყალობით, **სასიამოვნო განტვირთვის** საუკეთესო და **გემრიელი** საშუალებაა.

**ბარი იხსნება: 17:00. კოკა-კოლას საერთაშორისო ჯაზფესტივალის ოფიციალური ღამის კლუბი. ყოველ დღე: 22:00** დიჯეი ფართი და დისკოთეკა. **მიმტანები:** - ქართველი და უცხოელი მოდელები. **მუდმივად** ეკრანზე **ფეშენ TV**; **ყოველ ხუთშაბათს: Ladies night** საფირმო კოქტეილი უფასოდ მხოლოდ ქალბატონებისთვის. ასევე - **განახლებული** მენიუ **და ლუდების ფართო არჩევანი;**

**ყურადღება! 09.06.06-დან 09.07.06-მდე ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატის ყველა მატჩის პირდაპირი ტრანსლაცია კლუბის ყველა მონიტორზე. სტერეო ხმა და სტადიონის ეფექტი ყოველ მატჩს კიდევ უფრო დაუვიწყარს გახდის. ღამის 1 საათზე, ყოველი ბოლო** საფეხბურთო **მატჩის შემდეგ** გაიმართება **After Football Party,** ხოლო **ბრაზილიის** ნაკრების ყოველი **მატჩის შემდეგ** კი - ცეცხლოვანი **ლათინოფართი ტამტამებით.**

**რუსთაველის გამზირი 18;**
**ტ.: 92 22 88 (მობ.: 877 74 71 70);**
ავტოსადგომი უფასოა.

**იხსნება: 13:00;** სიჩუანის პროვინციის სამზარეულოს მოყვარულებს შეუძლიათ ეწვიონ რესტორან **"ჩაინა თაუნს."** ყველა მაგიდაზე დადგმული ინდივიდუალური გრილის აპარატი სტუმარს საშუალებას აძლევს, **თავად შეწვას** ხორცეული და თევზეული და **მოამზადოს** ცნობილი **ჩინური კერძი:** ხუო-კუო, რაც ცეცხლზე ქვაბს ნიშნავს. სპეციალური **ლანჩმენიუ** ყოველ სამუშაო დღეს: **13:00-დან 17:00;** ლანჩ თაიმზე **ერთი ადამიანის** კვების საშუალო ღირებულება: **6-7ლარი. ჩვეულებრივ დროს** ერთი ადამიანის კვების საშუალო ღირებულება: **20-25ლარი.** ორსართულიანი რესტორანის **ქვედა სართულზე ჩაის სალონია,** სადაც შეგიძლიათ მიირთვათ მსოფლიოში ყველაზე ცნობილი ჩაის სხვადასხვა სახეობები. აქვე **შეგიძლიათ გასინჯოთ** ჩინური სუში და პური. **"ჩაინა თაუნში"** მოქმედებს **ფასდაკლებები** ჯგუფებისთვის. **განსაკუთრებული სერვისი:** "ჩაინა თაუნი თქვენს სახლში" - უახლოეს რაიონებში კერძის მიტანა უფასოა. რესტორანს აქვს **საზაფხულო ღია კაფე.** იტევს **110 სტუმარს.** აქვს **20** ადამიანზე გათვლილი **VIP დარბაზი; სამზარეულო** მუშაობს: **02:00;**

**კოკა-კოლას ჯაზფესტივალთან დაკავშირებით რესტორანი გთავაზობთ: 23.06.06- "DIXIE LEND," Session starts at 20:00; 24.06.06- Street Jazz Session Episode II, Session starts at 20:00;**

**შარდენის ქუჩა;**
**ტელ: +995 (32) 75 41 14,**
**+995 (32) 75 10 14;**
ავტოსადგომი უფასოა.

**იხსნება: 11:00;** ბარ-რესტორანი **გთავაზობთ** ღვინოების, სპირტიანი სასმელების, ალკოჰოლური და უალკოჰოლო კოქტეილების ფართო არჩევანს. **ევროპული სამზარეულო,** მყუდრო ინტერიერი და **ცოცხალი მუსიკა(ჯაზი)** საშუალებას მოგცემთ დაისვენოთ და გაერთოთ თქვენთვის სასურველ გარემოში. აქ **შეგიძლიათ დააგემოვნოთ** სპეციალურად ამ ბარისათვის, მისი ეტიკეტით **"შარდენის 12"** ჩამოსხმული "თელიანი ველის" **საუკეთესო ღვინოები:** საფერავი და წინანდალი, მოითხოვოთ და მიირთვათ რესტორანშივე დამზადებული **ნამცხვრები.**

**ყურადღება!** ფეხბურთის მოყვარულებს რესტორანში დამონტაჟებული მონიტორის საშუალებით შეუძლიათ თვალი ადევნონ ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატს. აქვე **გათამაშდება** საჩუქარი **"Teliani Trading"-ისგან.** შესაძელბელია მაგიდების **წინასწარ დაჯავშნა.** შემკვეთის გამოუცხადებლობის შემთხვევაში, **ჯავშანი იხსნება** დათქმული დროიდან 30 წუთის შემდეგ. **ცოცხალი მუსიკა: 21:00-დან 24:00-მდე;** ბარ-რესტორანი **მუშაობს** ბოლო სტუმრის გაცილებამდე.

კოკა-კოლას საერთაშორისო **ჯაზფესტივალთან დაკავშირებით** ბარ-რესტორანი გთავაზობთ: **23.06.06-"Chardin Jazz Session", Doors Open:21:00; 24.06.06- Classic Jazz Session Episode II, Session starts at 20:00; 25.06.06-Jazz Piano Session, Session starts at 20:00;**

**შარდენის 12;**
**ტ.: 92 32 38;**
**877 52 97 79.**

**იხსნება: 11:00; ლუდსახარში და რესტორანი გთავაზობთ:** საუკუნეების განმავლობაში შემუშავებული გერმანული ტექნოლოგიითა და **უნიკალური რეცეპტით,** მაღალხარისხოვან **გერმანულ სვიასა და ალაოზე** დამზადებულ **ცოცხალ,** გაუფილტრავ ლუდს **""კაიზერ ბრაუს."** ქალაქის საუკეთესო უბანში, სასიამოვნო გარემოში, თქვენ შეგიძლიათ თვალი ადევნოთ **რესტორანში განთავსებულ მინი ლუდსახარშში ლუდის ხარშვის პროცესს,** შესვათ ახლადმოხარშული შესანიშნავი ლუდი და სხვა სასმელები, **მიირთვათ** უგემრიელესი გერმანული და ევროპული კერძები და რესტორანში დამონტაჟებულ დიდ მონიტორზე **თვალი ადევნოთ** სპორტის სამყაროს უახლეს მოვლენებს. **"კაიზერ ბრაუს" შეგიძლიათ** ლანჩზეც ეწვიოთ. **საუკეთესო შეფ-მზარეული** თქვენ უამრავ სიურპრიზს გიმზადებთ, რათა მოსწყდეთ დაძაბულ დღის რეჟიმს, დაისვენოთ და გემრიელად წაიხემსოთ. **სამზარეულო ღიაა: 02:00; რესტორანი მუშაობს** ბოლო სტუმრის გაცილებამდე.

**ყურადღება! ნახეთ დიდი ფეხბურთი რესტორნის დიდ მონიტორზე; მაგიდები შეგიძლიათ წინასწარ დაჯავშნოთ; ბილეთის ფასი: 10 ლარი; ღირებულებაში შედის 2 კათხა ლუდი.**

**სიონის 8;**
**ტ.: + 995 (32) 92 03 22;**
ავტოსადგომი უფასოა

## ბარები/კაფეები

**იხსნება: 12:00;** უნიკალური სპორტული ექპონატებისა და **მსოფლიო სპორტის მეგავარსკვლავების გარემოცვაში,** გიგანტურ ტელეეკრანზე შეგიძლიათ იხილოთ **მსოფლიოს 15 სპორტული არხის საუკეთესო მატჩები** და ტურნირები, იგემოთ ევროპული და ამერიკული სამზარეულოს საუკეთესო კერძები, **ისიამოვნოთ ალკოჰოლური და გამაგრილებელი სასმელების ფართო არჩევანით,** უმაღლესი დონის სერვისითა და კომფორტით; **ლანჩი: 13;00-დან 16:00-მდე;**

**ყურადღება! 09.06.06-დან 09.07.06-მდე მსოფლიოს ყველაზე მნიშვნელოვანი სპორტული სანახაობა ჩვენს ეკრანებზე.** ესტუმრეთ კაფეს და ფეხბურთის ფანებთან და მეგობრებთან ერთად თვალი ადევნეთ ფეხბურთის მსოფლი ჩემპიონატს; უგულშემატკივრეთ საყვარელ გუნდს, გამოხატეთ და დახარჯეთ ემოციები ყველაზე შესაფერის გარემოში. დაჯავშნეთ ბილეთები წინასწარ. **ბილეთის ფასი: 10 ლარი; ღირებულებაში შედის საჩუქარი - 1 ბოთლი საუკეთესო ლუდი-"LOWENBRAU". კაფე მუშაობს ბოლო სტუმრის გაცილებამდე;** კლუბში გახსნილია არგენტინეს ნაკრების **ფანკლუბი.**

**მაიაკოვსკის 5 /მუშთაიდის ბაღის პირდაპირ/;**
**ტ.: 95 02 36; ფაქსი: 95 80 62**

**ჩვენი არჩეONE-ის იმპრესარიო**
**მაია კაპანაძე**
**899 95 57 67**